# კვირის პალიტრა

№ 48 (457) ◆ 1 – 7 დეკემბერი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## ღმერთმა ნუ ქნას! ხალხია ცოდო!

გინდოდათ პირველობა? — ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი. მიშა, ნინო, ზურა, ქვეყნის ბედი თქვენს ხელშია, მოუარეთ საქართველოს, ეპატრონეთ, მოკეთე მოუმრავლეთ და მტრისგან დაიცავით, გაამთლიანეთ და ნუ დაშლით. ააღორძინეთ და ააშენეთ, თორემ ხომ ხედავთ, რა შესძლებია ქართველობას. ისე ნუ იზამთ, რომ ახალი რევოლუციის სუნი დატრიალდეს... გვ.7

რუსეთის საინფორმაციო საშუალებები უკვე ალაპარაკდნენ კიდეც ახალ რევოლუციაზე(!!!). ღმერთმა ნუ ქნას! ხალხია ცოდო!..



## წყალსაც ვყიდით?! ჰაერის ჯერი როდის დადგება, ჰაერის!



პროექტი, რომელსაც უმალავდნენ საქართველოს მოსახლეობას გვ.12,27

## ქალაქების და რაიონების გამგებლებისა და სხვა ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!

**ჩვენი სახელით თაღლითი ისევ დაძრწის...**

„თავდაპირველად ყურადღება არ მიგვიქცევია, მაგრამ მოგვიანებით, როცა თქვენი საშუალებით დავრწმუნდით, რომ საქმე აფერისტთან გვქონდა, მერე გავიხსენეთ: ჩვენი სტუმარი არც მთლად სერიოზულად იქცეოდა, საუბრისას ზოგჯერ ისეთ დროს გადაიხარხარებდა, ნორმალურ კაცს ნამდვილად რომ არ შეეფერება...“ გვ.4

*„კვირის პალიტრის“ სახელით მოსულ ნებისმიერ პიროვნებას მოსთხოვეთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. ოდნავი დაეჭვებისთანავე დაგვირეკეთ... რომ არ აღმოჩნდეთ მისი (თაღლითის) მზაკვრული გეგმების მსხვერპლი.*

## „ამ ხელისუფლების შეურიგებელი ოპოზიცია ვიქნებით“ გვ.7

*შალვა ნათელაშვილი*

## „გავაგრძელებ თავმჯდომარეობას იმიტომ, რომ პარტიას შეცდომა არ დაუშვია“ გვ.6

*დავით გამყრელიძე*

## რევოლუციასთან ერთად საქართველოდან ევროპის ბანკებისაკენ მილიონობით დოლარი დაიძრა(!) გვ.5,11





## ფრთხილად! — ნარკომაფიას საქართველოში ახალი ლობი დასჭირდება!..

**მოჰყვება თუ არა „ვარდების რევოლუციას“ ყაყაჩოების რევოლუცია?**

ბოლო ორი-სამი კვირის განმავლობაში, თბილისში იკლო და ბოლოს თითქმის შეწყდა ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზაცია(?). ამის მიზეზი ნარკოტიკების დეფიციტი აღმოჩნდა... გვ.13

ქართულ ნარკობაზარზე ცვლილებები ჯერ კიდევ გაზაფხულზე შეინიშნებოდა და ეს ერთგვარად ბაზრის გაფართოებისკენ უფრო იყო მიმართული, ნარკოსაქმოსნების გათვლა, რომ დაბალფასიანი ნარკოტიკით ბაზრის გაჯერება — შემდგომში მძიმე ნარკოტიკების ბაზრის გაფართოებას გამოიწვევდა, „პერსპექტიული“ გამოდგა და ჩვენში გამოჩნდა ოპიუმის ყაყაჩოს თესლი... მისი დაბალი ფასიდან გამომდინარე, რამდენჯერმე გაიზარდა ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა(!).

სავარაუდოა, რომ ხაშხაშის რეალიზაციის აკრძალვა პერსპექტივაში (სამწუხაროდ), გამოიწვევს ჰეროინის ბაზრის გაფართოებას.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, დღის წესრიგში ნარკობარონებისთვის ახალი „კრიშის“ მოძებნა დადგა!.. ჩვენში ნარკობიზნესის ლობირებაში ხომ ყოველთვის ხელისუფლება მოიაზრებოდა(?!). ცხადია, უკვე აპრობირებული მარშრუტის შეცვლის სურვილი ნარკოკარტელებს ნაკლებად ექნებათ.

**ამ მიმართულებით შსს-ს ახალ მინისტრს ბევრი თავის ტკივილის გადატანა მოუწევს.**



## „ქიქა შამპანური“ და ქართული პოლიტიკა

რისთვის ჩამოვიდა საქართველოში გვ.5 ტარიელ ონიანი?

## საარმიო ციებ-ცხელება



გვ.9

## მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## პროპორციული არჩევნების შედეგები გაუქმდა

უზენაესმა სასამართლომ არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ სარჩელი დააკმაყოფილა და 2 ნოემბრის საპარლამენტო პროპორციული არჩევნების შემაჯამებელი ოქმი ბათილად ცნო. მოსარჩელეების განმარტებით, მათ სასამართლოს სამ ტომად წარუდგინეს არჩევნების დღეს მომხდარი დარღვევების დამადასტურებელი დოკუმენტები.

სასამართლოში მტკიცებულებები წარმოადგინეს, ერთი მხრივ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ხოლო მეორე მხრივ, „სამართლიანი არჩევნების“, ბურჯანაძე-დემოკრატებისა და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა. რაც შეეხება 2 ნოემბრის საპარლამენტო მაჟორიტარული არჩევნების შედეგებს, იგი უცვლელი რჩება. ამ ინიციატივით პირველი ზურაბ ჟვანია გამოვიდა, რაც კულუარებში ტაქტიკურ ნაბიჯად შეაფასეს. როგორც ამბობენ, ამჟამინდელ ხელისუფლებას ეშინია სერიოზული დაპირისპირებისა, რომლის წამოწყება 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე მაჟორიტარებისგან არის მოსალოდნელი, თუ მათი გამარჯვება ბათილად გამოცხადდება. ეს ხალხი წინასაარჩევნო კამპანიის დროს დახარჯული უზარმაზარი თანხების წყალში ჩაყრას ვერ მოითმენს და ახალ ხელისუფლებას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის, — ვარაუდობენ კულუარებში.

## საიუბილეო საჩუქარი?

1999 წლის მოწვევის პარლამენტმა ახალი საპრეზიდენტო არჩევნები 2004 წლის 4 იანვრისთვის დანიშნა. ხანმოკლე კონსულტაციების შემდეგ ნაციონალებმა და ბურჯანაძე-დემოკრატებმა პრეზიდენტობის ერთადერთ კანდიდატად მიხეილ სააკაშვილი დაასახელეს. საქართველოს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია ედუარდ შევარდნაძის დაბადების დღეს, 25 იანვარს ემთხვევა. კონსტიტუციის თანახმად, ახალარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაცია არჩევნებიდან 3 კვირის თავზე უნდა გაიმართოს. პრეზიდენტობის მსურველთა რიცხვი თანდათან იზრდება. ბოლო მონაცემებით, პრეზიდენტობის კანდიდატთა სია ასე გამოიყურება: მიხეილ სააკაშვილი, ქართლოს ღარიბაშვილი, ზურაბ ქელეხსაშვილი, როინ ლიპარტელიანი, გიორგი ყორღანაშვილი, იგორ გიორგაძე, ზაზა სიხარულიძე, ბიძინა ხარიბეგაშვილი, ელენე ტეფნაძე, თემურ შაშიაშვილი, სერგო აქსენტიევი, გია ჩხიკვაძე, ვაჟა ჩხაიძე.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის პოსტისთვის ბრძოლის სურვილი ჯერჯერობით არ გამოუთქვამს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს, ასლან აბაშიძეს, მიხეილ სააკაშვილის თქმით, იგი საპრეზიდენტო მარათონში ყველაზე კონკურენტუნარიან მეტოქედ სწორედ აჭარის ლიდერს მიიჩნევს და აცხადებს, რომ ქვეყანაში არსებობენ ძალები, რომლებიც უამრავ ფულს დახარჯავენ იმისათვის, რომ სააკაშვილი პრეზიდენტი არ გახდეს. „აღორძინების“ თბილისის ცენტრალური ოფისის პრესსამსახურმა სააკაშვილის მოსაზრებას აბსურდული უწოდა და განაცხადა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და მისი ლიდერი არჩევნებში მონაწილეობას არ აპირებენ. სააკაშვილის განცხადება მიმართულია იმისკენ, რომ კანონის ჩარჩოში მოაქციონ 4 იანვარს ჩასატარებელი არჩევნები, რათა მას ლეგიტიმაცია მისცენ.

## ნათლული ნათლიამ მოინახულა

პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომის შემდეგ ედუარდ შევარდნაძე ნათლიამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მოინახულა. შეხვედრა დაახლოებით 30 წუთს გაგრძელდა. პატრიარქი კმაყოფილია, რომ საქართველოში მომხდარი ხავერდოვანი რევოლუცია უსისხლოდ დასრულდა.

## ჭკუით იყავით

პოსტიდან გადადგომის შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ კანცელარიაში შეიარა, ყოფილ სამუშაო ოთახში პირადი ნივთები შეაგროვა და თანამშრომლებს დაემშვიდობა. დილით სამსახურში მისულ მოხელეებს შევარდნაძემ საჩუქრად წიგნები გადასცა და დრო მასმედიის წარმომადგენლებსაც დაუთმო. „არ ვაპირებ ახალი ხელისუფლების საკადრო პოლიტიკაში ჩარევას. რომ მთხოვონ, ამას მაინც არ გავაკეთებ. კადრების შერჩევა ურთულესი საკითხია და თავად უნდა გადაწყვიტონ...

საქართველოს აუცილებლად უნდა ჰყავდეს პრეზიდენტი, თუნდაც სიმბოლური. ჩემი მხრიდან გამართლებული არ იქნება პრეზიდენტობის კანდიდატების შესაძლებლობების შეფასება. არც იმის თქმას ვაპირებ, ვის ვუჭერ მხარს. სამი ლიდერი მოილაპარაკებს და ერთი პრეზიდენტი, მეორე პარლამენტის თავმჯდომარე და მესამე კი პრემიერ-მინისტრი იქნება“, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ კანცელარიაში შესვლისას და მომავალ პრეზიდენტს ურჩია, „ჭკუით იყავიო“, თანაც დასძინა, იმედი მაქვს ჩემს შემცვლელს, თუ ნებით არ გადადგება, ძალით ვერავინ გადააყენებსო.

## საქართველო კვლავაც რჩება დერეფნად

„საქართველოში ბოლო დროს მიმდინარე მოვლენების მიუხედავად, გლობალური მასშტაბის პროექტებს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-არზრუმის გაზსადენის მშენებლობას საფრთხე არ ემუქრება“, — განაცხადა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრის შემდეგ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა გიორგი ჭანტურიამ, რომელიც ხელისუფლების ახალ მეთაურთან შეხვედრაზე ბი-პის პრეზიდენტ დევიდ ვუდვორფთან ერთად იმყოფებოდა.

ჭანტურიას თქმით, მათ ნინო ბურჯანაძისგან მიიღეს იმის სრული გარანტია, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება შეასრულებს ყველა იმ ვალდებულებას, რომლებსაც ამ პროექტის განხორციელებისთვის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულება ითვალისწინებს. ჭანტურიამ ასევე დასძინა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე წარმატებით მიმდინარეობს მილების შედუღების სამუშაოები, დასრულებულია საქაჩი სადგურების მშენებლობა და მილების იმპორტი.

## სოციალისტის მონოლოგი

სოციალისტური პარტიის წევრის, ირაკლი მინდელის განცხადებით, მისი პარტია კატეგორიულად შეეწინააღმდეგება საქართველოში ისეთი არჩევნების ჩატარებას, რომელშიც მონაწილეობას არ მიიღებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა. თუმცა მინდელი არ აკონკრეტებს შესაძლო წინააღმდეგობის ფორმებს და აცხადებს, რომ რცხვენია იმ ადამიანების გამო, რომლებიც მასთან ერთად იყვნენ სახელისუფლებო ბლოკში და ახლახან გამართული პარლამენტის სხდომების შემდეგ მილოცვებს არ იშურებდნენ ახალგამინისტრებული გაერთიანებული დემოკრატების კადრებისთვის.

მინდელის თქმით, სოციალისტები საკუთარ შეცდომად მიიჩნევენ სახელისუფლებო ბლოკში მოღალატე და მშიშარა ადამიანების მიღებას. ისინი თანამებრძოლებს მოუწოდებენ, 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოითხოვონ „მოქალაქეთა კავშირის“, როგორც დისკრედიტებული პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკიდან გაძევება და ხელი შეუწყონ 2 ნოემბერს ჩატარებული რეფერენდუმის ძალაში შესვლას.

## რატომ ეძებენ კონტრრევოლუციონერებს მასმედიაში?

მიუხედავად იმისა, როგორი იქნება ქვეყანაში რევოლუცია, ვარდების თუ ქვემეხების, იგი საზოგადოებაში ურთიერთსაპირისპირო ძალას წარმოშობს. ცვლილებები ქვეყანაში გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როცა ეს დემოკრატიასა და სახელმწიფოს ჩიხიდან გამოყვანას ემსახურება. დაპირისპირება არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავრცელდეს მასმედიაზე, თორემ იგი უფრო გაღრმავდება, რაშიც საზოგადოების ფართო მასებიც ჩაერთვებიან და შესაძლოა, მართლაც მოვექცეთ ჩიხში. ეს კი ხალხს ნამდვილად არ სურს. სამწუხარო მაგალითი ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების სახით გვაქვს. „რუსთავი-2“-ის ეთერით გავრცელებულმა ინფორმაციამ, თითქოსდა ტელეკომპანიების, „მზისა“ და „იმედის“ ხელმძღვანელები კონტრრევოლუციურად არიან განწყობილი(?!), ქართული მასმედიის წარმომადგენლების აღშფოთება გამოიწვია. „მზის“ დამფუძნებელმა ვანო ჩხარტიშვილმა კი საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე ტელეკომპანიების მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს ეროსი კიწმარიშვილის ბიზნესავანტიურა უწოდა.

საინფორმაციო პროგრამა „მზერის“ წამყვანი ინგა გრიგოლია კი „რუსთავი-2“-ს ბინძური პოლიტიკური დაკვეთების შესრულებაში ადანაშაულებს და აცხადებს: „მე რომ ამ ტელეკომპანიაში მემუშავა, ბინძურ დავალებებს არ შევასრულებდი და სამსახურიდან წავიდოდი. ნუ შეეცდება „რუსთავი-2“ შეეხოს ტელეკომპანია „მზესა“ და „იმედს“ და საერთოდ, თავი შეიკავოს ქართული მასმედიის ნებისმიერი წარმომადგენლისკენ მიმართული ცილისწამებისგან. „რუსთავი-2“-ისგან განსხვავებით, „მზის“ საინფორმაციო გადაცემები არასდროს ასოცირდებიან ერთი რომელიმე პოლიტიკური ძალის ინტერესებთან. დღევანდელ ხელისუფლებას აშინებს ის განსხვავებული აზრი და კითხვები, რომელიც მათ ხელს არ აძლევს, ამიტომ კონტრრევოლუციონერებად გვნათლავენ და ავიწყდებათ, რომ ჩვენ ვართ ჟურნალისტები“. ტელეკომპანია „იმედში“ კი აცხადებენ, რომ სავსებით ეთანხმებიან „მზის“ მიერ გაკეთებულ განცხადებებს და „რუსთავი-2“-ის უნიჭოდ შეთითხნილ ბრალდებებს ამ ეტაპზე არ ეხმაურებიან. „მიგვაჩნია, რომ არასწორი იქნება, თუნდაც თავის გამმართლებლის (როდესაც იძულებული ხარ ათას სისულელეზე თავი იმართლო) პოზიცია დავიკავოთ შავი პროპაგანდის განხორციელების დროს. სათქმელი საკმაოდ ბევრი გვაქვს, ამასთან კიწმარიშვილისგან განსხვავებით არა გამოგონილი, არამედ რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით. ტელეკომპანია „იმედის“ შემოქმედებითი კოლექტივის თავშეკავების განმსაზღვრელი კი მხოლოდ ერთი რამ არის — არ აგორდეს აგრესიისა და დაპირისპირების ახალი ტალღა ჩვენს საზოგადოებაში, სადაც დაძაბულობის მუხტი ისედაც ფეთქებადსაშიშია“.

## სარიშვილი ხელმოწერების შეგროვებას იწყებს

ირინა სარიშვილი-ჭანტურია 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს და ამ მიზნით მოსახლეობის ხელმოწერების შეგროვებას იწყებს. სახელისუფლებო ბლოკის ყოფილი სპიკერი არალეგიტიმურად მიიჩნევს უზურპაციის გზით ხელისუფლებაში მოსულ ჟვანია-სააკაშვილის გუნდის სამეულს და აცხადებს, რომ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ნინო ბურჯანაძესა და პარლამენტს არ აქვთ უფლება, დანიშნონ ვადამდელი საპრეზიდენტო ან საპარლამენტო არჩევნები. ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის გამო მომავალი არჩევნების ჩატარების თარიღის განსაზღვრას სარიშვილი ცესკოსგან მოითხოვს და აცხადებს, რომ ყველაფერს გააკეთებს, „რათა არ დაუშვას უზურპატორი სამეულის მიერ დანიშნული არჩევნების ჩატარება“.

## ელექტროენერგიის ტარიფი უცვლელი რჩება

თბილისის ენერგოგამანაწილებელმა კომპანიამ „რაო ეეს თელასმა“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას მიმართა თხოვნით, არ შემოიღოს 1-ელ აპრილამდე ელექტროენერგიის საფეხურებრივი ზრდის ტარიფი. „რაო ეეს თელასის“ დირექტორმა დალგიდას ნიკოლაიუსმა განაცხადა, რომ მიზანშეწონილად არ მიაჩნია ტარიფის ზამთარში შეცვლა, რადგან იგი სერიოზულად იმოქმედებს გადასახადების სტაბილურობაზე. კომპანია მზად არის, თავის თავზე აიღოს ტარიფის შენარჩუნებასთან დაკავშირებული ზარალი. საფეხურებრივი ტარიფის შემოღებაზე მუშაობა სემეკმა სექტემბერში დაიწყო, რათა ელექტროენერგიაზე გადასახადები მისი მოხმარების მოცულობის მიხედვით განესაზღვრა.

## ახალი კოალიცია

წარსულში სახელისუფლებო ბლოკის, „ახალი საქართველოსთვის“ წევრები და რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერები ქვეყანაში კონსტიტუციური მართლწესრიგის აღდგენის მიზნით, სახალხო კოალიციის შექმნის ინიციატივით შეიკრიბენ სასტუმრო „საქართველოს“ დარბაზში. მათ შორის იყვნენ ირაკლი ბათიაშვილი, ირაკლი მინდელი, სამცხე-ჯავახეთში ყოფილი პრეზიდენტის რწმუნებული გელა კვარაცხელია და ედუარდ შევარდნაძის მხარდამჭერი ინტელიგენციის წარმომადგენლები. პოლიტიკური ლიდერების განცხადებით, სახალხო კოალიციაში პოლიტიკური პარტიების გარდა, ის რიგითი მოქალაქეებიც უნდა გაწევრდნენ, რომელთა ძირითადი მოთხოვნა ქვეყნის დროებითი ხელისუფლების მმართველობიდან წასვლა იქნება(!).

## რამსფელდი თბილისში ჩამოდის

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შესაძლოა უახლოეს დღეებში თბილისს აშშ-ის თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი ეწვიოს. დეკემბრის დამდეგს ბრიუსელში დანიშნული ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეკრებაში კი საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძეც მიიღებს მონაწილეობას, რის შემდეგაც ალბათ რამსფელდი თევზაძესთან ერთად ეწვევა თბილისს, თუმცა ამ ვიზიტის შესახებ ჯერჯერობით არაფერს ამბობენ საქართველოში აშშ-ის საელჩოში.

## ვიზიტი მაასტრიხტში

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიწვევით, საპატიო სტუმრის სტატუსით ქალაქ მაასტრიხტში (ნიდერლანდების სამეფო) გაემგზავრა საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, რომელიც სიტყვით მიმართავს ეუთოს მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს სხდომის მონაწილეებს.

მაასტრიხტში ბურჯანაძე აშშ-ის სახელმწიფო მდივანს, კოლინ პაუელს შეხვდება, რაც აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშისა და ნინო ბურჯანაძის სატელეფონო საუბრისას გადაწყდა. ბუშის განცხადებით, მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია პაუელისა და ბურჯანაძის შეხვედრა, რომლის დროსაც საუბარი იქნება საქართველოში მიმდინარე პროცესებზე.

მაასტრიხტში კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა იგეგმება. „საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ არ შეიცვლება და, ძირითადად, აღებულ გეზს შეინარჩუნებს“, — განაცხადა ბურჯანაძემ მაასტრიხტში წასვლის წინ უკრაინის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელთან, ანატოლი ზლენკოსთან შეხვედრისას.

## კონტრრევოლუცია — ცხადი თუ სიზმარი

საქართველოს ხელისუფლების ახალი წარმომადგენლები ქვეყანაში კონტრრევოლუციური რევანშისტული ძალების არსებობაზე ალაპარაკდნენ. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი ხელმძღვანელი გია ბარამიძე სერიოზულ ინციდენტებს გამორიცხავს. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, ნინო ბურჯანაძის აზრით კი, თუ ქვეყანაში კონტრრევოლუციონერები აქტიურ მოქმედებას დაიწყებენ, ჯარი და პოლიცია გონივრულ პოზიციას დაიკავებს და არასახელმწიფოებრივ უკანონო ქმედებას არ მიმართავენ. კონტრრევოლუციაზე ახალი ხელისუფლების განაცხადს შეფასებას აძლევენ ყოფილი სახელისუფლებო ძალები და აცხადებენ, რომ ქვეყანაში შექმნილი რთული ეკონომიკური მდგომარეობის გამო, სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, ახალი ხელისუფლება მისი წინამორბედისთვის ნაცად ხერხებს მიმართავს და მოსალოდნელი ქაოსის შიშით ცდილობს ხელფასებისა და პენსიების მომლოდინე ხალხის ყურადღების ზომბირებას.

## ცესკოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს

ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, ამ პოსტზე უარი თქვა დავით უსუფაშვილმა. 1999 წლის მოწვევის პარლამენტმა ცესკოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნების“ ხელმძღვანელის, ზურაბ ჭიაბერაშვილის კანდიდატურა დაამტკიცა. ჭიაბერაშვილის განცხადებით, მან ამ ნაბიჯის გადადგმით სერიოზული რისკი გასწია და არ არის დარწმუნებული, რომ 2004 წლის 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგაც ისევე თავაწეული და ამაყი ივლის თბილისის ქუჩებში, როგორც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დადიოდა. ჩატარდება თუ არა საპრეზიდენტო არჩევნები გაყალბების გარეშე? ამ კითხვაზე ჭიაბერაშვილი ორჭოფულ პასუხს სცემს და აცხადებს, რომ სამწუხაროდ, ამის ზუსტი პროგნოზირება დღეს შეუძლებელია.

## „დაემშვიდობეთ აჭარულ მანდარინს...“

„აჭარაში მოწეული ციტრუსების მთელი მოსავალი რუსეთსა და უკრაინაში იქნება გადატანილი“, — აცხადებენ რუსეთის საინფორმაციო საშუალებები. ციტრუსების მიმღები პუნქტები აჭარის მთელ ტერიტორიაზეა გახსნილი და შესასყიდი ფასები უფრო მაღალია, ვიდრე წინა წლებში. ბოლო ათი წლის განმავლობაში, აჭარელ გლეხებს ნოემბერ-დეკემბრის განმავლობაში ციტრუსები, ძირითადად, თბილისში ჩამოჰქონდათ, საიდანაც მისი ექსპორტირება აზერბაიჯანსა და სომხეთში ხდებოდა. ხელისუფლებაში შევარდნაძის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ძალების მოსვლის შემდეგ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ თბილისთან ურთიერთობა გაწყვიტა და ციტრუსის იმპორტიც შეაჩერა. შესაბამისად, წელს საქართველოს ციტრუსით მომარაგება გურია-სამეგრელოში არსებული მარაგით მოხდება, რის გამოც საეჭვოა ბაზრის მოთხოვნილება სრულად დაკმაყოფილდეს და ციტრუსსაც, რომ იტყვიან, ცეცხლის ფასი დაედება.

## კოტე გაბაშვილს ელჩობის ვადა დაუმთავრდა?

ირაკლი მენაღარიშვილის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან წასვლის შემდეგ ამ თანამდებობაზე უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი თედო ჯაფარიძე დაინიშნა. ვინ დაიკავებს უშიშროების საბჭოს მდივნის სავარძელს, ჯერჯერობით, უცნობია. თუმცა, ამ პოსტზე შესაძლოა საქართველოს ელჩი გერმანიაში კოტე გაბაშვილი ვიხილოთ. კულუარებში გავრცელებულ ამ ინფორმაციას ხელისუფლების წარმომადგენლები ოფიციალურად არ ადასტურებენ. მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისათვის სამზადისს კი საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება განახლებული შემადგენლობით განაგრძობს — შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი გია ბარამიძემ დაიკავა, ფინანსთა მინისტრის რანგში მეორედ მოგვევლინა ზურაბ ნოღაიდელი, განათლების მინისტრი ალეკო კარტოზია კი დაუმორჩილებლობას აცხადებს და ახალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე პოსტის დატოვებას არ აპირებს.

## ნოღაიდელი იმედიანადაა

ზურაბ ნოღაიდელი ლარის კურსის გამყარებას დეკემბრის ბოლოს, წინასაახალწლოდ ვარაუდობს. მოსახლეობის მიერ უცხოური ვალუტის ლარზე მასობრივად გადაცვლის ტრადიციული მექანიზმი ლარის კურსის დროებით გამყარებას გამოიწვევს. თუმცა, გაურკვეველია, რა ელის ლარს საახალწლო დღეების ჩავლის შემდეგ. ნოღაიდელი ამაზე არაფერს ამბობს და აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტი ძალზე მძიმე მდგომარეობაშია, ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რათა მოსახლეობამ პენსიები და ხელფასები აიღოს.

„კვირის პალიტრაში“ გამოცხადებული კონკურსის „არჩევნები-2003“-ში მონაწილეთა საყურადღებოდ! როგორც იცით, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ოფიციალური შედეგები უზენაესი სასამართლოს მიერ ბათილად იქნა ცნობილი.

ამდენად, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა გამარჯვებულის გამოვლენა. გთხოვთ, ერთად დაველოდოთ ახალ საპარლამენტო არჩევნებს და იმედია, მაშინ მაინც შევძლებთ ფერადი ტელევიზორის გათამაშებას.

CMYK

ხავერდოვანი რევოლუცია, რომლის გამოც საქართველომ მთელი მსოფლიოს აღტაცებული ქათინაურები დაიმსახურა, დროებითი მთავრობისა და იმ საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების პროცესად გარდაისახა, რომელმაც უკვე ლეგიტიმური ხელისუფლება უნდა დაამტკიცოს. ერთი შეხედვით, ყველაფერი კლასიკური ფორმითა და სტილით ვითარდება. თუმცა, ანომალიური მოვლენები მაინც შეინიშნება. წესით, დროებითი მთავრობა საკანონმდებლო ორგანოში სრული უმცირესობით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი (ყოველ შემთხვევაში, ასე იყო სულ ორიოდე თვის წინ, იმავე დეპუტატებით დაკომპლექტებულ შემადგენლობაში). შეიძლება ითქვას, რომ საერთო-სახალხო უკმაყოფილებაც სწორედ აქედან დაიწყო — მთელი ზაფხულის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა ოპოზიციის თავდადებული ბრძოლის მოწმე იყო, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, სამართლიანი საარჩევნო კანონმდებლობა გაეტანა. ვერ მოახერხეს და ამის უმთავრესი მიზეზი მაშინდელი ხელისუფლებისადმი მონურად მორჩილი უმრავლესობა იყო (სწორედ ასე აცხადებდნენ მაშინდელი ოპოზიციის ლიდერები). როგორც აღვნიშნეთ, პარლამენტის შემადგენლობა არ შეცვლილა. შეიცვალა მთავრობა, რომლისადმიც ის ისეთივე (შეიძლება უფრო მეტადაც) მორჩილია, როგორც ადრე, „რევოლუციამდე“ იყო. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ ხალხს პარლამენტში მოსვლის დღიდან არ გაუღვიძია. ეძინა რევოლუციის დღეებში და სძინავს დღესაც... ალბათ აქ ოპტიმიზმის საფუძველს ის გვაძლევს, რომ პარლამენტის არჩევნებზე ხალხი კიდევ ერთხელ გააკეთებს ქვეყნისთვის სასარგებლო დასკვნას და დეპუტატებად ის ხალხი არ მოგვევლინება, ვისთვისაც პარლამენტის დარბაზი, უკეთეს შემთხვევაში, საძინებელ ოთახთან ასოცირდება, უარეს შემთხვევაში კი — ადამიანური ფასეულობებით სავაჭრო ბირჟასთან... კიდევ ერთი „ალბათ“... ალბათ არც ის უნდა იყოს მაინცდამაინც საგანგაშო და შემაშფოთებელი, თუ ელვისებური რევოლუციის დასრულების შემდეგაც მავანთ ეგზალტაციის მუხტი და ეიფორია შერჩათ და გადაწყვიტეს, ამა თუ იმ თანამდებობის პირის კარიერისთვის განაჩენი საკუთარი შეხედულებებისამებრ გამოეტანათ. მანამ კი, სანამ საქართველო ახალი ცხოვრების დასაწყებად ემზადება, „კეთილისმყოფლად“ წარმოჩენილი ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი მრუდე გზით სიარულს არ იშლის და მოსკოვში, თბილისისგან დამოუკიდებლად, საქართველოს ავტონომიური სამეულის შეხვედრა იმართება — „უმაღლეს დონეზე“. ასეთ შემთხვევაში, კვლავ დასავლეთის კეთილგანწყობა და აშკარა მხარდაჭერა გვაიმედებს და იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველო კვლავაც ჩაკეტილ წრეში ბრუნავს — ისევ მოსკოვი, ისევ ვაშინგტონი და ისევ მცონარა პარლამენტარები... თუმცა, ყველაფერი ისევ და ისევ უბრალო ხალხზეა დამოკიდებული — ხალხზე, რომელიც, ღვთის შეწევნით, გიორგობა დღეს საკუთარ ძალაში მტკიცედ დარწმუნდა. თუ ხალხი თავის სიმაღლეზე იქნება, რევოლუციის შედეგად მოსალოდნელ დიქტატურაზე ლაპარაკიც სისულელე იქნება, კონტრრევოლუციურ შეთქმულებაზე ატეხილი მედიაისტერიაც და — ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან მომდინარე ნებისმიერი სახის ექსპანსიაც. წესით, ორი სახელმწიფო გადატრიალება (სისხლიანიც ვნახეთ და ხავერდოვანიც) სრულიად საკმარისი უნდა იყოს იმის გასაცნობიერებლად, რომ ნებისმიერი მხრიდან — მოვლენათა ღვარძლითა და სიძულვილით შეფასება ან განწყობა არც ერთი პოლიტიკური ლიდერის გულისთვის არ ღირს...

# საბედნიეროდ, საპარლამენტო არჩევნების ჩატარება უახლოეს მომავალში არ იგეგმება



**მთავარია, ახალმა ხელისუფლებამ შევარდნაძის ეპოქაში დამკვიდრებული რუტინის, წლების მანძილზე ჩამოყალიბებული სისტემის შეცვლაზე იზრუნოს**

**ემოციები რამდენიმე თვეში დაცხრება და ხალხი არჩევანს უკვე ცივი გონებით გააკეთებს, ამასობაში კი პოლიტიკოსებიც ჩამოყალიბდებიან — ალბათ ბლოკები ორიენტაციისა და პლატფორმის მიხედვით გადასხვაფერდება და გამსხვილდება. ხომ არ შეიძლება საქართველოში ბრძოლა მხოლოდ იმისთვის მიმდინარეობდეს, თუ ვინ ააშენებს სახელმწიფოს. თავად შენებისთვის ბრძოლა ოდესღაც ხომ უნდა დაიწყოს...**

**ვახტანგ ხმალაძეს** სწორედ მაშინ შევხვდით, როდესაც პარლამენტის სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა — იგი შევარდნაძის ხელისუფლების დროსაც ასევე იქცეოდა — სხვათა შორის, ანალოგიური მიზეზების გამო. თუმცა, წინასწარ იმასაც ვიტყვით, რომ მიუხედავად ამისა, ჩვენი რესპონდენტი მომავალს საკმაოდ ოპტიმისტურად აფასებს...

— რასაკვირველია, ჩემი ნაბიჯი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არსებული ხელისუფლება დასაგმობია, ან წინასავით ჩამოსაგდები. ოპოზიცია და ჯანსაღი კრიტიკა ნებისმიერ მთავრობას სჭირდება, სხვაგვარად, ის ყველა შემთხვევაში საბედისწერო შეცდომებისთვის იქნება განწირული. საბედისწეროსი რა გითხრათ და, გარკვეულ შეცდომებს ხელისუფლებაში მოსული გუნდი უკვე უშვებს — არ შეიძლება გაიმეორო ის, რის გამოც ოპოზიციაში ყოფნისას სხვას აკრიტიკებდი. ალბათ ყველას კარგად გვახსოვს გასული თვეების პარლამენტი, როდესაც კვორუმის არარსებობის გამო, დეპუტატები ერთდროულად რამდენიმე პულტიდან აძლევდნენ ხმას, ან იღებდნენ გადაწყვეტილებას, რომელსაც აშკარად არ უჭერდა მხარს დეპუტატთა საჭირო რაოდენობა. დღესაც, ცესკოს თავმჯდომარის არჩევისას, ანალოგიური ამბავი განმეორდა — დარბაზში სულ 90-მდე პარტლამენტარი იმყოფებოდა, რეგისტრაციამ კი კვორუმი დააფიქსირა, ანუ 118 ადამიანი. მოვითხოვე, მანდატურებს დაეთვალათ (სხვათა შორის, ამ მოთხოვნით საკმაოდ ხშირად სარგებლობდნენ თავის დროზე ზურაბ ჟვანია და მისი გუნდის წევრებიც). რატომღაც, ჩემი თხოვნა ყურად არავინ იღო... იყო სხვა დარღვევებიც — მინისტრების დანიშვნა, კანონმდებლობის თანახმად, საკომიტეტო განხილვების შემდეგ ხდება. ჯერჯერობით კი მხოლოდ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა განიხილა თედო ჯაფარიძის კანდიდატურა — საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე... სხვები მინისტრებად ყოველგვარი განხილვისა და წარდგენის გარეშე დაამტკიცეს. იმედი ვიქონიოთ, რომ ყოველივე, ასე ვთქვათ, რევოლუციური სიტუაციის ბრალია და ხელისუფლებაში მოსული გუნდი იმავე დარღვევებს არ გაიმეორებს, რომელთა გამოც, შეიძლება ითქვას, წინა გადააყენეს.

**— ალბათ ასეთი სიფრთხილე თუ სიჩქარე დროებითი ხელისუფლების მხრიდან გასაგებიც უნდა იყოს — მათ ხომ საპარლამენტო უმრავლესობა არ გააჩნიათ, რათა საკითხის გატანაში დარწმუნებულნი იყვნენ... მაგრამ რამდენად რეალურია ერთ თვეში სრულყოფილი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება — მით უმეტეს, რომ წარსული ხარვეზები კვლავაც ძალაში რჩება, ალბათ ძალაში რჩება ის პრეტენზიებიც, რომელთაც ტენდენციურობასთან და კომპეტენტურობასთან დაკავშირებით, ერთ დროს ოპოზიცია ნანა დევდარიანს უყენებდა...**

— სიფრთხილეს და აჩქარებას რაც შეეხება, რიგ შემთხვევაში ეგებ ეს მართლაც გასაგები იყოს, მაგრამ როდესაც ქვეყანაში აურზაური არჩევნების გამო ატყდება, როდესაც ამ მოტივით გადადგება ქვეყნის პრეზიდენტი და ხელახალი არჩევნები ინიშნება, ვფიქრობ, ახალი საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნისთანავე კანონდარღვევას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. რაც შეეხება „სამართლიან არჩევნებს“, ეს იმდენად დიდი და მოცულობითი ორგანიზაციაა, რომ ვეჭვობ, მის თითოეულ წევრს იმდენად მჭიდრო კავშირი და დამოკიდებულება ჰქონოდა ხელმძღვანელთან, რომ დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, ყოფილი შეფის კრიტიკას მოერიდონ. ამდენად, დაკვირვება ყველა შემთხვევაში ობიექტურად და სამართლიანად განხორციელდება. სხვა საქმეა, როდესაც ეს დაკვირვების ოქმები ხელმძღვანელ ორგანოში თავს მოიყრის, რამდენად სწორად გაანალიზდება და გამოვა საზოგადოების სამსჯავროზე. რაც შეეხება საორგანიზაციო პრობლემებს და მათ გადასაჭრელ კომპეტენციას: თუ დევდარიანს სამ თვეზე მეტი დრო ჰქონდა და სიებში ტოტალური დარღვევები იყო, სათუოა, ერთ თვეში სხვა თავმჯდომარემ მოახერხოს მათი გასწორება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საკმაოდ სერიოზული პრეტენზიები გამოითქვა საოლქო კომისიების დონეზე შედეგების გაყალბებასთან დაკავშირებით. მაშინ საოლქო კომისიებიც უნდა გაიფილტროს — რაც ძალიან მცირე დროის გამო ფანტასტიკის სფეროდ უფრო მეჩვენება. ალბათ უპრიანი იქნება, თუ გამოცხადდება, რომ ის ხალხი, ვინც სიებში ვერ მოხვდა და ხმის მიცემა ვერ მოახერხა, საარჩევნო უბნებზე მივიდეს და კომისიას მონაცემები ჩააბაროს. სიებს საოლქო კომისიას გადასცემენ, რომელიც მათ დააჯგუფებს და, თავის მხრივ, გადასამოწმებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს გადასცემს, სადაც სიებში შეტანილი პირების იდენტიფიკაცია მოხდება. თუ ეს ყოველდღიური პროცესი იქნება, იდეალურს არა, მაგრამ რეალობასთან მიახლოებულ სურათს მაინც მივიღებთ.

**— რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნებს, ალბათ ამ მხრივ, ბევრად უფრო რთული ვითარება იქნება. მოესწრება მისი ჩატარება უმოკლეს ვადაში?**

— მე რამდენადაც ვიცი, საბედნიეროდ, საპარლამენტო არჩევნების ჩატარება უახლოეს მომავალში არ იგეგმება. ახლახან, მე და დავით უსუფაშვილი სიებთან დაკავშირებით, ახლადდანიშნულმა მინისტრმა, გიორგი ბარამიძემ, შინაგან საქმეთა სამინისტროში მიგვიწვია, სადაც შესაბამისი განყოფილების თანამშრომლებთან ერთად, ამ პერსპექტივებზე ვიმსჯელეთ. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ მქონდა გეგმა ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და კენჭისყრის ელექტრონული სისტემით ჩატარების თაობაზე. რაც მთავარია, ამ შემთხვევაში, არჩევნების დროს კომისიების დაკომპლექტება პოლიტიკური ნიშნით აზრს დაკარგავს, რადგან ხმებს მანქანა დაითვლის და შედეგებსაც ის შეაჯამებს, საარჩევნო ადმინისტრაციას კი მხოლოდ საორგანიზაციო საკითხები დარჩება მოსაგვარებელი. ალბათ შექმნილი ვითარებითაც უნდა ვისარგებლოთ — როგორც ცნობილია, ევროსაბჭო მზად არის, საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოს 45 მილიონი ევროს დახმარება გამოუყოს. ჩემი გამოთვლებით კი, ელექტრონული სისტემის შექმნას დაახლოებით 5 მილიონი დოლარი დასჭირდება...

**ყველაფერი ისევ და ისევ უბრალო ხალხზეა დამოკიდებული — ხალხზე, რომელიც, ღვთის შეწევნით, გიორგობა დღეს საკუთარ ძალაში მტკიცედ დარწმუნდა. თუ ხალხი თავის სიმაღლეზე იქნება, რევოლუციის შედეგად მოსალოდნელ დიქტატურაზე ლაპარაკიც სისულელე იქნება, კონტრრევოლუციურ შეთქმულებაზე ატეხილი მედიაისტერიაც და ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან მომდინარე ნებისმიერი სახის ექსპანსიაც.**

რაც შეეხება გაყალბების შესაძლებლობას — ცივილიზებული სამყარო ანალოგიური სისტემებით სარგებლობს. ასე რომ, ახალი ამაში არაფერი იქნება. სისტემის გაუყალბებლობაზე კი ექსპერტიზა ნებისმიერმა მსოფლიო კომპიუტერულმა კორპორაციამ შეიძლება ჩაატაროს, რომლისთვისაც ეს უკვე ღირსების საკითხი იქნება, რასაც, დამეთანხმებით, ვერანაირი ქართული, ვიწროპარტიული ინტერესი ვერ გადასწონის. დრო კი, რაც ამ სისტემის შექმნას შეიძლება დასჭირდეს, ქართული პოლიტიკური სპექტრისა და ამომრჩევლისთვის ერთნაირად სასარგებლო იქნება — უკანასკნელის ემოციები რამდენიმე თვეში დაცხრება და არჩევანს უკვე ცივი გონებით გააკეთებს, ამასობაში კი პოლიტიკოსებიც ჩამოყალიბდებიან — ალბათ ბლოკები ორიენტაციისა და პლატფორმის მიხედვით გადასხვაფერდება და გამსხვილდება. ხომ არ შეიძლება საქართველოში ბრძოლა მხოლოდ იმისთვის მიმდინარეობდეს, თუ ვინ ააშენებს სახელმწიფოს. თავად შენებისთვის ბრძოლა ოდესღაც ხომ უნდა დაიწყოს...

**— ინტერვიუს დასაწყისში რევოლუციას მოყოლილ უარყოფით ტენდენციებზე ვისაუბრეთ. უდავოდ არსებობს დადებითი ტენდენციებიც და ალბათ უპრიანი იქნება, ინტერვიუ სწორედ ამაზე საუბრით დავასრულოთ...**

— იცით, მთავარი რა არის? — მოვლენათა გადაჭარბებით შეფასება არ მოხდეს. მთავარია, ახალმა ხელისუფლებამ შევარდნაძის ეპოქაში დამკვიდრებული რუტინის, წლების მანძილზე ჩამოყალიბებული სისტემის შეცვლაზე იზრუნოს. ვიმედოვნებ, ასეც იქნება. რაც შეეხება ემოციებს და ეიფორიას, გარკვეული ჯგუფების მხრიდან არაადეკვატურ მოთხოვნებს თუნდაც უნივერსიტეტის რექტორის გადადგომის თაობაზე, პირადად ჩემთვის მოულოდნელი და აღმაშფოთებელი ამაში არაფერი ყოფილა — ემოციების მოზღვავება ხომ ნებისმიერ რევოლუციას ახასიათებს. პირიქით, თუ დაპირისპირება მხოლოდ ამაში გამოიხატა, საკმაოდ დადებითი ტენდენცია გახლავთ. დადებითი ტენდენციაა ისიც, რომ ახლად მოსულ ხელისუფლებას პოლიტიკური ნიშნით დევნა-შევიწროება არ დაუწყია... ამას ნიშნავს თუნდაც ხელისუფლების პასუხი ზემოთ ნახსენებ სიტუაციაზე უნივერსიტეტთან დაკავშირებით. ვფიქრობ, თავისი პოზიცია რევოლუციის შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ საკმაოდ მკაფიოდ და სალად დააფიქსირა. ისევ და ისევ გავიმეორებ: მთავარია, მოვლენათა გადაფასება არ მოხდეს და ყველამ ერთად — პირველ რიგში კი ეს მუხტი ხელისუფლებისგან უნდა მოდიოდეს, — ძველი, დაჭაობებული სისტემის შეცვლაზე და სახელმწიფოებრივი საკითხებისადმი ჯანსაღ მიდგომაზე უნდა ვიზრუნოთ.

***დაჩი გრძელიშვილი***

# რევოლუცია სასწრაფოდ უნდა დამთავრდეს

ტრადიციონალისტებმა გამარჯვებული ბლოკი (ბურჯანაძე-დემოკრატები) დატოვეს. ზოგი ამბობს, რომ დინჯ **აკაკი ასათიანს** „ცელქი“ და რადიკალი სააკაშვილი არ მოსდის თვალში, ზოგის თქმით კი, ასათიანმა თანაპარტიელების აზრს გაუწია ანგარიში (რომელთაც არც ერთი თანამდებობა არ ერგოთ) და ამიტომ გაერიდა ახალ ხელისუფლებას. თუმც ყოველივეს სულ სხვანაირად ხსნის ტრადიციონალისტთა ლიდერი და საქართველოს ამჟამინდელ ვითარებას ასე აფასებს:

— დღეს სიხარულის საფუძველიც გვაქვს და შეშფოთებისაც. რაც მოხდა, კარგი ამბავი იყო. შევარდნაძე პრობლემა იყო ქვეყნისთვის, მას მეტი შორსმჭვრეტელობა რომ გამოეჩინა, თვითონვე უნდა შეეცვალა არსებული სისტემაც და საკუთარი თავიც. მან და მისიანებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ საქმე რევოლუციამდე მიეყვანათ. მე რევოლუციის მხარეს ვიდექი და ეს შევარდნაძემ იცის... არაერთხელ გავაფრთხილე — კაცს, რომელიც ცოტას არ თმობს, ყველაფრის დათმობა მოუწევს-მეთქი. სისულელეა, რასაც შევარდნაძისტები ლაპარაკობენ, — გადატრიალება და კანონიერი ხელისუფლების დამხობა მოხდაო.

**— ხშირად გაიგონებთ, ახალმა ხელისუფლებამ თანამდებობებისა და სავარძლების გადანაწილებისას ძალზე დიდი მადა გამოავლინა და ეს მისი წინამორბედისა არ იყოს, ცუდად მოუბრუნდებაო.**

— ეს მოსალოდნელიც იყო ამ პერიოდში. ზოგი ბელადი იმასაც ამბობდა, თანამდებობა არ მინდა, ოღონდ ხელისუფლებაში მოვიდეთო, დღეს კი სხვანაირად იქცევა. თუმც მაინც ვერ ვიტყვი, რომ კატასტროფული საკადრო ცვლილებები ხდებოდეს...

ყველაზე მეტად შპიონომანია მაწუხებს — კონტრრევოლუციისა და რევანშისტების შიში. ეს თვით ახალი ხელისუფლების შიშსაც ააშკარავებს. ჩვენთან უცნაური ვითარებაა, ეშინიათ გამარჯვებულებსაც და დამარცხებულებსაც. მეგობრულად მინდა ვუთხრა ყველას — არ შეიძლება ერთი პარტია გამგეობებში იჭრებოდეს და განკარგულებებს იძლეოდეს, არ შეიძლება სახელმწიფო დროშის ნაცვლად, ამა თუ იმ მოძრაობის დროშის გადმოკიდება. თუ გვინდა რომ მოვწესრიგდეთ, რევოლუცია სასწრაფოდ უნდა დამთავრდეს.

**— ბურჯანაძე-დემოკრატების ბლოკი რატომ დატოვეთ?**

— მირჩევნია მათი მეგობარი ოპონენტი ვიყო. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროინდელი შეცდომებიდან გამოვიტანე დასკვნა — არ შეიძლება დიდი იდეის გამო რაღაც წვრილმანების უყურადღებოდ დატოვება. დღეს კი ჯერჯერობით დიდი იდეაც არ გვაქვს. ქვეყანა ეკონომიკური კატასტროფის წინაშე დგას. დასავლეთი უსათუოდ დაგვეხმარება, მაგრამ ეს დახმარებაც თუ ისე გაქრება, როგორც შევარდნაძემ და მისმა ახლობლებმა გააქრეს 4 მილიარდი, მაშინ ხალხის რისხვა მშვიდობიანი აღარ იქნება. ვინ უნდა უთხრას ახლანდელ ხელისუფლებას ეს, თუ არა მოყვარემ?

**— ანუ კონტრრევოლუციისა და რევანშის საშიშროებას ვერ ხედავთ?**

— რამე რომ შესძლებოდათ, ხელისუფლებას არ დაკარგავდნენ... პოლიტიკოსმა ვითარება არ უნდა გაამწვავოს. აგრესიის საფუძველი შიშია და როცა შიშს გამარჯვებული ავლენს, ამას რევანშისტიც ხედავს — თურმე ამასაც ეშინიაო.

საფრთხე მართლაც არსებობს. აგერ ჩვენი მეზობელი სამი ქართული ავტონომიის ხელმძღვანელს რომ იბარებს, ცუდია. ჩვენ კი ხმას არ ვიღებთ. რა უფლებით იბარებს? მაშინ ჩვენც დავიბაროთ თათრეთისა და იაკუტიის (ბევრი ალმასები აქვთ) ავტონომიების ხელმძღვანელები.

**— საპრეზიდენტო არჩევნებში თუ აპირებთ კანდიდატურის წამოყენებას?**

— წინააღმდეგი ვარ ამ ფორმით მმართველობის და გამიჭირდება კანდიდატურის წამოყენება. მოკლე ხანში გავაცნობთ საზოგადოებას ჩვენს პოზიციას. ამ პოსტზე ჩემთვის ნინო ბურჯანაძე ყველაზე მისაღები იყო იმიტომ, რომ ქალი ნაკლებ აგრესიას იწვევს. ნებისმიერი მამაკაცი, რომელსაც გამოკვეთილი პოზიცია აქვს (ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც), აგრესიას გამოიწვევს. წესიერმა კაცმა ყველაფერზე „ვაშა“ კი არ უნდა უძახოს დღევანდელ ხელისუფლებას, სიმართლე უნდა უთხრას. დიდი ამბავი მოხდა და არ შეიძლება ხალხს იმედი გავუცრუოთ.

**— საპარლამენტო არჩევნებში ცალკე მონაწილეობა ტრადიციონალისტებისთვის სარისკოა.**

— მარტონი არ ვიქნებით, კონსულტაციები გვაქვს ცალკეულ პირებსა და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან. ჩვენი სახით პარლამენტში, სადაც სააკაშვილისა და დემოკრატების ძლიერი ბლოკი იქნება უმრავლესობით, უნდა არსებობდეს ოპოზიციაც.

***იზო რიკაძე***

# ძველი თბილისი გვენატრება...



ვდგავარ აბანოთუბანში. თბილისის უძველეს უბანში და გოგლა ლეონიძის სტრიქონები მახსენდება: *„მზე რომ ჩაგივლის ნარგიზად / ვარდებით ამოგივლისო, / ჰეი, რა საყვარელი ხარ, / ჩვენო ჩახჩახა თბილისო!“*

ჩემს ყურადღებას ერთი ძველებური სარდაფი იპყრობს, რომლის თავზეც წითელი ასოებით წაუწერიათ: „ძველი ხალიჩები“. გულმა იქით გამიწია. სარდაფში შუახნის მამაკაცი დამხვდა, — ძია ზალიკო. — ძველ თბილისზე უნდა დავწერო-მეთქი, — ვუთხარი. — შენ, ჩემო შვილო, კარგი საქმისთვის კი მოსულხარ, მაგრამ კარგი და სასიამოვნო სადღააო...

**— რატომ, კარგი არაფერი ყოფილა თქვენს ცხოვრებაში?**

— იყო, როგორ არ იყო, მაგრამ ეს უწინ, როცა თბილისს ქალაქობა და თბილისელს კიდევ ქალაქელობა ეტყობოდა. ახლა სადღაა თბილისი, ძველი ნაღდი ქალაქი...

მაღაზიაში ორი უცხოელი ქალბატონი შემოვიდა: მის ელენი და მის მეგი. დრო ვიხელთე, ძველებური ხალიჩების არჩევაშიც დავეხმარე და საუბარიც გავუბი.

**— მოგწონთ თბილისი?**

**მის ელენი:** — მართლაც მშვენიერი ქალაქი ყოფილა. სულ სხვას ველოდით და სულ სხვა რამ დაგვხვდა. ცუდია, რომ თბილისს მსოფლიოში ჯერ კიდევ არ იცნობენ...

**მის მეგი:** — ბუნებაც ლამაზია. აქ ისეთი სიყვარულით გვხვდებიან, ვერც კი ვგრძნობთ, რომ უცხოეთში ვართ. თანაც, უგემრიელესი საჭმელები გაქვთ, არაჩვეულებრივი ღვინო... კიდევ... ასეთი ურთიერთობები ევროპაში თითქმის არ არის.

**— იცით, ახლა თბილისის რომელ უბანში ხართ?**

**მის ელენი:** — ეს არის ძველი თბილისი, აბანოუბანი, ხომ? არა, ეს სიტყვა მგონი კარგად ვერ ვთქვი... — და აგრძელებს — თქვენთან მგონი სულ მზეა, ეს ჩვენთვის უცხოა. ვიცი, აუცილებლად მოგვენატრება აქაურობა.

ხალიჩების სარდაფიდან ჭრელი აბანოსკენ გავუყევი გზას. თურმე ძია ზალიკო გამომყოლია... ერთი სახლი დამანახვა: — მანდ მიდი, ჩვენი ელო ცხოვრობს, ისეთ ამბებს მოგიყვება, გაგაოცებსო... ძველთბილისური სახლის პირველი სართულის ფანჯრიდან პირველმა ვინც გადმოიხედა, ელენე ბებო აღმოჩნდა. ჩემი მისვლის მიზეზი ხეირიანად ვერც ამეხსნა, რომ უკვე ვისხედით და ცხელ ყავას შევექცეოდით ელო ბებოს გამომცხვარ ძველებურ კექსთან ერთად.

**ელენე ბებია:** — 73 წლის ქალი ვარ, შვილო, რა არ მინახავს, რას არ მოვსწრებივარ... ძალიან მენატრება ძველი თბილისი...

**— ელენე ბებო, რატომ დაკარგა ქალაქმა იერი?**

— რატომ შვილო და ურთიერთობები დაიკარგა... ერთ ეზოში ვცხოვრობდით სომეხიც, თათარიც, ქურთიც, ებრაელიც და ქართველიც. მაგრამ, როგორც ერთი ოჯახი, ისე ვიყავით. საღამოობით შევიყრებოდით, ლოტოს ან ნარდს ვთამაშობდით. ერთი ებრაელი მეზობელი მყავდა, აბრაშკა. სულ ვუგებდი ხოლმე. — კაცო, სულ ელამ როგორ უნდა მომიგოსო!.. საცოდავი, ისრაელში წავიდა, წასვლისას აიტეხა, გინდა თუ არა, აქედან წავალ და მოვკვდები კიდეცო. მართლა, წავიდა და... ერთი წელი არც უცოცხლია იქა. უთბილისობა ვერ აიტანა...

**— ახლა როგორი მეზობლები გყავთ?**

— აბა, რა გითხრა შვილო, შეიკეტებიან თავისთვის და არიან. ომი იყო, დიდი ომი, მაგრამ მაშინ უფრო კარგად ვიყავით, ვიდრე დღეს. არც სინათლე გვქონდა, არც საჭმელი, თავი ერთმანეთით გაგვქონდა. კაიკაცობა და ერთმანეთის გატანა იყო, მააშ!..

საუბარში ელენე ბებოს ქალიშვილი, ქალბატონი მარინა ჩაერთო:

— მამაჩემი მუსიკოსი იყო, კლარნეტს უკრავდა. მთელი ეზოს ბავშვები „მის დაკრულზე ცეკვავდნენ“. ერთხელ მეზობლის ქალებს ჩხუბი მოუვიდათ. მამაჩემი გამოვიდა და... „საჭიდაოს“ დაკვრა დაიწყო. ვიღას ეცალა ჩხუბისთვის... ისე, ყველაზე ხშირად, ჩვენს ეზოში ეგ მელოდია, ბუბას სიმღერები და ნანის „თბილისო“ ისმოდა... რა სიყვარული, რა იმედი გვქონდა ერთმანეთისა...

**— კიდევ რას იტყოდით ძველ თბილისზე, ელენე ბებო?**

— ხომ ამდენი გასაჭირი გვაქვს, მაინც მადლობელი ვარ ღმერთის, რომ აქამდე ვუყურებ ამ დალოცვილს. მაინც იმედიანად ვარ.

ჩემმა მასპინძლებმა სევდიანად გახედეს ნარიყალას. ელენე ბებომ გაიხსენა, ზუსტად მანდ შევიკრიბებოდით უბნის გოგო-ბიჭები. გაგვქონდა გნიასი და სიცილ-კისკისი. ჩვენთვის თბილისი სიყვარულისა და ერთგულების სასწავლებელი იყოო. დამშვიდობებისას მითხრა: — აქედან ისე არ წახვიდე, ამ ეკლესიაში (ნარიყალაზე, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაა) რომ სანთელი არ დაანთოო.

... ეკლესიის გზას დავადექი. მართლაც, ლამაზია ნარიყალადან თბილისი: დედამტკვრის სანაპიროზე ჩამწკრივებული, უბერებელი, ოდნავ ფერშეცვლილი ჭადრები, ეკლესია-მონასტრები... ტაძრის შესასვლელთან ელენე ბებოს ნათქვამი გამახსენდა, თუ ეკლესიაში პირველად შედიხარ, აუცილებლად რაღაც ინატრე და უეჭველად აგისრულდებაო. წმინდა ნიკოლოზის ტაძარში იმ დღეს პირველად უნდა შევსულიყავი. ფიქრი არ დამიწყია, რა მენატრა. შევდგი თუ არა ფეხი, იმწამს ვინატრე: — ღმერთო, ძველი თბილისი დაგვიბრუნე-მეთქი...

**ია ტიგინაშვილი**
**თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი**

# „ნატვრის ხეები“

დღეს ვინ რას ნატრობს, ძნელი გასარკვევია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ათეული წლების შემდეგ მსოფლიოს გააერთიანებს ერთი ნატვრა:



როგორმე თავი დააღწიოს ნაგავს, რომელიც დედამიწაზე ადამიანთა უგუნურობით დაგროვდა (რამდენიმე ხნის წინ წავიკითხე, მთამსვლელებმა ევერესტიც კი გაწმინდეს ნაგვისგან). ჩვენში კი რა ხდება? თუ ასე გაგრძელდა, თბილისის გარემო მალე ერთ-ერთი ყველაზე უსუფთაო გახდება.

ამას წინათ ამერიკელი სტუმრები ეწვივნენ ჩემი ნათესავის ოჯახს. თბილისელმა მასპინძლებმა შემოატარეს არქიტექტურული ძეგლები, აჩვენეს მცხეთა, ანანური, აიყვანეს მთაწმინდაზე. ერთ-ერთი გასეირნების დროს ამერიკელს გაკვირვებით უკითხავს: ამდენ ცელოფანს რომ დააფრიალებს ქარი გაზონებსა და პარკებში, ეს ხომ საშინელებაა. ერთჯერად პარკებს მის ქვეშ მოქცეული ნიადაგის მოშთობა შეუძლია, ისე, რომ მალე აქ მცენარეები ვეღარც გაიხარებსო. მასპინძლის დაბნეულმა, მიკიბულ-მოკიბულმა პასუხმა, ვერაფერი აუხსნა ამერიკულ კეთილდღეობით განებივრებულს....

— მეეზოვეს ცოტას უხდიან და არ ალაგებს, მაგრამ თქვენ რატომ ყრითო? — გაოცებული იჩეჩდა თურმე მხრებს სტუმარი.

დაბინძურება-დანაგვიანებაში ჩვენი „მიღწევები“ მარტო ამერიკელებსა და ევროპელებს კი არა, მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოსულებსაც უკვირთ. სომეხი დაუპატიჟიათ ქართველებს მტკვრის სანაპიროზე მდებარე ლუდის ბარში და იქვე ჯებირთან გაუშლიათ სახელდახელო სუფრა. როცა გულარხეინმა მასპინძელმა ნასუფრალი იქვე, მტკვარში გადაუძახა, სომეხს მკლავში უტაცია ხელი, რას შვრები, თავს იწამლავო?!

ვიწამლავთ და მერე როგორ! თავად ვნახე, ამ ბოლო ხანებში საარჩევნოდ გაკრული სარეკლამო პლაკატები როგორ ჩამოხიეს და ჩაუძახეს ჩვენი მწერლების მუზადქცეულ მტკვარში. და განა მარტო ეს? დედამდინარეს ათასი სხვა და უფრო მომწამვლელი ნივთიერებაც უერთდება. როცა ადიდებული მტკვარი დაიკლებს და მის ნაპირზე ჩამწკრივებული ჩვენი ხეები დამძიმებულ ქვედა ტოტებს გამოაჩენენ, ყველას შეუძლია იხილოს სამარცხვინო, ათასი სიბინძურით დახუნძლული თბილისური „ნატვრის ხეები“ და ვიდრე ასე გაგრძელდება, ნატვრის ხეებზე შებმული ყველაზე ქათქათა ბაფთაც ველარ აგვისრულებს სამომავლო ნატვრას. ეკოლოგიური პრობლემები კი ძალიან დიდი დროით გადასწევენ მომავალში ჩვენს კეთილდღეობას.

**ლელა ჯიყაშვილი**

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, ,,კვირის პალიტრის'' ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:



1. **დაჩი გრძელიშვილი** — „შევარდნაძემ ხალხი გაახარა!..“ — 74 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „ამ იარაღით კაცი მოკლეს და სამხილი მე მომიგდეს?!“ — 72
3. **ირაკლი ალადაშვილი** — „ქაჯეთის ციხე“ დაეცა — რევოლუცია უსისხლოდ...“ — 40
4. **ინგა ჯაყელი** — რუბრიკა — „ჩვენ და — ისინი...“ — 39
5. **იზო რუკაძე** — „რამ გაწყვიტა მოთმინების ძაფი?!“ — 23
6. **ლელა ჯიყაშვილი, ეკა ლომიძე** — „მე ჩემს დროშას ვცემ პატივს...“ — 16
7. **მარინა ბაბუნაშვილი** — „თეთრ რვეულში ჩაწერილი დიალოგები“ — 9

თქვენს პრემიას ჟურნალისტი **დაჩი გრძელიშვილი** მიიღებს.

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 319-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

# ო, ენავ ჩემო!..





**აბსოლუტურად თუ აბსოლიტურად — ფაქტი ჯიუტიაო, იტყვიან და მართალიც არის... თუ ზეპირ ნათქვამს შემდეგ მთქმელი გადათქვამს და აქეთ შემოგვედავება, ასე არ მითქვამსო, ამ შავით თეთრზე დაწერილ განცხადებაში დაშვებულ შეცდომას ვერსად გავექცევით — ბუნებაში „აბსოლიტურად“ არ არსებობს „აბსოლიტური წონა“... აბსოლუტური — კი ბატონო...**

# ქალაქების და რაიონების გამგებლებისა და სხვა ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!

## ჩვენი სახელით თაღლითი ისევ დაძრწის...

რედაქციაში სატელეფონო ზარი ამჯერად თიანეთიდან გაისმა. სოფელ ჟებოტის საშუალო სკოლის დირექტორი ინეზა ციხიშვილი გვირეკავდა.

„კვირის პალიტრაში“ (№46) რომ წავიკითხეთ თქვენი გაზეთის სახელით მოგზაური თაღლითის შესახებ, მივხვდით, რომ ამ აფერის „მსხვერპლნი“ ამჯერად ჩვენ ვიყავით, — თიანეთის რაიონის განათლების სისტემის მუშაკებიო. და ქალბატონმა ინეზამ დაწვრილებით გვიამბო, რაც ამ ერთი კვირის წინ თიანეთში მოხდა:

„წინა ხუთშაბათს თიანეთის გამგეობაში გამოჩნდა საშუალო ტანის (სათვალიანი) ახალგაზრდა, რომელმაც მასპინძლებს თავი „კვირის პალიტრის“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ წარუდგინა, გიორგი თევდორაშვილი ვარო. გაზეთში ახალი რუბრიკა შემოვიღეთ, რომლითაც რეგიონებს ვაშუქებთ. ამჯერად განათლების, კერძოდ, სოფლის სკოლების მდგომარეობით ვართ დაინტერესებულნიო (თვითმარქვია ცდილობს, სტუმრობის მოტივად რეგიონში აქტუალური თემა დაასახელოს — „კპ“). სასწრაფოდ გამოიძახეს გამგეობაში განათლების განყოფილების თანამშრომლები. „კვირის პალიტრა“ ჩვენს რაიონში ძალზე პოპულარული გაზეთია და მის ფურცლებზე მოხვედრა ჩვენთვის მართლაც დიდი პატივი იქნებოდა.

სტუმარს სიხარულით უმასპინძლა რამდენიმე სკოლამ, მათ შორის ჩვენც ვიყავით — ჟებოტელი მასწავლებლები და მოსწავლეები. ღამეც ჩვენთან გაათია „ძვირფასმა სტუმარმა“. რაც შეგვეძლო, თავი არ დაგვიზოგავს, ჩვენებურად გავუმასპინძლდით...

„სტუმარს“ ისე მოეწონა ჩვენთან ყოფნა, რომ სიურპრიზსაც დაგვპირდა — ამიერიდან ყოველ ორშაბათს თიანეთის რაიონის სკოლები უფასოდ მიიღებენ „კვირის პალიტრის“ ათ-ათ ეგზემპლარსო(?!).

...ერთი დეტალიც: თავდაპირველად ყურადღება არ მიგვიქცევია, მაგრამ მოგვიანებით, როცა თქვენი საშუალებით დავრწმუნდით, რომ საქმე აფერისტთან გვქონდა, მერე გავიხსენეთ: ჩვენი სტუმარი არც მთლად სერიოზულად იქცეოდა, საუბრისას ზოგჯერ ისეთ დროს გადაიხარხარებდა, ნორმალურ კაცს ნამდვილად რომ არ შეეფერება...“

აქ შევწყვეტთ ქალბატონი ინეზა ციხიშვილის ნაამბობს.

თქვენ კი, ძვირფასო მკითხველო (განსაკუთრებით ქალაქების, რაიონების გამგებლებისა და სხვა ხელმძღვანელების საყურადღებოდ) კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, ჩვენი სახელით ვიღაც თაღლითი ისევ სარგებლობს (რომელსაც იმედია შსს-ს ახალი ხელმძღვანელობის მეშვეობით სწრაფად დავადგენთ). ამიტომ ნუ მოგერიდებათ — „კვირის პალიტრის“ სახელით მოსულ ნებისმიერ პიროვნებას მოსთხოვეთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. ოდნავი დაეჭვებისთანავე დაგვირეკეთ... რომ არ აღმოჩნდეთ მისი (თაღლითის) მზაკვრული გეგმების მსხვერპლი.

იყავით ფრთხილად, თაღლითი ისევ დაძრწის...

***„კვირის პალიტრა“***




CMYK

# რევოლუციასთან ერთად საქართველოდან ევროპის ბანკებისაკენ მილიონობით დოლარი დაიძრა (!)

## რატომ ყიდულობს ჯონი გიგანი ბერძნულ საფეხბურთო კლუბს?!



დასავლეთევროპელი დამოუკიდებელი ფინანსისტ-ექსპერტების (სამიოდე კვირის წინ ისინი საქართველოს მთავრობას შეხვდნენ) ვარაუდით, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საქართველოდან ევროპაში „გასარეცხად“ 30 მილიარდი(!) დოლარი გავიდა.

დიდი ფულადი სახსრების ქვეყნიდან ინტენსიურად გადინება განსაკუთრებით „ხავერდოვანი რევოლუციის“ შემდეგ დაიწყო. კორუმპირებულმა სახელმწიფო ჩინოვნიკებმა და მათი ხელშეწყობით გამდიდრებულმა ქართველმა ბიზნესმენებმა ნაღდი ფულით გატენილი ჩემოდნები საქართველოს გაარიდეს და ევროპის ბანკებში დააბინავეს. ზოგმა იქაურ წარმოებებში დააბანდა, ხოლო ზოგიერთმა უძრავ-მოძრავი ქონება იყიდა. კორუმპირებულ ჩინოვნიკებს ადრეც ჰქონდათ გასაიდუმლოებული ანგარიშები გახსნილი ევროპის სხვადასხვა ბანკში.

ფულის უცხოეთში დასაბანდებლად ქართველები ამ ბოლო დროს, რატომღაც საბერძნეთს არჩევენ. რამდენიმე დღის წინ რედაქციას დაუკავშირდა საბერძნეთში საქართველოს სათვისტომოს „ოქროს საწმისის“ თანათავმჯდომარე **მარინა ბაიაშვილი,** რომელმაც გვითხრა: „ნეტავ განახვათ, რა ფაცხაფუცხით მორბიან შეშინებული ჩინოვნიკები და მათი ლაქია ბიზნესმენები ფულით სავსე მუთაქებით და ყიდულობენ ყველაფერს — ფეშენებელურ ვილებს, სახლებსა და ბინებს ათენის ცენტრალურ რაიონებში, კაფე-ბარებს. სხვათა შორის, საქართველოს საელჩო და საკონსულო საბერძნეთში ქართველი მილიონერების შემოსევას „მომზადებული“ შეხვდა. იმას ვგულისხმობ, რომ ჩვენი საკონსულოსა და საელჩოს საქმიანობა საბერძნეთში ქვეყნის ინტერესების დაცვით კი არა, მაკლერობით შემოიფარგლება. მათი შემოსავლები ამაზეა დამოკიდებული. მაგალითად, ორიოდე დღის წინ საბერძნეთში პოპულარულმა ტელეკომპანია „ალტერმა“ და საბერძნეთის გაზეთებმა საზოგადოებას აცნობეს, რომ (ციტატა): „საბერძნეთის საფეხბურთო ეროვნული ჩემპიონატის მეორე ლიგის ლიდერის, ქალაქ იოანინას საფეხბურთო კლუბის აქციების საკონტროლო პაკეტი შეისყიდა საქართველოს ყოფილ ხელისუფლებასთან დაახლოებულმა ცნობილმა ქართველმა ბიზნესმენმა ჯონი გიგანმა“. როგორც ტელეგადაცემაში აღინიშნა, მან საკონტროლო პაკეტში 5 მილიონი ევრო გადაიხადა.

ჩვენ დავუკავშირდით სავაჭრო ცენტრ „მორკინალის“ მფლობელს, **ჯონი გიგანს** და საბერძნეთიდან მიღებული ინფორმაცია მასთან გადავამოწმეთ. გიგანმა განაცხადა: — დიახ, მართლაც ვიყიდე იოანინას საფეხბურთო გუნდი, რომელიც საბერძნეთის უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად იბრძვის. მიმაჩნია, რომ ამ კომერციულმა გარიგებამ ქართულ ფეხბურთს კიდევ ერთი კარი გაუღო ევროპაში. გარდა ამისა, ეს ქართველ მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებას წაადგება. კერძოდ, გუნდში სამუშაოდ მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე რეკომენდაცია გავუწიე გუჯა გუგუშვილს. ვაპირებ გუნდში მივიწვიო ქართველი ფეხბურთელები, მათ შორის ახალგაზრდები, რომლებსაც საბერძნეთში უფრო შეამჩნევენ ევროპელი გრანდები. ერთი სიტყვით, კარგი საქმე გაკეთდა.

**— რამდენი გადაიხადეთ აქციების საკონტროლო პაკეტში?**

— ეს კომერციული საიდუმლოებაა. საკონტროლო პაკეტი, რომელიც მე შევისყიდე, აქციების 51%-ს შეადგენს.

**— საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე რომელიმე გუნდში რატომ არ დააბანდეთ კაპიტალი?**

— ქართული გუნდის, „თბილისის დინამოს“ მფლობელი იურიდიული დოკუმენტებით მე ვარ, მაგრამ გუნდი დე ფაქტო სხვას ეკუთვნის. მე ვცადე ჩემი უფლებების აღდგენა, მაგრამ ამის გამო რამდენიმე თვის წინ სპორტის სასახლის წინ ჩემი ჯიპი ააფეთქეს და ამიტომაც ვარჩიე უცხოეთის კლუბის შესყიდვა. საქართველოში 3000 კაცი მყავს დასაქმებული, მაგრამ ამხელა ბიზნესიდან ჯერაც ვერ ვღირსე თუნდაც უმნიშვნელო მოგების მიღებას.

***(გაგრძელება მე-11 გვერდზე)***

# „დინების საწინააღმდეგოდ ახლა წასვლა უაზრობაა“

## „მოსკოვი ერთპიროვნულად ვერ გადაწყვეტს საქართველოს ბედს, მის უკან ამერიკაც დგას“

ხელისუფლებისთვის ბრძოლამ თბილისიდან პერიფერიებში გადაინაცვლა. როგორც ჩანს, კანცელარიის შემდეგ ადგილობრივი გამგეობების ჯერი დგება. პოლიტოლოგებს მიაჩნიათ, რომ რაიონის გამგეობებში თვითნებურად შეჭრამ და იქიდან გამგებლების გამოყრამ შესაძლოა უმართავი პროცესები გამოიწვიოს.

ექსპერტების შეფასებით, „კუდიანებზე ნადირობის“ სეზონი გურამ აბსანძემ გახსნა, როცა „ეროვნული თანხმობის“ ლიდერ თანაპარტიელებთან ერთად სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებულის კაბინეტში შეიჭრა და უკვე ბონდო ჯიქიას სავარძელში მოკალათებულმა კედლიდან ედუარდ შევარდნაძის სურათის ჩამოხსნის ბრძანება გასცა. „აბსანძეს ხელში ვარდები არ ჰქონია, მაგრამ ჯიქიას კაბინეტში ვარდისფერი ლოყებით შევიდა“, — იხუმრა მაშინ ერთი იუმორისტული ტელეგადაცემის წამყვანმა. ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ ექსპერტთა აზრით, აბსანძის მსგავსი საქციელის გამო სააკაშვილი-ბურჯანაძე-ჟვანიას ტრიუმვირატმა პირველი მინუსი მიიწერა. სამეგრელოში ხალხის ერთმა ნაწილმა ჩათვალა, რომ „ხავერდოვანი რევოლუცია“ გლობალური პრობლემების გამო კი არა, სავარძლების გადანაწილებისთვის მოხდა.



— აბსანძის ქმედებამ ხალხი უკვე გააღიზიანა

აბსანძის საქციელმა მალე ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია. გამგეობების დალაშქვრა სხვა რაიონებშიც დაიწყო. „კვირის პალიტრას“ ხაშურიდან დაუკავშირდა ადგილობრივი საარჩევნო კომისიის ერთ-ერთი წევრი, რომელმაც საკუთარი ვინაობის დასახელება არ ისურვა (ვშიშობთ, ვინაობის დასახელებისაგან ძალიან დიდხანს ძალიან ბევრი შეიკავებს თავს — დ.დ.), მაგრამ აღნიშნა, რომ რაიონში ძალზე მძიმე მდგომარეობაა და ადგილობრივ გამგებელს, ვლადიმერ ჯოხაძეს მუქარითა და შანტაჟით აიძულებენ თანამდებობის დატოვებას. „არჩევნები ხაშურში ნორმალურად ჩატარდა, — ამბობს ჩვენი რესპონდენტი, — რომ ვთქვა, გაყალბებას ადგილი არ ჰქონია-მეთქი, ტყუილი იქნება, მაგრამ არც ტოტალური გაყალბება ყოფილა. ამაზე შედეგებიც მეტყველებს: პირველ ადგილზე „ნაციონალები“ გავიდნენ, მეორეზე — ლეიბორისტები, სამთავრობო ბლოკმა მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა. ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ხაშურში არჩევნებმა მართლაც კარგად ჩაიარა, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ორმოცდაათიოდე კაცი შეუვარდა ჯოხაძეს კაბინეტში. ამბობდნენ, გამარჯვებული პარტიის წარმომადგენლები ვართო. ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით გააგდეს გამგებელი. მერე ამ ხალხს პირადობის დამადასტურებელი საბუთები რომ მოსთხოვეს, არც ერთს არ აღმოაჩნდა. გამგეობიდან თბილისში რომ დავრეკეთ, გვითხრეს, ხალხი გამარჯვების შემდეგ ეიფორიაშია და საგანგაშო არაფერი არ არის. ჯოხაძე თვითონ ჩავიდა თბილისში, უთხრეს, დაბრუნდი და მუშაობა ჩვეულებრივად გააგრძელეო. ამის მიუხედავად, ზეწოლა მაინც გრძელდება, ყოველდღე მოდიან ვიღაც-ვიღაცები და მის წასვლას ითხოვენ. კი, ბატონო, თუ გადასაყენებელია, უნდა წავიდეს, მაგრამ ეს ბრბომ კი არა, ახალმა პრეზიდენტმა უნდა გადაწყვიტოს“.

სამწუხაროდ, „სადამსჯელო ოპერაციები“ სხვა რაიონებშიც ტარდება. პოლიტოლოგები შიშობენ, რომ მიხეილ სააკაშვილის განცხადების მიუხედავად (რომ არავის უპირისპირდებიან), მსგავსი ინციდენტები რევანშისტული ძალების წისქვილზე დაასხამს წყალს: ისინი მოახერხებენ თავიანთ გარშემო ხალხის სერიოზული ნაწილის გადაბირებას.

მდგომარეობა მით უფრო საგანგაშოა, რომ კრიმინალურ სამყაროში ახალი ფენომენი გამოიკვეთა — „ნაციონალური მოძრაობის“ დროშებით ყაჩაღობა (დროშის შოვნა ყველას შეუძლია, მით უმეტეს კრიმინალს). იმავე დროშების თანხლებით თავს დაესხნენ „რუსთავგაზს“ და 13 ათასი ლარი გაიტაცეს. ხშირია ბენზინგასამართ სადგურებსა და სხვადასხვა დაწესებულებაში ყაჩაღობის ფაქტები. სამართალდამცველების ინფორმაციით, ნაციონალური მოძრაობის დროშებით შეიარაღებული ბოროტმოქმედები დაუბრკოლებლად შედიან ოფისებში და მათ მეპატრონეებს ძარცვავენ.

შსს-ს წარმომადგენლები ჯერჯერობით ამ ფაქტებზე კომენტარს არ აკეთებენ. მომავალი საკადრო ცვლილებების გამო ვერც გენპროკურატურაში აძლევენ შეფასებას. უშიშროების ერთ-ერთი **სპეცსამსახურის ინკოგნიტო მაღალჩინოსანმა რესპონდენტმა** „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას განაცხადა: — „ყველაფერი ის, რაც დღეს ხდება, მოსალოდნელი იყო. როცა თბილისში უმაღლესი ხელისუფლების შეცვლა მოხდა, ამას ცხადია, რაიონებშიც მოჰყვებოდა გამგეობებზე იერიში. გასაკვირი არაფერი მომხდარა. სამაგიეროდ, დღეს უკვე ლაპარაკობენ საზოგადოების ერთი ნაწილის რევანშისტულ და კონტრრევოლუციურ განწყობაზე. გამგეობათა დარბევებმა შეიძლება ე. წ. კონტრრევოლუციური განწყობა გააძლიეროს.

**— უფრო კონკრეტულად?**

— ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ყველას დაანახვა, რომ ხელისუფლებას ხალხში რეალური დასაყრდენი არ ჰქონია. ახალმა ხელისუფლებამ ეს უნდა გაითვალისწინოს, თორემ პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ხალხი იოლად აქცევს ზურგს საკუთარ გმირებს. ეს კი შეიძლება ბევრმა ფაქტორმა განაპირობოს. მე არ ვგულისხმობ სოციალურ პირობებს. აბსანძის ქცევამ თუ სხვადასხვა გამგეობაში ვიღაც-ვიღაცების შეჭრამ (მიუხედავად ამ პროცესების აღგვისა) უკვე გააღიზიანა ხალხი. კატეგორიულად გამოვრიცხავ, რომ ყოველივე ამას იდეოლოგიური დივერსიის მიზანი ჰქონდეს და ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციისკენ განგებ იყოს მიმართული. როგორც დღეს უწოდებენ, კონტრრევოლუციურ ძალებს ასეთი პროცესების მართვის საშუალება არა აქვთ. რაც ხდება, ეს უფრო 12 წლის განმავლობაში ნაგროვები გაბრაზების შედეგია. გამგეობები ხომ ცენტრალური ხელისუფლების სახეა ადგილებზე? მაგრამ როგორიც უნდა იყოს ეს პროცესები — მართვადი თუ უმართავი, ახალმა ხელისუფლებამ დროზე უნდა გამოასწოროს, თორემ აუცილებლად უკუშედეგს მიიღებს. ყველამ იცის, რომ გამგებლები მაინც შეიცვლებიან, ოღონდ ეს კანონიერად უნდა მოხდეს.

**— რამდენად სერიოზულია კონტრრევოლუციურ თუ რევანშისტულ ძალებზე ლაპარაკი?**

— ვიდრე ხელისუფლებას აქვს ისეთი კოზირი, როგორიც ხალხია, ამაზე ლაპარაკი სასაცილოა. ეს ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორია, მაგრამ არა — ერთადერთი. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება მხოლოდ თავისუფლების მოედანზე შეკრებილმა ხალხმა ჩამოაგდო? ბოლო დღეების სცენარი ამერიკა-რუსეთის პოლიტიკურ კულუარებში იწერებოდა. სწორედ იქ გადაწყდა შევარდნაძის თამაშგარე მდგომარეობაში დატოვება. დანარჩენი კი უკვე ხალხმა გააკეთა. რუსეთის სპეცსამსახურებს რომ მოენდომებინათ, პროვოკაციის მოწყობა გაუჭირდებოდათ? 23 ნოემბერს პარლამენტის წინ ფუჭი ვაზნები რომ დაეცალათ, ამას მასობრივი ხოცვა-ჟლეტა მოჰყვებოდა. არც ამერიკისა და არც რუსეთის პოლიტელიტას ასეთი სურვილი არ ჰქონდა.

ეს კარგად იცოდა თვითონ შევარდნაძემ. ასე თუ ისე, ის მაინც შეგუებული იყო, რომ წელიწად-ნახევრის შემდეგ წავიდოდა და შედარებით უმტკივნეულოდ გადაიტანა ყველაფერი. სამაგიეროდ, ეს მიუღებელი აღმოჩნდა მისი გარემოცვისთვის. ცხადია, მათთვის ძნელი იქნება პოლიტიკურ გვამებად ქცევა. მათ ვერავინ წაართმევს უკმაყოფილების საჯაროდ გამოთქმის უფლებას, მაგრამ მათგან აქტიურ კონტრრევოლუციურ გამოსვლებზე ლაპარაკი, ვიმეორებ, სასაცილოა. დღეისათვის ამას არც ხალხი დაუშვებს და არც ის გარეძალა, ვისი ხელდასხმითაც ეს მოვლენები განვითარდა.

**— სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერების მოსკოვურ ვოიაჟებზე. ფიქრობენ, რომ იქ რევანში იგეგმება.**

— არავინ იცის, რისთვის ჩადის ეს ხალხი რუსეთში. თუ ინფორმაცია არ არსებობს, ვერც ანალიზს გააკეთებ. ასეც რომ იყოს, მოსკოვი ერთპიროვნულად ვერ გადაწყვეტს საქართველოს ბედს. მის უკან ამერიკაც დგას. სავარაუდო უფრო ის არის, რომ ისინი მოსკოვში საკუთარი უსაფრთხოების გარანტიების მისაღებად მიდიან.

**— თქვენ, როგორც უშიშროების სამსახურის ექსპერტს, უახლოესი მომავალი როგორ გესახებათ?**

— ვფიქრობ, სერიოზული კატაკლიზმები მოსალოდნელი არ არის. დინების საწინააღმდეგოდ წასვლა ახლა უაზრობაა. მომავალში ყველაფერი ახალ ხელისუფლებაზე იქნება დამოკიდებული — თუ ამერიკა-რუსეთის გეგმებში ეს შედის, საქართველო სოციალურ სიღატაკეს რამდენიმე წელში დააღწევს თავს.

***მოამზადა დავით დევიძემ***

# „ჭიქა შამპანური“ და ქართული პოლიტიკა

## რისთვის ჩამოვიდა საქართველოში ტარიელ ონიანი?

სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, 28 ნოემბერს პარიზი-თბილისის რეისით საქართველოში ცნობილი კანონიერი ქურდი ტარიელ ონიანი ჩამოფრინდა. სამშობლოში წინა ჩამოსვლისგან განსხვავებით, როცა ონიანს ხელისუფლების მაღალჩინოსნები დახვდნენ აეროპორტში და ქუთაისში ქეიფ-ქეიფით ჩაიყვანეს, ახლანდელი ვიზიტი კონფიდენციალურ ვითარებაში მიმდინარეობს. ეტყობა, ახლანდელი ხელისუფლება არ აპირებს ონიანს ვარდებით შეეგებოს. ამიტომ ყველაზე პოპულარულმა ქურდმა მშობლიური ქუთაისის ნაცვლად, ბათუმს მიაშურა.

რატომ ჩამოვიდა სამშობლოში მაინცდამაინც ახლა ტარიელ ონიანი? საქმეში ჩახედულთა მტკიცებით, მისი ვიზიტი შეიძლება ამჯერადაც ხმაურიანი აღმოჩნდეს. ონიანის წინა ჩამოსვლას საქართველოში კანონიერი ქურდების რიგების შეთხელება მოჰყვა. მაშინ ონიანმა, კრიმინალური ტერმინი რომ ვიხმაროთ, რამდენიმე ათეული ქურდი „დაატორმუზა“ და „კანონიერი ქურდის“ სტატუსი ჩამოართვა. დღეს ნაკლებსავარაუდოა, ონიანის ჩამოსვლის მიზანი კოლეგების რიგების წმენდა იყოს. იგი ალბათ ქართულ ბიზნესში საკუთარი გავლენის სფეროების შენარჩუნებას შეეცდება და საქართველოში მიმდინარე პროცესებს ჯერჯერობით ნეიტრალური აჭარიდან დააკვირდება.

„კვირის პალიტრას“ ესაუბრება ტარიელ ონიანთან დაახლოებული პირი, რომელიც გასაგები მიზეზების გამო თავისი ვინაობის დასახელებისგან თავს იკავებს:

— ცნობა, რომ ტარიელი საქართველოში ჩამოფრინდა, ჩემთვის მოულოდნელია. შეიძლება საჭიროდ მიიჩნია, რომ ამის შესახებ არავის არაფერი სცოდნოდა, მაგრამ ეტყობა, აეროპორტში მაინც დააფიქსირეს.

**— ამბობენ, რომ ტარიელ ონიანის ჩამოსვლის მიზანი ყოფილი ხელისუფლების მხარდაჭერა და სერიოზული კორექტივების შეტანაა ქართულ პოლიტიკაში.**

— პოლიტიკაში არც ერთი კანონიერი ქურდი არ ჩაერევა, მით უმეტეს, ტარიელ ონიანი. ის შეიძლება იმ საწარმოების ბედით არის შეშფოთებული, რომლებშიც წილი უდევს. წილის მიღება არაქურდული არ არის. მეწარმეებს ნეპის დროინდელი ქურდებიც უსხდნენ წილში და დღესაც ასეა. ვხვდები, რატომაც ლაპარაკობენ ტარიელ ონიანის პოლიტიკაში ჩარევაზე. ბევრი ცნობილი პოლიტიკოსი ახლოს იცნობს და მასთან ერთად ერთი ჭიქა შამპანურის დალევა საპატიოდაც მიაჩნდათ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ონიანი პოლიტიკაში ჩაერთო. მართალი იქნება თუ ვიტყვით, რომ პოლიტიკოსები არიან ჩართულნი დამნაშავეთა სამყაროში. ეს უკვე მათი პრობლემაა და არა — ონიანის. ტარიელი პატრიოტი კაცია. სამშობლოს სიყვარული პროფესიაზე არ არის დამოკიდებული. თუ საჭირო გახდა, იგი ისევე დაუდგება საქართველოს გვერდში, როგორც ეს ამერიკელმა მაფიოზებმა გააკეთეს, როცა მეორე მსოფლიო ომის დროს კრიმინალური საქმიანობა დროებით შეწყვიტეს და გერმანელებს დაუწყეს ბრძოლა.

**— ამბობთ, რომ ონიანი პოლიტიკაში არ ჩაერევა. 2 ნოემბრის არჩევნებზე დეპუტატობის კანდიდატების, ვთქვათ, იმავე ბონდო შალიკიანის „ლობირება“ ამის საწინააღმდეგოდ ხომ არ მეტყველებს?**

— კი, მაგრამ დღევანდელ პოლიტიკაში რომ იყო, აუცილებელია კომკავშირის მდივნის წარსული გქონდეს? შალიკიანი თუ ონიანის მეგობარია, ეს დანაშაული არ არის. ონიანი მეგობარს დაეხმარა და მეტი არაფერი. ვიმეორებ, პოლიტიკის კრიმინალიზაცია ისევ პოლიტიკოსების დამსახურებაა და არა — კრიმინალების. ბოლოს და ბოლოს, ონიანისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ექნება თუ არა წილი „ბენზინში“ ან შამპანურის წარმოებაში. მას მთელ ევროპაში აქვს საკუთარი გავლენის სფეროები. ვფიქრობ, თუკი დღევანდელი ხელისუფლება მოინდომებს, ტარიელ ონიანი მასაც აღმოუჩენს დახმარებას(?!).

P.S. „კანონიერი ქურდის“ მეგობრის მტკიცება, რომ ონიანი ქართულ პოლიტიკაში არ ერევა, ნაკლებდამაჯერებლად ჟღერს. წინა ხელისუფლების წარმომადგენლებთან მისი დაახლოება საპირისპიროს მეტყველებს. ქართული პოლიტიკა ხომ სწორედ „ჭიქა შამპანურის“ თანხლებით კეთდება. იქნებ ონიანი საქართველოში იმისთვის ჩამოფრინდა, რომ „ჭიქა შამპანური“ ისევ ასწიოს?!

CMYK

# „მემუარების წერას და ხელის ჩაქნევას არ ვაპირებ“



*ვინ იფიქრებდა, რომ ოდესღაც ლევან ფაშად წოდებული ქვემო ქართლის ძლევამოსილი გუბერნატორი ხელისუფლების ოპოზიციაში აღმოჩნდებოდა, მაგრამ დრონი იცვალნენ —* ***ლევან მამალაძე*** *გუბერნატორის სავარძელსაც გამოემშვიდობა და სანატრელ დეპუტატობასაც. დიახ, დღეს ლევან მამალაძეს არც სამსახური აქვს და ვეღარც პოლიტიკურად აქტიურობს. რევოლუციამ იგი განზე დატოვა. რაკი თავისუფალი მედიის უპირველესი ამოცანა ყველას აზრის ობიექტურად დაფიქსირებაა, ჩვენ ვცადეთ, გაგვერკვია, რას ფიქრობს ექსგუბერნატორი ბოლო დროის მოვლენებზე და რას აპირებს სამომავლოდ:*

— ის, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, უკანონო და არალეგიტიმურია, თუმც დღევანდელი სამეული, რომელიც ხელისუფლებაშია, ცდილობს მომხდარი და შემდგომი მოვლენები კანონიერ ჩარჩოში მოაქციოს. ეს გადატრიალება ღალატის გამო მოხდა...

**— რომელი ღალატის?**

— ედუარდ შევარდნაძე უნდა მიმხვდარიყო, რომ ვერც ერთ სახელმწიფო სტრუქტურას ვეღარ აკონტროლებდა (ღალატი იყო, რომ მას ეს არ უთხრეს), განსაკუთრებით კი მაღალ ეშელონებს, რომლებიც ერთს ეუბნებოდნენ და მეორეს აკეთებდნენ...

ახლანდელი ხელისუფლებისთვის გამოსავალი რეპრესიებია იმიტომ, რომ მაღალი ხელფასები, პენსიები, კეთილდღეობა, ფუფუნება და პრობლემების მოგვარება (რომელსაც თითქოს შევარდნაძე აფერხებდა) დღეს-ხვალ არ იქნება. ამიტომ ეცდებიან დაპირებების შეუსრულებლობა იმ „დამნაშავე პირებს“ გადააბრალონ, რომლებიც დანაპირების შესრულებაში „ხელს უშლიან“... დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტები სერიოზული შანტაჟისა და ზეწოლის ქვეშ ვიმყოფებით. არის სატელეფონო, ოჯახის განადგურების მუქარები, ვილაცების მოგზავნა და ა.შ.

**— ითქვა, ლევან მამალაძე თავს ბათუმს აფარებსო, მართალია?**

— ბათუმში რამდენჯერმე ვიყავი და ისევ ვაპირებ ჩასვლას. ძირითადად, გურიაში ვიმყოფები...

**— შექმნილი ვითარების გამო, საქართველოს დატოვებასაც ხომ არ აპირებთ?**

— გასაქცევი მაგათ აქვთ, მე სად უნდა წავიდე?! ვაკვირდები, როგორ განვითარდება მოვლენები, რა სახეს მიიღებს დღევანდელი რეჟიმი. მერე გადავწყვეტ, როგორ მოვიქცე...

4 იანვარს კი არჩევნები არ შედგება, ეს იქნება საბუთების გაფორმება, რომელიც მეამბოხეთა „გამარჯვებას“ დაადასტურებს. ამის შემდეგ არჩევნებს კარგა ხნით უნდა დავემშვიდობოთ.

ამერიკის შეერთებული შტატები (და სხვა ქვეყნებიც) ჩვენნაირ პატარა ქვეყნებში თავიანთ მიერ შემუშავებული ტექნოლოგიების გამოცდას აწარმოებენ. ჩვენთანაც ასეთი ექსპერიმენტი ჩატარდა, რომლის შედეგი გადატრიალება იყო, რომელსაც ნამდვილად არ მოჰყვება ისეთი კეთილდღეობა, როგორსაც ეს „ტროიკა“ გვპირდება...

**— როგორ ფიქრობთ, ახალი ხელისუფლება ლევან მამალაძეზე აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს?**

— მათ მასკარადებისა და სანახაობის გამართვა და დამნაშავეების გამოძებნა უნდათ. ამბობენ კიდეც, ვილაც ხომ უნდა დავსაჯოთ, აბა, რისთვის ვიბრძოდითო... ჩემს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი არ არსებობს, მაგრამ არ გამოვრიცხავ, მასკარადი ჩემს ხარჯზეც გამართონ.

**— ცნობილი მოვლენების დროს თქვენ პრეზიდენტის გვერდით არ ჩანდით, სად იყავით?**

— თბილისში ვიყავი და მას შემდეგაც რამდენჯერმე ჩავედი დედაქალაქში... შეგნებულად არ მივედი კრწანისში, თუმც პარლამენტში ყოფნისას პრეზიდენტს უკანასკნელ წუთამდე არ მოვცილებივარ. როდესაც იგი პარლამენტიდან გამოჰყავდათ, წინ მივუძღოდი, რათა მშვიდობიანად გარიდებოდა იქაურობას. ამით სახელმწიფოს ინტერესებს ვემსახურებოდი.

**— კი, მაგრამ, რატომ აღარ მიხვედით კრწანისში?**

— ისე გამოვიდა, რომ ჩვენ გამოგვიყენეს, სპექტაკლის მონაწილეებად გვაქციეს... არ მინდოდა იმ ადამიანებთან ერთად ვყოფილიყავი, რომლებიც ამ სპექტაკლის თანაავტორები იყვნენ (სხვადასხვა თანამდებობის პირს ვგულისხმობ).

**— ანუ თქვენს გუნდში მოღალატეები იყვნენ?**

— გუნდი არ გვქონია... შევარდნაძეს რომ გუნდი ჰყოლოდა, ასეთი რამ არ მოხდებოდა. მისი ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ შექმნა რაღაც ეკლექტიკური გაერთიანება, სადაც მინისტრები ერთმანეთს ვერ იტანდნენ, მთავრობის წევრები ერთმანეთს აბეზღებდნენ და პრეზიდენტთან ცრუინფორმაცია მიჰქონდათ...

**— ჭორად გავიგეთ, თითქოს პრეზიდენტისთვის გეთქვათ, — არ გადადგეთ, თორემ პირველი მე გესვრითო.**

— ეს ჭორი კი არა, სისულელეა... პრეზიდენტმა თვითონ თქვა, სახელმწიფო მინისტრი არ მირჩევდა გადადგომასო(?!). ჩემი პოზიცია ასეთია: საქართველოს პრეზიდენტს უნდა სცოდნოდა, უნდა მიმხვდარიყო, რომ ხელისუფლება დემორალიზებული იყო და არ ღირდა საქმის მიყვანა რევოლუციამდე. მას გადატრიალებამდე უნდა მიეღო გადადგომის გადაწყვეტილება. სჯობდა ხელახალი არჩევნები ადრევე დაენიშნა და საქმე გადატრიალებამდე არ მიეყვანა.

**— რას აპირებს ლევან მამალაძე სამომავლოდ?**

— ჯერ არ გადამიწყვეტია. ჯერ ქართველმა საზოგადოებამ უნდა გამოიტანოს დასკვნა — სწორად იქცეოდა მაშინ, როდესაც ქვეყანა გადატრიალებისკენ მიექანებოდა? ამის შემდეგ ჩამოყალიბდება ჩემი პოზიციაც. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს საწინააღმდეგო ქმედებას არ ჩავიდენ.

**— საზოგადოებაში გამოჩენას როდის აპირებთ?**

— ჯერჯერობით არ ვაპირებ აქტიურობას. რამდენიმე კვირა დამჭირდება იმის გასარკვევად, რას ვიზამ. ჩვენ პატარა ქვეყანა გვაქვს და სამწუხაროდ, საკუთარ ბედს თავად ვერ განვსაზღვრავთ, ჩვენს ბედს ის ქვეყნები განაგებენ, რომელთა ქვეშევრდომადაც ვიქცევით...

**— შევარდნაძის ყველაზე დიდი შეცდომა რა იყო?**

— ის, რომ ერთიანი გუნდი ვერ ჩამოაყალიბა (შეეძლო და არ გააკეთა). როცა გუნდი არ გყავს, ექსტრემალურ სიტუაციაში გვერდით არავინ დაგიდგება. შევარდნაძის ბალანსის მეთოდმა ვერ გაამართლა დღევანდელ საქართველოში. მისი დონის პოლიტიკოსს შექმნილი მდგომარეობის სიმძიმე უნდა განეჭვრიტა და ადეკვატური ნაბიჯი გადაედგა...

**— პრეზიდენტთან სტუმრობას ხომ არ აპირებთ უახლოეს მომავალში?**

— არა, იმიტომ, რომ ჯერ ბევრი რამ გასააზრებელი მაქვს. ამ უკანონობაში მონაწილეობას არ მივიღებ. თუმც არც ზოგიერთებივით მემუარების წერასა და ხელის ჩაქნევას ვაპირებ.

# „გავაგრძელებ თავმჯდომარეობას იმიტომ, რომ პარტიას შეცდომა არ დაუშვია“

მართალია, პრესას არ გაუხმაურებია, მაგრამ შევიტყვეთ, რომ გასულ პარასკევს „ახლების“ მთავარი კომიტეტის ექვსსაათიან სხდომაზე საკმაოდ დაძაბული საუბარი მიდიოდა მომავალ გეგმებსა და პროცესებზე. როგორ აფასებს **დავით გამყრელიძე** ბოლოდროინდელ მოვლენებს და გადაურჩა თუ არა ის საკუთარ პარტიაში ამოვარდნილ გრიგალს, ინტერვიუდან შეიტყობთ:



— არჩევნები და მის შემდგომ განვითარებული მოვლენები დაწერილი იყო იმ სცენარით, რომ ქვეყანაში გადატრიალება მომხდარიყო. საქართველოში რევოლუცია კი არა, შეთქმულება და გადატრიალება მოხდა. ქუჩაში მყოფნიც და შევარდნაძის ხელისუფლების თანამდებობის პირებიც, კოორდინირებულად მუშაობდნენ და ყველაფერი გააკეთეს, ხელისუფლების ძალისმიერი გზით დასამხობად.

უცხოეთის სხვადასხვა პოლიტიკური წრე ცდილობს, ურთიერთობა დაამყაროს ახალ ხელისუფლებასთან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბიზნესწრეებისთვის საქართველო კარგა ხნით დაიკეტა. უკანასკნელი 10-12 წლის განმავლობაში ჩვენთან მეორედ შეიცვალა ხელისუფლება ძალისმიერი გზით. ეს კი ქმნის ალბათობას, რომ ხელისუფლის ჩამოგდება ტრადიციად იქცეს. ახალი ხელისუფლება ძალადობით ცდილობს ძალაუფლების შენარჩუნებას. გამოჟონა ინფორმაციამ, რომ უშიშროების საბჭოზე მიიღეს დოკუმენტი, რომელიც მიტინგების და მანიფესტაციების აკრძალვას აკანონებს, „რუსთავი-2“-მა კი კონტრრევოლუციაზე დაიწყო ლაპარაკი. ფაქტობრივად, განსხვავებული აზრის დევნა დაიწყო. ის, ვინც დღევანდელ ხელისუფლებას გააკრიტიკებს, შეიძლება კონტრრევოლუციონერად და რევანშისტად ჩაითვალოს. მომხდარი მოვლენები ცხადყოფს, რომ ნაციონალები და დემოკრატები ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიისთვის კი არა, საკუთარი რეჟიმის დამყარებისთვის იბრძოდნენ...

**— თქვენს პარტიაზე ხომ არ არის ზეწოლა?**

— ჯერჯერობით, არა, მაგრამ „რუსთავი-2“-ში გახმიანებული ინფორმაცია, თითქოს ჩვენ რევანშისტები ვიყოთ და კონტრრევოლუციას ვგეგმავდეთ, სწორედ რეპრესიებისთვის მზადებაა, მაგრამ ვერც ფსიქოლოგიური და ვერც ფიზიკური ზეწოლით ვერ დაგვაშინებენ, ყოველთვის ვიტყვი სიმართლეს...

**— საპროტესტო მოძრაობასთან შეერთებას ხომ არ ფიქრობთ?**

— მათ შეკრებაზე მიგვიპატიჟეს, მაგრამ ჯერჯერობით თავს ვიკავებთ. თუმცა მშვიდობიანი და დემოკრატიული მეთოდებით ბრძოლას უთუოდ გავაგრძელებთ. ერთი რამ ვიცით: ჩვენ ვერ მივიღებთ იმ არჩევნებში მონაწილეობას, რომელზეც უარს ამბობს საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი რეგიონი — აჭარა.

**— ითქვა, რომ პარტიაში იხილებოდა თქვენი თავმჯდომარეობიდან გადაყენების საკითხი.**

— არ ყოფილა ასე, ჩვენ ლეგიტიმურ, არჩეულ ორგანოში (პარლამენტში) მივედით და ეს სრულიად კონსტიტუციური ქმედება იყო. ვაპირებდით ვადამდელი არჩევნების დანიშვნის საკითხის წამოჭრას. ეტყობა, გადატრიალების მომწყობთ არ აძლევდათ ხელს ამ საკითხზე მსჯელობა და დარბაზში შემოცვივდნენ.

45 დღეში არჩევნები უნდა ჩავატაროთ, მაშინ, როდესაც ეუთო საქართველოში 4-ჯერ ნაკლები დამკვირვებლის გამოგზავნას აპირებს. არ გვაქვს ფინანსური გარანტიები, არავინ იცის, როგორ გაიწმინდება სიები... ეს იქნება ნორმალური არჩევნები?!

**— „უცნობის“ თქმით, თქვენ შეცდომა დაუშვით, როდესაც პარლამენტში თანაპარტიელები მიიყვანეთ...**

— „უცნობი“ პარტიის წევრი არ არის და ჩვენი სახელით არ უნდა აკეთებდეს კომენტარებს. წესით, მან არ უნდა იცოდეს პარტიაში რაზე ვლაპარაკობთ. ის, რომ „უცნობი“ ჩვენს მხარდამჭერ კონცერტებს ატარებდა, არ ნიშნავს იმას, რომ უფლებამოსილია პარტიის საქმეებში ჩაერიოს ან ჩვენი სახელით ილაპარაკოს.

**— მან თქვა, ლევანიც ჩემსავით ფიქრობსო.**

— ლევანი მაჟორიტარია და უფლება აქვს, ისე მოიქცეს, როგორც საჭიროდ მიაჩნია. მას არ სურდა პარლამენტის პირველ სხდომაზე მისვლა და ეს მისი საქმეა. პარტიის დანარჩენი წევრები — წინა მოწვევის პარლამენტის ფრაქციის თავმჯდომარე ფიქრია ჩიხრაძე და პარტიის გენერალური მდივანი დავით საგანელიძე და კიდევ ბევრი, ჩემს პოზიციას იზიარებდნენ.

**— ანუ „ახლებში“ განხეთქილება არ არის და თქვენ ისევ პარტიის თავმჯდომარე ბრძანდებით?**

— დიახ, პარტიის თავმჯდომარე ვარ და კიდევ გავაგრძელებ თავმჯდომარეობას, იმიტომ, რომ პარტიას შეცდომა არ დაუშვია და არც დაუშვებს.

# ამბიცია ყველამ გვერდზე უნდა გადადოს

## „დათო მარტო უნდა შესულიყო სხდომაზე“



**„უცნობი“ (გია გაჩეჩილაძე):**

— პარტიაში პარლამენტის სხდომამდე 3 დღით ადრე მიდიოდა მსჯელობა, როგორ მოქცეულიყვნენ. გამორიცხული იყო „ახლების“ სხდომაზე მისვლა. დათო გამყრელიძე მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შესულიყო დარბაზში, თუ მოითხოვდა ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას. დათომ ამის თქმა ვერ მოასწრო, რადგან პრეზიდენტი ტრიბუნაზე ავიდა. ამას მოჰყვა ოპოზიციის შემოვარდნა...

**— თქვენი ძმა რატომ არ მივიდა სხდომაზე?**

— როდესაც სხდომაზე მისვლა-არმისვლის საკითხს იხილავდნენ, პარტიაში აზრი გაიყო.

ლევანი ფიქრობდა, იქ მისვლას აზრი არ აქვს, რადგან არავინ მოგვისმენსო. ამიტომ ზოგი წავიდა, ზოგი — არა. განცხადება, რომელიც დათოს უნდა გაეკეთებინა, სხვათა შორის, დღესაც აქტუალურია — ვადამდელი არჩევნები დაინიშნა. დათოს შეცდომა ის იყო, რომ 6 კაცით შევიდა დარბაზში და კვორუმი „გააკეთა“. მარტო უნდა შესულიყო (ასე იყვნენ მოლაპარაკებულები) და თუ მისი წინადადება გავიდოდა, მას შემდეგ შეეყვანა დარბაზში პარტიის წევრები.

**— ფაქტია, რომ დავით გამყრელიძემ პრეზიდენტის მადლობა დაიმსახურა — კვორუმის ბედი „ახლებმა“ გადაწყვიტესო...**

— ჩემი აზრით, როდესაც პოლიტიკური ლიდერი ასეთ შეცდომას უშვებს, უნდა დატოვოს პოსტი... ძალიან განვიცდი ყველაფერს, რაც ქვეყანაში ხდება (თუმც გამიხარდა შევარდნაძის რეჟიმის დამხობა), განსაკუთრებით კი იმას, ასეთ მდგომარეობაში რომ აღმოჩნდნენ „ახლები“. მართალია, იმას აკეთებდნენ, რაც სწორად მიაჩნდათ, მაგრამ...

დათოს ჩანაფიქრი სწორად მიმაჩნია, მაგრამ პარლამენტში შესვლისა და განცხადების გაკეთების ფორმა უნდა ყოფილიყო სხვანაირი. ხომ შეიძლებოდა ჟურნალისტებისთვის გაეცნო თავისი შეხედულება, ან მარტო შესულიყო სხდომაზე. ახლა კი ისე გამოვიდა, რომ „ახლები“ პარლამენტში შევარდნაძემ მიიყვანა. ამის გამო, რა თქმა უნდა ცვლილებები უნდა მოხდეს პარტიაში.

არც არის გასაკვირი, პარტიის წევრებმა რომ იკამათონ სხვადასხვა საკითხზე. ამით პარტია არ გახლეჩილა.

**— „ახლებისა“ და რევოლუციის შემდეგ მოსული ხელისუფლების ურთიერთობა როგორ წარმოგიდგენიათ?**

— ერთმანეთის ჯიბრში დგომა არც ჩვენ გვარგებს და არც ქვეყანას. ქვეყნის განვითარებაში ყველამ ჩვენ-ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ. რევოლუციონერობა და აღმშენებლობა სხვადასხვა საქმეა. „ახლები“ არასოდეს იქნება რევოლუციური პარტია. რევოლუციის შემდგომი კრიზისიდან გამოსვლას კი მათნაირი აღმშენებელი ხალხი შეძლებს. დღეს ერთმანეთს უნდა ამოვუდგეთ მხარში, რომ ქვეყანა არ დაგვეშალოს.

„ვარდების რევოლუცია“ და ხალხის შემართება კარგი იყო. ფიქრობდნენ, ეს რეჟიმი დავამხოთ და გზა მერე გამოჩნდებაო. რომ არ გამოჩნდეს, რა ვქნათ მერე? ამჯერადაც ქართულმა სულსწრაფობამ გვძლია. სიჩქარეს ზოგჯერ შეცდომები და ცუდი შედეგი მოსდევს ხოლმე.

იმედია, ახალი ხელისუფლება ქვეყნის აღმშენებლობას დაიწყებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ ვხედავ ამისკენ გადადგმულ ნაბიჯებს. უნივერსიტეტში განვითარებული მოვლენები და ახალი ხელისუფლების საკადრო პოლიტიკა დამშვიდების უფლებას არ გვაძლევს. თუ ასე გაგრძელდა, მაშინ ამაო ყოფილა ბრძოლა და უკეთესი მომავლისკენ სწრაფვა. ხალხმა უნდა დაინახოს, რომ წინსვლის პროცესი დაიწყო.

**— ჩაერევით თუ არა „ახლებისა“ და დღევანდელი ხელისუფლების ურთიერთობის მოგვარებაში?**

— აუცილებლად შევეცდები ამას. გაერთიანების გარეშე ქვეყანას ვერ ავაშენებთ. პირადი ამბიციები ყველამ გვერდზე უნდა გადადოს და მიხედონ იმ საქმეს, რასაც იქადნებოდნენ — გავაკეთებთო. თუ ეს მთავრობაც ამბიციებს გადაჰყვა, მასაც წინამორბედის ბედი ელის. მაშინ მოვაწყოთ ყოველთვე რევოლუცია და დავრჩეთ ბანანის რესპუბლიკად. თუ ხალხმა ხელისუფლებაში აღმშენებლობის სურვილი არ დაინახა, არც საპრეზიდენტო არჩევნებზე მივა, არც საპარლამენტოზე და ისეთივე ვითარება შეიქმნება, რაც სერბეთშია — წლების განმავლობაში არ ჰყავთ ხელისუფალი. „რუსთავი-2“-მა აჩვენა სერბეთის რევოლუციაზე ფილმი, მაგრამ ჩვენ არ გვინახავს მისი მეორე სერია, ის, თუ რა მოჰყვა რევოლუციას.

დღევანდელმა ხელისუფლებამ არ უნდა გაუცრუოს ხალხს იმედი, რომელიც ქუჩაში გამოვიდა და ამათი სკამებისთვისაც იბრძოლა, თორემ შესაძლოა ყველაფერი ისე შემოტრიალდეს, ხალხი ისევ შევარდნაძესთან მივიდეს და უთხრას, გვიშველეო.

***გვერდი მოამზადა მარი ზანდუკელმა***

# „ამ ხელისუფლების შეურიგებელი ოპოზიცია ვიქნებით“



ლეიბორისტული პარტია რევოლუციამ მორალურადაც დააზარალა და მატერიალურადაც. ძველი პარლამენტის მუშაობის აღდგენის გამო პარლამენტს გარეთ დარჩენილი ლეიბორისტები ტერორის მსხვერპლნიც შეიქნენ...

— **ბატონო შალვა, ვინ აგაფეთქათ?** — ვკითხეთ შალვა ნათელაშვილს.

— ყველაზე ცუდი ის არის, რომ ტერორისტულ ხუნტას, ბურჯანაძე-ჟვანია-სააკაშვილის მეთაურობით, საქართველოს აფეთქება სურს. მემკვიდრეობით, გადატრიალებით, ხალხის მოტყუებით ჩაიგდეს ხელთ ძალაუფლება. „ვარდების რევოლუციიდან“ „სკამების რევოლუციაში“ შევიდნენ და ტერორისტული სისტემის დამყარებას ცდილობენ. ამის დასტური ჩვენი ოფისის აფეთქება იყო. შაბათს, 29 ნოემბერს, 16.30 საათზე ლეიბორისტული პარტიის ოფისზე განხორციელდა ტერორისტული თავდასხმა. დაზიანდა ოფისი და ჩვენ წინ მდებარე ხუთსართულიანი კორპუსი...

— **მცხოვრებლები რას ამბობენ?**

— შეშინებულები და დაზაფრულები არიან, როგორია ღამის ხუთ საათზე ბომბს რომ აგიფეთქებენ?!

ხუნტამ თავის უცხოელ პატრონებთან ერთად გათვალა, რომ თუ მოვლენები კონსტიტუციის ნორმით განხორციელდებოდა, ლეიბორისტული პარტია საპარლამენტო კი არა, საპრეზიდენტო ხელისუფლებაში მოვიდოდა. ამიტომ გადაწყვიტეს სისტემის არაკონსტიტუციური შეცვლა. აღარ მოიცადეს 12 თვე... იმიტომ, რომ დრო მათ წინააღმდეგ მუშაობდა და გამოიყენეს ხალხის გულწრფელი აღშფოთება, რომელსაც შევარდნაძის გადადგომა სურდა. საკუთარი მიზნისთვის ბრძოლაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა საფრთხის წინაშე დააყენეს. დღეს აჭარა სამართლებრივი სივრციდან (ვიმეორებ, სამართლებრივი სივრციდან), ფაქტობრივად, გასულია. რუსეთის შუამავლობამ ის მოგვიტანა, რომ ოცნებაც აღარ შეგვიძლია სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დაბრუნებაზე(?!). ჩვენი მიწა-წყალი საპრეზიდენტო პორტფელში გაიცვალა. ამ ხალხისთვის საფრთხეს ლეიბორისტული პარტია და ქართველი ეროვნული საზოგადოება წარმოადგენს იმიტომ, რომ ისინი ანტიქართული ძალები არიან და ამათ ხელში კარგი არაფერი გველის. ქართველ ხალხს ვაფრთხილებდი, რომ წამსვლელი შევარდნაძე თავისიანებს ხელისუფლებას გადააბარებდა და 3 ახალგაზრდა შევარდნაძეს მივიღებდით, მაგრამ... ესენი შეთანხმებულად მოქმედებდნენ. ხომ ხედავთ, მთელი შევარდნაძის მთავრობა ამათ მიუცუცქდა. ეს იყო შიდასამთავრობო გადატრიალება. ერთი კლანი მეორეს ჩაენაცვლა. შევარდნაძის ნათესავების ნაცვლად, ახლა ბურჯანაძის ნათესავები ინიშნებიან თანამდებობებზე. მერე ჟვანიას ხალხი წავა გუბერნატორებად და მინისტრებად. ამ არჩევნების შემდეგ არც პოლიტიკაში და არც ამ ქვეყანაში აღარ ვაპირებდი დარჩენას, მაგრამ ბოლოს მაინც გადავწყვიტე დავრჩე (აბა, ამათ ხომ არ ჩავუგდებ საბოლოოდ საქართველოს ხელში) იმ ბარიკადზე, რომელიც ხალხმა მანდო.

— **ამ ხელისუფლების წინააღმდეგ რამე მოძრაობას ხომ არ შეუერთდებით?**

— ამ ხელისუფლების შეურიგებელი ოპოზიცია ვიქნებით, მაგრამ სხვა ძალებთან ერთად რაიმე ბლოკებს და კოალიციებს არ ვგეგმავთ, ამ ბრძოლაშიც მარტო ვიქნებით. თუმც ვაპირებთ თანამშრომლობას საზოგადოების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მაგრამ ისეთი ფორმატით, რომ დაწყებული ცივი ომი ცხელში არ გადაიზარდოს.

— **ვადამდელ არჩევნებში მიიღებთ მონაწილეობას?**

— 4 იანვრის არჩევნები ვერ მოესწრება, ეს ნიშნავს, რომ ოქმები პირდაპირ დაიწერება. ის ხალხი, რომლებიც დღეს თანამდებობაზეა, კაბინეტებიდან გაგვიხდება გამოსათრევი. არჩევნები გაზაფხულისთვის უნდა გადავადდეს და მანამდე იმ პარლამენტმა უნდა დაიწყოს მუშაობა, რომლის საქმიანობა ტერორისტული მეთოდებით შეწყდა. ამასთან, როგორც ვიცი, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არც აჭარა აპირებს და რა ლეგიტიმურობაზე შეიძლება ლაპარაკი.

— **თუ ასლან აბაშიძე მიიღებს მონაწილეობას?!**

— არ ვიცი, როგორ მოვიქცევით ამ შემთხვევაში. მოვითათბირებთ, მოვიფიქრებთ და გაცნობებთ შემდგომ სამოქმედო გეგმას.

# „მერწმუნეთ, რევანშის სურვილი ნამდვილად დიდია“

## ჩვენ შევქმნით თანაბარ საარჩევნო პირობებს



გახელისუფლებული ოპოზიციის სამოქმედო გეგმებზე რევოლუციის გამოკვეთილ ლიდერებთან გვსურდა გასაუბრება, მაგრამ რაკი ახალმა ვითარებამ საკრებულოს ამჟამინდელი თავმჯდომარე და პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე და სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია რუტინულ შრომაში ჩააბა, გთავაზობთ ინტერვიუს ნაციონალური მოძრაობის მე-2 ნომერთან, **მაია ნადირაძესთან**.

— **ქალბატონო მაია, რა იყო ყველაზე დიდი პრობლემა, რასაც ხელისუფლებაში მოსვლისას წააწყდა ოპოზიცია?**

— მთავარი პრობლემა ის არის, რომ ახალი ხელისუფლება ჯერ მთლიანად ლეგიტიმური არ არის. ამას თან ერთვის წინა ხელისუფლებისგან მიღებული ძალზე ცუდი მემკვიდრეობა, მრავალი მოუგვარებელი პრობლემა, რომელსაც რევოლუცია ყოველთვის ამძაფრებს ხოლმე, იმიტომ, რომ რევოლუციას ყოველთვის ახლავს რევანშის მოლოდინი. ესეც აფერხებს ნებისმიერ სახელისუფლებო მოქმედებას.

— **თუმცა ზოგი ფიქრობს, რომ კონტრრევოლუციასა და ახალ მოძრაობაზე ალაპარაკებას, მხოლოდ და მხოლოდ იმ ძალებზე ანგარიშსწორების სურვილი განაპირობებს, რომლებიც დღევანდელ ხელისუფლებასთან არ არიან.**

— ცალკეული ფაქტებიც რომ არ გვქონდეს, არ შეიძლება ხელისუფლების ასეთი მკვეთრი ცვლილებების შემდეგ ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებს არ ჰქონდეთ რევანშის სურვილი. არ ვარ უფლებამოსილი და ამიტომ არ ვაკონკრეტებ, მაგრამ მერწმუნეთ, ნამდვილად დიდია რევანშის სურვილი ყოფილი ხელისუფლების წევრების მხრიდან.

დარტყმები, ძირითადად, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ არის მიმართული. იციან, პრეზიდენტად გახდომის შემდეგ ის არის ადამიანი, რომელიც მნიშვნელოვან ცვლილებებს განახორციელებს, რაც კონფორმისტულ საზოგადოებას არ მოსწონს და ეწინააღმდეგება.

— **ხომ არ არსებობს სააკაშვილის წინააღმდეგ ტერაქტის მოწყობის საშიშროება?**

— რა თქმა უნდა, ამის საშიშროებაც არის. მიშა არ არის ისეთი ადამიანი, რომ (ზოგიერთივით ყურადღების მიპყრობის მიზნით) ილაპარაკოს — ამას და იმას მიპირებენო.

— **იგორ გიორგაძის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილზე რას ფიქრობთ?**

— იგორ გიორგაძის გამოჩენა, რუსეთში ავტონომიური რესპუბლიკების პრორუსული ძალების ვოიაჟები, მომხდარის ნიველირება, იმის მცდელობა, რომ მას შეიარაღებული აჯანყება დაარქვან — ეს ყველაფერი ერთი ჯგუფის ნამოქმედარია, რომელსაც საქართველოს კეთილმოსურნეებს ვერასოდეს ვუწოდებ. ვფიქრობ, ნებისმიერი ქართული სახელისა და გვარის ადამიანის რუსეთთან თანამშრომლობა ერთმნიშვნელოვნად გამოიწვევს ჩვენი მონაპოვრის დაკარგვას.

— **ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები ხორციელდება. ხომ არ ხართ ნაციონალები უკმაყოფილონი იმით, რომ თანამდებობაზე, ძირითადად, დემოკრატები ინიშნებიან?**

— დემოკრატები იმიტომ ინიშნებიან, რომ მოქმედი პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძეა. ის ისე იქცევა, რაც სწორად მიაჩნია და მის გადაწყვეტილებაში ვერავინ ჩაერევა. ვერ ჩაერევა მიხეილ სააკაშვილიც, რომელიც ჯერ მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარეა. მაშინ, როდესაც მიხეილ სააკაშვილი შეეწინააღმდეგა მიხეილ მაჭავარიანის სიმამრის დანიშვნას ახალ თანამდებობაზე, სწორად მოიქცა. მართალია, ცდილობს არ გადაამეტოს თავის უფლებამოსილებას, მაგრამ როდესაც ძალზე თვალში საცემი საკადრო ცვლილება მოხდა, ამას არ შეეგუა. შესაძლოა მიხეილ მაჭავარიანის სიმამრი ძალზე კარგი ადამიანია, მაგრამ მაშინ, როდესაც თავად ვაკრიტიკებთ ოჯახურ-კლანურ მმართველობას, მისი წინ წამოწევა სრულიად გაუმართლებლად მიმაჩნია.

როდესაც რომელიმე პირი ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოდის, უფრო შეუზღუდავად მოქმედებს, რევოლუციის შემდეგ მოსულს კი სიფრთხილე მართებს, მან ყველაფერს ანგარიში უნდა გაუწიოს, რათა მავანთ რევანშის სურვილი არ გაუღვივდეთ. ჩვენ, ყველანი, თითქოს ალყაში ვართ. ერთი მხრივ, გვინდა არავინ გავანაწყენოთ, მეორე მხრივ კი ვხედავთ, რაოდენ ძნელია თანამდებობას შეჩვეული, გაზულუქებული ამდენი ადამიანი დააკმაყოფილო.

გვინდა საპარლამენტო არჩევნები მალე ჩატარდეს, მაგრამ როგორც კი დაირღვევა კანონი და არჩევნები კონსტიტუციურად და მშვიდობიანად არ ჩატარდება, მოგიწევს ამის საგანგებო ვითარებაში გაკეთება, რაც იმის ნიშანი იქნება, რომ არჩევნებს საგანგებო მდგომარეობაში ატარებ და არც რევოლუცია ყოფილა ხავერდოვანი. თუ საკუთარი ხელისუფლების ლეგიტიმაციას კანონის დარღვევით დავიწყებთ, ეს გაუთავებელ პრობლემებს შეგვიქმნის.

— **რადგან თქვენ დღეს მოგებულის მდგომარეობაში ხართ, მეტი მიმტევებლობა ხომ არ გმართებდათ სხვა პოლიტიკური ძალების („ახლების“, ლეიბორისტების) მიმართ, აპირებთ მათთან დიალოგს?**

— ჩვენ ყველასთან ვაპირებთ თანამშრომლობას, ჩვენს მიმტევებლობას კი იმით გამოვხატავთ, რომ შევქმნით თანაბარ საარჩევნო პირობებს, არჩევნები კარგად ჩატარდება და მათ მიმართ ზუსტად ისეთი დამოკიდებულება გვექნება, როგორსაც კანონი გვკარნახობს.

# ღმერთმა ნუ ქნას! ხალხია ცოდო!

ნათქვამია, ადამიანმა ყველაზე ფრთხილად მოწინააღმდეგე უნდა შეარჩიოსო, მაგრამ ეტყობა, ეს მაშინ, როდესაც არჩევანის საშუალება თვითონ გაქვს. ისე კი განგება ისეთ მოწინააღმდეგეს გაგიჩენს, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულად იგრძნობ თავს (ამას ვერც ჩვენი რევოლუციონერები ასცდნენ). მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი შევარდნაძე გადადგომაზე „დაიყოლიეს“, ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილი თავს მართლაც უხერხულად გრძნობდნენ და ეს არც იყო გასაკვირი — მათ ხომ „გამზრდელს“ გაუწიეს მეტოქეობა და „დამსახურებულ“ პენსიაზე გაუშვეს. მაშ, ასე, შევარდნაძე წავიდა და რაოდენ უცნაურიც უნდა ჩანდეს, ამან პრეზიდენტობის ბოლო პერიოდში მისი შელახული ავტორიტეტი საგრძნობლად გამოაკეთა. დღეს შევარდნაძეს საზოგადოებაში ერთგვარი სიმპათიითაც კი იხსენიებენ — ისე გადადგა, სისხლი არ დაღვარაო.



შევარდნაძის წასვლის შემდეგ მისი მემკვიდრე „მის ხელში გაზრდილი ბავშვი“, ნინო ბურჯანაძე აღმოჩნდა, მაგრამ მისი პირველობა დიდხანს არ გაგრძელდება, მალე მოუწევს ორი საფეხურით ჩამონაცვლება და ისევ პარლამენტის სპიკერის ჭაპანის გაწევა. არჩევნების შემდეგ მან პირველობა თანამებრძოლ მამაკაცებს — მიხეილსა და ზურაბს უნდა დაუთმოს. ჟვანიას პრემიერობა სურს, სააკაშვილს პრეზიდენტობა და ისინი ამ პოსტების მიღების სამზადისში არიან კიდეც. მანამდე კი ჟვანია დროებით „ჯორბენაძეობს“. ის და ნინო ბურჯანაძე „საკადრო რევოლუციას“ იწყებენ პრინციპით — „ჩვენიანი ყველგან უნდა გვყავდეს“. არაერთი საკადრო გადაწყვეტილება უკვე შეიქნა საზოგადოებრივი უკმაყოფილებისა და მითქმა-მოთქმის მიზეზი. ითქვა, პროკურატურის ხაზით საკადრო გადაწყვეტილებებს ნინო ბურჯანაძის დროებით უმუშევარი მეუღლე ბადრი ბიწაძე „იღებს“ (თუ ეს ასეა, მშვენიერი საქმე გამოუნახავს). ბიწაძე პროკურატურის კადრია და „იცის“, ამ სფეროში კადრები როგორ „გაანაწილოს“. თავის დროზე კადრები შევარდნაძის აქილევსის ქუსლი იყო. გაუხდება თუ არა იგივე დროებით ხელისუფლებას თავსატეხად? ამბობენ, გაუხდებაო... საკადრო რევოლუციამ „დროებითებს“, გარდა იმისა, რომ თანამდებობებიდან მოხსნილთა სახით შემატა მტრების არმია, არც საზოგადოების ის ნაწილი დატოვა გულგრილი, საკადრო წმენდა რომ არ შეხებია, რადგან არ მოსწონთ მათი სკამებით „დაინტერესება“. „გამარჯვებულების“ თავზე წამოსმას შევარდნაძის ყოფილი თანაგუნდელები და რევოლუციისგან განზე მდგომი ოპოზიციური ძალებიც არ აპირებენ. ისინი სახალხო კოალიციას ქმნიან, „ვარდების რევოლუციას“ „სკამების რევოლუციად“ აცხადებენ და ახალი ხელისუფლების აზრზე მოყვანას ისევ ხალხის დახმარებით ფიქრობენ(?!).

ბურჯანაძე-ჟვანია-სააკაშვილის მთავრობა „სახალხო კოალიციას“ რევანშისტებად და კონტრრევოლუციონერებად აცხადებს და ომს უცხადებს. ამბობენ (ერთ-ერთი ტელეკომპანიის ინფორმაციით), ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ „ახლებთან“, ლეიბორისტებთან, სარიშვილსა და რჩეულიშვილთან ერთად, ბადრი პატარკაციშვილი და ვანო ჩხარტიშვილიც გაილაშქრებენო (თუმც ამ ინფორმაციაში შეიძლება სერიოზული კონკურენციის შიშიც იკვეთებოდეს). რევანშისტებისთვის ორივე სერიოზული ძალაა. გარდა იმისა, რომ ისინი დიდი კაპიტალის პატრონები არიან, იმითაც არიან წელმომაგრებულნი, რომ ტელეკომპანიები აქვთ. ამიტომ ახალ ხელისუფლებას საინფორმაციო დარტყმების ატანაც მოუწევს, „რუსთავი-2“-ს კი — კოლეგების „განეიტრალება“, თუ მოახერხა, რა თქმა უნდა. (სხვათა შორის, ახალი ხელისუფლების „ტროიკად“ შერაცხულ ალიანსს უკვე კვარტეტს უწოდებენ — მეოთხე სუბიექტად და „ჩეტვიორკის“ რუხ კარდინალად კი ეროსი კიწმარიშვილს ნათლავენ...). ამავე საინფორმაციო საშუალების მეშვეობით კონტრრევოლუციის თანამგრძნობად ცხადდებოდა შევარდნაძის ხელისუფლების ყველაზე „ლონიერი“ მინისტრი — დავით თევზაძე, რომელიც გასულ კვირას რამდენიმე დღით „საეჭვოდ გაქრა“. დიდი ძებნის შემდეგ მას აჭარაში, გიორგი აბაშიძის კამპანიაში მიაკვლიეს. ოფიციალურად თევზაძე იქ ინსპექტირებისთვის ჩავიდა. განდგომილ აბაშიძეებთან თევზაძის სიამტკბილობამ და მისმა ბოლოდროინდელმა პოზიციამაც დაბადა ეჭვი, რომ თავდაცვის ჯეროვნად მოუხსნელი მინისტრიც რევანშისტების ამალაშია. თუმც თევზაძემ შაბათს გამართული პრესკონფერენციით ეს ჭორები გაფანტა და განაცხადა — სადაც ქვეყნის ინტერესები, იქაც მეო...

ახალ ხელისუფლებას სხვა შინაპრობლემებიც აქვს — გაუცემელი ხელფასები, პენსიები, ცარიელი ხაზინა, არჩევნების ჩასატარებელი საჭირო თანხის გამოძებნა... მაგრამ განსაკუთრებულია პრობლემა, რომელსაც შესაძლოა რუსეთში ასლან აბაშიძის, ედუარდ კოკოითისა და რაულ ხაჯიმბას შეხვედრა შეიცავდეს. ახალი ხელისუფლებისთვის შეიძლება პრობლემად იქცეს იგორ გიორგაძის გამოჩენაც, რომელიც პრეზიდენტობაზე აცხადებს პრეტენზიას და საქართველოში უსაფრთხო დაბრუნების გარანტიას პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლისგან უკვე იღებს. იგორ გიორგაძეს გამარჯვების იმედი აქვს, მაგრამ ასევე გამარჯვებისთვის არის განწყობილი „რევოლუციის მამა“ — მიხეილ სააკაშვილიც. პრეზიდენტობას უმიზნებს ამერიკიდან ახლახან (ვფიქრობთ, საგანგებოდ) ჩამოსული გია მაისაშვილიც. გიორგაძისა და მაისაშვილის წინა პლანზე წამოწევით ნათელია, რომ ამერიკა და რუსეთი საქართველოს ხელისუფლების სათავეში თავიანთი ხალხის მოყვანას ფიქრობენ. მაგრამ ვინ არის სააკაშვილი?! ხომ არ არის (ამ ქვეყნებისთვის) სააკაშვილი ის მავრი, რომელმაც თავისი საქმე გააკეთა და ახლა უნდა წავიდეს. ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ სააკაშვილი „მავრობას“ არ აპირებს, მაგრამ უცნაურია მისი ეკონომისტი მეგობრის განაცხადი — პრეზიდენტობა მეც მინდაო... თუმც ჯერ ისაა გასარკვევი, რამდენად შეძლებს მაისაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად გახდომას, მაშინ, როდესაც საპარლამენტო არჩევნებშიც ვერ მიიღო მონაწილეობა ამერიკის მოქალაქეობის გამო...

ვარდს ეკალიც ბევრი აქვს და „ვარდების რევოლუციამ“ ეკლები უკვე გამოაჩინა. „ეს ეკლები საქართველოს ეკლის გვირგვინად არ უნდა იქცესო“, — თქვა ერთმა პოლიტიკოსმა, გინდოდათ პირველობა? — ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი. მიშა, ნინო, ზურა, ქვეყნის ბედი თქვენს ხელშია, მოუარეთ საქართველოს, ეპატრონეთ, მოკეთე მოუმრავლეთ და მტრისგან დაიცავით, გაამთლიანეთ და ნუ დაშლით. ააღორძინეთ და ააშენეთ, თორემ ხომ ხედავთ რა შეძლებია ქართველობას. ისე ნუ იზამთ, რომ ახალი რევოლუციის სუნი დატრიალდეს...

კიდევ ერთხელ გეტყვით — ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი — ხალხი გენდოთ და თქვენ ლელო უნდა გაიტანოთ!!!

P. S. რუსეთის საინფორმაციო საშუალებები ალაპარაკდნენ კიდეც ახალ რევოლუციაზე. ღმერთმა ნუ ქნას! ხალხია ცოდო!..

***გვერდი მოამზადა***
***იზო რიკაძემ***

# იგორ გიორგაძე საქართველოში ჩამოსვლას აპირებს

## „ვინც იგორ გიორგაძის მისამართით მსგავს ცილისწამებას გაიმეორებს, ვუჩივლებ“

მიუხედავად იმისა, რომ ედუარდ შევარდნაძეს და მიხეილ სააკაშვილს სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობა და სახელმწიფოს მართვის პრინციპები აქვთ, როგორც ირკვევა, მათ ჰყავთ საერთო მტერი, რომლის საქართველოში გამოჩენას, თურმე, ბევრი ელის. „არსებობს ინფორმაცია, რომ საერთაშორისო ტერორისტად აღიარებული იგორ გიორგაძე საქართველოში დასაბრუნებლად ემზადება(!). მოსალოდნელია, იგი აჭარის ან სომხეთის მხრიდან შემოვიდეს. საქართველოში ამჟამად იმგვარი სიტუაციაა, რომ შეიძლება ერთ გასროლას ქვეყნის 30-წლიან ომში ჩათრევის საფრთხე დაემუქროს“, — განაცხადა ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა იგორ გიორგაძის სამშობლოში შესაძლო დაბრუნების შესახებ და აღნიშნა, რომ კატეგორიულად შეეწინააღმდეგება გიორგაძის საქართველოში ჩამოსვლას. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ ОРТ-ს არხზე გადაცემა „Основной инстинкт“-ში გამართულ ტელეხიდში იგორ გიორგაძეს მწვანე გზა მისცა პრეზიდენტის პოსტისთვის საბრძოლველად, თუმცა ისიც გარკვევით უთხრა, რომ მანამდე ტერორისტად მონათლულ ძებნილს ქართული ძალოვანი უწყებებისთვის მოუწევდა ჩვენების მიცემა. ОРТ-ს ეთერში გიორგაძე აცხადებს, რომ არ ეშინია ქართველი ძალოვნებისა, რომ საქართველოში უამრავი მხარდამჭერი ჰყავს არა მხოლოდ ძალოვან სტრუქტურებში, არამედ ხალხშიც(?!). შესაბამისად, იგი მზადყოფნას გამოთქვამს საქართველოს პრეზიდენტობისთვის საბრძოლველად და უახლოეს დღეებში თბილისში ჩამოსვლას გეგმავს. ამჯერად საქართველოს დედაქალაქში იმყოფება იგორ გიორგაძის მეუღლე **ქეთევან ოვაშვილი-გიორგაძე**, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატი მეუღლის ცესკოში რეგისტრაციისათვის საჭირო საკითხებს აგვარებს. „კვირის პალიტრა“ გთავაზობთ მასთან ინტერვიუს, სადაც რესპონდენტი სენსაციურ განცხადებას აკეთებს. მისი აზრით, შესაძლოა, არც არსებობდეს იგორ გიორგაძის თანამდებობიდან გადაყენების ბრძანება შევარდნაძის ხელმოწერით.

— მე ზუსტად ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ საეჭვოა, ასეთი დოკუმენტი არსებობდეს. იგორმა ტერაქტის შემდეგ თანამდებობიდან წასვლის შესახებ პრესკონფერენციაზე განაცხადა და დასძინა, რომ აპირებდა მოღვაწეობას პოლიტიკურ სარბიელზე. ამის შემდეგ იგი შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტის ავტორად მონათლეს, რათა ჩამოეშორებინათ პოლიტიკისთვის. ამისთვის არანაირ სიცრუეზე არ დაიხიეს უკან და ვისაც არ ეზარებოდა, ყველა ტერორისტად ნათლავდა და ნათლავს. ამიტომაც გადავწყვიტე, როგორც კი რომელიმე პოლიტიკური მოღვაწე ამიერიდან ჩემი მეუღლის მისამართით მსგავს ცილისწამებას გაიმეორებს, სასამართლოში ვაგებინებ პასუხს.



— *გამოდის, რომ თქვენ უკვე მიხეილ სააკაშვილის მიმართ აღძრავთ პირველ სარჩელს ამ ბრალდებით.*

— ამჯერად თავს ვიკავებ, მაგრამ ცილისწამების გამეორების შემთხვევაში ყველას მოუწევს პასუხისგება. ყველამ გაიგოს, რომ ეს ქვეყანა ჩალით არ არის დახურული. 8 წელია, უდანაშაულოდ გვდევნიან და ის ჯგუფი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში მოქმედებდა იგორის წინააღმდეგ, დღესაც აგრძელებს ჩვენს დევნას. საერთაშორისო საზოგადოებრიობა სულ მალე გაეცნობა სასამართლოს დასკვნებს იმის შესახებ, რომ იგორის წინააღმდეგ დღემდე არსებული ბრალდებები შეთითხნილი ცილისწამებაა.

— *ქალბატონო ქეთევან, იგორ გიორგაძე მოიაზრება, როგორც საქართველოს ხელისუფლებაში რუსეთისთვის სასურველი დასაყრდენი ძალა, რაც საქართველოს მოსახლეობას აღიზიანებს.*

— იგორს მინისტრობის დროიდანვე შესანიშნავი ურთიერთობები ჰქონდა, როგორც რუსეთთან, ისე ევროპის სხვა ქვეყნებთან, ასევე ამერიკასთანაც(?!). იგორს რუსეთის აგენტობაში მიზანმიმართულად სწამებენ ცილს. მე ჯერჯერობით, თავს შევიკავებ იმ პოლიტიკოსების დასახელებისგან, რომლებიც დაძვრებიან რუსეთში და სხვაგანაც და საკუთარი ინტერესების დასაცავად უცხო ძალებს ეძებენ. იგორს ყველას შესახებ აქვს ინფორმაცია(!). რას ნიშნავს პროამერიკული ან პრორუსული? იგორ გიორგაძეს შესანიშნავი ურთიერთობა აქვს ყველა ქვეყანასთან. რაც შეეხება ბრალდებას, რომ იგორი პრორუსული ორიენტაციისაა, ეს არის იმ ხალხზე გათვლილი, ვისაც რუსეთთან ურთიერთობა არ სურს...

— *როგორც ვიცი, იგორ გიორგაძეს მოუგვარებელი აქვს ყველა ის პროცესუალური საკითხი, რომელიც ხელს უშლის პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში, თუნდაც ის, რომ მას ბოლო ორი წელი საქართველოში არ უცხოვრია.*

— იგორ გიორგაძე ბოლო ორი წელი კი არა, უფრო დიდი ხნის მანძილზეც ცხოვრობდა საქართველოში, ზნაურის რაიონში. ამის დამადასტურებელი უამრავი დოკუმენტი აქვს. იგორი ძებნილი იყო და აშკარად რუსთაველის პროსპექტზე ვერ გამოჩნდებოდა. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებამდე სამხრეთ ოსეთში ჩასული იყო საქართველოს უშიშროების სამინისტროს ჩინოსანი, რომელმაც დაწერა პატაკი, რომ გიორგაძე ნამდვილად ცხოვრობს ზნაურის რაიონში. აღნიშნული პატაკი უშიშროების სამინისტრომ დამალა. ერთი სიტყვით, პრეზიდენტობის კანდიდატობისთვის რეგისტრაციის გავლაში ხელს არაფერი გვიშლის, თუ, რა თქმა უნდა, ცესკოს თავმჯდომარე არ მოექცევა ვინმეს ზეწოლის ქვეშ. თუ დემოკრატიაა, არც ჩვენ უნდა შეგვიშალონ ხელი. არადა, ცესკოში ჯერაც არ გვაძლევენ ფორმებს, რომლითაც 50 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერა უნდა წარვადგინოთ.

— *თუ რეგისტრაციაში გაატარებენ, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის კამპანიის დასაწყებად ჩამოვა იგორ გიორგაძე და არ შეეშინდება შეხვდეს ქართველ სამართალდამცავებს?*

— არავითარი პრობლემა არ არსებობს. ის ჩამოვა და სიმართლე გაირკვევა. თუ ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქვა, ქვეყანა წინ ვერ წავა.

— *ამ რვა წლის განმავლობაში სად იმყოფებოდით?*

— რუსეთის გარდა ყველგან. უამრავ ქვეყანაში, ხშირად საქართველოში.

— *როდის აპირებს ჩამოსვლას თქვენი მეუღლე?*

— მალე. საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად ჩამოვა და მყისვე პრესკონფერენციას გამართავს.

— *თუ მას რეგისტრაციაში მაინც არ გაატარებენ?*

— როდემდე? კანონით ვიბრძოლებთ და გავიმარჯვებთ.

***ეკა ლომიძე***







# საარმიო ციებ-ცხელება



რა ხდება თავდაცვის სამინისტროში?

არ ვარ მე კონტრრევოლუციონერი!..

ის, რაც ქვეყანაში მოხდა, ჯერჯერობით არ შეხებია „სახელმწიფოს სახელმწიფოში“, ანუ თავდაცვის სამინისტროს მრავალათასიან კოლექტივს.

არადა თავდაცვის სამინისტროში სწორედ იმგვარი ციებ-ცხელებაა, რაც ჩვენში 22 ნოემბრისთვის ტრიალებდა. ოფიცერთა და ზემდეგთა უმეტესობას სურს, რომ რევოლუციამ მათ მხარესაც გაიხედოს და თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის დღევანდელი გუნდი (და მისი განშტოებები) ისევე გაუშვას შინ, როგორც ოპოზიციამ პრეზიდენტი „გააცილა“.

მეორე ნაწილი, უმთავრესად მინისტრ თევზაძის მხარდამჭერები, ცხადია, ამის წინააღმდეგ ილაშქრებენ და ცდილობენ, ახალი ხელისუფლების თვალში პოზიციები განიმტკიცონ.

ამიტომ, ძალიან ძნელია იმის მტკიცება, რომ შეიარაღებული ძალები მაინცდამაინც კონტრრევოლუციას ჩაუდგებიან სათავეში ან რევოლუციონერებს ამოუდგებიან მხარში; ისინი, უბრალოდ, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებენ — ერთნი ყველაფერს გააკეთებენ, პოსტების შესანარჩუნებლად, მათი მოწინააღმდეგეები (რომელთა შორის უმთავრესად დასავლეთში სამხედრო განათლებამიღებული ახალგაზრდები მოიაზრებიან) კი ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რომ ახალ ხელისუფლებას თავდაცვის სამინისტროს დღევანდელი ხელმძღვანელობა შეაცვლევინონ.

სამხედრო ექსპერტობა არ არის საჭირო იმის გასააზრებლად, რომ ეს შინაარმიული „დუღილი“ კიდევ უფრო დასცემს ისედაც ნაკლებბრძოლისუნარიანი არმიის შესაძლებლობას, თანაც იმ დროს, როდესაც მოსკოვში სეპარატისტების წარმომადგენლები ერთმანეთს ხვდებიან...

მაგრამ, მეორე მხრივ, ის, რაც ბოლო წლებში ხდება თავდაცვის სამინისტროში, წინსვლად ნამდვილად ვერ ჩაითვლება, უარესი რომ არ ვუწოდოთ.

არმია განახლებას მოითხოვს. ოპოზიციის ძალების განსაზღვრული წრეები, ხელმძღვანელ პოსტებზე, უფრო კი გენერალურ შტაბში, თავდაცვის სამინისტროდან წასულ ვიცე-პოლკოვნიკ ნიკა ჯანჯღავასა და მისი გუნდის მოსვლას ვარაუდობენ.

ეს კი განსაკუთრებით აღიზიანებს მინისტრ თევზაძეს — იგი თვლის, რომ მისმა გაზრდილმა ჯანჯღავამ ამაგი არ დაუფასა.

ჯერჯერობით, ორთაბრძოლა ტელევიზიის ეკრანებსა და გაზეთების ფურცლებზე მიმდინარეობს.

მინისტრ თევზაძის ვოიაჟი ახალციხის, გორის, საჩხერის, ქუთაისის და ბათუმის სამხედრო დანაყოფებში შეიძლება დაინტერესებულმა მხარემ ისე გააშუქა, რომ მინისტრი ამ დანაყოფებს კონტრრევოლუციის დასაწყებად ამზადებდა, თუმცა მინისტრს სრული უფლება ჰქონდა, მოენახულებინა მისდამი დაქვემდებარებული სამხედრო ნაწილები.

თბილისში დაბრუნებული გენერალ-ლეიტენანტი თევზაძე ხაზს უსვამს, რომ შეიარაღებული ძალები საგარეო პოლიტიკის განმახორციელებელი სახელმწიფო ინსტიტუტია და ის არ ჩაერევა შინაპოლიტიკაში.

თუმცა, ამის პარალელურად, მისი მითითებით, გენშტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ბრიგადის გენერალი ვლადიმერ იმნაძე 28 ნოემბერს გამოსცემს №251 ბრძანებას, რომლის თანახმადაც, იწყება თავდაცვის სამინისტროს ხუთი მაღალჩინოსანი ოფიცრის, პოლკოვნიკების: ალექსანდრე დიასამიძის, სოსო ქარჩაიძის, გიორგი თავდგირიძის, ვიცე-პოლკოვნიკ ვ. გოგოლაძისა და მაიორ გიორგი ბლიაძის საქმეების სამსახურებრივი მოკვლევა. ისინი სწორედ ის ოფიცრები არიან, რომლებმაც 23 ნოემბერს აშკარად განაცხადეს, რომ იარაღს ხალხის წინააღმდეგ არ გამოიყენებდნენ და ოპოზიციას თანაუგრძნობდნენ. ზოგიერთი მათგანი მალე ოპოზიციის ლიდერების გვერდით სამხედრო ფორმით დაფიქსირდა.

თავდაცვის მინისტრი არ მალავს ამ ფაქტს და აცხადებს, — 5-6 კაცი იყო იქ, სადაც არ უნდა ყოფილიყო. მათ მიმართ დაიწყო სამსახურებრივი მოკვლევა და მასალებს პროკურატურას გადავცემთო.

არმია გაიყო, რადგან ზემოხსენებული ხუთი ოფიცერივით კარგა ხანია ფიქრობს თავდაცვის სამინისტროს ოფიცრებისა და ზემდეგების დიდი ნაწილი. ეს დღეს არ დაწყებულა.

ახალ ხელისუფლებაშიც კარგად ხვდებიან, რომ ქვეყნის მთავარ სამხედრო სტრუქტურაში ყველაფერი რიგზე ვერაა, მაგრამ დღეს თევზაძის გუნდის აბობოქრება ხელს არ აძლევს არც სააკაშვილს, არც ბურჯანაძესა და არც ჟვანიას. ჯერ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებია ჩასატარებელი, რის შემდეგაც ბევრი რამ უნდა შეიცვალოს, პირველ რიგში კი, არა მარტო თავდაცვის სამინისტროში, არამედ მთლიანად სამხედრო ძალებში უნდა განხორციელდეს არა მხოლოდ საკადრო, არამედ სიღრმისეული სტრუქტურული ცვლილებები.

# შევარდნაძის გადასარჩენად ივანოვს „ალფელები“ ჰყავდა ჩამოყვანილი

## ოპოზიციამ იზრუნა, რომ შეიარაღებული შეტაკებები არ მომხდარიყო

22-23 ნოემბრის მოვლენების დროს საქართველო სამოქალაქო ომის საშიშროების წინაშე იდგა.

ყოველ შემთხვევაში, შორიდან ასეთი შთაბეჭდილება რჩებოდა. თუმცა, როგორც თანდათან ირკვევა, ოპოზიციის ლიდერებმა თავიდანვე იზრუნეს იმისთვის, რომ კანცელარიისა და პარლამენტის დამცველებს ცეცხლი არ გაეხსნათ მომიტინგეებისთვის.



ამისათვის ოპოზიციის ემისრებმა, უმთავრესად ყოფილმა სამხედრო მოსამსახურეებმა, თავის დროზე შინაგანი ჯარებიდან უსაფუძვლოდ დათხოვილმა ოფიცრებმა, საერთო ენა გამონახეს კანცელარიის დამცველ კოლეგებთან. ჯერ ძნელია თქმა იმისა, რომ ამ საიდუმლო მოლაპარაკებების შემდეგ გაატარა თუ არა სულხან-საბა ორბელიანის ქუჩას მიმდგარი ოპოზიციის ტალღა ქუჩის გადამკეტმა შინაგანი ჯარების დანაყოფმა, მაგრამ ფაქტია, რომ კანცელარიის მცველი ძალოვნები არ აპირებდნენ იარაღის გამოყენებას, თუნდაც ეს შინაგან საქმეთა მინისტრს ან შინაგანი ჯარების სარდალს ებრძანებინა.

არადა სწორედ სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე მომიტინგეთა გასვლამ განაპირობა ოპოზიციის გამარჯვება, რადგან ამ ძალისმიერმა სვლამ ძალიან დააბნია სამართალდამცავები. რაც შეეხება იარაღს, მისი მარაგი, როგორც ამ მოვლენებამდეც ვვარაუდობდით, მართლაც ჰქონდათ კანცელარიის დამცველებს. მაგალითად, გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმს ის ავტობუსში ედო.

მაგრამ ეს სპეცრაზმელები ნამდვილად არ იყვნენ იარაღის გამომყენებლები, რადგანაც ხალხისთვის სროლას არ აპირებდნენ და რაც ასევე მნიშვნელოვანია, მათ რიგებში ოპოზიციის ლიდერების თანამოაზრეები იმყოფებოდნენ.

პრეზიდენტ შევარდნაძეს, ეტყობა, საგანგებოდ ჰყავდა გაფრთხილებული შს მინისტრი, იარაღი არ გამოეყენებინათ. თუმცა, როცა კანცელარიის წინ, მომიტინგეებმა ალყაში მოაქციეს შინაგან საქმეთა მინისტრი, ავტომატებითა და პისტოლეტებით შეიარაღებულ მის პირად დაცვას თავისუფლად შეეძლო გაეხსნა ცეცხლი იმ შემთხვევაში, თუკი მომიტინგეები ნარჩემაშვილს ხელყოფდნენ.

მეორე, არანაკლებ სერიოზული ინციდენტი შეიძლება მომხდარიყო 23 ნოემბრის საღამოს, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში, როდესაც პრეზიდენტ შევარდნაძეს ოპოზიციის ლიდერები, სააკაშვილი და ჟვანია, მიადგნენ კარს. პრეზიდენტის დაცვა წინ გადაეღობა ასევე შეიარაღებულ ოპოზიციის ლიდერთა მცველებს და პატარა გაწევ-გამოწევა ისევ სააკაშვილის ჩარევით შეწყდა.

საგულისხმოა, რომ იმ მომენტში იქ კიდევ ერთი შეიარაღებული ძალა იმყოფებოდა, რომელიც ცდილობდა, თავი არ გაემჟღავნებინა და ჩრდილში დარჩენილიყო.

თუმცა, მიუხედავად ამისა, ბევრმა შეამჩნია არაკავკასიური იერის რამდენიმე ახალგაზრდა კაცი. მათ მხარზე მოგდებული ჰქონდათ თითქოსდა საკრავი ინსტრუმენტების შალითები.

მაგრამ ცხადია, იმ სიტუაციაში სამთავრობო რეზიდენციაში მუსიკოსთა ყოფნა სრულიად უადგილო იყო. უბრალოდ, იმ შალითებში კლარნეტები და ვიოლინოები კი არა, სპეციარალი იყო შეფუთული, ხოლო მათი პატრონები — რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, იგორ ივანოვის მიერ ჩამოყვანილი რუსი სპეცრაზმელები გახლდნენ, სავარაუდოდ, ფედერალური უშიშროების სამსახურის ერთ-ერთი სპეციალური დანიშნულების რაზმის („ალფას“ ან „ვიმპელის“) წევრები. მათ ვინაობას ვერც გარეგნობით და ვერც სამოსით ვერ გამოიცნობდით.

ძნელი სათქმელია, ამ ყმაწვილებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ტემპერამენტიანი ქართველებისგან დაცვის გარდა, კიდევ რა კონკრეტული ამოცანა დაუსახეს მოსკოვში, მაგრამ სავარაუდოა, ევალებოდათ პრეზიდენტ შევარდნაძისა და მისი ოჯახის ფიზიკური დაცვა და აეროპორტამდე უსაფრთხო გადაყვანა, თუკი ამის აუცილებლობა შეიქნებოდა. აეროპორტში კი რუსულ დელეგაციას ბუმბერაზი Ил-62 ელოდებოდა (სწორედ იმიტომ, რომ საკონტინენტთაშორისო Ил-62-ს არ ეყოფოდა ასაფრენ-დასაფრენი ზოლი ბათუმის აეროპორტში დასაჯდომად, ივანოვი ბათუმში 23 ნოემბრის ღამეს ქართული Як-40-ით ჩაფრინდა, რითიც გაჩნდა ეჭვი, რომ ქართული თვითმფრინავით თავად შევარდნაძე აპირებდა თბილისიდან გაფრენას).

რუს სპეცრაზმელებს შალითებში ალბათ მაყუჩიანი სპეციარაღი ჰქონდათ, მათ შორის სნაიპერული შაშხანა BCC და სპეციალური ავტომატი AC-ი.

სხვათა შორის, როდესაც ზუსტად ათი წლის წინ გაჩნდა საშიშროება, რომ საქართველოს სახელმწიფო მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეიძლება ალყაშემორტყმულ სოხუმში ჩარჩენილიყო, კრემლმა შევარდნაძის გადასარჩენად სოხუმში გაგზავნა თავისი დამხმარე ძალა — საჰაერობალიშიანი საზღვაო ხომალდი „ზუბრი“. თუმცა, მაშინ ამ რუსულ ხომალდს ნაპირთან მიახლოების საშუალება არ მისცეს.

გარდა იმისა, რომ არსებობდა საფრთხე პრეზიდენტისა და ოპოზიციის დამცველებს შორის გაუგებრობა მომხდარიყო, კრწანისის რეზიდენციას მძიმე საბრძოლო ტექნიკაც იცავდა — ჯავშანტრანსპორტიორები და T-72 ტიპის ტანკიც კი. ეს უკანასკნელი შინაგანი ჯარების სარდლობამ კრწანისის რეზიდენციის ზემო მხარეს 1998 წლის 9 თებერვალს, პრეზიდენტზე განხორციელებული ტერაქტის შემდეგ, დააყენა, რადგან დაცვის სამსახურს ეშინოდა, რომ ახალი თავდასხმა უშუალოდ შევარდნაძის საცხოვრებელ სახლზე არ მოეწყოთ რეზიდენციის მახლობელი ფერდობებიდან.

მას შემდეგ, მიწაში ნახევრად ჩაფლული T-72-ის ეკიპაჟი ყოველთვის საგანგებო ნებართვას ითხოვდა ტანკის დასაქოქად და ლულის მოსაბრუნებლად, რათა საბრძოლო მანქანა უმოქმედობით არ დაჟანგულიყო. დაცვა რეზიდენციის მხარეს ლულის მიტრიალების ყველა მცდელობის სასტიკი წინააღმდეგი გახლდათ და შეიძლება არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან იქვე, საგუშაგოზე მდგარმა შინაგანი ჯარების ჯარისკაცმა ახალ წელს ავტომატის ჯერით პრეზიდენტის ოჯახი შეაშინა. ადვილი წარმოსადგენია, ასეთი ჯარისკაცი ტანკის ეკიპაჟში რომ ყოფილიყო, რას იზამდა...

# „ვინჩესტერს“ საიდუმლო ინფორმაციაც გააყოლეს

## ვის სჭირდებოდა ბათიაშვილის კომიტეტის აპარატის კომპიუტერი?

პარლამენტის შენობაში ოპოზიციის შესვლას სხდომათა დარბაზში ინვენტარის დამტვრევა მოჰყვა.

22 ნოემბრის ღამეს პარლამენტის სხვადასხვა სართულიდან საორგანიზაციო ტექნიკაც დაიკარგა.

მათ შორის ყველაზე შემაშფოთებელია პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის აპარატის ოთახის გაქურდვა, საიდანაც კომპიუტერის „ვინჩესტერი“ გაქრა.

ქურდებმა აპარატის ოთახის კარები შეამტვრიეს, იქ მდგარი კომპიუტერიდან „ვინჩესტერი“ ამოიღეს და ხელს იქვე დადებული კერძო პირის ნოუთბუქიც გააყოლეს.

შეიძლება ეს ჩვეულებრივ ქურდობად შეფასებულიყო, რომ არა ერთი ნიუანსი — თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის კომპიუტერის „ვინჩესტერზე“ მოთავსებული იყო როგორც საიდუმლო, ისე სამსახურებრივი მოხმარების ინფორმაცია.

„კვირის პალიტრამ“ ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის აპარატის უფროსს, ბატონ **ანდრო ბარნოვს:** — ვერ ვიტყვი, „ვინჩესტერი“ ოპოზიციის წარმომადგენლებმა წაიღეს იმის შიშით, რომ რაიმე საიდუმლო მასალები კომიტეტის წევრებს არ გაგვენადგურებინა. მე თავად ვიყავი ოპოზიციონერთა რიგებში და მათი პარლამენტში შესვლის შემდეგ ჩემს სამუშაო ოთახში ავედი, სადაც 24 ნოემბრის დილის 3 სთ-მდე დავრჩი, შემდეგ კვლავ პარლამენტის წინ ჩავედი მიტინგზე. როგორც ჩანს, ქურდებმა ამით ისარგებლეს და ოთახის კარი შეამტვრიეს.

საგულისხმოა, რომ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს აქვს რკინის გისოსებით დაცული ცალკე ოთახი, რომელშიც მდგარ სეიფში, ისევე, როგორც კომპიუტერში, მართლაც ყველაზე საიდუმლო ინფორმაცია ინახება, მათ შორის საქართველოსა და NATO-ს თანამშრომლობის შესახებ (სხვათა შორის, ლატვიის NATO-ში გაწევრების წინ ამ ქვეყნის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც მხოლოდ 50 სახელმწიფო პირს მიეცა უფლება, გასცნობოდა NATO-ს „სამზარეულოს“ საიდუმლოებებს).

პარლამენტიდან ამ „ვინჩესტერის“ მოპარვას შეიძლება წმინდა კრიმინალური საფუძველი ჰქონდეს, მაგრამ იმის გამო, რომ დაიკარგა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის საიდუმლო მასალები, ყოველთვის რჩება ეჭვი, რომ ამის უკან დგას ან უცხო ქვეყნის დაზვერვა, ან რომელიმე პარტიის აქტივისტი...

# სამხედრო კალეიდოსკოპი

## NATO დაფინანსებას გვიზრდის

### 22 ნოემბრის მოვლენებს NATO-ელი სამხედროებიც შეესწრნენ

თბილისის ცენტრში მიმდინარე „ყვავილოვან“ რევოლუციას, უამრავ უცხოელ ჟურნალისტთან ერთად, NATO-ს შტაბიდან გამოგზავნილი სამხედროებიც აკვირდებოდნენ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან NATO-ს თავისი დიდი ინტერესები გააჩნია სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ამჯერად კი, NATO-ელი სამხედროები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ საქართველოსთვის თანხების გამოყოფაზე საბრძოლო მასალებისა და რაკეტების უტილიზაციის პროგრამისთვის.

„კვირის პალიტრა“ ერთი თვის წინ წერდა იმის შესახებ, თუ როგორ აფინანსებს OSCE (ეუთო) ჭურვებისა და ავიაბომბების განადგურებას. ამჯერად უკვე NATO-ს უზრუნველყოფისა და მომარაგების დეპარტამენტი გამოყოფს 90 ათას ევროს მოსამზადებელი სამუშაოებისთვის (კერძოდ ფონიჭალაში რაკეტების საუტილიზაციო ბაზის შესაქმნელად), რომელიც საჭიროა სამასზე მეტი C-75 ტიპის საზენიტო რაკეტის გასაუვნებლად. ამ პროგრამაში ჩართულია სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა“.

გარდა ამისა, NATO 70 ათასი ევროს აპარატურას შეიძენს ქართული შპს „ჯანისთვის“, რომელმაც გაისად, აპრილიდან, განნაღმვითი სამუშაოები უნდა დაიწყოს ვაზიანის პოლიგონსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე. ეს ყველაფერი კი კეთდება ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის საფრთხის შესამცირებლად.

„კვირის პალიტრა“ ეცდება, მკითხველს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს იმის შესახებ, თუ კიდევ რომელი ქართული მიწები გაიწმინდა საშიში ასაფეთქებელი მოწყობილობების, უვარგისი რაკეტებისა და ბომბების ნარჩენებისგან...

## მინიატურული ბირთვული ბომბები — ბუნკერებისთვის

ახალი სამხედრო ბიუჯეტიდან, რომელიც 400 მლრდ დოლარზე მეტია, პენტაგონი 15 მლნ დოლარს დახარჯავს მინიატურული ბირთვული ბომბების შექმნის პროგრამისთვის.

15 მლნ დოლარი თითქოსდა „გროშებია“, მაგრამ პრაქტიკულად პენტაგონის ხელში შეიძლება აღმოჩნდეს ახალი, მართლაც საოცარი იარაღი, რომელიც ბევრ რამეს შეცვლის მსოფლიოში. ჰიროსიმასა და ნაგასაკში 1945 წელს ჩამოგდებული თითოეული ამერიკული ატომური ბომბის სიმძლავრე 20 კილოტონა ტროტილის ეკვივალენტი გახლდათ. 1962 წელს უკვე მოსკოვმა გამოსცადა 100 მეტატონა ტროტილის ეკვივალენტი სიმძლავრის თერმობირთვული ბომბი.

დღეს პენტაგონი სხვაგვარად იქცევა და სურს შეიარაღებაში მიიღოს 5 კილოტონა ტროტილის ეკვივალენტზე ნაკლები სიმძლავრის ატომური ბომბები. ამერიკელმა სამხედროებმა კარგად იციან, როგორ და სად გამოიყენონ ეს მინიატურული ბომბები, რომელთა მოთავსება პატარა დიპლომატშიც კი შეიძლება. ასეთი მცირე ზომის ატომური საბრძოლო ქობინით აღჭურვილი რაკეტა, რომელიც გლობალური სანავიგაციო სისტემის, GPS-ის, საშუალებით იმართება, 1-3 მ-ის სიზუსტით მოხვდება იმ მიწისქვეშა ბუნკერებს, რომლებიც დღესაც აფიქრებს თეთრ სახლს. სწორედ ასეთ მიწისქვეშა ბუნკერებს აფარებენ თავს საერთაშორისო ტერორიზმის ცნობილი თავკაცები. მიწაში ღრმად ჩაფლული სამალავის განადგურება ჩვეულებრივი, თუნდაც 9-ტონიანი საავიაციო ბომბებით, შეუძლებელია.

ამიტომაც პენტაგონი ეცდება, მინიატურული ატომური ბომბით გაანადგუროს ეს კარგად დაცული მიწისქვეშა თავშესაფრები. თუმცა, მეორე მხრივ, ატომური ასაფეთქებელი მოწყობილობების, თუნდაც ძალზე მცირე სიმძლავრის, ფართოდ გამოყენება გამოიწვევს სხვადასხვა რეგიონში რადიაციულ დაბინძურებას, რასაც ასე უფრთხიან ბუნების დამცველი ორგანიზაციები.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# წავიდეთ, სახლი დავუწვათ!

## კომენდანტის საათი და ქაოსი, რომელიც უკვე იყო...

ნინასწარ გამოძიებასა და სასამართლო პროცესზე დადასტურდა, რომ მომხდარი დანაშაულის ირგვლივ შეკრებილ მასალებში მხოლოდ აქა-იქ თუ რჩებოდა პატარ-პატარა კითხვის ნიშნები, რაც განსახილველი საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ, მაგრამ როცა სასამართლომ სამივე განსასჯელს სასჯელის უკიდურესი ზომა — დახვრეტა გამოუტანა, ერთმა მათგანმა, კობა ანდღულაძემ (გვარ-სახელები შეცვლილია) თავი ვეღარ შეიკავა და იღრიალა: „მაგ სასჯელს მხოლოდ რეზო კაკაჩია იმსახურებს, როგორც დანაშაულის ორგანიზატორი და მკვლელი. მე და ზაზა ნებიერიძე კი მხოლოდ იმისთვის უნდა დავისაჯოთ, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში მის გვერდით ვიყავით და მზად ვარ, ამასთან დაკავშირებით სასამართლოს ხელახლა მივცე ახსნა-განმარტებაო". იმ დღეს სიკვდილმისჯილის განცხადება აღარავის განუხილავს — ეჭვს არავისში იწვევდა ის, რომ მისი ნათქვამი სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით თავის მართლების მცდელობა იყო. თუმცა მოგვიანებით, როცა საქართველომ უარი თქვა სიკვდილით დასჯაზე, ანდღულაძესაც მოუსმინეს და ყველა კითხვასაც პასუხი გაეცა. ოღონდ ანდღულაძე-ნებიერიძის ნამოქმედარში სასამართლოს შემდგომმა სხდომამ მაინც ვერ აღმოაჩინა მათთვის შემამსუბუქებელი გარემოებები და სამივე ბოროტმოქმედს — 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

მტყუან-მართლის გარკვევის შემდეგ კი ასეთი სურათი გამოიკვეთა:

### დამშეული მგლები

არაფერია იმაზე ამაზრზენი სანახავი, ვიდრე „ლომკებში" ჩავარდნილი ნარკომანი და მიუხედავად იმისა, რომ უამისოდ რამდენადმე დაზარალდება გამოსაქვეყნებელი მასალა, ავტორისგან მეტისმეტი უტაქტობა იქნებოდა ამ სურათის აღწერა. ისე კი ვიტყვით, რომ ზღვისპირელმა რეზო კაკაჩიამ თავის მეგობრებთან, კობა ანდღულაძესა და ზაზა ნებიერიძესთან ერთად, სწორედ ე. წ. ნარკოტიკული შიმშილის გამო ჩაიდინა ის საშინელი დანაშაული, რომელზეც ქვემოთ გიამბობთ. მანამდე, მთელი კვირის განმავლობაში, კაკაჩია უფრო „მშვიდობიანი" გზით ელოდა „წამლის" მიღებას, მაგრამ როცა ნარკოტიკს შეჩვეული ორგანიზმი „ბალახეულით" ვეღარ დაიკმაყოფილა, იარაღს წამოავლო ხელი და ნარკოტიკზე მასავით თავგადამკვდარ მეგობრებს საყაჩაღოდ წასვლა შესთავაზა. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს მათი პირველი და უკანასკნელი ყაჩაღობა იყო, როგორც ამას განსასჯელები და მათი ადვოკატები ამტკიცებდნენ სასამართლო სხდომებზე. რუბრიკა „ვერსიის" ავტორს სანდო წყაროებზე დაყრდნობით, საფუძველი აქვს განაცხადოს, რომ სამეულის საავკაცო ნუსხაში კიდევ არაერთი შემზარავი დანაშაული ირიცხება, მაგრამ რაკი სასამართლო განაჩენში მხოლოდ ერთ, კონკრეტულ დანაშაულზეა ლაპარაკი, ჩვენც ჯერჯერობით ამით შემოვიფარგლებით.

მაშ, ასე: ანდღულაძემ და ნებიერიძემ სანადირო თოფები მოიმარჯვეს და ავტომატით შეიარაღებული ლიდერისაგან პირველი ინსტრუქცია მოისმინეს:

— გელა თირქიას დავეცემით ამაღამ. მართალია, ქალაქში კომენდანტის საათია გამოცხადებული, მაგრამ ნაშუაღამევს ყველანი იძინებენ და ჩვენც ვერავინ შეგვნიშნავს. კიდეც რომ დაგვინახონ, იქნება თვალიც კი აგვარიდონ. შარი არავის უნდა. იციან, ამ დროს უიარაღო კაცი გარეთ არ გამოვა. ჰოდა, რაკი გამოდის, ესე იგი, ამის შნოც აქვს და რად უნდა იმ ვიღაცას აყალმაყალი? ღამე არ გავა, ერთი-ორი კაცი რომ არ მოუკლან მაგათ. ასე რომ, მაინცდამაინც დიდი საფრთხე არ გვემუქრება. აი, თვითონ თირქია კია საშიში — ფაშისტია. ყაჩაღობით იშოვა ქონება. აბა, ისე ვინ მისცემდა ამდენ ფულსა და ბრილიანტს? ნამეტანი საშიში კაცია და იმიტომაცაა, აქამდე რომ ვერავინ შეჰბედა მის ეზო-კარს, თორემ ხომ ხედავთ, აღარავინ დარჩა ჩვენს ქალაქში დაუყაჩაღებელი... შევთანხმდეთ, თუ საქმეზე დავიწვით, ერთმანეთს არ ვიცნობთ — გვიან ღამით სათითაოდ მივედით ციგნების დასახლებაში სიგარეტის საყიდლად და როცა უკან ვბრუნდებოდით, ჩვენკენ მომავალი საპატრულო მანქანა შევნიშნეთ, რაკი ვიცოდით, კომენდატურაში წაგვიყვანდნენ, პირველსავე ეზოში შევცვივდით. იმ ოჯახის პატრონმა კი ყაჩაღებად მიგვიღო და რაც მოხდა, სულ იმის მიზეზით იყო-თქო, ვიტყვით.

— არ მეგონა, თუ ასე ფრთხილი იყავი, რეზო. მე ახლა დაჭერაზე კი არა, იმაზე ვფიქრობ, როდის ვაქცევთ თირქიას ბრილიანტებს წამლად, რომ ცოტა ამოვისუნთქო, თორემ ერთი-ორი დღეც და შეიძლება ვენები გადავიჭამო. ამიტომაც არც კომენდატურის მეშინია და მით უმეტეს, არც გელა თირქიასი. დროზე დავიძრათ, თორემ გავთავდი და ესაა, — მოკლედ მოჭრა კობა ანდღულაძემ და მანქანის კარი გამოაღო.

ზაზა ნებიერიძის „ჟიგული" ისე გაუყვა მკვდარი ქალაქის ქუჩებს, როგორც ნაბდით ფეხამოკრული ფაშატი. ძრავის ხმაც კი არ ისმოდა თითქოს. ჩაბნელებულ ქალაქში უკვე მამლები ყიოდნენ.

თირქიას სახლიდან მოშორებით გააჩერეს მანქანა და ვიწრო ჩიხს ფეხით გაუყვა სამეული. თუმცა ჩქამი რა არის, ისიც არ გამოჰპარვია მათ მასპინძელს. ამ საყოველთაო განუკითხაობისას უძილობა დასჩემებოდა გელას და ახლაც ფხიზლობდა. ფულისა და ბრილიანტების რა გითხრათ, მაგრამ ქურდი და ყაჩაღი მის სახლში წასაღებს ნამდვილად იპოვიდა. ათწლეულების განმავლობაში შეძენილ ქონებასა და ოჯახს, თავისი კაცობის ღირსებას დარაჯობდა გელა. მართალია, მანქანა მისი სახლიდან მოშორებით გაჩერდა, მაგრამ არც ეს იყო დიდი შეღავათი. ხვდებოდა, მისი მგზავრები საკაიკაცოდ არ გამოვიდოდნენ ასეთ



> აცალა მასპინძელმა სტუმრებს ეზოში „შემობრძანება". ამ წუთში ქონების დაცვაზე აღარ ფიქრობდა და ერთიანად კანკალებდა, მაგრამ შიშის გამო კი არა (შიში არ სჩვეოდა გელას), ის ვერ აეტანა, მის ღირსებას რომ თელავდნენ, თანაც აქაურები, უეჭველია, მისივე ნაცნობები. ამიტომაც ადროვა და ეზოში შემოიტყუა, აქედან ვეღარ წაუვიდოდნენ. აქ თვითონ იყო ბატონ-პატრონი და მოვლენების შემდგომ განვითარებასაც თვითონვე წარმართავდა, თოფი შემართა და მომხდურებს იარაღის დაყრა უბრძანა.

დროს. მით უმეტეს, როცა ქალაქში კომენდანტის საათი იყო დაწესებული. ახლა აღარც ის ეეჭვებოდა, რომ საავკაცოდ გამოსულებს მიზანში მისი სახლი ექნებოდათ ამოღებული, რადგან მის სამეზობლოში კარგა ხანია აღარავინ დარჩა დაუყაჩაღებელი. გელას აქამდე ვერაფერს უბედავდნენ, იცოდნენ, ასე იოლად ვერ მიაყენებდნენ კედელთან, არც შეურაცხყოფას აპატიებდა მომხდურთ, რომელთა შორის უცხო არასდროს გარეულა — მხოლოდ აქაურები აყაჩაღებდნენ აქაურებს.

საწოლიდან ისე წამოდგა, თავისიანებისთვის ძილი რომ არ დაეფრთხო. ტანთ გადაიცვა, მერე იქვე, კუთხეში მიყუდებული ორლულიანი სანადირო თოფი დაითრია, თაროდან რამდენიმე ჟაკანის ტყვია აიღო, აივანზე ფეხაკრეფით გავიდა და მარცხენა მხარეს, ბნელ კუთხეს აეკრა. აქ მთვარის შუქი ვერ აღწევდა და თავს უფრო დაცულად გრძნობდა. ცოტაც და სახლისკენ მომავალი სამი ლანდი შენიშნა. ისე მოდიოდნენ, თითქოს ფეხსაც არ აკარებდნენ მიწას.

ხომ დარწმუნებული იყო გელა, რომ მაინცდამაინც მასთან მიდიოდნენ, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც უკიაფებდა იმედის პატარა ნაპერწკალი — ხომ შეიძლება ადამიანებს სხვა საქმეც გასჩენოდათ ამ უდროო დროს. ქურდებისა და ყაჩაღების გარდა, სხვებიც ხომ ცხოვრობენო ამ ქალაქში... მაგრამ, როგორც კი ლანდები მის ჭიშკარს გაუსწორდნენ, იმწამსვე უარყო ეს აზრი. ხმა კი არ გაუგია, სხეულით იგრძნო, როგორ მოსინჯა ერთ-ერთმა ჭიშკრის საკეტი. რადგან გელას საიმედოდ ჰქონდა ჩაკეტილი ჭიშკარი, მომხდურებს მაღალ მესერზე გადასვლა არ გასჭირვებიათ. აცალა მასპინძელმა სტუმრებს ეზოში „შემობრძანება". ამ წუთში ქონების დაცვაზე აღარ ფიქრობდა და ერთიანად კანკალებდა, მაგრამ შიშის გამო კი არა (შიში არ სჩვეოდა გელას), ის ვერ აეტანა, მის ღირსებას რომ თელავდნენ, თანაც აქაურები, უეჭველია, მისივე ნაცნობები. ამიტომაც ადროვა და ეზოში შემოიტყუა, აქედან ვეღარ წაუვიდოდნენ. აქ თვითონ იყო ბატონ-პატრონი და მოვლენების შემდგომ განვითარებასაც თვითონვე წარმართავდა, თოფი შემართა და მომხდურებს იარაღის დაყრა უბრძანა. მოპირდაპირე მხარეები ერთმანეთისგან ათითორმეტი მეტრით იყვნენ დაშორებული. გელა თირქიას ხმის გაგონებაზე სამეული ადგილზე გაიყინა. მართალია, მასპინძლისგან წინააღმდეგობას ელოდნენ და ამისათვის შემზადებულიც იყვნენ, მაგრამ ის კი ვეღარ განსაზღვრეს, თუ თირქია დაასწრებდათ. საბრძოლო პოზიცია მას აშკარად უკეთესი ჰქონდა. მით უმეტეს მანამ, ვიდრე გაარკვევდნენ, სიბნელის გარდა, კიდევ რა იფარავდა მასპინძელს. ახლა კი, გელა თუ მოინდომებდა, სამივეს დახოცავდა და პასუხსაც არაფერზე აგებდა — იტყოდა, იარაღიანი ხალხი დამესხა თავსო და მართალიც იქნებოდა. მაგრამ მათი დახოცვა ნამდვილად არ უნდოდა, არც ის უფიქრია, შეიძლება მესროლონო. რატომღაც დარწმუნებული იყო, ამას ვერ გამიბედავენო და გაქვავებულ მომხდურებს ერთხელ კიდევ გაუმეორა, იარაღი დაყარეთო. რეზო კაკაჩიამ მისი ხმის მიხედვით განსაზღვრა გელას ადგილსამყოფელი და ავტომატის მოკლე ჯერი მიუშვა იქით. იმწამსვე გელას თოფმაც იქუხა და ფეხში დაჭრილი კაკაჩია მოცელილივით გაგორდა მიწაზე. ამის შემხედვარე კობა ანდღულაძემ და ზაზა ნებიერიძემ თოფები გადაყარეს და ხელები მაღლა ასწიეს, რითაც ამჯერად უკვე კიბის თავში, მთვარის შუქზე გამოსულ გელას ანიშნეს, დაგნებდითო. თითქოს ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ უეცრად ეზო გაანათა ავტომატით გელას მიმართულებით გახსნილმა ცეცხლმა და თირქია ჩაიკეცა. რეზო კაკაჩია გამეტებით ისროდა. სახლიდან ქალისა და ბავშვების კივილი გაისმა. მომხდურებმა დრო იხელთეს — ჭიშკარი გაალეს, ზურგზე წამოიკიდეს დაჭრილი თანამოძმე და იქაურობას გაეცალნენ.

### რისხვად შეკრული მუშტი

შიშისაგან დაზაფრულმა მეზობლებმა გათენებამდე ვერ გაბედეს გარეთ გამოსვლა. დილის შუქმა რომ იმძლავრა, თირქიას ეზო კი არა, ახლომახლო გასასვლელებიც ხალხით აივსო. აშკარად ჩანდა, გაუსაძლისი ყოფით გულდამძიმებულ ადამიანებს მოთმინების ფიალა ავსებოდათ და ახლა ამდენ ხანს ნაგროვებმა რისხვამ ამოხეთქა. მთელი უბანი ზანზარებდა. გამძვინვარებულ ხალხს ერთი ადგილობრივი გამგეობის შენობის აღებისაკენ მოუწოდებდა, მეორე პოლიციისა და პროკურატურის დარბევისაკენ. ერთმა ისიც კი თქვა: ვიდრე მკვლელებს არ დაიჭერენ, მოკლული ქალაქის მთავარ მოედანზე დავასვენოთო და დანარჩენებიც თითქოს დაეთანხმნენ, რომ მეზობელი ჩიხიდან ისეთი კივილი მოისმა, იფიქრებდით, იქაც ვიღაცას კლავენო. თუმცა მალე გაირკვა, რომ ერთ-ერთი მოსახლის, მეგონა დარჩიას ეზოში სისხლიანი ნაკვალევი უნახავთ და ამტკიცებდნენ, ეს დაჭრილი ყაჩაღის სისხლი უნდა იყოსო, მაგრამ ვისთვის უნდა ეკითხათ, სახლში ათი წლის გოგონასა და მის იმედად დატოვებული რამდენიმე თვის ჩვილის მეტი არავინ იყო. მეზობლებმა იცოდნენ, რომ აქ მარტოხელა, ბავშვებიანი ქალი ცხოვრობდა, მაგრამ სად უნდა წასულიყო ქალი ამ დილაუთენია?

— პატარას საჭმელი გაუთავდა და ბაზარში წავიდა ფაფის საყიდლად, — ძლივს ამოღერღა უფროსმა გოგონამ და დამფრთხალი მიაჩერდა სტუმრებს. ამ დროს გარეთ ვიღაცამ დაიძახა — მოვიდა, მოვიდაო და ვიდრე საქმეში მამაკაცები ჩაერეოდნენ, მომხდარის გამო აღშფოთებულმა ქალებმა ბავშვების დედა ფეხქვეშ გაიგდეს. ერთმა მათგანმა იქვე ეზოში მიგდებულ მოზრდილ ქვასაც წამოავლო ხელი — ჩავქოლოთ! — იყო ქალების ერთსულოვანი გადაწყვეტილება და აშკარად ჩანდა მათი შეკავება გაჭირდებოდა, მაგრამ სამეზობლოში სიდარბაისლით გამორჩეული გერონტი თვალაძე გადაეღობა წინ ქალებს: — კი, ბატონო, ჩავქოლოთ. იქნებ იმსახურებს კიდეც, მაგრამ ჯერ ვკითხოთ, ვისია ეს სისხლი. ასე უბრალოდ ხომ არ გავიმეტებთ ორი შვილის დედასო. თავპირდასისხლიანებულმა ქალმა რაკი გაიგონა, ვიღაცას ჩემი მოსმენა უნდაო, სასოწარკვეთილმა იკივლა — სისხლი არ ვიცი ვისია. დაჭრილს და მეორეს ვერ ვიცნობ, მაგრამ ეგენი ჩემთან კობა ანდღულაძემ მოიყვანა. კობა დეიდაჩემის მეზობელია, ციგნების ბაზართან ცხოვრობს. მითხრა — მეგობარი ყაჩაღებმა დაგვიჭრეს და შესახვევი გექნება რამეო. დილის ექვსი საათი იყო. ამ დროს ბავშვს ვაჭმევ ხოლმე და არ მეძინა. ოთახში ისე შემოვიდნენ, არც გამიგია. დაჭრილს სამხედრო ქურთუკი ეცვა. ხელში კი ავტომატი ეჭირა. კობა და ის, მეორე, თოფებით იყვნენ. სახლში ბინტი არ მქონდა და ძველ ზეწარს ჩამოვახიე ნაჭერი. ფეხი თვითონ შეიხვია დაჭრილმა, თქრიალით მოსდიოდა სისხლი.

— რას ვერჩით ამ ქალს, წავიდეთ და ის გარეწარი კობა ანდღულაძე ვეძებოთ. დანარჩენი ორის ვინაობასაც ის გვეტყვის... საით წავიდნენ მკვლელები, — მიუბრუნდა გერონტი ქალებს.

ის მეორე გავიდა და რამდენიმე წუთში თეთრი „ჟიგულით" დაბრუნდა. ალბათ აქვე, ახლოს, ჰყავდათ გაჩერებული. მერე ქვემოთ დაუყვნენ...

კობა ანდღულაძის სახელის გაგონებაზე უფრო აბობოქრდა ხალხი. ყველამ იცოდა, ნარკომანი და ქურდბაცაცა რომ იყო, მაგრამ კაცის მოკვლასაც თუ გაბედავდა, თანაც ისეთის, როგორიც გელა თირქია იყო, ნამდვილად ვერ წარმოიდგენდნენ. ვიღაცამ ისევ იღრიალა — წავიდეთ, სახლი გადავუწვათო, მაგრამ ისევ ბატონმა გერონტიმ იმარჯვა — ჯერ მისი ორი მხლებელიც მოვნახოთ და მაგას ყოველთვის მოვასწრებთო. ამასობაში ქალაქის კომენდატურის ხალხიც მოვიდა და ანდღულაძის ძებნას შეუდგნენ, მაგრამ...

### ხაფანგში

ჭრილობის შეხვევის შემდეგ რეზო კაკაჩიას სისხლდენა კი შეუწყდა, მაგრამ წვივის ძვალი ისე ჰქონდა დამსხვრეული, ქირურგის მეტი ვერავინ უშველიდა. თუმცა ვინ დადებდა ახლა თავს ამ მამაძაღლი ნარკომანის გულისთვის, როცა შუადღემდე ყველამ შეიტყო გელას მკვლელობა და ქალაქი ერთიანად აზანზარდა. მეგონა დარჩიასგან წამოსულმა დაჭრილმა და მისმა ძმაკაცებმა ჯერ რეზოს მშობლებთან შეიარეს. რეზომ შინ ავტომატი დატოვა და თავისიანები გააფრთხილა — თუ ვინმემ მიკითხოს, თბილისში ვარ წასულიო. მერე მკვლელი მეზობელ სოფელში, ერთ თავიანთ ნაცნობთან გადაიყვანეს ანდღულაძემ და ნებიერიძემ. „წამალი!", კვნესოდა, კბილს კბილზე აცემინებდა და ცივი ოფლი ღვარივით სდიოდა რეზოს.

— მითხარი, ბიძიკო, რომელი წამალი გინდა და ახლავე გავიქცევი ქალაქში... — მასპინძელი დაჭრილის ცოდვით აღარ იყო. მით უმეტეს, როგორც მისმა თანამგზავრებმა უთხრეს, ბანდიტებთან ბრძოლაში დაიჭრა რეზო და ახლა ალბათ მოსაკლავად ეძებენ. ამიტომ ვერ მიგვყავს საავადმყოფოშიო.

— წამალი! — ისევ გმინავდა დაჭრილი და მთელი სხეული უცახცახებდა.

— რაღაცა უნდა ვუშველოთ, თორემ ასე მოკვდება კაცი... — გადაწყვიტა მასპინძელმა და რეზოს მეგობრებს მიუბრუნდა, მაგრამ გაოცებისაგან იმავწამს ენა ჩაუვარდა. ანდღულაძეც და ნებიერიძეც ზუსტად ისეთივე დღეში იყვნენ.

— ეტყობა, გაცივებული ხართ და აჯობებს, ოფლი მოიდინოთ სამივემ. ახლავე ბუხარს შევუკეთებ... — და მარტოხელა მასპინძელი ეზოში გავიდა შეშის დასაჩეხად.

— როგორმე მანქანაში შემათრიეთ და აქაურობას გავეცალოთ, სანამ ეს კაცი შეიტყობდეს, რაც გვჭირს. გაღმა სოფელში ავიდეთ, ჩაგანავებთან, მოსაწევი მაინც ექნებათ... — ძლივს ამოთქვა რეზომ და ბალიშზე მიესვენა. როდის-როდის მოერივნენ თავს კობა და ზაზაც. ბუხარი უკვე გუგუნებდა, მასპინძელს რომ დაემშვიდობნენ — არ ღირს აქ გაჩერება. იმ ბანდიტებს, ჩვენ რომ გვესროლეს, პოლიციასა და პროკურატურაში თავისი ხალხი ჰყავთ. უეჭველად მოგვაგნებენ. აქაურობას უნდა გავერიდოთ. სულაც თბილისში წავალთო...

უკვე ბნელდებოდა, თეთრი „ჟიგული" სოფლის თავდაღმართს რომ ჩაუყვა. მერე თბილისის კი არა, მეზობელი სოფლის გზას დაადგნენ... ნარკოტიკების შოვნის იმედით.

ბარე ოთხი თუ ხუთი ოჯახი გამოიცვალეს მკვლელებმა იმ ორ დღეში, ვიდრე მათ კვალს პოლიცია-კომენდატურასთან ერთად მთელი ქალაქი ეძებდა. მესამე დღეს დაიჭირეს და, როგორც შეთანხმებული იყვნენ, სამივემ ერთნაირი ტექსტი ჩააბულბულა:

— სიგარეტის საყიდლად ვიყავით, კომენდატურის მანქანა დავინახეთ. შეგვეშინდა და თირქიას ეზოში გადავხტით. იმას კი ყაჩაღები ვეგონეთ და ცეცხლი გაგვიხსნა. რეზოს ბიძამისის ნაჩუქარი სანადირო თოფი ჰქონდა, ალალბედზე ისროლა და ოჯახის პატრონი მოკლა... — არ დაუჯერეს. მთელი ეზო ავტომატის ცარიელი მასრებით იყო სავსე. გვამიც ერთიანად იყო დაცხრილული და ამ ზღაპარს ვინ დაიჯერებდა? მაგრამ საწინააღმდეგო რომ ემტკიცებინათ, მკვლელობის იარაღი იყო საჭირო.

— ეგ იმ ავტომატს სახლში დატოვებდა, ვიცნობ მე მაგას. ათი წელი ერთ მერხზე ვისხედით. დედ-მამაც მაგისთანა „შავები" არიან. თუმცა მგონი ჩემი რიდი უნდა ჰქონდეთ. დღესვე დაველაპარაკები... — განაცხადა ქალაქის კომენდანტმა. რეზო კაკაჩიას მისი ხელით დააწერინეს მშობლებთან მისატანი წერილი — ამის მომტანს ჩემი ავტომატი გამოატანეთო და ვიდრე ისინი შვილის დაჭერას შეიტყობდნენ, ქალაქის კომენდანტი მკვლელის მშობლებს მიადგა. ერთი საათის შემდეგ კი პოლიციაში დაბრუნდა. კაკაჩიას ავტომატი სამმართველოს უფროსს დაუდო მაგიდაზე და ჩაილაპარაკა: — აი, ეს გახლავთ თირქიას მკვლელობის იარაღი და მგონი გამოსარკვევიც აღარაფერი დარჩა ამ საქმიდან. აწი თქვენ იცით, მე წავედი...

P.S. მერე იყო, სიკვდილმისჯილთა საკნებიდან ერთმანეთს რომ აგინებდნენ გუშინდელი მეგობრები: რეზო კაკაჩია და კობა ანდღულაძე — არა შენი ბრალი იყო ჩვენი დაჭერა, არა — შენიო. მერე რეზოს მშობლებმაც გადათქვეს — ავტომატი ჩვენ არ მიგვიცია კომენდანტისათვის. ასეთ ჩვენებაზე თუ ხელს ვაწერთ, ეს იმის ბრალია, რომ მაშინ თან სათვალე არ გვქონდა და გამომძიებელს ვენდეთო. თუმცა აქედან არაფერი გამოვიდა. მეტისმეტად ბევრი მტკიცებულება შეგროვდა მკვლელების წინააღმდეგ.

*ვაჟა გავაშელი*

# კი, მარა „კმარა“ არ კმარა?!



დემოკრატიის ახალი ერა ახალი წინააღმდეგობებით დაიწყო. „ვარდების რევოლუციას“ ხავერდოვანი არეულობა ჩაენაცვლა. ორგანიზაცია „კმარას“ აქტივისტებმა საბრძოლო ფრონტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადაიტანეს, თუმცა მათი ულტიმატუმის საფუძველზე თსუ რექტორის, როინ მეტრეველისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანის, ნუგზარ ფოფხაძის გადადგომას სერიოზული უთანხმოება მოჰყვა. სტუდენტების ერთი ნაწილი კატეგორიული წინააღმდეგობით შეხვდა „კმარას“ ულტიმატუმს და ორგანიზაციის წარმომადგენელთა არაკანონიერი ქმედება საპასუხო აქციებით გააპროტესტა. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა მეორე ნაწილი როინ მეტრეველის მხარდამჭერ აქციას პრინციპულად არ უერთდებოდა, აქციის მონაწილენი აცხადებდნენ, რომ ეს არ იყო რექტორის ან რომელიმე დეკანის მხარდამჭერი გამოსვლა. ეს იყო ლოგიკური რეაქცია იმ არასამართლებრივ ქმედებებზე, რომლებიც ე. წ. რევოლუციის შემდგომ პერიოდში ხორციელდებოდა — ჯერ მასმედიის, შემდეგ კი უნივერსიტეტის წინააღმდეგ. ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა წვრილმანი, პიროვნული ანგარიშსწორებებით კი არა, მნიშვნელოვანი, ქვეყნისთვის სასიცოცხლო საკითხების გადაწყვეტით უნდა დაიწყოს. ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, მერაბ ბალარჯიშვილი, „კმარას“ აქტივისტებს „მარბიელთა რაზმებს“ უწოდებს. „ძალადობრივი ზემოქმედების ამ სამარქაფო ჯგუფებს შეუძლიათ ხალხი მათთვის არასასურველ პირებს მიუქსიონ. ეს არაკანონიერი ქმედებაა. რაც მთავარია, ყოველივე ამის იქით საშიში ტენდენცია იკვეთება, — რაღაცის წინააღმდეგ შემუშავებული ტაქტიკა თუ სტრატეგია... ამგვარი ქმედებები სახელმწიფო პოლიტიკის წარმმართველ ძალად არ უნდა იქცეს.“

იურიდიული ფაკულტეტის დეკანი რომან შენგელია აღნიშნავს, რომ „უნივერსიტეტის, როგორც ავტონომიური დაწესებულების, შინასაქმეებში ჩარევა დაუშვებელია, როგორც ხელისუფლების, ისე სხვადასხვა ორგანიზაციის მხრიდან. უმაღლესი სასწავლებელი პოლიტიკური პარტიების დასასჯელი დაწესებულება არ არის“.

ცხადია, რომ „კმარას“, რბილად რომ ვთქვათ, წინდაუხედავი ქმედება, რომელიც უნივერსიტეტის რექტორის დაუყოვნებლივ გადაყენებას ითვალისწინებდა, საზოგადოების დიდმა ნაწილმა აღიქვა (სამართლიანადაც), როგორც ძალადობრივი აქტი. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის, ნიკა ქავთარაძის თქმით, „ძალადობა, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს, სულერთია, მაინც დღევანდელ ხელისუფლებას დაჰბრალდება“. ასე რომ, წესრიგისა და კანონიერების დაცვა, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების ინტერესებში შედის. მან უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, რომ „კმარაც“ და ნებისმიერი სხვა ორგანიზაციაც მოქმედებდეს (აუცილებლად) სახელმწიფოებრივი მიზნებიდან გამომდინარე და არა — შუღლის გაღვივებისა და დაპირისპირებისთვის.

სტუდენტებთან დაპირისპირების მიუხედავად, „კმარას“ წევრთა პოზიცია ერთმნიშვნელოვანია. კერძოდ, უნივერსიტეტის დიდი საბჭო, რომლის მიერაც არის როინ მეტრეველი არჩეული, არალეგიტიმური ორგანოა და, შესაბამისად, მეტრეველიც არაკანონიერად არჩეული რექტორია. „კმარას“ ძირითადი არგუმენტი, რომ უნივერსიტეტში კორუფციული სისტემაა, თითქმის არავისთვის არის საკამათო (რაზეც უთუოდ პირველი პირები აგებენ პასუხს), მიუხედავად ამისა, არსებობს კორუფციასთან ბრძოლის კანონიერი საშუალებები — გასაჩივრება, რექტორის გადარჩევა და ა.შ. ასე რომ, მიუხედავად უნივერსიტეტში არსებული კორუფციისა, ამჟამად ლაპარაკი უნდა იყოს იმაზე, რომ რევოლუცია დამთავრდა და დაიწყო დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი. ეს პროცესი არამც და არამც არ უნდა დაიწყოს კარის აჭედვით და ქუჩის აქციებით (რაც ვფიქრობთ, ცუდად დამთავრდება). უნივერსიტეტის ეზოში სააკაშვილის მისვლამ სიტუაცია უდავოდ განმუხტა, თუმცა ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ სახელოვანი ლიდერი პირველად აღმოჩნდა ისეთ სიტუაციაში, როდესაც სტუდენტებმა უკმაყოფილების გამომხატავი შეძახილებითა და ყიჟინით უპასუხეს მის გამოსვლას. სააკაშვილი თავის პირველ (საჭირო) დათმობაზე წავიდა და პირობა დადო, რომ ამიერიდან უნივერსიტეტის ავტონომიას ვერავინ შეეხება, რამაც მომიტინგეთა დადებითი რეაქცია გამოიწვია და „გადაყენებული“ რექტორიც თანამდებობას დაუბრუნდა. იმედი ვიქონიოთ, რომ უნივერსიტეტში დღეს არსებულ დარღვევებს, მოძველებულ სისტემას ახალ სახელმწიფოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები თავისთავად ალმოფხვრის, რაც კანონზომიერი და აუცილებელია. ეს ცვლილებები კი წესისა და კანონის მაქსიმალური დაცვით უნდა განხორციელდეს. ასე რომ, კმარა „კმარას“ „საქმენი საგმირონი“. დროა, მივეჩვიოთ სამართლებრივ სახელმწიფოში ცხოვრებას.

***ქეთი მაღალაშვილი***
***თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის***
***IV კურსის სტუდენტი***




# რევოლუციასთან ერთად საქართველოდან ევროპის ბანკებისაკენ მილიონობით დოლარი დაიძრა(!)

## რატომ ყიდულობს ჯონი გიგანი ბერძნულ საფეხბურთო კლუბს?!

**(დასაწყისი იხ. გვ. 5)**

**— თუ ბიზნესიდან მოგება არ გაქვთ, მაშინ როგორ იყიდეთ საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი?**

— მე ვთქვი, რომ მოგებას საქართველოში არსებული ბიზნესიდან ვერ ვღებულობ, თორემ სხვა ქვეყნებში, სადაც ბიზნესის სხვადასხვა სფეროში ვარ ჩაბმული, საქმე კარგად მიდის... ამდენ ლაპარაკს ჯობს დავიცადოთ და დაველოდოთ იმ დადებით შედეგს, რომელსაც ბერძნული საფეხბურთო კლუბი მოიტანს. მერწმუნეთ, ჩემი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ეს არის...

გიგანთან საუბრის შემდეგ ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსს **ვახტანგ მაჭავარიანს:** „ჩვენი სამსახურის მთავარი მიზანია ფულის „რეცხვის“ წინააღმდეგ ბრძოლა, ანუ უკანონო არალეგალური ბიზნესითა და სხვადასხვა ფინანსური მაქინაციით მიღებული ფულის გათეთრება, ანუ დაკანონება. კანონი არ კრძალავს კაპიტალის სხვა ქვეყანაში დაბანდებას. მხოლოდ ნაღდი ფულის გატანა არის შეზღუდული, ამიტომ გიგანს შეეძლო თავისი სახსრებით გუნდის ყიდვა. საინტერესო ის არის, რა ფულით შეიძინა მან გუნდი, ხომ არ იყო საკონტროლო აქციების შესყიდვა ფულის გათეთრების ხერხი? სხვათა შორის, სპორტულ სამყაროში ეს გავრცელებული მეთოდია. იგივე შეიძლება ითქვას მაქინაციებზე ტოტალიზატორის მეშვეობით. ფულის გათეთრების რამდენიმე ათეული ხერხი არსებობს, მაგრამ ვერ გაგიმხელთ. მხოლოდ სქემატურ მაგალითს მოგიყვანთ: ფულის პატრონი გაურიგდება ტოტალიზატორის მფლობელს და ვითომ მილიონებს იგებს... ყველაზე მარტივი ხერხი გაგანდეთ, არსებობს უფრო დახვეწილი და რთული სქემებიც“.

P.S. შესაძლოა ჯონი გიგანს მართლაც ქართველი ფეხბურთელებისა და მწვრთნელების დახმარება სურს, მაგრამ ერთი რამ არის საინტერესო, რატომ დაიწყო მაინცდამაინც ახლა საქართველოდან ფულის მასების დიდი რაოდენობით გადინება, ჩვენს საკეთილდღეოდ?!

***ზვიად ჩაკვეტაძე***



# წყალსაც ვყიდით?! ჰაერის ჯერი როდის დადგება, ჰაერის!



ამ სიმდიდრესაც გვართმევდნენ

## პროექტი, რომელსაც უმალავდნენ საქართველოს მოსახლეობას

რამდენიმე თვის წინ „კვირის პალიტრამ“ დედაქალაქის სასმელი წყლით მომარაგების პრობლემას ვრცელი კრიტიკული სტატია მიუძღვნა. მასში სხვადასხვა კომპეტენტური პირის კომენტარებზე დაყრდნობით გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ ფრანგული კომპანია „ჯენერალ დეზო“, რომელსაც „თბილწყალკანალის“ მართვის უფლება მიეცა, მოსახლეობას მაღალხარისხიანი მიწისქვეშა წყლის ნაცვლად, თბილისის ზღვის წყალს მიაწვდიდა. მაშინ აწ უკვე ყოფილ ხელისუფლებას მოვუწოდებდით, ჩვენი მოსაზრებები გაეთვალისწინებინა და ფრანგულ კომპანიასთან ისეთი ხელშეკრულება დაედო, მერე სანანებლად რომ არ გაგვხდომოდა, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი. ზღვის წყლით მომარაგებას ვინ დაეძებს, როცა ჩვენმა ყოფილმა მთავრობამ თავისი ზეობის უკანასკნელ თვეებში კიდევ ერთი, წარმოუდგენელი დანაშაულის ჩადენა განიზრახა თავისი ერის მიმართ. კერძოდ, დღის წესრიგში დადგა იმის რეალური საშიშროება, რომ ქართველი კაცისთვის მდინარეები, ტბები — საზოგადოდ, მტკნარი წყალი სამუდამოდ წაერთმიათ.

ერთ მშვენიერ დღეს შეიძლებოდა ისეც მომხდარიყო, რომ მდინარე ალაზანზე ჩასულ კახელ გლეხს წყლით გული ვერ გაეგრილებინა, ვერც რიონში ებანავა, ვერც მტკვარში ეთევზავა და საერთოდ, უნებართვოდ საქართველოში არსებული ვერც ერთი მდინარით, ტბით და წყაროთი ვერ ესარგებლა. მეტიც, საქმე ისე მიჰყავდათ სახელმწიფო კანცელარიის ჩინოვნიკებს, რომ ხალხს ჭებსა და მიწისქვეშა მტკნარ წყლებსაც აღარ დაუტოვებდნენ(?!). ყოველივე ზემოთქმულის საფუძველს სახელმწიფო კანცელარიაში მოპოვებული საქართველოს პრეზიდენტის ერთ-ერთი ბრძანებულების პროექტი გვაძლევს. მისი განხორციელების შემთხვევაში, საქართველოში არსებული ყველა სახის მტკნარი წყალი კერძო საკუთრებად იქცეოდა და რამდენიმე კაცის გუნებაზე იქნებოდა დამოკიდებული, დავლევდით თუ არა ქართველები მაღალხარისხიან წყალს... არადა, ყოველი ცოცხალი, მათ შორის, ადამიანის ორგანიზმი 80% წყალს შეიცავს. აქედან გამომდინარე, ადამიანის ზრდა-განვითარებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ხარისხიან წყალს(!).

ახლა კი ბრძანებულების პროექტს გავეცნოთ მცირეოდენი შემოკლებით: (სტილი დაცულია) „... მსოფლიოში მწვავედ დგას სასმელი წყლის რესურსების რაციონალური ათვისების, ეფექტურად გამოყენებისა და დაცვის პრობლემა. საერთაშორისო ექსპერტთა აზრით, მომავალში კიდევ უფრო მწვავედ დადგება წყლის რესურსებით მოსახლეობის უზრუნველყოფის საკითხი. კომპეტენტურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სპეციალისტებთან, საქართველოს სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების შედეგად... მიზანშეწონილად ჩაითვალა საქართველოს წყლის საერთაშორისო კორპორაციის დაფუძნება.

საქართველოს წყლის საერთაშორისო კორპორაციის ამოცანად მიჩნეულ იქნა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში გავრცელებული მიწისქვეშა მტკნარი და სასმელად გამოსაყენებელი ზედაპირული წყლების მოპოვება, დამუშავება, ჩამოსხმა, რეალიზაცია და მათთან დაკავშირებული ყველა სხვა საქმიანობის ორგანიზება და რეგულირება. მათ შორის შესაბამისი ინფრასტრუქტურის — მილსადენების, ჩამომსხმელი ქარხნების, წყალმომარაგების სისტემებისა და კომუნიკაციების შექმნა და რეაბილიტაცია საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

ამ ამოცანებიდან გამომდინარე: დაევალოს ეკონომიკის, ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტროს 2003 წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს წყლის საერთაშორისო კორპორაციის დაფუძნება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით და მისი საწესდებო კაპიტალის შევსება 15 მილიონ აშშ დოლარამდე. საქართველოს წყლის საერთაშორისო კორპორაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად განისაზღვროს სააქციო საზოგადოება, რომლის აქციათა 100 პროცენტი სახელმწიფოს საკუთრებაა. სამეთვალყურეო საბჭო განისაზღვროს სამი კაცის შემადგენლობით და მასში შეყვანილი იყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის და საქართველოს მდგრადი განვითარების საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლები.“

როდესაც ეს პროექტი კანცელარიის ერთ-ერთმა თანამშრომელმა მალულად გადმომცა, გამაფრთხილა: „არ შეგაცდინოს იმან, რომ აქციების ასპროცენტიან მესაკუთრედ სახელმწიფოა მოხსენიებული. მეთვალყურეთა საბჭოში საქართველოს მდგრადი განვითარების სააგენტოცაა შეყვანილი, რომლის ხელმძღვანელიც პრეზიდენტთან ძლიერ დაახლოებული პირია. როცა გაიგებთ მის ვინაობას, ყველაფერს ნათელი მოეფინება. რამდენიმე თვეში წყლის საერთაშორისო კორპორაცია კერძო პირის ხელში გადავიდოდა. ამას ჩვეული სქემით გააკეთებდნენ — სახელმწიფო კორპორაცია ვითომ გაკოტრდებოდა და აქციების საკონტროლო პაკეტი დაინტერესებული პირის ხელში ჩალის ფასად აღმოჩნდებოდა. ამას წინათ კანცელარიაში სახელმწიფო მინისტრის ყოფილ მოადგილესთან, აკაკი ზოიძესთან ერთი ცნობილი სპეციალისტი დაიბარეს. აინტერესებდათ აღმოსავლეთ საქართველოდან ქალაქ ფოთის ნავსადგურამდე სასმელი წყლის მილების მდგომარეობა. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მავანნი საერთო-სახალხო საკუთრების, სტრატეგიული ნედლეულის — საქართველოში არსებული მთელი მტკნარი წყლის ფოთამდე მიტანას, ტანკერებში ჩასხმასა და საზღვარგარეთ გაყიდვას აპირებდნენ.“

> — ამას წინათ კანცელარიაში სახელმწიფო მინისტრის ყოფილ მოადგილესთან, აკაკი ზოიძესთან ერთი ცნობილი სპეციალისტი დაიბარეს. აინტერესებდათ აღმოსავლეთ საქართველოდან ქალაქ ფოთის ნავსადგურამდე სასმელი წყლის მილების მდგომარეობა. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მავანნი საერთო-სახალხო საკუთრების, სტრატეგიული ნედლეულის — მტკნარი წყლის ფოთამდე მიტანას, ტანკერებში ჩასხმას და საზღვარგარეთ გაყიდვას აპირებდნენ.

**დედოფლისწყაროს რაიონიდან აზერბაიჯანში წყალი ამ მილების მეშვეობით მალულად იყიდება... ვის ჯიბეში მირაკრაკებს ქართულ წყალში გადახდილი ფული?!**



სრული ინფორმაციის მოსაპოვებლად არასამთავრობო ორგანიზაცია „სუფთა წყლის“ ერთ-ერთ დამფუძნებელს, სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **ქეთევან მარჩილაშვილს** დავუკავშირდით და რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

**— თუ გსმენიათ რაიმე წყლის საერთაშორისო კორპორაციის შექმნის პროექტზე?**

— დიახ, დაახლოებით ორი თვის წინ არასამთავრობო ორგანიზაცია თემთა კავშირის „თბილისის“ თავმჯდომარემ, ნინო მირიანაშვილმა მოიპოვა პროექტი, კორპორაციის წესდებაც და სხვა დოკუმენტებიც. საქართველოს ხელისუფლება ქართველი ერის წინაშე მორიგ დანაშაულს სჩადიოდა. მას განზრახული ჰქონდა საქართველოს მტკნარი წყლების მთელი რესურსი კერძო პირისთვის ჩაეგდო ხელთ. ჩვენ მისი ვინაობაც ვიცით — იგი საქართველოს მდგრადი განვითარების სააგენტოს გენერალური დირექტორი ავთანდილ ქორიძე გახლავთ. ქორიძე წყლის საერთაშორისო კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია.

**— უფრო კონკრეტულად, თუ შეიძლება...**

— ქორიძე ყოფილ სახელისუფლებო შტოსთან დაახლოებული პირია. იგი ყოფილი სახელმწიფო მინისტრის მოადგილის, ამჟამინდელი სათბობ-ენერგეტიკის მინისტრ მამუკა ნიკოლეიშვილის სიმამრი და პრეზიდენტის ვაჟის, პაატა შევარდნაძის მეგობარია. პაატა და ავთანდილი ჯერ კიდევ მაშინ დამეგობრდნენ, როდესაც ავთანდილ ქორიძე საფრანგეთში, იუნესკოში მუშაობდა.

ხვდებით, რა მომგებიან ბიზნესს უმზადებდნენ ჩვენს ხარჯზე?! გაითვალისწინეთ ისიც, რომ „თბილწყალკანალში“ ფრანგი ინვესტორები შემოდიან მართვის უფლებით. მტკნარი წყლის მაფიას ფრანგები უდგანან სათავეში და ამ დარგში ისინი მონოპოლისტები არიან. საფუძველს არ არის მოკლებული ეჭვი, რომ ფრანგული ფირმა „ჯენერალ დეზო“ დედაქალაქს მიწისქვეშა საუკეთესო საგემოვნო თვისებების კი არა, მდარე ზედაპირულ წყალს მიაწვდის. ხედავთ ლოგიკურ ჯაჭვს: „ჯენერალ დეზო“-საქართველოს წყლის საერთაშორისო კორპორაცია-ფრანგები-პაატა შევარდნაძე. თუმცა ჩვენ მოვიპოვეთ დოკუმენტები, რომლებიც ცხადყოფს, რომ ავადსახსენებელი პროექტის პირველი ნაწილის განხორციელება უკვე დაწყებულია, კერძოდ, თბილისის მოსახლეობის 80%-ზე მეტს სასმელი წყალი მხოლოდ თბილისის ზღვიდან მიეწოდება. დანარჩენ 20%-საც ნატახტრის, ბულაჩაურის და მისაქციელის ბუნებრივად გასუფთავებულ და განსაკუთრებით გემრიელ, მაღალხარისხოვან მიწისქვეშა წყალს მხოლოდ მას შემდეგ აწვდიან, როცა მასში თბილისის ზღვის ნაკლებხარისხიან წყალს შეურევენ(?!).

**— მაგრამ პროექტში მითითებულია, რომ კორპორაცია სახელმწიფოს კუთვნილება იქნება. თუ ზედმეტი წყალი გაყიდეს, ბიუჯეტიც მოგებას ნახავს, როგორც ვიცი, წყალი ბევრია საქართველოში...**

— საქმეც ის არის, რომ კორპორაციის წესდებაში წერია, რომ აქციების 5% კერძო პირებმა უნდა შეისყიდონ. რა გარანტიაა იმისა, რომ ეს 5% 50-ად ან 70-ად არ იქცეოდა? ვფიქრობ, ამ პროექტის უკან მტკნარი წყლის მაფიის ინტერესები დგას. საოცარია, წყალი ქართულია, კომუნიკაციებიც, ფულიც და რატომ ჰქვია კორპორაციას საერთაშორისო? იმიტომ, რომ როცა სახელმწიფო კორპორაცია ხელოვნურად გაკოტრდებოდა, მერე კერძო პირები უცხოეთში გაყიდდნენ ქართულ წყალს და სიტყვა „საერთაშორისოც“ იმიტომ ფიგურირებს კორპორაციის სახელწოდებაში...

ჩვენ დავუკავშირდით არასამთავრობო ორგანიზაცია თემთა კავშირის „თბილისის“ თავმჯდომარეს, **ნინო მირიანაშვილს,** რომელმაც გვითხრა: — პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი წყლის საერთაშორისო კორპორაციის შექმნის თაობაზე და მისი წესდება ხელთ შემთხვევით ჩამივარდა. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მიგვიწვიეს არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელები შეხვედრაზე. წყლის რესურსების მთავარი სამმართველოს უფროსს, თამაზ ჭოლოკავას მაგიდაზე რაღაც ქაღალდები ეწყო. შორსმხედველი ვარ და თვალში მომხვდა სახელმწიფო მინისტრის მოადგილის წერილი. მალულად, შორიდან მოვახერხე წაკითხვა. იქ ეწერა: „გაახლებთ განსახილველად საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების და სააქციო საზოგადოება „საქართველოს წყლის საერთაშორისო კორპორაციის“ წესდების პროექტებს. აკაკი ზოიძე“. ჭოლოკავამ შენიშნა, რომ სახელმწიფო მინისტრის მოადგილის წერილს ვკითხულობდი და მას საქაღალდე დააფარა. მაშინვე მივხვდი, ხელისუფლება საზოგადოებისგან მალულად სახალხო ქონების, თანაც ისეთ სტრატეგიული საქონლის, როგორიც არის წყალი, გაყიდვას აპირებდა და ერთი ამბავი ავტეხე. სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელებმაც დამიჭირეს მხარი და სამინისტრო იძულებული შეიქნა, დოკუმენტების ქსეროასლები მოეცა.

ბრძანებულების პროექტში ვკითხულობთ, რომ კონსულტაციები მიღებულია სახელმწიფო, საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაციების სპეციალისტებისა და მეცნიერებისგან. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ — ხელისუფლებას წყლის საერთაშორისო კორპორაციის შექმნის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციებისგან კონსულტაციები არ მიუღია. ასევე არაფერი იციან მეცნიერებმა და პრაქტიკოს-სპეციალისტებმაც. ხელისუფლება მალულად, საზოგადოების აზრის გაუთვალისწინებლად, ქმნიდა კორპორაციას. წყალი ხალხის საკუთრებაა, მაგრამ მისთვის არაფერი უკითხავთ.

*(გაგრძელება იხ. გვ. 27)*



## რას გვეტყვი, მამაო?

**— დაიწყო შობის მარხვა, არის თუ არა ის განსაკუთრებული და რა გვევალება მარხვის დროს?**

*კითხვაზე გვპასუხობს თბილისის წმინდა თამარის ეკლესიის წინამძღვარი მამა ზაქარია (მაჩიტაძე).*

— ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს შობის მარხვა 28 ნოემბერს დაიწყო და 7 იანვრამდე გაგრძელდება. ეს მარხვა განსაკუთრებულია იმიტომ, რომ 2003 წლის წინათ ბეთლემში იშვა კაცობრიობის მხსნელი. იგი ბაგაში იწვა. ბაგის სიღატაკე დაცემული კაცობრიობის სულის სიღატაკეს გამოხატავდა, რომელშიც განსაწმენდელად შევიდა ქრისტე... ჩვენი გულები, რომლებიც ცოდვით დაჭუჭყიანებულია, ასევე ჰგავს პირუტყვის სადგომს და იგი უნდა გამოსუფთავდეს მასში იესო ქრისტეს შესვლით... ეს უნდა მოხდეს მარხვით. უფალს ჩვენი არაფერი სჭირდება, გარდა სულიერი სისუფთავისა. გული დამდაბლებული და სული შემუსვრილი, ღმერთმან არა შეურაცხყოსო — წერია ფსალმუნებში. მარხვა, მხოლოდ კვებით, რა თქმა უნდა, სათნოებაა უფლის წინაშე, მაგრამ იგი ვერ მოგვცემს იმ შედეგს, რომ უფალს მივეგებოთ განწმენდილი. თუ გვსურს ჩვენი მარხვა მიისათნოოს უფალმა, აუცილებელია ვილოცოთ, ვილოცოთ სინანულით და მონანიებით. გულები გავითავისუფლოთ სიძულვილისაგან, ანგარებისაგან, ურთიერთმტრობისა და შეურაცხყოფისაგან... და, აუცილებლად ვეზიაროთ... ანგელოზებმა ქრისტეს დაბადებისთანავე გვიგალობეს „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“. ეს ნიშნავს, რომ ყოველთვის და უმეტეს მარხვისას, ჩვენ შორის მშვიდობა უნდა იყოს.

საქართველოს ეკლესიის გადაწყვეტილებით, შობის მარხვაში დაშვებულია თევზის ხმევა, გარდა ოთხშაბათისა და პარასკევისა. ხოლო სნეულებს, რომლებსაც უყვართ იესო, მაგრამ ავადობით მოვლენილი განსაცდელის გამო სრული მარხვა არ ძალუძთ, შეუძლიათ მოძღვრის კურთხევით გადაწყვიტონ, რას იხმევენ... ამავე მარხვაში აღესრულება ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანებისა და წმინდა ნიკოლოზის დიდი დღესასწაულები. ხოლო მარხვის დასრულების შემდეგ, თუ მას ჭეშმარიტი სინანულით გავატარებთ, ჩვენს გულში დაისადგურებს სიხარული და მადლიერება იესო ქრისტეს მიმართ.

ამჟამინდელი შობის მარხვა მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი დაიწყო ქვეყანაში დიდი პოლიტიკური ვნებათაღელვის გადატანისთანავე.... ამიტომ განსაკუთრებულად უნდა ვილოცოთ იმისთვის, რომ განსაცდელი უფლის ნებით, სისხლის გარეშე გადავიტანეთ და იმისთვისაც, რათა მან დაიფაროს და გააძლიეროს მომავალში ჩვენი ქვეყანა.

**— ეკლესიისთვის მოწყალების შეწირვის დროს აუცილებელია თუ არა ამ რიტუალს მოძღვარიც დაესწროს?**

— ეკლესიისთვის მოწყალების გაღება საეკლესიო რიტუალი არ არის, ეს უფლისა და კაცის ურთიერთობაა და ადამიანს შეუძლია სიკეთე ჩუმად, სასულიერო პირის თანდასწრების გარეშეც გააკეთოს... არსებობს გამონაკლისი წესი საღვთისმეტყველო ნივთების შეწირვისას (მაგალითად, ბარძიმ-ფეშხუმი, შესამოსელი...), რომელსაც საეკლესიო პირი ესწრება და შემდგომში შემწირველს ლოცვებში მოიხსენიებს...

**— ცოდვა, რომელიც აღსარებაში მოვინანიე, მიუხედავად იმისა, რომ აღარ ჩამიდენია, მაინც არ მასვენებს, ეს ძალიან მაწუხებს... როგორ მოვიქცე?**

— იფიქრეთ იმაზე, რომ უფალი კაცთმოყვარეა და ყოველივეს მიუტევებს, რაც გულწრფელად არის მონანიებული... მაგრამ დაფიქრდით იმის შესახებაც, ნამდვილად გულწრფელი იყო თუ არა თქვენი სინანული. თუ სინანული გულწრფელია, მას აუცილებლად უნდა ჩაენაცვლოს იმედი, რომ ამ ცოდვისგან ნამდვილად თავისუფალი ხართ. ეს სულიერად ახალ დაბადებას ნიშნავს... თუ ეს ასე არ არის და უიმედობაში მოექცევით, ეს უკვე ახალი, ურწმენობის, სასოწარკვეთის ცოდვაა... ამავე დროს, თქვენ სჩადიხართ ამპარტავნების ცოდვას იქიდან გამომდინარე, რომ კაცთმოყვარე უფლის მიტევებაზე მაღლა აყენებთ თქვენს ადამიანურ განწყობებს... ამიტომ უნდა მიბრძანდეთ მოძღვართან, მოინანიოთ ეს ცოდვები და ისევ სთხოვოთ უფალს, რომ გული სიმძიმისგან გაგითავისუფლოთ.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# ფრთხილად! — ნარკომაფიას საქართველოში ახალი ლობი დასჭირდება!..



„ვარდების რევოლუციას" ყაყაჩოების რევოლუცია?

ბოლო ორი-სამი კვირის განმავლობაში, როდესაც ჩვენი საზოგადოება პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრში მოექცა, ნარკოტიკების პრობლემებზე მომუშავე სპეციალისტების ყურადღება ერთმა საინტერესო ფაქტმა მიიპყრო: თბილისში იკლო და ბოლოს თითქმის შეწყდა ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზაცია (სამწუხაროდ, ეს არ არის სამართალდამცავი ორგანოების ეფექტურად მუშაობის შედეგი). ამის მიზეზი ნარკოტიკების დეფიციტი აღმოჩნდა.

აღნიშნული ერთგვარად მოულოდნელიც იყო, რადგან ნარკობაზარი მუშაობს პრინციპით — არის მოთხოვნილება? ჩნდება პროდუქტიც. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში არსებული მონაცემებით 150-180 ათასი ნარკოტიკის მომხმარებელი გვყავს (აქედან 55 ათასი წამალდამოკიდებულია, რომელსაც ნარკოტიკი მუდმივად ესაჭიროება), არ არის გამორიცხული, დეფიციტი ხელოვნურად შექმნილიყო.

ამ მდგომარეობას გზების გადაკეტვას და პოლიციის გააქტიურებულ მუშაობას უკავშირებდნენ, თუმცა, ეს ვერსია საკმაოდ უსუსური აღმოჩნდა, რადგან ქალაქში დაუბრკოლებლად შემოდიოდნენ ავტოკოლონები, პოლიციის სამსახურებიც თითქმის პარალიზებული იყო, რაც პირიქით, ხელის შემწყობი ფაქტორი უნდა ყოფილიყო ნარკოტიკული ტვირთების მოძრაობისთვის.

გაჩნდა ეჭვი, ხომ არ არის დაკავშირებული საქართველოში მომხდარი ცვლილებები ნარკობაზართან (ჩვენში ნარკობიზნესის ლობირებაში ხომ ყოველთვის ხელისუფლება მოიაზრებოდა)? მოსალოდნელია თუ არა პოლიტიკაში გავლენის სფეროებისთვის ბრძოლამ ნარკობიზნესზეც გადაინაცვლოს? მარტივად რომ ვთქვათ, მოჰყვება თუ არა „ვარდების რევოლუციას" ყაყაჩოების (ოპიუმის) რევოლუცია. სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შსს-ს ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლ ეროვნულ ბიუროში ვერ შეძლეს, რადგან ეს ბიუროს ხელმძღვანელის პრეროგატივაა, რომლის სავარძელიც ამ დღეებში ვაკანტურია. რაც შეეხება ჯემალ ჯანაშიას (რომელიც, სამწუხაროდ, ამ პრობლემებზე მომუშავე ერთადერთ ექსპერტად მოიაზრება), იგი კარგა ხანია სამეცნიერო მუშაობას ეწევა და როგორც თავად ამბობს, ოპერატიულ ინფორმაციებს შექმნილ ნარკოსიტუაციაზე აღარ ფლობს.

ქართულ ნარკობაზარზე ცვლილებები ჯერ კიდევ გაზაფხულზე შეინიშნებოდა და ეს ერთგვარად ბაზრის გაფართოებისკენ უფრო იყო მიმართული, ნარკოსაქმოსნების გათვლა, რომ დაბალფასიანი ნარკოტიკით ბაზრის გაჯერება — შემდგომში მძიმე ნარკოტიკების ბაზრის გაფართოებას გამოიწვევდა, „პერსპექტიული" გამოდგა და ჩვენში გამოჩნდა ოპიუმის ყაყაჩოს თესლი, ე.წ. ხაშხაში (პირდაპირ მაღაზიებში იყიდებოდა), რომელმაც უმოკლეს დროში შეძლო ბაზრის ათვისება.

სპეციალისტების მოსაზრება, რომ ნარკობაზარი უკვე მზად იყო ახალი პროდუქტის მისაღებად, საფუძველს მოკლებული არ აღმოჩნდა.

ზიანშემცირების პროგრამის ჩარჩოებში ჩატარებულმა გამოკითხვებმა გვიჩვენა, რომ ინიექციურ ნარკოტიკთა მომხმარებლები რუსეთსა და უკრაინაში ნარკოტიკის მისაღებად ყაყაჩოს თესლს არ ხარშავდნენ, რადგან თესლში ოპიუმის შემცველობა ძალიან მცირეა. საყურადღებოა, რომ ეს პრაქტიკა ადრე არც საქართველოში იყო გავრცელებული. ცხადია, რომ ბაზარზე ოპიუმის დიდი ოდენობით შემცველი ხაშხაში მისი გამოყენების ინსტრუქციებთან ერთად გამოჩნდა, რომლის გამოყენება არა მარტო კულინარიული (როგორც ეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ იყო ვიზირებული), არამედ ნარკოტიკის მიღების მიზნითაც შეიძლებოდა.

ხაშხაშის მონოპოლიზაციამ ბაზარზე მკვეთრად შეამცირა მოთხოვნილება ჰეროინზე, რაც მისმა დაბალმა ფასებმა განაპირობა (ხაშხაშის თესლისგან მიღებული ნარკოტიკის ღირებულება 4 კაცზე სამყოფი დოზით ჯდება დაახლოებით 17 ლარი. იგივე ჰეროინი კი $80-120 ღირს) და იმანაც, რომ ხაშხაშის თესლი არ იყო შეტანილი ნარკოტიკებზე კონტროლის სპეციალურ სიაში. შესაბამისად მასზე არც აკრძალვის სანქცია ხორციელდებოდა(?!). ამიტომაც გახდა ეს პროდუქტი პოპულარული (სამწუხაროდ) ახალგაზრდებში. შედეგად რამდენჯერმე გაიზარდა ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა, განსაკუთრებით კი ინიექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი.

2003 წლის 1-ელ ნოემბერს გამოიცა პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც შესაბამის სამსახურებს ხაშხაშის რეალიზაციას უკრძალავდა. ამ ფაქტმა სამართალდამცავები საგონებელში ჩააგდო, მით უმეტეს, რომ ბრძანებაში არ იყო მითითებული, რა ფორმით უნდა განხორციელებულიყო ეს აკრძალვა.

ერთ-ერთ სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით, გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ე. წ. ხაშხაშის ბიზნესი — ერთ-ერთ პოლიტიკური პარტიის წინასაარჩევნო კამპანიას აფინანსებდა(!).

სავარაუდოა, რომ ხაშხაშის რეალიზაციის აკრძალვა პერსპექტივაში, სამწუხაროდ, გამოიწვევს ჰეროინის ბაზრის გაფართოებას, რადგან ნარკოტიკის მომხმარებელი, რომელმაც ნარკოტიკს გემო ხაშხაშის წყალობით გაუსინჯა (ასეთი კი ძალიან ბევრია), იძულებული იქნება უფრო მძიმე ნარკოტიკზე — ჰეროინზე გადავიდეს.

სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში შეიძლება მოხდეს ნარკობაზარზე უკვე თითქმის აკრძალული ხაშხაშის ჩანაცვლება ჰეროინით (ამ მიმართულებით გია ბარამიძეს ბევრი თავის ტკივილის გადატანა მოუწევს). ავღანეთში ოპიუმის უხვმოსავლიანობის გამო მსოფლიოში ჰეროინზე ფასები შემცირდა. 1 კგ ჰეროინის საბითუმო ფასი $200-დან $300-მდე მერყეობს. რადგან საქართველოში ჰეროინის ძირითად მომწოდებლად აზერბაიჯანი რჩება, ექსპერტების ვარაუდით, გამორიცხული არ არის, ავღანური ჰეროინი სწორედ ამ მარშრუტით შემოვიდეს.

მაღალი ხარისხის ავღანური ჰეროინი ჩვენში 2001 წელს გამოჩნდა ე. წ. ჩეჩნური კამპანიის დროს. გელაევის რაზმს დაახლოებით 35-40 კგ ჰეროინი ჰქონდა, რომელიც ერთგვარ მსყიდველობით ფუნქციას ასრულებდა. როგორც თვითმხილველნი ამბობდნენ, ჩეჩნები სვანეთში ჰეროინს ცეცხლსასროლ იარაღში ცვლიდნენ. მათი ინტერესის სფეროს განსაკუთრებით ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ყუმბარმტყორცნები და ე. წ. „მუხები" წარმოადგენდნენ (ერთ ავტომატში ისინი 4-5 გ ჰეროინს იძლეოდნენ, რაც გაანგარიშებით $1000-ის ეკვივალენტია). ცხადია, არსებობს ინფორმაცია, რომ ნარკოტიკის დიდი რაოდენობა შემდეგ კოდორში მოხვდა, ხოლო მოგვიანებით — აფხაზეთში.

ქვეყანაში არსებული არასტაბილური მდგომარეობა ნარკოსაქმოსნების წარმატებული ბიზნესის გარანტია, არა მარტო შიდაბაზარზე, არამედ სატრანზიტო საქმიანობაშიც.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, დღის წესრიგში ახალი „კრიშის" მოძებნა დადგა, ამ მიმართულებით საქართველო საკმაოდ „პერსპექტიულ" ტრანზიტულ ქვეყნად მოიაზრება „ოქროს ნახევარმთვარის" ქვეყნებისათვის (ირანი, ავღანეთი, პაკისტანი) და უკვე აპრობირებული მარშრუტის შეცვლის სურვილი ნარკოკარტელებს ნაკლებად ექნებათ.

ვინ შეიძლება გახდეს ნარკომაფიის ახალი ლობი საქართველოში. ცხადია ნარკომაფია მოლაპარაკებას ახალი მთავრობის მაღალ ეშელონებთანაც მოისურვებს. სპეციალისტების აზრით, ნარკობიზნესს მფარველობენ არა არჩეული, არამედ დანიშნული მაღალი რანგის ჩინოვნიკები.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გია ბარამიძემ პოლიციის სამსახურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლა დაასახელა.

ჯერჯერობით კი ნარკომაფიასთან მებრძოლ მინისტრს აღნიშნული მონსტრის წინააღმდეგ მხოლოდ შსს-ს ბაზაზე არსებული ეროვნული ბიურო ჰყავს, რომელსაც ეფექტური მუშაობის არანაირი პირობა არ გააჩნია. ნარკობიზნესთან მებრძოლ ამ ერთადერთ სამსახურს ჯერჯერობით ხელმძღვანელიც კი არ ჰყავს, რომ არაფერი ვთქვათ იმ კორუმპირებულ ჩინოვნიკებზე, რომლებიც წლების განმავლობაში ნარკობიზნესის ლობირებით ხელს ითბობდნენ.

„თეთრ ჯიჰადთან" საბრძოლველად მარტო შინაგან საქმეთა მინისტრის სურვილი არ კმარა. ამ პროცესში სახელმწიფოს ნებაც უნდა იდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ნარკობიზნესთან ბრძოლა ქარის წისქვილებთან შერკინებას დაემსგავსება.

***ნინო ბურჭულაძე***


# როგორ განვიმტკიცოთ იმუნიტეტი

*სტატისტიკის მიხედვით შემოდგომიდან გაზაფხულამდე განსაკუთრებით გავრცელებულ დაავადებას, რომელიც ადამიანს შრომისუნარიანობას უქვეითებს, წარმოადგენს გრიპი და მწვავე ინფექციურ-რესპირატორული დაავადება, რომელიც სხვა დაავადებების 90%-ს შეადგენენ. ამიტომ მათი პროფილაქტიკისა და მკურნალობის პრობლემა ყოველთვის აქტუალურია. ჩვენს შეკითხვებს პასუხობს ვიტამინ-ცენტრ „ჯეოვიტის" წამყვანი სპეციალისტი, ექიმი-ნუტრიციოლოგ-დიეტოლოგი* **დინა ცხვარაძე.**

— ***ლათინურიდან თარგმანში „immunitas" ნიშნავს რაიმესაგან თავის დაღწევას. უძველეს რომში „იმუნურს" უწოდებდნენ მოქალაქეს, რომელიც გადასახადებისგან გათავისუფლებული იყო და პირადი ხელშეუხებლობა გააჩნდა. ეს დეფინიცია მოიწონეს და ინფექციების მიმართ მდგრადობის აღმნიშვნელად გამოიყენეს. სწორედ ეს არის იმუნიტეტის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია. რატომ?***

– როდესაც იმუნური სისტემა დაზიანებულია, დაავადებებს თავს ვერ აარიდებთ და თუ დაავადდებით, დიდხანს ვერ გამოჯანმრთელდებით. განსაკუთრებით ინფექციები ბავშვებსა და მოხუცებს ემუქრებათ: ბავშვებმა ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს საკმარისად მტკიცე იმუნური მექანიზმის შეძენა, მოხუცებს კი იგი უკვე „გამოეფიტათ".

— ***რა ფაქტორები იწვევენ მის დასუსტებას?***

– ამის გამომწვევი მრავალი ფაქტორი არსებობს, მაგრამ ძირითად ფაქტორებად ითვლება გადაცივება, ვიტამინების ნაკლებობა, გადაღლა (განსაკუთრებით გვიან შემოდგომაზე, ზამთარში, ადრეულ გაზაფხულზე), ჰავის ცვალებადობა, სტრესები, „მოდური" დიეტები, არასახარბიელო ეკოლოგია. . .

— ***შესაძლებელია თუ არა იმუნიტეტის დაცვა ამ ყოველივესგან?***

– სხვადასხვა ვირუსისა და მიკროორგანიზმის პათოგენური (მავნე) ზემოქმედების მნიშვნელოვნად შესუსტებასა ან თავიდან არიდებაში გვეხმარება იმუნომასტიმულირებელი თერაპია. უპირატესად ის, რომლის საფუძველშიც ნატურალური პრეპარატებია.

— ***კი, მაგრამ, ხომ არსებობს სინთეტიკურებიც? რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან?***

– ნატურალური იმუნომოდულატორები არ საჭიროებენ რეცეპტს და არ გააჩნიათ გვერდითი ეფექტები, არ იწვევენ გართულებებს. მათზე უფრო მძლავრი, ქიმიური წამლები არცთუ ისე იშვიათად ახდენენ ტემპერატურის პროვოცირებას, აგრეთვე ფარული ინფექციების გამომჟღავნებას.

— ***რომელ ნატურალურ იმუნომოდულატორს შეგიძლიათ გვირჩიოთ?***

– ამერიკული კომპანია **„შიფი"**, რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ საქართველოში, გთავაზობთ ნატურალურ და ეფექტურ იმუნოსტიმულატორს **„იმუნეშუა"**, რომელიც შეიცავს იმუნოგლობულინ IgG, ვიტამინ C-ს, ექინაცეისა და ანდროგრაფისის მცენარეების ექსტრაქტებს. თითოეული კომპონენტი უნიკალურია. ერთი აძლიერებს ორგანიზმის არასპეციფიკურ (უჯრედოვან დონეზე) იმუნიტეტს, მეორე ახდენს ძლიერ ანთების საწინააღმდეგო, ანტივირუსულ, სოკოს საწინააღმდეგო მოქმედებას, მესამე – ორგანიზმს ამარაგებს ინტერფერონით, რომელიც ვირუსების გამრავლებას უშლის ხელს და აძლიერებს უჯრედების მდგრადობას ვირუსის ტოქსიკური ფრაგმენტების მიმართ. ვფიქრობ, ყოველივე აქედან ნათლად ჩანს, თუ რა მხარდაჭერას ღებულობს ორგანიზმი ვირუსებთან ბრძოლაში მათი ერთობლივი მოქმედებით!




— ***რა შემთხვევაში გამოიყენება „იმუნეშუა"?***

– ეს საუკეთესო საშუალებაა როგორც პროფილაქტიკისთვის, ასევე კომპლექსური მკურნალობისთვის: ბაქტერიული და ვირუსული ინფექციების, გრიპისა და ანტიბიოტიკოთერაპიის დროს. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ პრეპარატი კლინიკურად აპრობირებულია და სერტიფიცირებულია GMP-ის საერთაშორისო სტანდარტის სისტემით. როდესაც გარშემო ყველა ცემინებას და ხველებას იწყებს, ე.ი. უკვე დროა **„იმუნეშუას"** მიღება დაიწყოთ. თითო აბი 2-ჯერ დღეში. ბავშვებს ნახევარი დოზა ენიშნებათ.

*ყოველ ოთხშაბათს ვიტამინ-ცენტრში* ***„ჯეოვიტი"*** *თქვენ გაქვთ საშუალება, მიიღოთ კვალიფიცირებული ექიმი-ნუტრიციოლოგ-დიეტოლოგის უფასო კონსულტაცია დაავადებათა პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციის საკითხებზე.*

**თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ მათში, ვისაც ყველაზე მთავარს – საკუთარ ჯანმრთელობას ანდობთ!**

ჯეოვიტი GEOVIT

ამერიკული კომპანია „შიფ"-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი"

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),

☎ 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56 ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით

www.schiffvitamins.com

Schiff 60

# ვინ ზის მაგიდის კიდეში?

საინფორმაციო სააგენტო როიტერმა გაავრცელა მეტად სიმბოლური ფოტო. მასზე აღბეჭდილია საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი კრწანისის რეზიდენციაში მოლაპარაკებისას.


ფოტოფაქტი

ყურადღება მიაქციეთ, როგორ სხედან შეხვედრის მონაწილენი: მოსკოველი სტუმარი — მაგიდის თავში, თავმჯდომარის ადგილზე, მასპინძლები კი, პრეზიდენტიანად, „ქვეშევრდომების“ ადგილებზე. თანაც საქართველოს პრეზიდენტი მოსკოვის წარგზავნილს მარჯვენა მხრიდან კი არ უზის, არამედ მარცხნიდან. შევარდნაძე (წარსულში სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი) და ივანოვი ხომ მშვენივრად ერკვევიან დიპლომატიური პოლიტიკის პროტოკოლში, სადაც ნებისმიერ დეტალს დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთ ღონისძიებებზე, მონაწილეები, როგორც წესი, მრგვალ ან კვადრატულ მაგიდასთან ერთმანეთის პირისპირ სხდებიან, რათა ხაზი გაუსვან ყოველი მათგანის პოზიციის სუვერენულობას.

ცხადია, როცა ფეხქვეშ მიწა იწვის, ეტიკეტზე არ ფიქრობენ, მაგრამ შეხვედრაზე ხომ დაუშვეს ფოტოკორესპონდენტები...

ამიტომაც, სურათი გვაფიქრებინებს, რომ მოსკოვის სიტყვას საქართველოს ხელისუფლების დერეფნებში იმ მღელვარე მოვლენების დროს ფასი ჰქონდა. და სწორადაც გაიგეს:

პრეზიდენტი თვითონ წავიდა, თავისი მოქალაქეების სისხლის დაუღვრელად.

***კომსომოლსკაია პრავდა №219***

# სოროსის გრძელი ხელი შევარდნაძესაც მისწვდა

საქართველოს „ხავერდოვან რევოლუციაში“ ჯორჯ სოროსის ხელი იგრძნობა, — წერს კანადური გაზეთი „Globe & Mail“-ი, — ედუარდ შევარდნაძის გადაყენებაში სწორედ ეს ამერიკელი მილიარდერი დაეხმარა ოპოზიციას. ჯერ კიდევ თებერვალში, მისი ინსტიტუტის „ღია საზოგადოების“ ფულით, ქართული ოპოზიციის ერთ-ერთი აქტივისტი გაემგზავრა სერბეთში მოძრაობა „კმარას“ წევრებთან შესახვედრად, ქუჩის დემონსტრაციებში მათი გამოცდილების შესასწავლად.

ზაფხულში ახლა უკვე სერბეთიდან ჩამოფრინდა რამდენიმე ადამიანი „კმარადან“ ისევ იმ „ღია საზოგადოების“ ფინანსებით და სამდღიანი სემინარი ჩაუტარეს სტუდენტებს. მეცადინეობის თემა იყო — „როგორ მოახდინონ „ხავერდოვანი რევოლუცია“. აღსანიშნავია, რომ ყოველივე ეს ადასტურებს შევარდნაძის ნათქვამს დასავლელი ჟურნალისტებისთვის, — ზოგიერთი უცხოური ორგანიზაცია ცდილობდა საქართველოში მილოშევიჩის ჩამოგდების იუგოსლავიური სცენარის გამოყენებასო.

***ენ-ტე-ვე რუ***

# „გოსდუმამ“ უარი თქვა საქართველოს გახლეჩაზე

მოსკოვში ქართული მოვლენების ექო ჯერ არ ჩამცხრალა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კვლავ გააგრძელებს კონსულტაციებს საქართველოს ამბოხებული რეგიონების ლიდერებთან. ორ მათგანს სახელმწიფო დუმამ უარი უთხრა რუსეთის შემადგენლობაში მიღებაზე. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი შეხვდა აჭარის ლიდერს, ასლან აბაშიძეს, შემდეგ კი აფხაზეთის პრემიერ-მინისტრს რაულ ხაჯიმბასა და სამხრეთ ოსეთის ლიდერს, ედუარდ კოკოითს. მაშინ, როდესაც მინისტრი ივანოვი აცხადებს, რომ რუსეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს, რუსეთის სახელმწიფო დუმის მესამე მოწვევის ბოლო სხდომაზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, ალექსეი მიტროფანოვი აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რფ-ის შემადგენლობაში შეყვანას ითხოვს. მის წინადადებას 226 დეპუტატიდან 95-მა მისცა ხმა. ამასობაში კი, ყოფილი ქართული ოპოზიციის პრეზიდენტობის კანდიდატმა მიხეილ სააკაშვილმა გაზეთ „იზვესტიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, — საქართველოს მთავარი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები რუსეთთანაა დაკავშირებული, მაგრამ ჩვენი უსაფრთხოების მთავარი გარანტი — შეერთებული შტატებია... თუ უსაფრთხოების ასეთსავე გარანტიებს რუსეთშიც ვნახავთ, მაშინ მისგან განდგომის სურვილიც აღარ გაგვიჩნდებაო და დასძინა, — „რუსეთმა დასავლეთსა და აშშ-ზე მეტი წვლილი შეიტანა ბოლოდროინდელი საქართველოს პოლიტიკური კრიზისის გადაწყვეტაში, რამაც ედუარდ შევარდნაძის გადადგომა გამოიწვია“. საქართველოში მყოფ სამხედრო ბაზებზე მსჯელობისას პრეზიდენტობის კანდიდატმა მიანიშნა, რომ ამ ბაზების საკითხი ისე მწვავედ არ დგას, როგორც ამას მედიის მიმომხილველები წარმოადგენენ. „ჯერ ერთი, არა მგონია, რომ ეს ასეთი სასწრაფო პრობლემაა, მეორე, ჩვენ უნდა შევიმუშაოთ მათი იურიდიული სტატუსი“, — განაცხადა სააკაშვილმა. მერე კი, რუსეთის გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-პოლკოვნიკმა იური ბალუევსკიმ თქვა, რომ საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანას ათი წელი მაინც დასჭირდება.

***ბი-ბი-სი***

# შევარდნაძემ იგრძნო, რომ დასავლეთმა უღალატა

გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში გადამდგარმა საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა: — „მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბირთვული კატასტროფისგან დავიცავი, ბოლო მოვუღე ცივ ომს, დასავლეთმა მაინც მიღალატა. ცივი ომი რომ არ შეწყვეტილიყო, მესამე მსოფლიო ომი დაიწყებოდა, ჩვენ მსოფლიო გადავარჩინეთ. მე არ ვამბობ, ამის გაკეთება მარტო მოვახერხემეთქი, მაგრამ ერთ-ერთ მთავარ როლს კი ვთამაშობდი. ევროპაში 40 ათასი საბჭოთა ტანკი და ასიათასობით სხვა საბრძოლო საშუალება იდგა. 24 საათში მიაღწევდნენ ისინი საფრანგეთის ატლანტის სანაპიროს, მაგრამ ჩვენ ამაზე არ წავედით, არ დავთანხმდით იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც ბერლინში ძალის გამოყენებას და პოლონეთში „სოლიდარობის“ დარბევას მოითხოვდნენ“. ახლა შევარდნაძე თვლის, რომ აშშ-მა ხელი შეუწყო მის დამხობას, რასაც მეგობართა ღალატი უწოდა. 75 წლის შევარდნაძე განსაკუთრებით ნაწყენია ამერიკის ელჩზე. რიჩარდ მაილსი მისი გადაყენების წარმატებით დაგვირგვინებისთვის ოპოზიციას უწყობდა ხელს. ასევე აღნიშნა ამერიკული ფულით გამაგრებული ადგილობრივი აქტივისტების როლიც. „მე ამერიკული პოლიტიკის ყველაზე ერთგული მომხრე ვიყავი, — განაცხადა მან, — როცა მათ ერაყის საქმეში თანადგომა უნდოდათ, ხომ დავუდექი გვერდში. რა მოხდა აქ, მე ამის ახსნა არ შემიძლია“. შევარდნაძის კაბინეტი მისი ოცდაათწლიანი მმართველობის ამსახველი ნივთებითაა სავსე. ერთ კედელზე ფოტოებია, სადაც ის უფროს ჯორჯ ბუშთან ერთადაა გადაღებული, ასევე ხავიერ სოლანასთან, ჟაკ შირაკთან, ჯეიმს ბეიკერთან და, თქვენ წარმოიდგინეთ მომღერალ რეი ჩარლზთანაც. მის გემოვნებით გაწყობილ მაგიდაზე დევს შავყდიანი ბლოკნოტი, რომელსაც ზემოდან აშშ-ის პრეზიდენტის სავიზიტო ბარათი ადევს. მაგრამ კაცი, რომელიც შავი ტყავის დივანზე ზის, დაღლილი და ცოტათი შემცბარი ჩანს. ის მშვიდად საუბრობს, დაბალი, ჩახრინწული ხმით. ბოლო ორი კვირის განმავლობაში საგრძნობლად მოტყდა. ქართველები ამბობენ, საარაკო ენერგიიდან თითქმის აღარაფერი შერჩაო.

***დეილი ტელეგრაფი***

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 26


# სასურველი ყველა ბავშვისთვის!




ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიგზავნიან

**3 წლის ნუგზარ ჟამერაშვილი**

მამიკომ დილით საბავშვო ბაღში მიიყვანა. ბაღის კართან მისული პატარა მამას ეუბნება:

— მერაბ, შენ ზევით ადი, ითამაშე, მე კი აქ დაგელოდები.

**პატარა გიგი ნებიერიძეს**

ბებიამ კარაქი მოუტანა. ბიჭს არ მოეწონა და გაჯავრდა:

— რატომ არ იყიდე სხვანაირი კარაქი?

— სხვანაირი ვადაგასული იყო, — უპასუხა ბებიამ.

— მერე ვადამოსული ვერ იყიდე?

**2 წლის გიგი** თავსახურს ეძახის კაკაურს. ხშირად უსწორებენ. ერთხელ ოჯახში ახსენეს გვარი კაკაურიძე.

— კაკაურიძე კი არა, თავსახურიძე, — შეასწორა გვარი გიგიმ.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: დღე და ღამე მშრომელია, თუმცა დადის ტაატით, ითვლის წამებს, ითვლის წუთებს, თქვი, რა ჰქვია?...




## I ანა, გამოიცანი

**1) რომელი სრუტე ჰყოფს დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს?**

ა) ლა-მანშის; ბ) დარდანელის; გ) ბოსფორის; დ) გიბრალტარის.

**2) რომელი არ არის ყურძნის ჯიში?**

ა) ცოლიკაური; ბ) ოჯალეში; გ) კეხურა; დ) ალექსანდროული.

**3) როცა ბეთლემის გამოქვაბულში იშვა იესო, აღმოსავლეთიდან მოვიდნენ მოგვები, რათა თაყვანი ეცათ ახალშობილისთვის. ვინ არიან მოგვები?**

ა) მწყემსები; ბ) წინასწარმეტყველები; გ) მებაჟეები; დ) წმინდანები.

**4) რისი ჯიშებია: კარელა, კაკადუ, არა, ჟაკო, როზელა.**

ა) არწივის; ბ) თუთიყუშის; გ) მტრედის; დ) ინდაურის.

**5) რომელ წელს აწამეს ქეთევან დედოფალი?**

ა) 1620; ბ) 1624; გ) 1625; დ) 1630.

**6) დაასრულე შემდეგი ანდაზა: „აპატიეს მელასაო, მოუმატა...“**

ა) ღრენასაო; ბ) კბენასაო; გ) ტირილსაო; დ) ტყუილსაო.

**7) ვის კალამს ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „მარტო შენი მტერი დაგიმალავს შენს სახეზედ რომ ურიგობა ნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე“.**

ა) აკაკი წერეთელს; ბ) სულხან-საბა ორბელიანს; გ) ილია ჭავჭავაძეს; დ) დავით გურამიშვილს.

**ისრების მიხედვით მიიყვანე ნიკა თამთასთან**



**იპოვე 10 განსხვავება**



## ასე აშენდა უფლისციხე

თქმულება

უფლისციხე — ქართლშია. იგი კლდეშია გამოკვეთილი. იქ არის დარბაზები, მცირე ოთახები, მარნებიც კია, ქვევრებითურთ. მავანი და მავანი სოფლის ხალხს დაიტევს ერთბაშად.

ერთ-ერთ ქვაბში გამოჭრილია კიბე, რომლითაც, მტრის შემოსევისას, ციხექალაქში თავშეფარებული ხალხი მდინარეზე წყლისთვის ჩადიოდა — მტერს ამაოდ ეგონა, წყურვილით დაიხოცებიანო. მდინარეზე ჩასასვლელი საგულდაგულოდ იყო დაფარული.

იტყვით, რითი ჭრიდნენ ამოდენა ქვასო? ქვაა ისეთი, წერაქვი რომ დაარტყა, ნამცეცი ძლივს აჰყვება.

ძველად, თამარ მეფის დროს, ასეთი ხერხი უხმარიათ: წერაქვებს რომ დაურიგებდნენ მუშებს, ამ წერაქვის ერთი წვერი სამ გოჯზე ოქროსი იყო, დანარჩენი — ფოლადისა. იცოდა მუშამ, რომ დალევდა ფოლადს მუშაობაში — ოქრო მას დარჩებოდა. ჰოდა, სცემდნენ ამ წერაქვებს გამალებული... ილეოდა ფოლადი...

ალბათ მუშის ძალაც ილეოდა, მაგრამ მაინც ცდილობდა. სამაგიეროდ, ოქრო მისი იყო და ეს ქვეყანა შენდებოდა.

აი, ეს ციხეები, ქვაბები, კოშკები — სულ ეგრე აშენებულა...




## ბიბლიური მოთხრობა

## ვის მიიღებს უფალი თავის სასუფეველში?

ერთხელ იესომ თქვა: „როდესაც კვლავ მოვა ძე კაცისა, იგი ყველა ხალხს შეკრებს, გაასამართლებს მათ და გამოყოფს ერთმანეთისგან, როგორც მწყემსი გამოარჩევს ცხვრებს თხებისგან. ცხვრებს მარჯვენა მხარეს დააყენებს, თხებს კი მარცხენა მხარეს.

და ეტყვის მარჯვნივ მდგომთ: მოდით, კურთხეულნო მამის ჩემის მიერ, და დაიმკვიდრეთ სასუფეველი, თქვენთვის გამზადებული ქვეყნის დასაბამიდან. რადგან, როდესაც მშიოდა, თქვენ მაძლევდით საჭმელს; როდესაც მწყუროდა, წყალი მასვით; როდესაც ლტოლვილი ვიყავი, თქვენ შემიფარეთ; როდესაც შიშველი ვიყავი, შემმოსეთ; როდესაც ავად ვიყავი, მომხედეთ; როდესაც საპყრობილეში ვიყავი, მინახულეთ.

მაშინ მარჯვნივ მდგომნი შეეკითხებიან: უფალო, როდის გავაკეთეთ ჩვენ ყოველივე ეს? და იგი მათ უპასუხებს: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რითაც შეეწიეთ ერთ ამ ჩემს მცირე ძმათაგან, იმით მე შემეწიეთ.

ხოლო იმათ, ვინც მარცხნივ დგას, იგი ეტყვის: რითაც არ შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგან, იმით მე არ შემეწიეთ“.

# მამულ-დედული

## ზამთრისპირის სამუშაოები



ძვირფასო მემამულეებო, ალბათ ძირითადი მოსავალი დაბინავებული გაქვთ და აქა-იქ შემორჩენილი ვაშლისა და კომშის ნაყოფს აგროვებთ, რომ ჭორიკანა კაჭკაჭისა და ჩხიკვი ზაქარას კერძი არ გახდეს. თუ ზღმარტლი გიდგათ, ისიც მოკრიფეთ და გაშალეთ ხახ-ალზე. ნურც ხურმას და კარალიოკს დატოვებთ დიდხანს. ისინიც გვარიანად მოსწონთ ფრინ-ველებს... წვრილმან საქმეს რომ მორჩებით, დროა, მომავალი წლისთვისაც დაიწყოთ ფიქრი. თუ გსურთ, რომ გაისად უხვი მოსავალი მოიწიოთ, ახლავე უნდა შეუდგეთ სამზადისს.

პირველ რიგში, გამხმარი და დაა-ვადებული ხეები ამოძირკვეთ. საღი ხეებიდან კი, ფოთოლცვენის დამთავ-რებისთანავე, ზედ შერჩენილი შემხ-მარი ნაყოფი ჩამობერტყეთ და დაწვით. შეაჭერით ჩამომტვრეული, გამხმარი ტოტები და ისინიც დაწვით, ნაცარი კი სასუქად გამოიყენეთ. თუ უკანასკნელი 2 წლის მანძილზე სა-სუქი არ შეგიტანიათ, ამ ზამ-თრისპირს მაინც შეიტანეთ. იქნებ ხეს ძირები გამოუბაროთ და 2-3 ვედრო ნაკე-ლი დაუყაროთ. ამობარვა აუცილებელია 25-30 სმ-ზე. ამით, გარდა ნიადაგის გაფხვიერებისა, ხელს ვუწყობთ მავნებლების განადგურებას.

აუცილებელია შტამბისა და მსხვილი ტოტე-ბის ჩამოფხეკა-გაწმენდა დაზიანებული ქერქის, ხავსისა და მღიერებისაგან. ჩამონაფხეკიც დაწვით. ჩამოფხეკის შემდეგ შტამბი და დედატოტები შეათეთრეთ ასეთი ნაზავით: 2-3 კგ ახალი ჩამ-ქრალი კირი გახსენით 10 ლ წყალში და დაამატეთ 2 კგ თიხა. თუ ხეებზე ფუღუროებია, ამოასუფთავეთ, ამოავსეთ ღორღით და ამოლესეთ. ასევე ხის ყველა ნაპრალი საჭიროებს ამოსუფთავებას, 3%-იანი შაბიამნის ხსნარით (300 გ შაბიამანი 10 ლ წყალში) დამუშავებას და ბაღის მალამოთი დაფარვას (მალამო იყიდება მაღაზიაში).

ატმის ფოთლის სიხუჭუჭის წინააღმდეგ, ფოთოლცვენის შემდეგ მცენარეს და შტამბის გარშემო ნიადაგს შეასხურეთ შარდოვანას 5 %-იანი (500 გ 10 ლ წყალში) ხსნარი, ახალგაზრ-და ხეებს — 4%-იანი.

მოზამთრე მავნებელთა განადგურების მიზნით ვეგეტაციის დაწყებამდე, როცა ჰაერის ტემპერ-ატურა 5 გრადუსზე მაღალია და 20 გრადუსზე დაბალი, უმჯობესია მცენარეს შევასხუროთ 1%-იანი დნოკის ხსნარი (100 გ 10 ლ წყალში). შესხურება რეკომენდებულია 2-3 წელიწადში ერთხელ.

იმ რაიონებში, სადაც მოსალოდნელი არ არის მკაცრი ყინვები, მიზანშეწონილია ხეხილ-ის სხვლა. გამონაკლისია ატმის კულტურა, რომელიც იხსვლება ყინვების გასვლის შემდეგ.

## სირაქლემა ანუ ჩიტაქლემა

სირი სულხან-საბას ლექსიკონში ჩიტს ნი-შნავს, სირაქლემა კიდევ — ჩიტაქლემას. მაგრამ ჩიტი სულ ტყუილად ჰქვია, ფრენა არ შეუ-ძლია. სირაქლემა 150 კგ-ს იწონის, 60-70 წელიწადს ცოცხლობს, 30-35 წლის განმავლო-ბაში, წელიწადში 60-70 ცალ 1,5 კგ-იან კვერ-ცხს დებს და შესაბამისად ამდენივე „წიწილს“ ჩეკავს.

ეს კიდევ არაფერი, მართლაც შეუდარებე-ლია სირაქლემას ტყავი, რომელიც გამძლეც არის და ლამაზიც. მსოფლიო ბაზარზე ერთი სირ-აქლემას ტყავი 200 დოლარი ღირს. მისი ბუმ-ბული, გარდა იმისა, რომ ქუდების სამშვენისად, ჯაგრისად და ცოცხადაც კი ხმარობენ, წარ-მატებით გამოიყენება ელექტრონიკაში.



სირაქლემას ხორციც საუკეთესოა. გან-საკუთრებით გახდომის მსურველები ეტანებიან მის ხორცს, რადგანაც მხოლოდ ერთ პრო-ცენტ ცხიმს შეიცავს და გემოთი ძროხის ხორცს არ ჩამოუვარდება.

ამ ყველაფერს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ადვილი მოსავლელია და ქათმის საკვებსაც უპრობლემოდ მიირთმევს, მგონი ღირს მისი მოშენება საქართველოში, მით უმეტეს, კლიმა-ტური პირობებიც შესაფერისია.

სხვათა შორის, სირაქლემას ორთვალაშიც აბამენ... ასე რომ, ზუსტად საჩვენოა. ისღა დაგვრ-ჩენია, ეს დალოცვილი „ჩიტი“ მოვაშენოთ.

## მოზაიკა

* * *

*არსებობს ერთი სახეობის ხოჭო, რომელ-საც შეიძლება პროფესიონალი მესაფლავე ეწო-დოს. ასეთი ხოჭოები დაუმარხავს არ ტოვებენ არც ერთ ლეშს. სულერთია, ფრინველისა იქნება ის, მხეცისა თუ მწერის. ხოჭოების მრავალ-რიცხოვანი გუნდი შეესევა ხოლმე ლეშს და თანდათან გამოუთხრის მიწას. როდესაც ორმო მთლიანად ჩაიტევს ლეშს, ხოჭოები ზემოდან დააყრიან ამოთხრილ მიწას.*

* * *

*ფრანგმა ნატურალისტმა კომბმა ჭიანჭველებს ბუდეში ანთებული სანთელი ჩაუდგა. ჭიან-ჭველებმა მაშინვე განგაში ატეხეს, გარეთ გამოცვივდნენ და ალის ჩაქრობას შეუდგნენ. ისინი გარს შემოეხვივნენ სანთელს და გამოცდილი მეხანძრეებივით ალზე ჭიანჭველის მჟავას ნაკადი მიუშვეს. ხანძარი ერთ წუთში ჩაქრა. ორი გულადი ჭიანჭველა, რომელთაც დამწვრობა მიიღეს, მოძმეებმა სასწრაფოდ ბუდეში წაიყვანეს.*

* * *

*ადრიატიკის ზღვაში მეთევზეები შორს უვლიან კუნძულ მოშლაკს. არცთუ უმიზეზოდ ერიდებიან ისინი ამ ადგილს. კუნძულს „დაპ-ატრონებულნი“ არიან თოლიები. საკმარისია, ვინმე მიუახლოვდეს მათ სამფლობელოს, რომ მთელი გუნდი თავგანწირვით თავს ესხმის დაუპატიჟებელ სტუმარს. მათი მოგერიება კი არცთუ ისე ადვილი საქმეა.*

## „მოდი, ვნახოთ თხა..“

...თხა ვენახსაც შეჭამს, ბოსტანსაც და ბაღ-ბაღჩასაც, თუ თავის ნებაზე მიუშვი ან უყურა-დღებოდ დატოვე. მაგრამ თუ წესიერად მოუარე, ნორმალურად კვებე, ანუ ე. წ. „გა-ჟღენთვის“ იმიტაცია შეუქმენი, რასაც დიდი რაოდენობით საკვების მიცემით აღწევენ, მას უხვი და ნოყიერი პროდუქციის მოცემა შეუ-ძლია. მეცნიერების აზრით, „გაჟღენთვა“, ანუ როგორც გლეხურად იტყვიან ხოლმე — „თვა-ლის გაძღომა“, მხოლოდ თხებს ახასიათებთ. მათი საკვები უნდა შედგებოდეს: თივის, ნამჯის, ჩალისა და მწვანე ბალახისაგან, რაც იმის გა-რანტიაა, რომ წელიწადში საშუალოდ 300-400 კგ რძე მოიწველოს.



ეს ჟინიანი, ჯიუტი და თავხედი ცხოველი, ძროხისებრთა ოჯახის წარმომადგენელია. მისი წინაპარი — ნიამორი და რქახრახნილი თხაა. იმის გამო, რომ ადვილად ეგუება სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებს, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაშია მოშენებული. გვაძლევს: რძეს, ხორცს, ბეწვს (მატყლს), თივთიკს, ტყავს. ცოცხ-ლობს 8-10, მაქსიმუმ 17 წელს. სამეურნეო გამოყენების ვადაა 7-8 წელი. აგრილებენ 14-18 თვისას, მაკეობის ხანგრძლივობა 5 თვეა. 100 დედა თხა (ნეზვი) 150-250-მდე თიკანს შობს. მამალი თხის (ბოტის) ცოცხალი წონა 60-65 კგ-ია, მაქსიმალური — 100 კგ-საც აღწევს, ნეზვი-სა — 40-60 კგ-მდე.

პროდუქტიულობის მიხედვით განასხვავე-ბენ: რძის, მატყლის, თივთიკის მომცემ და შერეუ-ლი ჯიშის უხეშმატყლიან ჯიშებს.

არსებობს თხის 100-ზე მეტი ჯიში. საქართველოში ძირითადად ერთი ჯიშია გავრ-ცელებული — მეგრული (ქართული), იშვიათ-ად ზაანური (შვეიცარიული) და ბრიტანულ-ზაანური.

მეგრული თხა — მხოლოდ ჩვენთანაა გავრ-ცელებული. უხვრძიანია, მაღალნაყოფიერი. არჩევენ მეგრული თხის 2 სახესხვაობას: დაბლო-ბის და მთის. პირველი უფრო უხვმერძეულია, მეორე — მეხორცეული.

მეგრული თხის ლაქტაციის პერიოდი სა-შუალოდ 250 დღეა. ზამთარ-ზაფხულ საძო-ვარზეა და მაინც წელიწადში 300-400 კგ რძეს იწველის.

გაუმჯობესებულ პირობებში მოვლისას და მცირეოდენი საკვების დამატებისას, 800-900 კგ-ს იწველის, ხოლო სრული ბაგური კვებისას — 1000 კგ-ს. რძის ცხიმიანობა 4-4,5%-ია. ნორ-მალურად თვლიან 100 ნეზვზე 140 თიკანს... ასე რომ, თუ თხის მოშენებას აპირებთ, უკეთეს ჯიშს ვერ იშოვით. ვინაიდან უცხოური ჯიშის თიკნები ძნელად საშოვნელიც არის და ძვირიც. თანაც არ დაგავიწყდეთ, ჩვენებური თხა შეგუე-ბულია აქაურ კლიმატურ პირობებს.

## მკითხველის ფოტო



„ბოჩოლები“

***გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ***

**რედაქციისაგან:**

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ.

გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოე-ბი (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).

წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.

## ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

## როგორ დავაფესვიანოთ ვარდის კალამი



**— ზოგჯერ ისეთ ლამაზ ვარდს შევხვდები ყვავილების ბაზარში, რომ აღფრთოვანებას ვერ ვფარავ. მაგრამ არ ვიცი, შეიძლება თუ არა ამა თუ იმ ჯიშის კალმით დაფესვიანება. იქნებ „მამულ-დედული“ დამეხმაროს?**

***ნათია რატიანი***

— ეს არცთუ ისე რთულია. გთავაზობთ ვარდის კალმით დაფესვიანების მარტივ და მაღალეფექტურ მეთოდს: ვარდის ყვავილიანი ყლორტის წვერი ჰორიზონტალურად გადა-ვჭრათ ზედა კვირტიდან 5-7 მილიმეტრის დაცილებით, ხოლო ქვედა ნაწილი — ირიბ-ად, კვირტიდან 1,5-2 მილიმეტრის დაცილებით. ყლორტზე უნდა დარჩეს 7-8 კვირტი, ქვედა ფოთლები მთლიანად სცილდება, ხოლო ზედა ფოთლებს ეჭრება ნახევარი. კალმები მოვათ-ავსოთ სუფთა წყლიან ქილაში, რომელშიც წყლის დონე 1,5-2 სმ-ია. ერთ ქილაში შეი-ძლება მოთავსდეს რამდენიმე კალამი, ოღონდ ისე, რომ ფოთლები ერთმანეთს არ ეხებოდეს.

კალმებიანი ქილა დავდგათ მზიან ადგილ-ას. ქილას სახურავი არ სჭირდება. ყურა-დღება უნდა მიექცეს წყლის ოდენობას ქილა-ში, როგორც კი მოაკლდება, მაშინვე დავამ-ატოთ იმ დონემდე, რამდენიც თავდაპირვე-ლად იყო. წყლის ტემპერატურა უნდა იყოს 20-25 გრადუსი.

10-12 დღის შემდეგ წარმოიშობა კალუ-სი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ შეიძლება მისი ღია გრუნტში გადატანა.

ნიადაგი ასე მოამზადეთ: გადამწვარი ნა-კელი — 0,5 წილი, სილა, ტორფი და ყამირის მიწა თითო წილი. გადარგული კალმები უხ-ვად უნდა მორწყათ და დაახუროთ შიგნიდან კირით შეთეთრებული მინის ქილა. ნარგავს ყოველთვის უნდა ჰქონდეს ნორმალური ტენიანობა.

ერთი კვირის შემდეგ დაიწყება კვირტებ-ის გაშლა და ნაზარდის გამოტანა. იმისათვის, რომ ნაზარდი მიეჩვიოს ღია გრუნტის პირობებს, დღეში 10-15 წუთით ქილები მოვხადოთ. გადახდის დრო ნელ-ნელა გავახ-ანგრძლივოთ და შემდეგ საერთოდ მოვაც-ილოთ.

ამ მეთოდით ერთ წელიწადში მიიღებთ დაფესვიანებულ, მაღალხარისხიან, ნებისმიერი ჯიშის ვარდის ნერგს.

## სადღაა ჭვავი საქართველოში...

**— ალბათ ყველას გიყვართ ჯერ-ომ სელინჯერის მოთხრობა „თამაში ჭვავის ყანაში“. მაინტერესებს, არსე-ბობს თუ არა ჭვავის ნათესები საქართველოში და საერთოდ, სად მოჰყავთ ჩვენთან ეს კულტურა?**

***თქვენი ერთგული მკითხველი ზაზა არეშიძე***

— სამწუხაროდ, ჭვავის „კულტურიდან“ საქართველოში მხოლოდ ჯერომ სელინჯერის მოთხრობაღა დარჩა. ეს ისე, ხუმრობით, თორემ იყო პერიოდი, როცა ჩვენს ქვეყანაში ჭვავის კულტურაც იყო და შეყვარებულებიც დადიოდნენ ჭვავის ყანებში. ამჟამად კი ჭვავი ისევე არ მოჰყავთ ჩვენებურებს, როგორც ბრინჯი, ღომი, ბამბა... შეიძლება სადმე მთა-ში, რომელიმე გლეხკაცს კიდევ მოჰყავდეს ჭვავი, მაგრამ ეს ალბათ ერთეული შემთხ-ვევაა.

ჭვავის გვარი მარცვლოვანთა ოჯახის ერთ და მრავალწლოვან 13 სახეობას აერთიანებს. გავრცელებულია მცირე და შუა აზიაში, ირანში, ავღანეთში, ამიერკავკასიასა და სამხრეთ აფ-რიკაში.

ჭვავის ღეროს სიმაღლე 110-180 სმ-ია, თავთავი ფხიანია, ნაყოფი მარცვალია, შეი-ძლება იყოს მწვანე, რუხი, იშვიათად ყავის-ფერი.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ჭვავი მოჰყავთ: ბელორუსიაში, უკრაინაში, ბალტიისპირეთში, ყაზახეთსა და სხვა შავმი-წანიადაგიან ქვეყნებში. ადრე ამ ქვეყნებიდან შემოჰქონდათ ჩვენთან ჭვავის ფქვილი და ნამ-ცხვრებსაც კი აცხობდნენ საკონდიტრო ფაბ-რიკები, დღეს კი ეს ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა...

# გურამ რჩეულიშვილი — „ალავერდობის“ გმირი

იგი „ალავერდობის“ უწელო ცხენზე ამხედრებული შემოიჭრა ქართულ ლიტერატურაში, ალავერდის გუმბათის თავიდან გადმოხედა ალაზნის მდუმარე ველს და კიდევ ერთხელ დააფიქრა მკითხველი ამ სოფლის სატკივარსა და სიხარულზე. მისი გმირები ხან იტალიური ფილმებიდან გადმოსული ნაბიჯებით მიუყვებიან დაღმართებს, ხან მთის დაქეხილ ხერხემალზე ხეობიდან ავარდნილ ხარირემს მისდევენ, ხან უსახელო უფლისციხელის თვალებით შემოგვყურებენ... ხანაც რვა წლის მთიელ გოგონასთან ერთად თივით სავსე ქოხში ამოვყოფთ თავს, რომლის სურნელიც აფერადებს ნაცრისფერ დღეებს მთაში...

26 წლისა ტრაგიკულად წავიდა ამ ქვეყნიდან გურამ რჩეულიშვილი... მოხდენილი აღნაგობის, რაინდული ბუნების, მთასა და ზღვაზე შეყვარებული ახალგაზრდა კაცი...

გურამ რჩეულიშვილი თაობის მწერალი იყო და არა მარტო... მან დაამკვიდრა თაობის სტილი ჩაცმაშიც: შავპერანგჩახსნილი, მძიმეზაწინკიანი, ზურგჩანთამოკიდებული — ასეთი ახსოვთ მის თანამედროვეებს დროის ჩარჩოებს ვერმორგებული კაცი... მისი უკვდავება იმაშია, რომ კვლავ თაობები იქნებიან მისი მოთხრობებით, მისი სიტყვით აღვსილნი და დაფიქრებულნი. ამას ნამდვილი ლიტერატურა ჰქვია, რაც ასე გვჭირდება დღეს...

ბატონო მკითხველო, თქვენთან ერთად თვალი გადავავლოთ გურამ რჩეულიშვილის მინიატურულ მოთხრობებს, გავიხსენოთ „ალავერდობის“ განუმეორებელი ფინალი და კიდევ ერთხელ განვიცადოთ ის გაოცება, რაც ნამდვილი მწერლობის თანხვედრია მუდამ...



## მთაში

მინდია იწვა გულაღმა და ყრუდ გმინავდა. მოფხრეწილი ბეჭიდან შავი სისხლი ამოდიოდა. სამფეხაზე დასტაქარი იჯდა. დიდი, პრიალა დანით ჭრიდა ჭრილობას. მინდია გმინავდა სულ ყრუდ, მერე დასტაქარმა მარილი დააყარა.

დათოს ბუსუსები დაასხდა. „რა ვაჟკაცია მინდია“, გაიფიქრა, „მე ერთხელ გაკაწრულზე მომხვდა მლაშე და ცრემლები გადმომაყრევინა.“ შიშით განაგრძო ოპერაციის ყურება.

მინდია აღარ გმინავდა.

ახლა მხოლოდ მისი კბილების ღრჭიალი ისმოდა.

დასტაქარი იჯდა სამფეხაზე და ჭრილობას უკერავდა.

ოთახში მზექალა შემოვიდა. წყალი შემოიტანა, მერე ჩუმად დაჯდა დათოს გვერდზე. „ესეც რა ყოჩაღია, ქალია და რა ვაჟკაცურად უყურებსო“, გაიფიქრა დათომ, მერე თქვა:

— მზექალა, არ გეშინია, ქალო?

— რაისი?

— ძმას ჭრიან ბეჭზე, როგორ რაისი.

— საშიში რა არის?

— როგორ?

მზექალა წყლის გამოსაცვლელად წავიდა.

შემდეგ ისევ მიუჯდა გვერდზე დათოს.

— რა ვაჟკაცია შენი ძმა, — თქვა დათომ.

— რადა? — თქვა მზექალამ.

— დაუძინებლად ჭრიან ბლაგვი დანით, თან მარილს აყრიან, მაინც არა ღრიალებს.

— რად უნდა იღრიალოს?

— როგორ რად, სტკივა.

— მერე რა?

დათომ უაზროდ შეხედა მზექალას.

— ვაჟკაც მით იყვ, რო ორ ტახ დაჰკოდ, თორე ყვირილით ვის უყვირავს, რომ მაგან იყვიროს. — განაგრძო მზექალამ.

დათო იჯდა და ფიქრობდა...

მზექალამ მესამედ გამოუცვალა წყალი, მერე ისევ იქ დაჯდა და ჭრეს დაუწყო ყურება, შემდეგ რაღაც მოაგონდა. წამოდგა, „თუ დროზე არ გავატყავე, გაფუჭდების ტახ... მინდია, ალბათ, ერთ კვირას მაინც იქნების დაკოდილ“. მერე დათოს შეხედა, ალბათ, უნდოდა დახმარება ეთხოვა, მაგრამ გადაიფიქრა, დანა ჩამოიღო და მარტო გავიდა.



ალავერდი. ბადრი ვადაჭკორიას ფოტო

## ალავერდობა

(ნაწყვეტი მოთხრობიდან)

მან არ იცის კახეთი, ვისაც ციგგომბორის ქედზე შემდგარს არ დაუნახავს ალაზნის ჭალიდან ამოვარდნილი ალავერდი; მას არ განუცდია დაუოკებელი კახური ვნების სიმძაფრე, ვისაც ალავერდის თავზე თავისი ფეხით ავარდნილს გუმბათიდან არ დაუნახავს ერთმანეთზე მიყრილი და უსასრულობამდე გაშლილი სოფლები, სავსე და დიდებული, ჩაფლული გაუთავებელი ვაზის ხეივნებში.

მთელს ამ უზარმაზარ ველზე არ არის არც ერთი გოჯი, არ არის არც ერთი წერტილი, სადაც ადამიანს წარსულიდან დღემდე არ შეექმნას თავისი შრომით მატერიალურად თუ სულიერად ძლიერი და ღირსეული რამ. ტყისპირას გაგონილ, დაუწერელ, ერთად მოვარდნილ სიმფონიასავით იღვრება თვალწინ ძველი ციხეები, ეკლესიები, ბურჯები და ამ ეპოქაში ნაშენი ხიდები, სწორი, უგეგმიანესი ალვნებით. ამ გეგმიანობიდან სინათლესავით მოდის შეუჩერებლივ რაღაც ახალი, სიცოცხლისუნარიანი. მისი ეგზოტიკისათვის უცნობი ძალა იპყრობს გუმბათის თავზე მდგომის სხეულს: ახალი, შეუცნობლად კანონზომიერი, შეერთებული გრანდიოზულ, უსიტყვო შრომასთან. ის ფიქრობს:საიდან მოდის ეს სიცოცხლისუნარიანობა, და პასუხობს: ის თვითონ ჩემშია, ის თვითონ ხალხშია, მაგრამ აქ ზოგიერთნი დაბნეულან და ვეღარ გრძნობენ შემოქმედის ნამდვილ სიამოვნებას, სიამოვნებას შრომისა, რადგან ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში.

მის ფეხქვეშ დგას ალავერდი, სხვისი გრანდიოზული ვნებისაგან შექმნილი, თვითონ კი... გუმბათის თავზე შერჩენილს ეღიმება, ისე უაზრობად ეჩვენება აქ დგომა. ქვევით იხედება და ღიმილი სიცილად ექცევა — დაბლა უკვე დაშლილა ხალხი და ის სულ მარტოა აქ, ამ საშიშ ადგილას. ალვნებში მწყობრად ინთება სინათლეები და ჩამოსულს მხოლოდ ცხენის მიგდებული, უაღვირო ლეში აგონებს თავის უნებურ, უაზრო, გაუმიზნავ, უნაყოფო სურვილს.

სინათლეები კი სულ მატულობს და საოცარი ჰარმონიით ერევა ალაზნის მდუმარე ველს, რომელსაც ის ფეხით მიჰყვება ალვანისაკენ.

## ნიძლავი

— ხან ცხელა, ხან ცივა!

— ვა!

— რა ვა?

— მა როგორ გინდა?

— მაინც რანაირათაა...

— რა, ბიჭო, არ მესმის.

— რა და, შარშან მაისში ციოდა.

— მერე?

— მერე, წელს ცხელა.

— დიდი რამე.

— იცი რა?

— რა?

— გაისად ისევ ეციება.

— ვინ იცის?

— ნიძლავი!

— ვა, რაც შენ ნიძლავი გიყვარს.

— არა? თქვი შენ თვითონ.

— არა!

— ჩამო ნიძლავი!

— მაიტა!

— ვინ ჩაჭრის?

— ვანო.

— აბა ვანო?

— ვანო.

— სად არი?

— აგე!

— დაუძახე!

— ვანო, ვანო!

— რაი?

— მოდი აქ, ჩაჭერი!

— რაზეა ნიძლავი?

— არც რაზე, ჩაჭერი.

— აჰა! ეგეც საქმეა? რაზეა, არც ახლა იტყვით?

— რაზე და გაისად მაისში უნდა ციოდეს.

— გაისამდე დაგავიწყდებათ.

— მე არა, პეტრეს შეიძლება.

— მე?

— ჰო...

— რო არა...

— რო ჰო.

— მოდი ნიძლავი!

— ახლაც მე ვიწყებ ნიძლავსა?

— შენ ამტეხე.

— მე არა.

— პეტრევ, შე სასიკვდილევ!

— ვაიმე!

— დედა გეძახის, ბიჭო!

— არა, ბებოა.

— ბებო არა, ის...

— ბებოა, გეუბნები. მე არ ვიცი?

— ჩამო ნიძლავი, დედაშენია.

— მაიტა!

— აჰა!

— ჩაჭერ, ვანოვ!

— აჰა, რაზეა, არ იტყვით?

— რაზე და, დედა იძახის თუ ბებო, იმაზე.

## სეირნობა

ქარმა მოუბერა. რუხად აშალა მტვერი ბინდში. მოხუც ჩაჩაურს ხველება აუვარდა. მინდია ხმელ ბალახს აგროვებდა, მერე სადღაც მტვრიანი ჯაგი იპოვა. შუაღამემდე ეწვალა; ძლივს შეაგროვა ხიწაწი.

ალი უცებ ავარდა.

ჩაჩაური თექაში გახვეული იჯდა. თავი და ბეჭები მტვრითა ჰქონდა სავსე. გაცვეთილი ქუდიდან ურჩ თმას ამოეყო თავი. ხელში მიმქრალი ჩიბუხი ეჭირა. მერე მინდიაც მოვიდა.

— ძაღლები უდარაჯებენ, — თქვა მან.

— დათვალე?

— ჰო, ათნივე არიან.

უცბად ავარდნილი ალი უცბადვე ჩაქრა.

— ახლა მთვარე ამოვიდა. ჯერ წვერი გამოაჩინა.

— აქეთაც დიდი ყოფილა მთვარე, — თქვა ჩაჩაურმა.

მერე უფრო ამოვიდა მთვარე. მოხუცი წამოდგა, ძროხები დაათვალიერა და ისევ მიჯდა. მინდია კანკალებდა.

— პაპავ, ახლა რა იქნება? — თქვა მან.

— არც რაი.

— საფეხნო აღარ გვექნება?

— რა ჭირად გვშავდება?

— აღარ წავალთ უკან?

— მე აღარა.

— შენ რატო?

— სიკვდილი მიწევს, ალბათ.

ჩაჩაური უფრო გაეხვია თექაში.

მინდიას მიეძინა.

ძაღლები ყმუოდნენ. „სიზმარი თუა, — ფიქრობდა მოხუცი, — არც ხეა, არც მთაი, მარტო ველს ურჯულოსაც არ ვუსურვებ. ამბობენ ქედშიაც ეგააო. ეჰ, საწყალი ლიქოკელ ბერდია პირველი კაცი იყო შატილში, ახლა თავი მოუკლავს ქედში. ძნელ არს, ალბათ, იქ. — პაპამ სატევარი მოისინჯა. — ტუტუცი ყოფილა მაინც ბეჩავი, ეცოცხლა, იქნებ... — ისევ მოისინჯა სატევარი. — თუმცა კარგი უქნია... მაშინ კი მაჯობა დოლში, ცხენი ჰყავდა კარგი, პირდაპირ გადაუშვა კლდეზე, მე ვუცერე, მაინც წამექცა“.

ისევ მოუბერა რუხმა მტვერმა.

მთვარე აქრობდა ვარსკვლავებს.

ჩაჩაური ფიქრს განაგრძობდა.

„ახლა სად იქნება დოლი, აქა, ტრამალში, ამ უდაბურში?

ვაჰ მე, სწორ იყავ, ლიქოკელო ბერდიავ, მე და შენ ბევრი ჯვრობაი გვახსოვს, ბევრი დოლი, ვერ გაუძელ განა ტრამალს, ომი მაინც ყოფილიყო, ბეჩაო, ან ჩხუბი, არ დამენანებოდი მაშინ, ცოდო ხარ ახლა — ასე ტყუილად; ბეჩაო, ომ მაინც ყოფილიყო!“

მოხუცმა ისევ მოსინჯა სატევარი, მერე სიბნელეში ვიღაცას დაემუქრა. „ვის უნდა ჩვენი თავი ნეტავი, — განაგრძობდა ფიქრს, — რა შურთ, მიწაი მწირი, თუ გული ჩვენი, ალბათ გული, უჰ შენ, ჩაჩაურო, — ამოიგმინა ბერიკაცმა, — ომია, მა რაი არს, ომია მაშა!..“

ნელა ქრებოდა მთვარე, ახლა თეთრადღა მოჩანდა. სადღაც ანათებდა ვარსკვლავი.

აცივდა.

ძროხები წინ მიდიოდნენ, სულ წინ მინდია მიდიოდა, სულ ბოლოს ჩაჩაური. ციოდა, მერე დაცხა, მერე ჩამოცხა. სქელი და რუხი მტვერი ედებოდა ნახირს. ჩაჩაური ახველებდა.

ჩაიბურა მტვერი, რუხი და სქელი.

საქონელმა წყალი იყნოსა და აზმუვლდა.

— მინდიავ, — გასძახა ჩაჩაურმა, — ბიჭავ, ის რაი?

— ალბათ, ზღვაა, პაპავ.

— რომელი?

— ამბობენ თბილისის, აქ არის ჩვენი ადგილი.

— მაგ ხრიოკში, ბიჭავ?

— ალბათ.

საქონელი წყალს დაეწაფა.

მინდია ცივ მჭადს ლოღნიდა. ცხელოდა.

— ბიჭავ, სადა ვართ? — თქვა ჩაჩაურმა.

— ზღვაზე.

— რომელზე?

— თბილისის, პაპავ.

ჩამოსხდნენ. წყალი ოდნავ ღელავდა.

საქონელი წყურვილს იკლავდა.

— ბიჭავ, ერთ ის ლექსი თქვი.

— რომელი, პაპავ?

— ისა.

— ისა?

— ჰო.



*— თავს არ მოიკლავს ქართველი,*
*არა,*
*ის შაიძლების ბრძოლაში*
*მაკვდეს.*

— კიდევ თქვი.

— მერე, პაპავ, პაპავ, ლიქოკელ ქართველ არ იყო?

— ჰო. — თქვა ჩაჩაურმა.

— რად მაიკლა თავი მაშ?

— თავი?

— ჰო.

— „ის შაიძლების ბრძოლაში მაკვდეს“, — გაიმეორა გულში ბერიკაცმა, — „ბრძოლაა, მა რა ოხრობაა, დასცეს და მოკვდა“, — გაიფიქრა თავისთვის.

— არ ვიცი ეგ, — თქვა ხმამაღლა, მერე ნახირს დაუარა.

შორს, სულ შორს, ზღვაში იალქნები დაცურავდა. ქვევით ტიტველი ხალხი იყო. მოხუცმა მოიჩრდილა, წინიდან სიცილი ისმოდა.

ძაღლები უღრენდნენ მოცურავეებს.

— ეგენი ვიღა არიან? — თქვა მანანამ.

— ალბათ, აისორები, ან ქურთები, — გურამმა მოქარგულ ხალათებს ჩააყოლა თვალი.

— არა, ხევსურები არიან, — თქვა ნოდარმა.

— სად მიდიან? — იკითხა მანანამ.

— სეირნობენ, — გადაიხარხარეს ბიჭებმა, გოგოს ხელი მოჰკიდეს და სირბილით დაეშვნენ წყლისაკენ.

# — თქვენ რა იცით, ესპანელებო, ვინ იყვნენ ქართველები წინათ...



ქვეყანაში სრული სიმშვიდის დადგომამდე, როგორც ჩანს, კიდევ მოგვიწევს ლოდინი. სიმშვიდე კი ღიმილის, ემოციური განტვირთვის გარეშე ძნელად თუ მოდის. ამიტომაც განწყობის შესაცვლელად გთავაზობთ ინტერვიუს მომღერალ **მამუკა ონაშვილთან**. „ნახევარმამუკა" (იგი ასე „ბასტი-ბუბუს" საიუბილეო კონცერტზე მონათლეს ნახევარქათამას „არიის" შესრულებისათვის) ბოლო დროს ისევ ფერ-ხორცით „შეივსო". რაც უსარგებლო დიეტის კი არა, ქეიფისა და ძმაკაცების სიყვარულის ბრალი ყოფილა. ინტერვიუ მეტისმეტად „რთულ ვითარებაში" ჩაიწერა. ხელს „ანარქისტი" მალხაზ ქვრივიშვილი, ყოფილი გიუნა ცერცვაძე გვიშლიდა. თუმცა, მისმა მცდელობამ ამაოდ ჩაიარა.

**— მამუკა, ბოლო დროს თაყვანისმცემლები თქვენი შემოქმედებითი პაუზის გამო ალაპარაკდნენ.**

— ვმუშაობ ახალ პროგრამაზე, რეპერტუარზე, ჩემს მეგობრებთან ერთად სტუდია „ორფეოსში" ორ ახალ კლიპსაც გადავიღებთ. რაც შეეხება პაუზას, ეს ერთგვარი ბარომეტრია იმისა, თუ რას ფიქრობს მსმენელი შენს შემოქმედებაზე. ასეთი პაუზები კარგიცაა.

**— ბოლო ხანს ქსოვრელებთან ერთად დუდუკზე მომღერალიც განხეთ, ამ ჟანრში კიდევ ხომ არაფერი ჩაწერეთ?**

— ქსოვრელებმა გაიგეს, რომ რესტორანში ქეიფის დროს მეგობრებთან ერთად სიამოვნებით ვმღერი დუდუკზე. ამიტომაც მთხოვეს მათთან ერთად კონცერტზეც გამოვსულიყავი. ახალ რეპერტუარშიც ვაპირებ დუდუკზე სიმღერის ჩართვას.

**— ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე რას იტყვით?**

— ძალიან განვიცდი ყველაფერს. თითქოს უკეთესობისკენ უნდა შეიცვალოს მოვლენები, მაგრამ იგრძნობა ქვეყნის კიდევ უფრო დაქუცმაცების საფრთხე და გული მისკდება... რაც დაკარგული გვაქვს, ნეტავ, ის დაგვაბრუნებინა უფლის ნებით... მიკვირს, რატომ ვკარგავთ ერთმანეთის მოფერების, შერიგების უნარს... დავსხდეთ ქართულ სუფრასთან, ვადღეგრძელოთ ერთმანეთი და შევრიგდეთ. ხშირად შევსწრებივარ მსგავს სიტუაციას, როცა კამათი სწორედ სუფრასთან დამთავრებულა, შერიგებულან.

**— მამუკა, გამშველებლის და შემრიგებლის ამპლუაში თუ ყოფილხართ?**

— ძალიან ხშირად. სულ ვცდილობ კამათმა და ჩხუბმა კულმინაციას არ მიაღწიოს და მოჩხუბართა შორის ვდგები. არა აქვს მნიშვნელობა, მეგობარია, უცნობია თუ ა.შ. ბოლოს ყველაზე მეტი აგრესია ჩემზე გადმოდის, მაგრამ ჩვეულება რომ რჯულზე უმტკიცესია, ხომ მოგეხსენებათ. ვერ მოვიშალე ეს დალოცვილი. სხვის ამბებში რად ერევიო, მეკამათებიან, მაგრამ ჩემზე არაფერი ჭრის. სულ ვფიქრობ, რომ არ ჩავერიო და ტრაგიკულად დასრულდეს, მერე რა ვქნა, როგორ ვაპატიო ეს ცოდვა ჩემს თავს-მეთქი.

**— როგორ ფიქრობთ, მართლა დრონი მეფობენ თუ მეფენი?**

— დრონი და მგონი დროა, ჩვენს დროშიც გამოჩნდნენ ახალი სახეები, „მეფეები", თორემ კანონზომიერების ჯაჭვიდან ამოვარდნილებს დავემსგავსებით. თუ კაცი ხარ და ტვინი გიჭრის, წაიკითხე ბიბლია, იცხოვრე სოლომონის სიბრძნით, დაუგდე ყური ქრისტეს... ომი რად გვინდა, ვილაღოთ და სხვაც ვალაღოთ...

**— არაორდინარულ სიტუაციაში თუ გიქეიფიათ?**

— როგორ არა! მდინარეში, საცურაო ტრუსების ამარა ვისხედით, უზარმაზარ კუნძზე კაი სუფრა გვქონდა გაშლილი და ტალღების აკომპანიმენტზე ისე ვმღეროდით, ჩიტებიც კი ჩვენ გვისმენდნენ და თევზებიც სიხარულით გვიხტებოდნენ სუფრაზე.

**— დღევანდელ შოუბიზნესზეც გექნებათ თქვენეული მოსაზრება...**

— შოუბიზნესში ბევრი რამ არ მომწონს, მაგრამ ვერ ვამბობ, რაღაც მიზეზების გამო ვჭერდები. საერთო სიტუაციის გამოსწორებაა საჭირო, რასაც დრო აუცილებლად სჭირდება. მოკლედ, ისეა როგორც ანდაზაში, „თევზმა თქვა, სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო"...

**— ანდაზამ გამახსენა, რას იტყვით, ვისაც თმა გრძელი აქვს, შეიძლება ჭკუამოკლე იყოს?**

— რაღაც არ მჯერა მაგ სიბრძნის. ისე, ამ გამონათქვამის მიხედვით მელოტები გენიოსები გამოდიან, მაგრამ აგერ მალხაზ ქვრივიშვილს სამაგისოს ვერაფერს ვატყობ (იცინის მალხაზთან ერთად)...

**— კვიცი რომ გვარზე ხტის, ამისი თუ გჯერათ?**

— აი, ქართველი „კვიცები" მართლა გვარზე ხტიან მთელი ცხოვრება. მაგ გვარზე ხტომამ მოგვიყვანა დღემდე უძველესი კულტურით. ესპანეთში, „ალკანტეს" ფესტივალზე გამარჯვებული, იცით, რას ვფიქრობდი? ეჰ, თქვენ რა იცით ესპანელებო, ვინ იყვნენ ქართველები წინათ, რა ხალხი გვყავდა, როგორ მღეროდნენ, ან როგორ ცეკვავდნენ... როგორ კაცობდნენ-მეთქი... რაც გვქონდა, ყველაფერს შენარჩუნება და განმტკიცება უნდა.

**ეკა ლომიძე**




კვირა 7 დეკემბერი

შაბათი 6 დეკემბერი

პარასკევი 5 დეკემბერი

ხუთშაბათი 4 დეკემბერი

ოთხშაბათი 3 დეკემბერი

სამშაბათი 2 დეკემბერი

ორშაბათი 1 დეკემბერი

# ჯინი, რომელსაც პრესის თავისუფლება ჰქვია, უკან აღარ ჩაბრუნდება

მე არ ვიცი, როგორი იქნება პირველი არხის ბედი. სრულიად გაურკვეველი მდგომარეობაა. მაგრამ ერთი რამ კატეგორიულად შემიძლია ვთქვა — ამ ქვეყანაში მედიის დევნა აღარ გამოვა, რადგან ჯინი, რომელსაც პრესის თავისუფლება ჰქვია, ბოთლიდან ერთხელ ამოვიდა და მისი უკან ჩაბრუნება აღარ მოხერხდება.



მეორე ორშაბათი დგება, რაც რადიოეთერით აღარ გადაიცემა პრეზიდენტ შევარდნაძის რადიოინტერვიუ. პრეზიდენტის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი საორშაბათო ინტერვიუებს არ იძლევა და შესაძლოა, შევარდნაძის ეს ტრადიცია აღარც ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ გაგრძელდეს. როგორც მოგეხსენებათ, პრეზიდენტის რადიოინტერვიუს წამყვანი გახლდათ სახელმწიფო ტელევიზიის თავმჯდომარის მოადგილე, ნატო ონიანი, რომელიც შევარდნაძის გადადგომის შემდეგ პირველად გუშინ უნდა გამოჩენილიყო — „ტაიმ-აუტი" მისი ავტორის გარეშე გავიდა ეთერში(?!). გთავაზობთ ინტერვიუს ქალბატონ ნატოსთან.

**— პრეზიდენტთან თქვენი ინტერვიუ შეწყდა. რას იტყოდით ამის თაობაზე? როგორია თქვენი ემოციური დამოკიდებულება?**

— ამგვარი მოტივით საუბრის საბაბი, ვფიქრობ, მექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ შევარდნაძე საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ, 2005 წელს წავიდოდა ან გადადგებოდა ზეწოლის გარეშე, თავისი ნებით. ვფიქრობ, უხერხულია, რადიოინტერვიუს შეწყვეტის გამო ჩემს ემოციებზე ვიფიქრო, მაშინ, როცა ბევრად უფრო ფართომასშტაბიანი და უჩვეულო მოვლენები ხდება ირგვლივ. ჩემთვის ეს უფრო დასაფიქრებელია, ვიდრე ის, რომ ორშაბათს რადიოინტერვიუზე ვერ შევხვდები ედუარდ შევარდნაძეს.

**— რას დაარქმევთ მიმდინარე მოვლენებს. თუ შეგიძლიათ გარკვეული ანალიზის, დასკვნების გაკეთება?**

— ანალიზის გაკეთებანაადრევია, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს მოვლენები ჯერ კიდევ მიმდინარეობს. თავის დროზე, როცა პრეზიდენტი გამსახურდია საქართველოდან გააძევეს და მოხდა შეიარაღებული გადატრიალება, არ ვიყავი გამსახურდიას თაყვანისმცემელთა შორის, მაშინ პოლიტიკას ჩვეულებრივი ობივატელის თვალით ვუყურებდი, რადგან ჩემი ჟურნალისტური საქმიანობა აპოლიტიკურ სფეროებს ეხებოდა. როცა გამსახურდია საქართველოდან წავიდა (მიმაჩნია, რომ ეს იყო ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ერთ-ერთი სამარცხვინო მოვლენა), დაახლოებით ორ-სამ დღეში რადიოს პირდაპირ ეთერში მოწვეული გვყავდა სტუმრები (მათ ვინაობას ახლა არ დავასახელებ), ერთ-ერთს ვთხოვე მომხდარის შეფასება. მან თქვა, რომ ეს იყო დემოკრატიული რევოლუცია, სახალხო აჯანყება, და გაიკვირვა, არ მეთანხმებითო? არა, ეს იყო შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება-მეთქი, — ვუპასუხე და, როგორც ჩანს, რადიომსმენელთა ერთმა ნაწილმა ჩათვალა, რომ გამსახურდიას მომხრე ვიყავი. მივიღე ბევრი წერილი, სადაც მთხოვდნენ, ფრთხილად ვყოფილიყავი ახალი ხელისუფლების მიმართ. ეს ამბავი იმისთვის გავიხსენე, რომ ვთქვა — ადამიანი ყოველთვის უნდა იყოს გულწრფელი, რათა შემდეგ არ შერცხვეს საკუთარი სინდისის წინაშე. მე გულწრფელი ვიყავი და დღემდე მეამაყება, რომ სწორი შეფასება გავაკეთე.

**— დღეს როგორ შეფასებას გააკეთებთ?**

— შეიძლება ამას სასახლის კარის გადატრიალებაც ვუწოდოთ. ყველაზე კარგი შედეგი არის ის, რომ არ დაიღვარა სისხლი, რაც პირველ რიგში, პრეზიდენტის და იმ ხალხის დამსახურებაა, ვინც გარეთ იდგა, ვგულისხმობ, მოქალაქეებს.

**— „ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ პირველი არხის მიმართ განხორციელებულმა შეტევამ საზოგადოების დიდი ნაწილის გაღიზიანება გამოიწვია. თქვენ რა შეფასებას მისცემთ ამ მოვლენას?**

— შეტევა განხორციელდა არა მხოლოდ პირველი არხის, არამედ ტელეკომპანიების „კავკასიის", „მზის", „იბერიის" მიმართაც. გამაფრთხილებელ ზარებს კი ლუბა ელიაშვილის უკვე გახმაურებული ამბავიც მოჰყვა. არავინ ჩამოუხრჩვიათ და დაუხვრეტიათ, მაგრამ რაც ხდება, ალმაშფოთებელია. ყველამ მშვენივრად იცის, რომ არც ათი წლის წინ და არც განვლილი ათი წლის განმავლობაში ასეთი რამეები არ ხდებოდა და არავის დევნიდნენ საკუთარი აზრის გამო. მე არ ვიცი, როგორი იქნება პირველი არხის ბედი. სრულიად გაურკვეველი მდგომარეობაა. მაგრამ ერთი რამ კატეგორიულად შემიძლია ვთქვა — ამ ქვეყანაში მედიის დევნა აღარ გამოვა, რადგან ჯინი, რომელსაც პრესის თავისუფლება ჰქვია, ბოთლიდან ერთხელ ამოვიდა და მისი უკან ჩაბრუნება აღარ მოხერხდება.

**— გავრცელდა კულუარული ინფორმაცია, რომ გაერთიანდება პირველი არხი და „რუსთავი-2".**

— უამრავი ჭორი დადის ტელევიზიაში, მაგრამ რეალურად ჩვენთვის ჯერ არავის არაფერი უთქვამს, ისე სიტუაცია საკმაოდ უსიამოვნოა.

**— 2 ნოემბერს არჩევნებში მიიღეთ მონაწილეობა?**

— გადავხაზე ყველაფერი და ამაყი ვარ ჩემი საქციელით. უნდობლობა მქონდა ყველას მიმართ და არც შევმცდარვარ. ამჯერად კი მაკვირვებს ის, რაც პარლამენტის სხდომაზე ვნახე. რაზეც ნოდარ გრიგალაშვილმა ძალიან კარგად თქვა — თუ ასე ვუყვარდით ყოფილ სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლებს და ახალი მინისტრების დამტკიცებაზე ოდნავი წინააღმდეგობაც კი არ გაგვიწიეს, რაღას გვარბენინეს ორი კვირა ქუჩაში დროშებით. თუ შეთანხმება შეიძლებოდა, აურზაურის გარეშე არ შეიძლებოდა ეს მომხდარიყოო? აბსოლუტურად სწორი პოზიციაა. ყველაზე მეტად ამ მოვლენებში იმან გამაბრაზა, რომ ხალხი ოვაციით შეეგება ივანოვს და ეს ხდებოდა იქ, სადაც ცხრა აპრილის ტრაგედია დატრიალდა. ძალიან კარგად მახსოვს, სტამბოლში სამიტზე ვიმყოფებოდით, როცა რუსეთი ჩვენს ტერიტორიებს ბომბავდა. მაშინ ივანოვმა აბსურდული და გამაღიზიანებელი განცხადებები გააკეთა, რაც მსოფლიომ მოისმინა. ამიტომაც არ მესმის ივანოვის მიმართ იმდღევანდელი აღფრთოვანება. ჩემთვის ეს ყველაფერი შორს იდგა ზნეობისაგან. ვნახოთ, რა მოხდება აწი.

**ეკა ლომიძე**

# მეორე დღეს შამპანურით მომადგა პოსტზე — შენ ჩემი „კუკარაჩა“ ხარო...

**ძია ანდროს „კუკარაჩას“ ეძახის დიდი და პატარა, მიუხედავად იმისა, რომ დუმბაძისეულ რომანტიკულ გმირს გარეგნობით იოტისოდენადაც არ ჩამოჰგავს. დაბლია, კოტიტა. ლუარსებისეული ღიპი „სიანჯით“ მუდამ პრობლემებს უქმნის პატრონს: „კაპრონის ძაფით რო დაკეკერო ფოლაქი, მიანგრევს და ზოგჯერ ისეთ დროს აწყვეტს, სიკვდილს მანატრებინებს. ამას წინათ ოპერატიული თათბირზე ვართ ბიჭები რაიუფროსთან და მიყვირა პოლკოვნიკმა: — ყველაზე ნაკლებ ჯარიმას რომ შენ უწერ შოფრებს, დავიჯერო, ყველა ჭკუადამჯდარი შენს ტრასაზე დაგრიალობსო?! წამოვდექი, გავიჭიმე, უნდა ვუპატაკო უფროსს და ამ დროს არ გავარდა, კაცო, ტყვიასავით მოწყვეტილი ფოლაქი! პირდაპირ თვალში ეტაკა რაიუფროსს, სკამიდან გადმოვარდა მოულოდნელობისაგან, ეტყობა, ეგონა, მომკლესო... ორი კვირა თვალს ვერ ახელდა. მე ტრასაზე არ გამიშვეს, კინაღამ მშიერი მოვკვდი!..“**



**— ჭამაც აგიკრძალეს, ანდრო ბიძია?!**

— ვითომ არ იცი, ავტოინსპექტორისთვის რასაც ნიშნავს ორი კვირის უმუშევრობა... ხელფასს მე არავინ მაძლევს და თუ შოფრებმა არ მომცეს ორიოდე გროში, ყაჩაღად ხომ არ გავვარდები ე პატიოსანი კაცი, თანაც ყველა თავის წილს ითხოვს. ი ჩემ რაჟდენაუფროსს ბიუჯეტის ჯავრი კი არ ჰკლავს, თავისი ჯიბის დარდი არ ასვენებს, შინ სამი მუტრუკი ჰყავს სარჩენი, დევებს ჰგვანან, სადილად თონე პური არ ჰყოფნით.

**— მძღოლებს რომ უყვარხართ?!. მათგან ვიცი თქვენი ამბავი. ყველა ამბობს: — დღეს ტრასაზე ანდრო დგას, კაცური კაციო!..**

— არ მიყვარს პატიოსანი კაცისთვის ყელში ხელის წაჭერა. ზოგს ისეთ დარღვევაზე ვიჭერ, რატო ასლარიანი ჯარიმა არ ეკუთვნის, მარა ყმაწვილები არიან, ზოგსაც შეყვარებული უზის... თუ გინდა კახპა ჰყავდეს — ხომ არ შევარცხვენ, როცა ვიცი, ფული არა აქვს და ბენზინიც ნასესხები უსხია. ვუშვებ და უფასო რჩევა-დარიგებებსაც ვატან — ფრთხილად იარე, თავს ავი არ აუტეხო-მეთქი...

**— „კუკარაჩა“ ვინ შეგარქვათ?!**

— ერთი ყმაწვილი მთვრალი დავიჭირე. წინააღმდეგობა რომ გამიწია, გავკოჭე და ჩავაგდე ჩემს მანქანაში, მეორე პოლიციელს მისი მანქანა წამოვაყვანინე და მივგვარე მშობლებს. ეგონა, ჩავუშვებდი. მე კი ბოდიში მოვუხადე გადარეულ მამამისს — ერთად ვსვამდით, მე მაპატიეთ-მეთქი!.. აბა, 20 წლის ბიჭს მამას ხომ არ ვაცემინებდი?!. მეორე დღეს შამპანურით მომადგა პოსტზე — შენ ჩემი კუკარაჩა ხარო! — აიტაცეს ბიჭებმა და აგერ რამდენი წელია, მეც აღარ მახსოვს, რომ ანდრო მქვია.

**— სხვისი შვილები რომ ასე გიყვართ, რატომ საკუთარი არა გყავთ, გავიგე, ოჯახი არ გქონიათ!..**

— ერთი ქალი მიყვარდა... დღემდე მიყვარს, უკვე ბებიაა და მის დანახვაზე სულ ელეთ-მელეთი მომდის, ვალიდოლიც არ მიწყნარებს გულის ფრიალს...

**— სხვას რატომ დაუთმეთ?!**

— ეე, ის ვარსკვლავებს ეთამაშებოდა ყოველთვის, ისეთი გოგო იყო, თანაც სტუდენტი... მე კი... მე საშუალო ძლივს დავამთავრე, არც წიგნი მყვარებია დიდად. იმასთან ლაპარაკსაც ვერ ვბედავდი... მისი ქმარი კი პროფესორია ახლა, შვილებიც ნასწავლი ჰყავს. იმისი გათხოვება რომ გავიგე, თავს ვიკლავდი ჭაღზე ჩამოვკიდე ბაწარი და გავუყარე შიგ თავი... ჩამოვანგრიე ჭერი! ქამრით მცემა მამაჩემმა — ლუსტრას რა ერჩოდიო! არც იმას უეჭვია და არც მე გამიმხელია, თავს რომ ვიკლავდი...

**— აკი, შეგყვარებია ვიღაც...**

— ეგ განა სიყვარულია?!. მარინა გზას აცდენილი ქალი იყო, გაუბედურებული, კაცები სულ ატყუებდნენ და მერე სცემდნენ კიდევაც... ყველა ჩამოვაშორე, მოხუცი დედა დავასაფლავებინე... ისევ ქუჩაში რომ არ გასულიყო, დროდადრო საჭმელს ვუზიდავდი, პურის ფულს ვაძლევდი და... ორმა უპატრონომ ერთმანეთთან ვპოვეთ თავშესაფარი: მირეცხავს, ცხელ სადილს მახვედრებს, დამიჯდება მერე წინ, მომჩერებია ცრემლებით სავსე თვალებით — რა მეშველებოდა, შენ რომ არ მყავდეო, — მედუდუნება.

**— მითხრეს — „კუკარაჩას“ იმითაც ჰგავს, არც ერთი ნათესავი არა ჰყავსო!..**

— ეგრე მოხდა... დედაჩემი რუსი იყო, მამას ერთი ძმა ჰყავდა და ისიც უცოლშვილოდ გადაეგო... უნაყოფო ხის ტოტი ვარ. მოვკვდები და დამივიწყებენ მეც, მერე ახალ კუკარაჩას მოძებნიან და... უკვდავია კუკარაჩა, ძალიან მიყვარს. დუმბაძეც მიყვარს, მგონი, მარტო მაგისი წიგნები მაქვს წაკითხული. ბაჩანა მიყვარს ძალიან, რამიშვილი, სულ ვტირი მაგის ამბავს რომ ვკითხულობ...

**— ისიც მითხრეს, ინფარქტი თქვენც რომ გადაგიტანიათ!**

— ჰო, „დამიტოკა“ გულმა, ისე მტკიოდა, აღარც მეგონა, თუ ოდესმე დაწყნარებოდა... ძალიან ცუდად რომ ვიყავი და საამქვეყნოს ჩემი მობრუნების იმედი არ ჰქონდათ, სიზმრად სულ მზეს ვხედავდი და ვიცოდი, გადავრჩებოდი. მგონი, ღმერთიც ვნახე, ასე მითხრა: „შენი გულის პატრონმა უნდა იცოცხლო, სიკეთე უნდა თესო და იქდაგოო!“ მეც დავდივარ და ყველას ვეხვეწები, — არ იჩხუბოთ, ნუ გძულთ ერთმანეთი, ყველანი დავეტევით ამ დალოცვილ დედამიწაზე-მეთქი...

**— ინფარქტის მიზეზიც მითხრეს...**

— კარგი ბიჭი იყო ნიკუშა. ცისფერთვალა და გულდიდა. 4 წლისას მოუკვდა დედა და მამამ დედინაცვალი მოუყვანა... ვერ შეიყვარა ბიჭმა და არც ვამტყუნებდი: არ შეიძლებოდა იმ ქალის სიყვარული, ნიკუშაზე მოუვლელი და საცოდავი არავინ გამოდიოდა უბანში... რაც მე იმას ვდიე ბიჭობაში რომ შევიდა, როგორ არ ვეხვეწე... დედის საფლავიც დავაფიცე და... ნარკოტიკს მიეჩვია — არ მინდა, ფხიზელი თვალებით ვუყურო ქვეყანას, სადაც ჩემი ადგილი არ აღმოჩნდაო!.. წამო, ჩემი შვილი იყავი, სხვა არავინ გვინდა-მეთქი. ერთხელ წამალგაკეთებული მიუჯდა თურმე მანქანის საჭეს და... გაითიშა ალბათ, ბეტონის ჯებირი გაარღვია და ხიდიდან გადავარდა. რომ გავედით შემთხვევის ადგილზე და ნიკუშა შემრჩა ხელში, ღვთის საყვედური წამომცდა: — ღმერთო, თუ სადმე ხარ, რატო ამ ბიჭს არ უპატრონე-მეთქი. და არ მაპატია განგებამ უსაფუძვლო ბრალდება, თავად ნიკუშას რამდენჯერ უთქვამს: — ღმერთის და შენს გარდა არავის ვუყვარვარ ამ ქვეყანაზე, ჩემო კუკარაჩაო!.. უცებ დამეტაკა გულზე ტკივილი და დამაჩოქა კიდეც...

**— ისიც ვიცი, ნიკუშას საფლავს რომ უვლით...**

— ღამის ეშინოდა ნიკუშას. რამდენჯერ მოსულა ჩემთან შუაღამისას: — თუ არ გეძინება, დავსხდეთ და მელაპარაკე, ასე მგონია, თუ მარტო დავრჩი, არასოდეს გათენდებაო. ჰოდა, ვისხედით, ვლაპარაკობდით... ერთი გოგო უყვარდა და არც გაუმხელია: — ისეთი პატრონი ჰყავს, არ გამომატანენო!.. ჩემსავით გაუმხელელი სიყვარული წაიღო მიწაში.

**— ისიც მიამბეს, სასაფლაოზე რომ კურიოზი შეგემთხვათ?!**

— ვიჯექი ტირიფების ჩრდილში. შუაღამე გადასული იყო უკვე და მანქანა მოადგა ჭიშკარს. ოთხი ახმახი გადმოვიდა ყაყანით. ნაშუაღამევს პატიოსანი კაცი სასაფლაოზე იშვიათად გამოვა, მით უმეტეს დედის გინებით და მუქარით. შემეშინდა და ერთი საფლავის ქვის უკან ჩავწექი... ყაჩაღები იყვნენ, ნაძარცვ ფულს იყოფდნენ და ვერც გაიყვეს, დასცხეს ერთმანეთს და სასიკვდილოდ სცემდნენ, იარაღიც დააძვრეს და მაშინ იყო ყმუილის მსგავსი ხმა რომ ამომცდა შეშინებულს და წამოვხტი, ხელები ავასავსავე: — რას შვრებით, გონს მოდით, თქვე ულმერთოებო-მეთქი!... რომელი რომელს ასწრებდა, არ ვიცი. გამიკვირდა კიდევაც მათი ასეთი საქციელი. იმ წუთში არც მახსოვდა, რომ სასაფლაოზე ვიყავი... მერე მივხვდი, მკვდარი ვეგონე ალბათ და „ამდგარი“ რომ მნახეს, შიშმა გააქციათ!..

**— მართლა მილიონი იყო მათ მიერ დატოვებულ კეისში?!.**

— მილიონი არა... ოქრო იყო ნაძარცვი და რამდენიმე ათასი დოლარი, რომელიც ამოცნობის შემდეგ პატრონებს დავუბრუნდეთ!..

**— პოლიტიკოსები არ გყვარებიათ და ყველაზე მეტ ჯარიმას მაგათ ახდევინებთ თურმე.**

— რატო სულსაც არ ამოვხდი, მარა არა მაქვს მაგათი გაჩერების უფლება — პრივილეგიები აქვთ, რომლებიც თავად გამოუგონეს თავის დასახეთ თავებს. დააქციეს ე ღვისმშობლის კუთვნილი ქვეყანა და შენ ისიც ვერ უნდა გაუბედო, — ნელა იარე, ცხვირ-პირი არაფერს წაალეწოო.

**— თურმე ჯანმრთელობის სამინისტროს ემუქრებით.**

— სამი წლის წინ რომ საავადმყოფოში ვიწექი, დღესაც ვიხდი ვალებს. ეგ სამინისტრო რო იწვოდეს, სახანძროს არ გამოვუძახებ. შეიძლება 800 და 1000 დოლარი დაუფასო მკურნალობა შენს მიერ უნიფხვოდ დატოვებულ კაცს?!. ღმერთი იხედება ზევიდან, იმის ძალას და ნებას ვენაცვალე, ჩვენ არადა — ვინც ეგ ჯანდაცვის რეფორმა გააკეთა, იმას დააჭირვებს საავადმყოფოსაც და წამალსაც. მაინც თავის ჯიბის თარგზე აქვთ მოჭრილი მკურნალობის ფასები.

**— აფხაზეთის ომშიც ნებით წახვედით?!.**

— გამომაბრუნეს — ბებერი ხარ და მსუქანიცო. არადა ისეთი ბიჭები მოგვიკლეს, დღემდე სისხლი მევლება გულზე იმათ გახსენებისას, მე ცოცხალი უნდა ვიყო და ეგენი მიწაში ცივდებოდნენ?!. ე-ეჰ...

**— მითხრეს, „კუკარაჩა“ მაწანწალა ძაღლებს უყვართო...**

— ხშირად ვუყოფ ლუკმას. რა ვიცი, მეც მათსავით უპატრონო ვარ და როცა ქუჩაში დგომას ვერ შევიძლებ, იქნებ მეც შევებრალო ვინმეს და ლუკმაც გამიყოს... მერე რა, რომ ძაღლია, სულიერია. კატებსაც ვპატრონობ, მტრედები შინ მივარდებიან, თუ ფანჯარა ღია დამრჩა და მელოდებიან მაგიდაზე ჩამოსკუპებულები. საყვედურით მეგურგურებიან, ვახშამი თუ დაგვიგვიანდა... მარტოკაცობა ძნელია, ხანდახან ჩიტის ჭიკჭიკიც ღვთის ხმის ტოლია სიჩუმით გათანგულ კედლებში...

**— რაზე ოცნებობს კუკარაჩა?!**

— არ დამცინებთ, ჩემი საიდუმლო რომ გაგიმხილოთ?!

**— რატომ?!**

— რა ვიცი, აბა?!. კი ვიცი, ასეთ დროს როგორი პასუხიც უნდა გაგცეთ: საქართველოს აყვავებაზე ვოცნებობ-მეთქი. ეგ თავისთავად, მაგრამ... ახლა რომ 17-18 წლის ბიჭი ვიყო, იმ ჩემს საოცნებო ქალს აუცილებლად გავუმხელდი სიყვარულს და იმდენს მოვინდომებდი, უარს ვერ მაკადრებდა... შვილებით და შვილიშვილებით ავავსებდი სახლს: ათი შვილი, სამჯერ მეტი შვილიშვილი, აი ჩემი ოცნება და იმავეს გისურვებთ თქვენ!..

**— გმადლობთ, ანდრო ბიძია და ბოლო კითხვაც, პენსიონერი „კუკარაჩა“ როგორ წარმოგიდგენიათ?!**

— რას ამბობ, შვილო, კუკარაჩა და პენსიონერი ვინ გაიგონა! მანამდე უნდა მოვკვდე, სანამ ხალხს ვუყვარვარ, ვახსოვარ და გულს ატკენს ჩემი სიკვდილი!

**— თუ საიდუმლო არაა, რამდენი წლისა ხართ?!**

— ქალივით ვმალავ ასაკს... ჩემს უფროსობას ვუმალავ — მართლა არ გამიშვან პენსიაში, ჩემი სიცოცხლის ხაზი ამ ტრასის შუაგულში გადის...

მეორე დღეს, მანქანით რომ ჩავუარე მის პოსტს მეგობრებთან ერთად და მივესალმე, ხელები ასწია და „შეშინებულმა“ მომაძახა: — რამდენი გადაგიხადო, თავი რომ დამანებოო. მერე საპატრულო მანქანისკენ წაბაჯბაჯდა, უკან ორი უპატრონო ძაღლი მისდევდა კუდის ქიცინით...

***ინგა ჯაყელი***

## იუმორი

რით განსხვავდებიან ქალები 8, 18, 28, 38, 48 და 58 წლის ასაკში?
8 წლის —აწვენ დასაძინებლად და უყვები ზღაპრებს;
18 წლის — ზღაპრებს უყვები, რომ ლოგინში ჩააწვინო;
28 წლის — მის ლოგინში ჩასაწვენად, ზღაპრებიც აღარ არის საჭირო;
38 წლის — ის გიყვება ზღაპრებს, რომ ლოგინში შეგითრიოს;
48 წლის — ზღაპრებს უყვები, ოღონდ მასთან ერთად არ დაწვე ლოგინში;
58 წლის — გვიან ღამემდე არ ბრუნდები შინ, რომ არ მოისმინო მის მიერ შეთხზული ზღაპრები.

## გინდათ ქოჩორა იყოთ?

შუა ხნის მამაკაცები მტკივნეულად განიცდიან ქოჩრის შეთხელებას. სიქაჩლეს რომ თავი დააღწიოთ, დაბანის წინ თავის კანზე შეიზილეთ საჭმელი მარილი. 3 ს/კ მდოგვი გახსენით წყალში, მიღებული ფაფა წაისვით თმის ძირებში და 5 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ, გადაივლეთ წყალში გახსნილი ლიმონის წვენი ან ვაშლის ძმარი.

ფრანგი პარიკმახერები კაცებს ურჩევენ, თმის ძირების გასამაგრებლად ყოველ 28-ე დღეს შეიკრიჭონ თმა მთვარის მოქცევის ბოლო მეოთხედში.



## ჯადოსნური კოქტეილები

### „ფრანგული 75“

50 გ ჯინის, ერთი ლიმონის წვენისა და ყინულის ნარევს დაუმატეთ ცოტა შაქარი. კარგად შეანჯღრიეთ, ჩაასხით მაღალ, ვიწრო ბოკალში (რომელიც მოგაგონებთ საყვარელი ქალის წერწეტ ტანს), დაუმატეთ ცივი შამპანური და კივის ერთი ნაჭერი.

### „ჩრდილოეთის ციალი“

ეს საოცარი სასმელი შედგება თითო წილი არყის, კონიაკის, ორი წილი ლიქიორის და ოთხი წილი მშრალი შამპანურისგან.

დაამატეთ ლიქიორს არაყი და კონიაკი, აურიეთ და ჩაუმატეთ შამპანური, ზემოდან შეგიძლიათ მოასხათ ლიმონის წვენი.



შეიძლება გაამარტივოთ და 30 მლ კონიაკს დაუმატოთ 40 მლ არაყი, 1 ჩ/კ შაქარი და რამდენიმე წვეთი ლიმონი. ასევე ცოტა ლიმონის ცედრა და რამდენიმე ყინულის ნაჭერი. მაგრამ პირველი ვარიანტისგან განსხვავებით, კარგად ათქვიფეთ და გააცივეთ.

### „ჩარლის შამპანური“

ჩაასხით ბოკალში 45 მლ ატმის ბრენდი, დაუმატეთ 130 მლ ცივი შამპანური. ჩადეთ ბოკალში თითო ნაჭერი ატამი, მანგო, კომპოტიდან ამოღებული ალუბალი. სასმელი მორთეთ ანანასით...

# ჩვენი ბებიების გაზაფხული

## ნაწილი II

**რამდენიმე ნომრის წინ, „ჩვენი ბებიების გაზაფხულის“ I ნაწილში, გურული ქალის, ციცო ჯაშის ამბავი მოგითხრეთ. მას ქმარი, ალექსანდრე ცინცაძე, მოუკლა ფირალმა გაგუამ, რომელიც დიდი ხანი ეტრფოდა ლამაზ ქალს. სამი შვილის დედამ უკან არ დაიხია და მოკლა ფირალი. დაგპირდით, მოგვიანებით შემოგთავაზებდით ბებიაჩემის „გაზაფხულის“ დროინდელ ამბებს. მანაც არანაკლებ საინტერესო ცხოვრება განვლო...**



### ქმრის ადგილსამყოფელს გაგიმხელ კი არა, დაგაპატიმრებ და დაგხვრეტო

იგი შავლაყაძის ქალი იყო, ხონის რაიონის სოფელ დიდი კუხიდან. მის ქმარს (ანუ ბაბუაჩემს) ალექსანდრე ერქვა. ერთმანეთი ხონის ეკლესიის ეზოში გაიცნეს. ალექსანდრე წარმოშობით მუხიანიდან (წყალტუბოს რაიონი) ყოფილა. თბილისში ცხოვრობდა და მუშაობდა. ხონში ნათესავს ეწვია სტუმრად და დღესასწაულზე თვალი რომ მოჰკრა 15 წლის ლუბას, მაშინვე გულში ჩაუვარდა და მისი ცოლად მოყვანა განიზრახა. ნათესავს ურჩევია: ორი წელი დააცადე, ჯერ პატარაა, ისევ თოჯინებით ერთობაო. დაუჯერებია ბაბუას. მიმიხედეო, — დაუბარებია, მაგრამ ორი წელი ველარ მოუთმენია და 16 წლის გახდა თუ არა, მოიტაცა ლუბა.

ბებიაჩემი წარსულის გახსენებისას ხან გულიანად იცინოდა, ხანაც სევდიანად ენისლებოდა თვალები:

— შევამჩნიე, სამლოცველოს ეზოში ვილაცა მომჩერებოდა. გამოწკეპილი იყო რკინიგზელის ფორმაში, კაი შეხედული. რას ვიფიქრებდი, ეს ქალაქელი კაცი ბალანას თუ დამადგამდა თვალს. მერე, მისმა ნათესავმა წერილი რომ გადმომცა, ლამის გული ამომიხტა საგულედან სიხარულით. მწერდა: ერთი ნახვით შემიყვარდი, სხვა არავინ მინდა შენ გარდაო. მალე ჩამოვალ და მამაშენს შენს ხელს ვთხოვო. ის დღე იყო და ის დღე. ალექსანდრეზე ვფიქრობდი ყოველ წუთს. ერთი წელი საუკუნედ მეჩვენებოდა. ბოლოს, მომიტაცა. თუმცა, ამას არ ჰქვია მოტაცება, ჩემი ნებით გავყევი. გვიან, როცა უკვე მისი ცოლი ვიყავი, ჩემიანებთან ხუმრობდა: კი გამიბრაზდით და ერთი ამბავი ამიტეხეთ, ამხელა კაცმა პატარა გოგო როგორ მოიტაცეო, მაგრამ ნეტავ გენახათ, როგორ გარბოდა, გამისწრო და თან მომძახოდა: ჩქარა, საშა, არ დაგვეწიონო...

თბილისში ჩასულებს ჩემი უფროსი ძმა, სანდრო და ორი ნათესავი კაცი მეორე დღესვე დაგვადგნენ თავს. გაალმასებულმა გაიწია ჩემმა ძმამ ალექსანდრეზე, მარა წინ გადავუდექი და ვუთხარი: იცოდე, საერთოდ ველარ მნახავთ, თუ ამას თითი დააკარე-მეთქი. ყველა მიხვდა, რომ მეც მიყვარდა და ჩემი ნებით გამოვყევი, ამიტომაც მალევე ჩაწყნარდნენ. მერე ვახტანგიც დაიბადა და... ცოტა რომ წამოვზარდე ბიჭი, საშამ მითხრა: თქვენებს პირობა მივეცი, რომ გასწავლიდიო და საფერშლოზე მომაწყო. ყველანაირად ხელს მიწყობდა სწავლაში, მუხიანიდან ბებიამისი ჩამოიყვანა, რათა სასწავლებელში ყოფნის დროს ბავშვი მასთან დამეტოვებინა. მპირდებოდა, ინსტიტუტსაც დაგამთავრებინებო, მაგრამ აღარ დასცალდა. 1937 წელს რეპრესიები დაიწყო და დამნაშავეს თუ უდანაშაულოს, განუკითხავად ყველას იჭერდნენ. საშა ერთ-ერთი სადგურის უფროსად მუშაობდა, რკინიგზელთა სასწავლებელი ბაქოში ჰქონდა დამთავრებული, კარგი და განათლებული წრე ჰყავდა. სერგო ზაქარიაძე და საშა უახლოესი მეგობრები იყვნენ (დიდი მსახიობი რკინიგზელობას აპირებდა თურმე, ბაქოში ბაბუაჩემთან ერთად სწავლობდა. — *მ.ბ.*). თითქოს, გეგმა ჰქონდათ შესასრულებელი, ყოველ მეორეს, ინტელიგენტური გარეგნობის კაცს აპატიმრებდნენ. განსაკუთრებით, სათვალიან ხალხს ვერ იტანდნენ.

იმ დღეს საშა გვიან დაბრუნდა შინ. დაღლილი ჩანდა. მისი იმღამინდელი სიჩუმე კარგად არ მენიშნა, მაგრამ დაღლილობას მივაწერე. გათენებულიც არ იყო, ნაბიჯების ხმამ, მერე კი კარზე რახუნმა გამოგვაღვიძა. საშა გაფითრებული წამოდგა. მითხრა: ლუბა, ხომ იცი, რა დროა. შეიძლება თქვან, რომ დასაკითხად მიგვყავს და საღამოს დაბრუნდებაო, მაგრამ თბილი ტანსაცმელი მაინც გამიმზადეო. ხელის კანკალით ჩავულაგე ყველაფერი, რაც მითხრა. ახლაც გუშინდელივით მახსოვს, კარში გასვლის წინ რომ გამომხედა და გამიღიმა. ამ ღიმილით მეთხოვებოდა კიდეც და თან მანუგეშებდა... ცრემლები წამსკდა და იმ კაცებს წინ გადავუდექი: სად მიგყავთ ჩემი ქმარი, რა დააშავა, ის მაინც მითხარით-მეთქი. როგორც საშა ამბობდა, იმდაგვარი პასუხი მივიღე: სანერვიულო არაფერია, დაჰკითხავენ და მალევე გამოუშვებენო. დაზაფრული და გაშეშებული უაზროდ ველოდი საღამოს... მერე გასაჩხრეკად სულ სხვები მოვიდნენ. გადაატრიალეს ყველაფერი და საეჭვო რომ ვერაფერი იპოვეს, ჩემი და საშას სურათები წაიღეს. მე ხომ მტრის ცოლი მეძახეს და დამემუქრნენ, შენც მალე მოგაკითხავთო. დავტაცე ბავშვს ხელი და კუხში წავედი. ერთი წელი ვიყავი სოფელში. მერე ისევ ჩამოვედი თბილისში, ვახო სკოლაში მივიყვანე და მეც მუშაობა დავიწყე რკინიგზის საავადმყოფოში. გაურკვევლობა მაგიჟებდა: დახვრეტილი იყო თუ არა, იქნებ გადაასახლეს, მაგრამ სად? — ამ კითხვებზე ვერავინ მპასუხობდა. მერე ერთ კაცთან გამაგზავნეს, ჩეკაში მუშაობდა, გვარად ჯუღელი. ბოლოს და ბოლოს, თუ გადასახლებულია, მისი ადგილსამყოფელი გამაგებინეთ, რომ მეც იქ წავიდე-მეთქი, ცოტა არ იყოს, მკაცრად ვუთხარი. სულ ცოფები ყარა: ხალხის მტრის ცოლი ამდენ ლაპარაკს როგორ ბედავ, ჭკვიანად იყავი, შვილს მიხედე, თორემ ქმრის ადგილსამყოფელს გაგიმხელ კი არა, დაგაპატიმრებ და დაგხვრეტო. გამომშრალი, დაცარიელებული გამოვედი იქიდან. შვილი რომ არა, თავს მოვიკლავდი, მაგრამ რა მექნა, 8 წლის ბავშვი ვისთვის დამეტოვებინა? 6 თვის შემდეგ ციმბირიდან მივიღე საშას წერილი: „ჩემო ლუბა, ბედმა ასე ინება და დაგვაშორა ერთმანეთს. იმედს მაინც ვიტოვებ, რომ სასწაული მოხდება, მაკმარებენ ამდენ ტანჯვა-წამებას, ამ ყინულეთში ყოფნას და როგორც უდანაშაულოს, ჩემს ქვეყანაში, ჩემს ოჯახში დამაბრუნებენ. გულს ნუ გაიტეხ, ვახოს მიხედე. მე დავბრუნდები. მარად შენი ერთგული საშა“.

იმედი მომეცა. ენერგია დამიბრუნდა. ხშირად ღამის მორიგედაც ვრჩებოდი, რომ გასამრჯელო მეტი მქონოდა. ვახოს გაზრდაში კი დედა მეხმარებოდა. ერთი წლის მერე გადასახლებიდან შემატყობინეს, — ალექსანდრე ფილტვების ანთებას გადაჰყვაო...

ჩემზე უბედური ქალი თუ დაიარებოდა ქვეყანაზე, არ მეგონა. ვფიქრობდი, რომ ჩემზე მეტად არავის უყვარდა ქმარი. არავინ წუხდა, არავინ გლოვობდა ისე, როგორც მე. გარეთ გასვლაც არ მინდოდა, არც ვინმეს ხმის გაგონება... ასე გავიდა რამდენიმე თვე.

მერე გაგრძელდა ცხოვრება, ოღონდ უღიმღამოდ...

ერთ დღეს უწყება მივიღე: სწორედ ის ჯუღელი მიბარებდა. იქნებ შეცდომა იყო, იქნებ ცოცხალია ალექსანდრე? ამ იმედით შევაღე ჯუღელის კაბინეტის კარი. წინანდელთან შედარებით, მშვიდად და თავაზიანად შემხვდა. ბევრს მიედ-მოედო, გაფაციცებული ვუსმენდი. ბოლოს მითხრა: სასიხარულო ამბავი უნდა გითხრათ, გამართლდა თქვენი ქმარი. მართალია, ცოცხალი აღარ არის, მაგრამ სამაგიეროდ, ამიერიდან აღარ გერქმევათ ხალხის მტრის ცოლიო... მერე უჯრა გამოსწია, შეკრული ფული ამოიღო და მომაწოდა, — ეს თანხა კომპენსაციაა იმისა, რომ შევცდით და ტყუილუბრალოდ დავაპატიმრეთ თქვენი მეუღლეო. ახლაც არ ვიცი, რა ძალამ მიბიძგა, ისე გავმწარდი, ყოვლად წარმოუდგენელი რამ ჩავიდინე — სახეში მივახეთქე ჯუღელს ფული. დასტა დაიშალა და ფრიალ-ფრიალით მიმოიფანტა ირგვლივ. ფული რად მინდა, ჩემს შვილს მამა დაუბრუნე-მეთქი, — ვკიოდი. ახლა ის მგელი გამძვინვარდა: ვის უბედავ ამას, ახლავე შენი ხელით აკრიფე, თორემ შვილის ნახვას ველარ ეღირსებიო. სხვა გზა აღარ მქონდა, ტირილ-ტირილით ავკრიფე ფული და მხრებჩამოყრილი წამოვედი იქიდან... წვალებით გავზარდე მამაშენი, მარა მაინც დავაყენე ფეხზე...

ერთხელ ვერ მოვითმინე და ვკითხე: ბებია, ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ახალგაზრდა დაქვრივდი, ლამაზი ქალი იყავი, ნუთუ თაყვანისმცემელი ან მთხოვნელი არ გყავდა-მეთქი. წარბი შეკრა და დამიცაცხანა: — რას ბჟუტურებ, გოგო. ბაბუაშენი ისე მიყვარდა, სხვაზე როგორღა ვიფიქრებდიო. მერე ცოტა ხნით ისევ წარსულში გადაინაცვლა და მითხრა: — ერთ ექიმს მოვწონდი. შუამავალი მომიგზავნა, — ცოლად გამომყვესო. უარი შევუთვალე. ერთი ხანობა შინაც და გარეთაც სულ ამაზე იყო ლაპარაკი. რა თქმა უნდა, ჩემიანებს უნდოდათ, რომ გავთხოვილიყავი და „პატრონი“ გამჩენოდა. მამაშენმა ამ ლაპარაკს ყური რომ მოჰკრა, ერთ დილას წინ დამიდგა და მკითხა: — დედა, ხომ მხედავო? გული გამისკდა, — გხედავ, შვილო, როგორ არა-მეთქი, — ვუპასუხე. შუბლზე ხელი დავადე, სიცხე ხომ არ აქვს-თქვა. ბოლოს, მითხრა: იცოდე, თუ გათხოვდი, ველარასოდეს მნახავო...

ბაბუაშენის დაკარგვის მერე აღარც მიცხოვრია ბედნიერად. სულ დარდსა და წუხილში გავლიე ახალგაზრდობის წლები.

გული ჩემს საშასთან დამრჩა სამუდამოდ. ერთ რამეს გირჩევ, ბებია, ღირსეული კაცი შეიყვარე, მნიშვნელობა არა აქვს, მდიდარი იქნება თუ ღარიბი. მთავარია, ღირსება და ვაჟკაცობა ჰქონდეს, დანარჩენი კი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოვა... ბებია ამასვე ეუბნებოდა ჩემს მეგობრებს. ბევრჯერ ისიც უთქვამს: — ქმართან გატარებული 8 წელი მთელ ცხოვრებას ნიშნავდა ჩემთვის, დანარჩენი მხოლოდ შვილისა და შვილიშვილებისთვის ვიცხოვრეო...

ასე უცხოვრიათ ჩვენს ბებიებს, ასე ჰყვარებიათ და ასეთი „გაზაფხული“ ჰქონიათ, — თბილიც და სუსხიანიც. მიუხედავად მძიმე ხვედრისა, უღელი ბოლომდე ღირსეულად უტარებიათ და ერთგულებიც დარჩენილან იმ ერთადერთი, ნამდვილი სიყვარულისა, რომელსაც ხშირად სანთელს უნთებენ ხატის წინ. მათი მსგავსი უთვალავი იყო საქართველოში...

***მარინა ბაბუნაშვილი***

# ეგ „ფემინი“ ნეტა რომელი პარტიის ლიდერია...

***სულ ახალთახალ ანეკდოტს მოგახსენებთ და მერე ძირითად სათქმელს გეტყვით. მიტინგებზე მოწანწალე მაროს ერთ დღესაც მიხამ „გაუხურა“ — მორჩი, მარო პოლიტიკურ მატრაბაზობას, თორემ „რაზვოდს“ გაიჩალიჩებო. თავში ქვა გიხლია, მე ფემინისტი ვარო — უპასუხა მარომ. აი, მე კიდევა არავისტი და ამაღამ შენ თუ ჩვენი სახლის კიბესთან არ „გამიტინგო“, მე მიხა არ ვიყოო. დაემუქრა მიხა და თან გულში გაიფიქრა, ეს ფემინი, ნეტა რომელი პარტიის ლიდერიღააო, მოკლედ, ქართველები რომ სხარტი იუმორის პატრონები ვართ და დროს არ ჩამოვრჩებით, ალბათ კახელების მიერ კახელებზე მოგონილი ეს ანეკდოტიც მოწმობს. ბოროტ ხმებს თუ დავუჯერებთ, პოლიტიკოსების მიერ მოწყობილ საპროტესტო აქციებზე ზოგი ისეთი ქალი იღებდა აქტიურ მონაწილეობას, რომელთა ქმრებსაც მსგავს სიტუაციაში ჯაჭვით დაბმულსაც ვერ გააჩერებთ. ზოგი მათგანი კი ისე ბრაზდება ცოლის „პოლიტიკური თავნებობის“ გამო, რომ კამათი ჯერ აყალმაყალში, შემდეგ კი ხელჩართულ ჩხუბშიც კი გადადის ხოლმე. ერთი-ორჯერ მსგავსი სანახაობის მოწმე თავადაც გახლდით. მეზობლად, ერთ პატიოსან, ჭიას რომ არ შეაწუხებს ისეთ კაცს, სულ აურია „მოკლარაცეტკინო“ ცოლმა თავგზა და ისე გადარია, რომ მათი „კონცერტების“ შემყურე ვიძახდი, ამ კაცზე უთქვამთ, „ცხვარი ცხვარია, მაგრამ თუ გაცხარდა, ცხარიაო“. ერთი სიტყვით, გადავწყვიტე, გამეგო, ვის მოსწონს მიტინგზე მოსიარულე ცოლი და საერთოდ, რას ფიქრობენ კაცები ქალების ასე პოლიტიკური გააქტიურების შესახებ.***

**გურამი (53 წელს):** — ქალები რომ ასე გაპოლიტიკოსდნენ, იცი რას მაგონებს? — უძალლო ქვეყანაში კატების ყეფას. მგონი, კაცებს რაღაც ვერა გვაქვს რიგზე და გადავრიეთ ქალები. ჯერ რაღა დროს მიტინგებია, რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ? რა წესია, ამ ქაოსური კანონებით ცხოვრება? იმ დღეს გავიარე რუსთაველზე, ვიფიქრე, ვნახავ რა ხდება მიტინგზე, იქნებ ჩემი ადგილიც იქ არის-მეთქი. არა, ახლა პოლიტიკის გარჩევას არ ვაპირებ, ქალი მიტინგზე კი არ უნდა დადიოდეს, შვილს უნდა ზრდიდეს პიროვნებად, რომელიც მართლა გამოადგება ქვეყანას.



**ალექსანდრე (68 წლის):** — მეზობელთან შევიარე ორიოდე დღის წინ. კაცი გადარეული დამხვდა — ცოლი გამიგიჟდაო — მითხრა და მაჩვენა ორად გაკეცილი თაბახის ფურცელზე დაწერილი მისი ცოლის დანაბარები „გივი, სამსახურიდან რომ მოხვალ, შენს თავს თვითონ მიხედე, მაცივარში კვერცხია, შეიწვი. მე რომ მივდიოდი, წვიმდა, ამიტომ სარეცხი ვერ გავფინე. შენ რომ მოხვალ, თუ დრო იქნება, ამოწურე და გაფინე. გვიან მოვალ. მივდივარ მიტინგზე“. რა უნდა მეთქვა, ისედაც მიწისფერი ედო კაცს სახეზე. დოუყვავე, მეეფერე, იქნება აკლია რაცხა სითბო, ვერ გიბედავს თქმას და იმიზა დაძვრება მიტინგზე, დარდი რომ მეიკლასმეთქი. აუ, ამაზე სულ გაგიჟდა. მოკლედ, ოჯახი დანგრევის პირას იყო. შვილები უცხოეთში ჰყავთ გაშვებული. თვითონ კიდევ აქ, ამ მიტინგების გადამკიდე, ჯერ კინაღამ დახოცეს ერთმანეთი, მერე კი ერთად დადიოდნენ რუსთაველზე და ყოველ საღამოს სიამაყით ჰყვებოდნენ, როგორ მოახდინეს ხავერდოვანი რევოლუცია.

**თამაზი (44 წლის):** — ჭკვიანი ქალი პოლიტიკაშიც კარგია და სხვა სფეროშიც, მაგრამ მიტინგის რა მოგახსენოთ. ჩვენთან იციან რაღაცა „თბილისობის“ მახინჯი ფორმის მსგავსი მიტინგები ღამის თევით, თორემ ცივილიზებულ ქვეყნებში მიტინგსაც თავისი ნორმალური ფორმა აქვს და იქ ქალიც და კაციც ერთნაირად გამოხატავს პროტესტს. მოგეხსენებათ, საქართველოში ქალს ოდითგანვე არაჩვეულებრივი პოლიტიკური ფუნქცია ჰქონდა — შემრიგებლის, რითაც ვინ იცის, რამდენჯერ გადაგვარჩინეს ძმათაშორის სისხლის ღვრას ქართველები. დღესაც ასე მინდა იყოს.

**ზვიადი (24 წლის):** — რა არის ვითომ ცუდი, მიტინგებზე თუ ქალებიც დადიან? მე და ჩემი შეყვარებული, აქტიური მომიტინგეები ვიყავით. ვილაცა პოლიტიკოსს თუ უჭირს და გეძახის მოდი, გვერდში დამიდექი და ქვეყანას ავაშენებთო, რატომ არ უნდა გამოვუცხადოთ სოლიდარობა. ამიტომაც მე და ხათუნამ ერთად მივიღეთ ხავერდოვან რევოლუციაში მონაწილეობა. თუ ვინმეს ეს არ მოსწონს, მისი პრობლემაა. ქალი კაცის თანასწორია, თუ მიტინგზე ყოფნა უნდა, რას აშავებს? იდგეს რა, ქვეყანას წაადგება, რაღაც ახალსაც ნახავს ცხოვრებაში. ისე, ხომ გაამართლა ჩვენმა იქ ერთად დგომამ... თუ საქმეს მოითხოვა, არც მერე დავიხევთ უკან.

***ეკა ლომიძე***

# ჩვენ გვწერენ: თითქოს ჩემს ამბავს ვკითხულობდი...

„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში წავიკითხე ერთი ლამაზი სიყვარულის ამბავი. „თეთრ რვეულში ჩაწერილმა დიალოგებმა“ წარსული გამახსენა. მე გაცილებით უფროსი ვარ ქეთისა და გიოზე. უკვე ბებია გახლავართ, მყავს ორი შვილიშვილი, მაგრამ განა სიყვარულისთვის მნიშვნელობა აქვს წლებს და ასაკს?

სამწუხაროდ, ჩემს სიყვარულს ბედნიერი დასასრული არ ჰქონდა... ვკითხულობდი „დიალოგებს“ და ცრემლი ღვარად მომდიოდა. თითქოს ჩემი წარსული გაცოცხლდა — თვალწინ დამიდგა ჩემი სტუდენტობა.

ჩვენ, მე და „ის“, სამედიცინო ინსტიტუტში ვსწავლობდით. აბა, იქ იყო თუ იყო სიმკაცრე. ვინ გაბედავდა ლექციაზე ხმის ამოღებას? ერთი რვეული საგანგებოდ შევიძინე ჩვენი წერილობითი დიალოგებისთვის. ეს რვეული დღეს ჩემი საუნჯეა... ადრე დავქვრივდი. რა თქმა უნდა, ძალიან განვიცადე... მაშინ მწარედ გავიფიქრე: ღმერთი მსჯის, რადგან წრფელი და დიდი სიყვარული ვერ დავაფასე-მეთქი (სხვათა შორის, როცა რაიმე დაბრკოლება შემხვდება, ეს ფიქრი გამკენწლავს ხოლმე). დღემდე მიკვირს, რატომ არ აფასებენ იმ ნამდვილ სიყვარულს, რომელიც უსაზღვრო ბედნიერებას ანიჭებს. საკმარისია, რაღაც ეწყინოთ, უცებ გადაუსვამენ ხაზს ყველაფერს და ჰგონიათ, „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.“

არ დაიჯეროთ... ის გრძნობა, რაც იყო და რაც სიხარულით გავსებდათ, არ მეორდება. ცხოვრება მდინარესავით მიედინება და თუკი მოგეჩვენათ, რომ კვლავ დაიბადა ახალი, თავს ნუ მოიტყუებთ. უბრალოდ, ეს მეორე იმ პირველის გამოძახილი და სუსტი ანარეკლია, მეტი არაფერი. შეიძლება დაიბადოს სიყვარულის მსგავსი გრძნობა, მაგრამ მერწმუნეთ, თუ უსიყვარულოდ გათხოვდით (ან ცოლი შეირთეთ), იგი ყოველთვის მოვალეობის და პასუხისმგებლობის ჩარჩოში იქნება მოქცეული.

ასე ვიცხოვრე მეც. მეუღლე განა არ მიყვარდა, მაგრამ ეს სხვა სიყვარული იყო, რომელიც შვილებით, მათზე ზრუნვით, მათ მომავალზე ფიქრით იფარგლებოდა. ხშირად, დიდი გაჭირვება და პრობლემებიც ერთად გადაგვილახავს მე და ჩემს ქმარს, სხვანაირად ვერ წარმომედგინა, მაგრამ აგერ, თითქმის მთელმა ცხოვრებამ გაიარა, თითქოს ხელისგულზე მიდევს ჩემი წარსული — არა, იმ გრძნობის მსგავსი აღარაფერი ყოფილა, აღარ განმეორებულა, ის ლამაზ წარსულში დარჩა და დარჩა...

ხშირად ისიც უთქვამთ (ვინც ჩვენი ამბავი იცოდა): ალბათ ასე ჯობდა, რომ ცალ-ცალკე ყოფილიყავით, ცოლქმრობა ხომ სიყვარულს ახუნებსო. კი არ ხუნდება, უბრალოდ, დროებით წამოიწევს წინ ოჯახზე ფიქრი და ზრუნვა, მერე კი, როცა ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენ, როცა შვილებს გზაზე დააყენებ და განვლილ ცხოვრებასაც უკან მიხედავ, უნდა გეამაყებოდეს, რომ სიყვარულს გაამარჯვებინე, რომ ნამდვილი გრძნობა არაფერში გაცვალე...

რამდენი გელაპარაკეთ, ალბათ თავბრუც დაგახვიეთ, მაგრამ თქვენმა გამოწვევამ, შეგვეხმიანეთო, გამაბედვინა წერილის მოწერა.

ძალიან მინდა, ქართველმა გოგონებმა და ბიჭებმა სიყვარულით (და არა ანგარებით ან ვილაცის რჩევით) შექმნან ოჯახები.

საქართველო ხომ სიყვარულის ქვეყანაა.

***პატივისცემით — ლიანა. თბილისი“.***

# დიასახლისთათვის: მწვანე პომიდვრის სალათი

*მასალა:* 5 კგ მკვახე პომიდორი, 1 ჩ/ჭ მაგარი ძმარი, 0,5 ლ რაფინირებული ზეთი, 5-5 ჩ/კ უცხო სუნელი, ყვითელი ყვავილი, ქინძის თესლი, 300 გ წითელი წიწაკა, 3 კგ ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი, მარილი — გემოვნებით. პომიდორი გარეცხეთ, გააშრეთ, ექვსად გაჭერით, მდუღარე წყალში ჩაყარეთ და 5 წუთი დააყოვნეთ. შემდეგ კარგად დაწრიტეთ. შეურიეთ სანელებლები, ადუღეთ 30 წთ, ჩაასხით ქილებში, მოხუფეთ და შეინახეთ სიგრილეში.





ის, რაც შიშშილობის მიღმა იმალება

„კარმენი“ ... მერიმე

„ქარწაღებულნი“ სკარლეტ ...

მშვენიერი არგენტინელი ჩოგბურთელი

კვადროჩენტოს იტალიელი ფერმწერი

რეგულარ. შემოსავალი კაპიტალიდან

XIXს-ის გერმანელი პოეტი

კითხვარის სახეობა

ნაპოლეონის მარშალი

კლდეკარის ერისთავის სახელი

ტრიგონომეტრიული ფუნქცია

შარლოტა ბრონტე „ჯეინ ...“

ხის სპორტი

უმაღლესი ხარისხის სახაზავი ქაღალდი

მუზეუმი პარიზში

თმის ბუნებრივი საღებავი

ძვირფ. ქვების მასის ერთეული

გერმანელი ქალბატონი

სალვადორ დალის მეუღლე

ვაზის ფოთოლში გახვეული ხორცი

ყველაზანარი მანქანის ზოგადი სახელწოდება

რუსი ილუზიონისტი

ფრანგული სიგრძის ერთეული 4.5 კმ

კვანტური მექანიკის ერთ-ერთი შემქმნელი

აკრძალვა სახელმწიფოთაშორ. სამართალში



„მილანის“ ნ/მცველი

შვეიცარის სამოსი

ცეცხლსასროლი იარაღის მილი

იგივეა, რაც ჭოგრიტი

უცხომო ხორცი

ჩვილის საკვები

ლუქსის კლასის ამერიკული ავტო

ტურგენევის სატრფო

სარეკლამო აირი

სუფთა წონა

სროლაში სავარჯიშო ოთახი

ვაჟიშვილი

ქალაქი ვეზუვის ძირში

ტომ სოიერის დეიდა

ვახტანგ ჭაბუკიანის პერსონაჟი

სპორტული სასროლი იარაღი

ავსტრალიური ჩანთოსანი ცხოველი

20 კაპიკი

სპორტული ნაწარმის ამერიკული ფირმა

კ/ფილმის ჩვენების დრო

აკრძალვა პირველყოფილებში

პაპირუსის ნავი

„მონა ქალი იზაურა“ (პერსონაჟი)

ტექსტიდან უცვლელად მოყვანილი ადგილი

საბერძნეთის ერთ-ერთი ნომი

გერმ. ყოფ. კანცლერი

სასიმინდე

პატარა მეტეო - აეროსტატი

გრიზლი თავისი არსით

ფილმი უილ სმიტის მონაწილ.

„ქალის სურნელი“ იტალიელი რეჟისორი





სიყვარულ. გამოხატ.

აშშ-ის მეზობელი

წმინდა გამარჯვება კრივში

სიმღერა ოპერაში

პუგაჩოვა

შოტლანდიის მცხოვრები

სასეირნოდ წასვლა ბავშვის ენაზე

მაკარის სადარდებელი

ამერიკელი მსახიობი ... გარდნერი

ძველებური ფრანგული ხურდა ფული

**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. ვენა; 2. ერეკლე; 3. რა; 4. რენომე; 5. „ბალტიკა“; 6. ტორი; 7. ტონა; 8. ანა; 9. ორატორი; 10. ტაბაკა; 11. „ცე“; 12. ბებე; 13. „ბოსი“; 14. პონტი; 15. სიმენონი 16. აია; 17. პენჯაბი; 18. მაინი; 19. მექა; 20. ლუანდა; 21. ბრა; 22. ლატანცი; 23. ბუ; 24. რე; 25. ლიე; 26. აკა; 27. ულიე; 2. ლუ; 29. ძერა; 30. ვანი; 31. ლიანა; 32. ენა; 33. ლო; 34. ბია; 35. ლიბია; 36. ეფესი; 37. მარკო; 38. ელისტა; 39. „პორშე“; 40. რადა; 41. აბე; 42. მანე; 43. ბამაკო; 44. ბუტი; 45. ჩარლი; 46. რუკა; 47. კაბერნე; 48. ფრე; 49. პალე; 50. ტუბა; 51. ერნე; 52. სოჩი; 53. ლისი; 54. კლიო; 55. ბათუ; 56. რული; 57. ლი; 58. სკა; 59. მია; 60. ბალღი; 61. ლოჟა; 62. ენკენის; 63. ზელცი; 64. ლაყე; 65. რომა; 66. არს; 67. ვაჟა; 68. ცირცელი.

1. ვერსად გამექცევი; 2. როცა ბებოს ძალა ერჩის; 3. წაგებულ მეფეს დახრჩობა ელის; 4. არ მეღუტუნება; 5. ცეკვა „ზებრული“.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანმიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ.**

**ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

**შეადგინა რამაზ ალანიამ**

CMYK

## იუდას 1.000 დოლარი გადაუხადეს?!

**— როგორც ცნობილია, იუდამ იესო 30 ვერცხლად გასცა. საინტერესოა დღევანდელი კურსით რამდენია ეს თანხა?**

***ნანა მუჯირი***

ამ საკითხზე ბევრს დაობენ და ზუსტი გამოთვლებიც არ არსებობს. თუმცა, ცნობილია, რომ იმ დროს იუდეაში ორი სახის ვერცხლის ფული იყო მიმოქცევაში — რომაული დინარები და იუდეური სიკლები. ერთი სიკლი 4 დინარზე იცვლებოდა. ამის საფუძველზე შესაძლებელია პრიმიტიული გამოთვლების წარმოება. ცნობილია, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისთვის რომაელი ლეგიონერის დღიური ხელფასი ერთ დინარს შეადგენდა. რომი მაშინ ერთადერთი ზესახელმწიფო იყო. თუ პარალელს გავავლებთ რომაელ და დღევანდელი ზესახელმწიფოს (აშშ) სამხედროს ხელფასს შორის, შეიძლება დავასკვნათ, რომ 30 დინარი (ლეგიონერის თვიური ხელფასი) დაახლოებით 1.000 დოლარს (აშშ-ის ჯარისკაცის ხელფასი) უდრის. ამდენად, თუ იუდას რომაული ფულით გადაუხადეს, მაშინ ყველაზე ცნობილი ღალატის საფასური 1.000 აშშ დოლარს უტოლდება. ხოლო თუ იუდეური ვერცხლით გადაუხადეს — მაშინ 4.000 დოლარს.

## ყველაზე... ყველაზე...

**— გთხოვთ მოგვითხროთ მსოფლიოში უდიდესი მიწისძვრების შესახებ.**

***მზია სანოძე***

— ყველაზე დიდი მსხვერპლი მოჰყვა ჩინეთის მიწისძვრას 1556 წლის 2 თებერვალს — შენსისა და ხენანის პროვინციებში 830.000 ადამიანი დაიღუპა. არანაკლები მსხვერპლი მოჰყვა 1976 წლის 28 ივლისს აღმოსავლეთ ჩინეთში მომხდარ მიწისძვრას. ამ სტიქიურ უბედურებას 750.000 ადამიანი ემსხვერპლა. მიწისძვრით დაზარალებულ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი იაპონიას უკავია. 1923 წლის 1-ელ სექტემბერს კონტოის დაბლობი ნამდვილ კატასტროფის ზონად იქცა. სტიქია აქ მსოფლიოში ყველაზე დამანგრეველი აღმოჩნდა. ტოკიოსა და იოკოჰამაში 575.000 საცხოვრებელი სახლი განადგურდა, ხოლო დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა რიცხვმა 142.807-ს მიაღწია. რეგისტრირებულ მიწისძვრათა შორის ყველაზე ძლიერი 1950 წელს ინდოეთის შტატ ახმში მოხდა. რიხტერის სკალის მიხედვით მისმა მაგნიტუდამ 9 ბალი შეადგინა. ჩილეში 1960 წლის 22 მაისს დაფიქსირებული მიწისძვრის სიმძლავრე არ ჩამოუვარდება ზემოთ აღნიშნულს. მისი სიმძლავრე რიხტერის სკალის მიხედვით 8,5 ბალს უტოლდებოდა.

## სიტყვათა კონა

**ეაჯება** (ძვ.) — ეხვეწება, ემუდარება, ევედრება.

**ებანი** (ძვ.) — 1. სიმებიანი საკრავი — ქნარი. 2. დაირა, დაფი.

**ელარჯი** — ღომში მოხარშული და ჩაზელილი სულგუნი.

**ელეგია** (ბერძნ.) — სევდიანი ლირიკული ლექსი. ასეთი ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები.

**ელევატორი** (ლათ.) — მარცვლეულის შესანახი საგანგებო ნაგებობა; აქვს მექანიკური მოწყობილობა მარცვლის გასანიავებლად, გასაშრობად, დასახარისხებლად და სხვა.

**ელევენდი** (კუთხ.) — 1. უცოლშვილო (კაცი); უქმრო (ქალი); მარტოხელა. 2. მომცდარი, უნაყოფო მცენარე (მაგ. უტაროო სიმინდი).

**ემბაზი** (ბერძ.) — ქრისტიანული წესით ბავშვის მოსანათლავი ჭურჭელი.

**ენდრო** — მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე. მისი ფესვებისგან ამზადებენ წითელ საღებავს. ღებავენ სააღდგომო კვერცხებს.

**ეპარქია** (ბერძ.) — საეკლესიო ადმინისტრაციული ოლქი, რომელსაც ეპისკოპოსი განაგებს.

**ერბოქვა** (საუბ.) — სამართებლის დანის და მისთანათა მჭრელი იარაღის სალესი, პირის ასაწყობი წმინდა ქვა; ერბოს (ან ზეთს) უსვამენ ხოლმე.

**ერდო** — 1. ბანში შუაცეცხლის თავზე ამოჭრილი ადგილი; სარკმლისა და საკვამურის დანიშნულება აქვს. 2. იგივეა, რაც ბანი.

**ერკემალი** — მამალი ცხვარი, — ვერძი.

**ეროზია** (ლათ.) — რისამე ზედაპირის ნგრევა, დაშლა (ნიადაგის ეროზია).

## ელექტროკავშირი ჯარიმას არ აუქმებს

**— გავიგე, რომ დავალიანების გამო გათიშული ტელეფონის ჩართვაზე ერთლარიანი ჯარიმა გაუქმებულია. თუმცა სატელეფონო ქსელი მაინც გვახდევინებს.**

***ნოდარ კაიშაური***

კითხვაზე უპასუხებს **მერაბ კანკავა,** საქართველოს „ელექტროკავშირის“ დირექტორის მოადგილე.

— აღნიშნული სიმართლე არ გახლავთ. რატომღაც ეს ინფორმაცია ზოგიერთი გაზეთის მეშვეობით გადაუმოწმებლად გავრცელდა. თანხის დაგვიანებით გადახდისათვის დაწესებული ერთლარიანი სანქცია ამჟამადაც მოქმედებს. უბრალოდ, აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა ამ სანქციის სახელწოდებასთან დაკავშირებით ანუ ჯარიმა ეწოდოს მას თუ ხელახალი ჩართვის გადასახადი. როდესაც დროულად არ იხდიან დავალიანებას, ელექტროკავშირი მიმართავს სადამსჯელო ღონისძიებას და უთიშავს აბონენტს ტელეფონს. ნომრის ხელახალი ჩართვა კი დამატებით მომსახურებასთანაა დაკავშირებული, ამიტომ თანხის გადახდა აუცილებელია და ერთლარიანი სანქციაც ძალაში რჩება, იმის მიუხედავად, რა სახელს შეურჩევენ მას.

## საქართველოში შექმნილი მდგომარეობა «ჰარი პოტერზეც» აისახა

**— მაინტერესებს, აპირებს თუ არა ბაკურ სულაკაური „ჰარი პოტერის“ დანარჩენი ნაწილის თარგმნას ქართულ ენაზე?**

***ნინიკო ხუნჭუა***

კითხვაზე უპასუხებს **ბაკურ სულაკაური.**

— „ჰარი პოტერის“ მეორე ნაწილი უკვე ითარგმნა. წიგნის გაყიდვას 26 ნოემბრისთვის ვგეგმავდით. თუმცა ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ გადაწყვეტილება შეგვაცვლევინა. პატარა მკითხველი „ჰარი პოტერის“ მე-2 ნაწილის შეძენას ალბათ დეკემბრის ბოლოს ან იანვრის დასაწყისში შეძლებს. წიგნის მე-3 ნაწილზე მუშაობა მალე დასრულდება და მკითხველი მას ზაფხულში მიიღებს.

## რა ხდება კოკა ყანდიაშვილის თავს

**— სად არის ამჟამად კოკა ყანდიაშვილი, რატომ არ განაახლა თავისი საავტორო გადაცემა სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხზე?**

***მაიკო ჩარკვიანი***



კითხვაზე უპასუხებს **კოკა ყანდიაშვილი.**

— „რა ხდებას“ შემოქმედებითი ჯგუფი საქართველოში მიმდინარე პროცესებს ყურადღებით ადევნებს თვალყურს. რედაქცია ყოველდღე მუშაობს, მაგრამ სახელმწიფო ტელევიზიას არა აქვს ფული. ანუ „რა ხდებას“ დაფინანსების პრობლემა აქვს. იმედი მაქვს, რომ გადაცემა კვლავაც გავა ეთერში, მაგრამ როდის, დაზუსტებით არ ვიცი. ვერ ვიტყვი, რომ ეს პრობლემა დღეს წარმოიშვა. იგი მანამდეც არსებობდა, მაგრამ დღეს გაცილებით მძაფრად დგას ფინანსური საკითხი. მჯერა, რომ მართლაც არა აქვს ტელევიზიას ფული, მაგრამ მეორე მხრივ, ისიც ვიცი, რომ სახელმწიფო ტელევიზიას გადასახადის გადამხდელები — უბრალო ხალხი — ინახავს. ამიტომ მაყურებლის ინტერესების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს საეთერო დროის შევსება. ხალხს უნდა ამ გადაცემის ნახვა და აქედან გამომდინარე, უნდა მოხდეს მათი ინტერესისა და სურვილის გათვალისწინება. თუმცა არ მინდა მოვლენებს გავუსწრო. ბოლომდე დავაკვირდები ყველაფერს, მათ შორის იმასაც, სადამდე არ გამოიყოფა ჩვენი გადაცემისთვის სახსრები და დასკვნებსაც შემდგომ გამოვიტან. ჩემი აზრით, რევოლუციაც იმიტომ მოხდა, რომ ხალხს სურდა შეცვლილიყო დამოკიდებულება მათდამი. სწორედ ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, რაში და როგორ დაიხარჯოს მათი ფული. მაგრამ თუ ხალხი ფულს იხდის და შენ მაინც ეუბნები, რომ შენ კი მიხდი, მაგრამ მე ფული მაინც არა მაქვსო, ისევ „ძველი სიმღერა“ მეორდება. იმედი მაქვს, რომ ახალი ხელისუფლება ამას არ დაუშვებს. მაგრამ მაინც გაკვირვებული ვარ. ვერც იმას დავიჯერებ, რომ ჩემი მეგობარი გიორგი ლეონიძე (ამჟამინდელი სახელმწიფო ტელევიზიის ხელმძღვანელი) პრობლემებს შემიქმნის გადაცემის განახლებაში. სამომავლოდ ვაპირებ გადაცემაში უამრავი ცვლილების შეტანას, მის განახლებას, თუმცა ეს ყველაფერი მაინც ფინანსებზე იქნება დამოკიდებული. ამჟამადაც მთავაზობენ, რომ გავიდე ეთერში და მამშვიდებენ კიდეც, „რაღაც“ გამოჩნდებაო... დღესვე შემიძლია დავჯდე ეთერში, მაგრამ მეუბნებიან, ფულს არ გადაგიხდითო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვერ მოვახერხებ იმის გაშუქებას, რაც ხდება ქვეყანაში. ამით გადაცემას გავაფუჭებ და შესაბამისად, მის რეიტინგს დავცემ, ხოლო მაყურებელს მოლოდინს გავუწბილებ. *კითხვაზე, გადაინაცვლებს თუ არა კოკა ყანდიაშვილის „რა ხდება“ დაუფინანსებლობის შემთხვევაში სხვა ტელეკომპანიის არხზე, მან ერთმნიშვნელოვნად გვიპასუხა:* — არა, „რა ხდება“ და კოკა ყანდიაშვილი არსად წასვლას ან გადასვლას არ აპირებენ. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ სახელმწიფო ტელევიზია ყველაზე დამოუკიდებელი ტელევიზია გახდეს საქართველოში. ვფიქრობ, რომ სახელმწიფო ტელევიზიის ხელმძღვანელობა არ უნდა ინიშნებოდეს პრეზიდენტის მიერ, ანუ თუ არ შეიცვალა ის მდგომარეობა, რაც ადრე იყო სახელმწიფო ტელევიზიაში, ჩათვალეთ, რომ რევოლუცია არ მოგვიხდენია და ეს სულ სხვა რამ ყოფილა.

## შოუ «ხალხის პირისპირ» ეთერში არ გავა მანამ, სანამ ვალებს არ გაისტუმრებს

**— გთხოვთ დაგვეხმაროთ და გამარკვიოთ. მარტში მონაწილეობა მივიღე „რუსთავი-2“-ის შოუში „ხალხის პირისპირ“. მოგებული თანხა (112 ლარი) უნდა მიმეღო მაისში, მაგრამ უკვე ნოემბერია და არავინ დამკავშირებია. იქნებ თქვენ მაინც გაგვაგებინოთ, როდის მივიღებ მოგებულ თანხას ან ვის უნდა დავუკავშირდე.**

***ვ. ქუთათელაძე***

კითხვაზე უპასუხებს **გიორგი ხაბურძანია,** შოუ „ხალხის პირისპირ“-ის პროდიუსერი.

— ფინანსური პრობლემების გამო შოუ „ხალხის პირისპირ“ მართლაც უგვიანებს გადაცემაში მონაწილე გამარჯვებულ მოთამაშეებს მოგებული თანხის გადახდას. სწორედ ამ მიზეზით არ გავდივართ ჯერჯერობით ეთერში. ნამუსი გვყოფნის საიმისოდ, რომ სანამ უკანასკნელ მოთამაშეს არ გავუსტუმრებთ მოგებულ თანხას, გადაცემის ახალი ციკლი არ წამოვიწყოთ. ანუ ჯერ დავალიანება უნდა დავფაროთ, შემდეგ კი შოუ განვაახლოთ. ამჟამად გასასტუმრებელი გვაქვს ბოლო ორი თვის თანხა (მაისის ჩათვლით). ასე რომ, გამარჯვებულ მაყურებელს შეუძლია პირადად მოგვმართოს ყოველდღე, სამუშაო საათებში, შაბათ-კვირის გარდა „რუსთავი-2“-ის ტელეფონებზე, სადაც დამატებით ინფორმაციას მიიღებენ იმ სავარაუდო ვადებზე, რომელშიც მოგებული თანხის აღებას შეძლებენ. კიდევ ერთხელ ვაღიარებთ, რომ მოგებული თანხა დროულად ვერ მიიღეს შოუს მონაწილეებმა, რის გამოც სახალხოდ ბოდიშს ვუხდით. მინდა დავარწმუნო მაყურებელი, რომ მოგებულ თანხას უკლებლივ ყველა მოთამაშე მიიღებს, მაგრამ როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, დაგვიანებით.

## „კვირის პალიტრა“ თქვენი დახმარებით გახდება უფრო უკეთესი და საინტერესო

**გთავაზობთ ჩვენს ტრადიციულ კითხვარს. გთხოვთ, შეავსოთ და გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების საშუალებით**

**წინასწარ მადლობას მოგახსენებთ დახმარებისათვის**

**1. თქვენი სქესი**
- ☐ ქალი
- ☐ კაცი

**2. ასაკი**
- ☐ 18 წლამდე
- ☐ 18-24
- ☐ 25-34
- ☐ 35-44
- ☐ 45-54
- ☐ 55-64
- ☐ 65 წელზე მეტი

**3. განათლება**
- ☐ არასრული საშუალო
- ☐ საშუალო/საშუალო სპეციალური
- ☐ არასრული უმაღლესი
- ☐ უმაღლესი
- ☐ სამეცნიერო ხარისხი

**4. ძირითადი სამუშაო, საქმიანობა**
- ☐ ხელმძღვანელი/მენეჯერი
- ☐ მოსამსახურე
- ☐ მუშა
- ☐ თვითდასაქმებული
- ☐ სტუდენტი/ასპირანტი
- ☐ მოსწავლე
- ☐ დროებით უმუშევარი
- ☐ დიასახლისი
- ☐ პენსიონერი

**5. რამდენ ლარს შეადგენს თქვენი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი?**
- ☐ 50 ლარამდე
- ☐ 50-200
- ☐ 200-700
- ☐ 700-1500
- ☐ 1500-ზე მეტი

**6. რამდენად ხშირად კითხულობთ „კვირის პალიტრას“?**
- ☐ ყოველ ნომერს
- ☐ ხშირად
- ☐ ხანდახან
- ☐ იშვიათად

**7. თქვენ გარდა რამდენი ადამიანი კითხულობს გაზეთის თქვენს ეგზემპლარს?**
- ☐ მხოლოდ მე
- ____ *(ჩაწერეთ რაოდენობა)* ადამიანი

**8. „კვირის პალიტრის“ გარდა, რომელ ჟურნალ-გაზეთებს კითხულობთ სისტემატურად?**
*(დაასახელეთ რიგითობის მიხედვით)*

1. ____________
2. ____________
3. ____________

**9. რამდენად ხშირად კითხულობთ თქვენ მიერ I რიგში დასახელებულ სხვა გამოცემას?**
- ☐ ყოველ ნომერს
- ☐ ხშირად
- ☐ ხანდახან
- ☐ იშვიათად

**10. ზოგადად, რა სამი უმთავრესი ფაქტორია გადამწყვეტი თქვენთვის გაზეთის/ჟურნალის არჩევისას?**
- ☐ ფასი
- ☐ შეჩვევა
- ☐ სტატიების სიმძაფრე
- ☐ გვერდების რაოდენობა
- ☐ პოლიგრაფიული ხარისხი
- ☐ ოპერატიულობა
- ☐ დიზაინი
- ☐ ზომიერება
- ☐ მრავალფეროვნება
- ☐ იმიჯი
- ☐ ობიექტურობა/არატენდენციურობა

სხვა *(დაასახელეთ)* ____________

**11. როგორ შეაფასებთ „კვირის პალიტრას“?**
- ☐ საქართველოში არსებულ სხვა გაზეთებზე უკეთესია
- ☐ საქართველოში არსებულ სხვა გაზეთებზე უარესია
- ☐ ჩვეულებრივია, ჰგავს სხვა გაზეთებს

**12. დაახლოებით, რამდენი ხანია, რაც „კვირის პალიტრას“ კითხულობთ?**
- ☐ ეს პირველი ნომერია
- ☐ 1-3 თვე
- ☐ 3-12 თვე
- ☐ 1-2 წელი
- ☐ 2-5 წელი
- ☐ დაარსებიდან

**13. როგორ ფიქრობთ, „კვირის პალიტრა“ ადრე უფრო საინტერესო იყო თუ ახლა?**
- ☐ ადრე უფრო საინტერესო იყო
- ☐ ახლა უფრო საინტერესოა
- ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

**14. რომელ რუბრიკას კითხულობთ ყველაზე მეტი ინტერესით?**

____________

**15. რომელი რუბრიკაა თქვენთვის ყველაზე ნაკლებად საინტერესო?**

____________

**16. რა სიახლეს შესთავაზებდით „კვირის პალიტრას“?**

____________

____________

____________

**17. მიუთითეთ ქალაქი (რაიონი, სოფელი), სადაც ცხოვრობთ**

____________

☒ შესაბამისი უჯრა გადახაზეთ

*(ყუთების ადგილმდებარეობის შესახებ იხ. 36-ე გვერდზე)*

(ყუთების ადგილმდებარეობის შესახებ იხ. 36-ე გვერდზე)

**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ზაფხულიდან დამეწყო ხელებისა და ფეხების შეშუპება. ვარ 50 წლის. თირკმლები არ მაწუხებს. შემიძლია თუ არა შარდმდენი საშუალებების მიღება?**

***ა.ვ. თქვენი ერთგული მკითხველი***

ჯერ უნდა გამოიკვლიოთ: შეშუპება შეიძლება იყოს გულის უკმარისობის საწყისი სტადიის გამოვლინება. მით უმეტეს, რომ ეს ნიშანი ზაფხულის პერიოდში განვითარდა. სიცხე ხომ გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიების ძლიერი მაპროვოცირებელი ფაქტორია, რადგან ამ დროს ორგანიზმში ირღვევა წყალ-მარილოვანი ბალანსი და უარესდება გულის მუშაობა. უნდა შემოწმდეს ენდოკრინული სისტემაც. მსგავსი ნიშნები ახასიათებს ფარისებრი და ფარისებრახლო ჯირკვლების მუშაობის დარღვევას. ასე რომ, თვითნებურად შარდმდენების გამოყენებას არ გირჩევთ, რადგან ეს საკმაოდ სერიოზული პრეპარატებია, რომლებსაც არაგონივრული მიღების შემთხვევაში, ბევრი არასასურველი გვერდითი ეფექტის გამოწვევა შეუძლია.

**ქალის რომელი ასაკია ოპტიმალური მშობიარობისავის და რატომ?**

***ელზა შენგელია, ერთგული მკითხველი***

ყოველი ადამიანის ორგანიზმი დაახლოებით 5-6 მუტაციის (გენური ცვლილების) მატარებელია. როდესაც მშობიარის ასაკი 35 წელზე მეტია, მატულობს გენური და ქრომოსომული მუტაციის მქონე ბავშვის დაბადების რისკი. რაც შეეხება ტალანტურობას, რომელიც თითქოსდა მშობლების ასაკზეა დამოკიდებული, ეს საკითხი მეცნიერულად შესწავლილი არ არის და ასეთი მოსაზრება მხოლოდ ვარაუდს წარმოადგენს. მშობიარობა არც 18 წლამდე ასაკშია მიზანშეწონილი, რადგან ორგანიზმი მოუმწიფებელია. ყველაზე მისაღები ასაკია 18-35 წელი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ორმოცი წლის ქალისათვის მშობიარობა არ შეიძლება, მაგრამ მისთვის რეკომენდებულია მშობიარობამდელი დიაგნოსტიკა.

**გავიგე, რომ არსებობს კარიესის საწინააღმდეგო ვაქცინა. თუ მართლა ასეა, ნიშნავს თუ არა ეს კბილების პრობლემის სამუდამო გადაწყვეტას?**

***დავით არჩვაძე, თბილისი***

კარიესის საწინააღმდეგო ვაქცინა მართლაც შექმნილია აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში, მაგრამ მათ გამოსაცდელად დროა საჭირო. ინგლისელთა მიერ შექმნილი ნივთიერება მიმართულია განსაზღვრული სტრეპტოკოკური ბაქტერიის გასანადგურებლად. თვლიან, რომ სწორედ იგი უწყობს ხელს კბილის მინანქრის დამშლელი რძემჟავის დიდი რაოდენობით გამოყოფას. ეს ვაქცინა, სხვა ვაქცინებისაგან განსხვავებით, ვერ ქმნის მყარ იმუნიტეტს, ამიტომ აცრა კეთდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. თუმცა ნემსის გაკეთება საჭირო არ არის — კბილის მთელ ზედაპირს „ღებავენ“ პროფილაქტიკური ნივთიერებით, ხოლო შემდეგ მისგან დაამზადებენ კბილის პასტას ან საწუწნ აბებს კარიესის წინააღმდეგ. ამერიკელები შედარებით „ხანგრძლივმოქმედ“ ვარიანტს ქმნიან. მათი გამონაგონი დაშლის ფერმენტს, რომლის მეშვეობით კბილებზე მავნე ნადები ჩნდება. მათი აზრით, დამცავი ნივთიერების შეყვანის საუკეთესო გზა — ცხვირში ჩაწვეთებაა. სასინჯი „დოზის“ ანალიზმა აჩვენა, რომ მართლაც გამომუშავდება საჭირო ანტისხეულები, მაგრამ, სამწუხაროდ, სტომატოლოგიური ბორმანქანა წარსულში მაინც ვერ დარჩება იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული პრეპარატების გამოცდა წარმატებით ჩაივლის. დღეს უკვე ცნობილია, რომ აცრა ეფექტიანი იქნება წლინახევრიდან სამ წლამდე ასაკის ბავშვებში. ასე რომ, უფროსებს ისევ მოუწევთ კბილების გაწმენდა დღეში ორჯერ, ტკბილეულის შეზღუდვა და კალციუმით მდიდარი საკვების მიღება.

**გამიგონია, რომ მხედველობის გასაუმჯობესებლად კარგია სტაფილოს ჭამა. კიდევ რა პროდუქტებია სასარგებლო მხედველობის დაქვეითებისას?**

**ა.ა.**

ნორმალური მხედველობის შესანარჩუნებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ხილსა და ბოსტნეულს, აგრეთვე სამკურნალო მცენარეებს, რომლებიც თვალის ქსოვილებს საჭირო ვიტამინებითა და საკვები ნივთიერებებით ამარაგებს. ასეთი ნივთიერებები ძალიან მცირე რაოდენობითაა თერმულად დამუშავებულ პროდუქტებში. თვალებისათვის ყველაზე მეტადაა საჭირო A ვიტამინი, რომელსაც შეიცავს წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი ხილი და ბოსტნეული: სტაფილო, წითელი წიწაკა, პომიდორი, სალათი, კომბოსტო, ოხრახუში, მწვანე ხახვი, ისპანახი, მჟაუნა, ჭერამი, ატამი. სტაფილო მდიდარია ბეტა კაროტინით, თვალისათვის კი საჭიროა მისი ცხიმში გახსნილი წარმონაქმნი — A ვიტამინი. ორგანიზმმა რომ შეძლოს ბეტა კაროტინის A ვიტამინად გარდაქმნა, სტაფილო ცხიმთან ერთად უნდა მიიღოთ (არაჟანთან ან ზეთთან). მხედველობაზე დადებითად მოქმედებს აგრეთვე მცენარეული კაროტინოიდი (პიგმენტი) — ლუთეინი, რომელიც უშუალოდ თვალის ქსოვილებში აღწევს. იგი შთანთქავს თვალისათვის დამღუპველ ულტრაიისფერ სხივებს, ინარჩუნებს უჯრედთა მთლიანობას, ზრდის მხედველობის სიმახვილეს. ლუთეინს შეიცავს ყვითელი და წითელი ბოსტნეული, ხილი — სტაფილო, გოგრა, სიმინდი, ხურმა და ყურძენი. თვალის კაკლის სრულყოფილი კვებისათვის საჭიროა D ვიტამინი. მისი უკმარისობისას ჩნდება სინათლის შიში, თვალის ქრაა და სხვა უსიამოვნო შეგრძნებები. იგი ბევრია ბარდაში, პომიდორში, კომბოსტოში, ვაშლში, არაქისსა და ნუშში. თვალისათვის მეტად სასარგებლოა მოცვი. იგი შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც ამახვილებს მხედველობას, განსაკუთრებით, სიბნელეში. თვალის იმ დაავადებების დროს, რომელთაც თან ახლავს წვრილი სისხლჩაქცევები, კარგია ასკილი (მასში დიდი რაოდენობითაა C ვიტამინი). იგი დადებითად მოქმედებს თვალის სისხლძარღვებზე და აუმჯობესებს მხედველობას.

## კარაბადინი

**ჩემს პატარებს ზამთრობით ხშირად ემართებოდათ გრიპი. მისგან თავის დაღწევაში ხახვი მეხმარება. რა თქმა უნდა, სუფთა სახით ხახვს ბავშვები არ ჭამენ, მაგრამ მისგან მომზადებულ ტკბილ წამალს სიამოვნებით მიირთმევენ: 500 გ გაფცქვნილი ხახვი დაკეპეთ, დაუმატეთ 50 გ თაფლი და 40 გ შაქარი, დაასხით 1 ლ წყალი და წყლის ორთქლზე 3 სთ ხარშეთ. ხახვი მთლიანად გაიქნება. მიღებული ხსნარი ჩაასხით ბოთლში, დაახურეთ სახურავი და შეინახეთ მაცივარში. მიიღეთ თითო დესერტის კოვზით 3–5–ჯერ დღეში. მიღება უნდა დავიწყოთ პროფილაქტიკის მიზნითაც. გარწმუნებთ, უკეთესი საშუალება გრიპისგან და სხვა ვირუსებისგან თავდასაცავად, არ მეგულება.**

***პატივისცემით, ვერიკო მამულაშვილი***

**ექიმის კომენტარი:** დღეს მედიცინას მოეპოვება უამრავი ანტივირუსული თუ იმუნომასტიმულირებელი საშუალება, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მათი გამოყენება ბავშვებში შეზღუდულია. წამალი მით უფრო ღირებულია, რაც ნაკლები გვერდითი მოქმედება და გართულება ახასიათებს. ამ მხრივ, რაღა თქმა უნდა, შეუდარებელია ბუნებრივი, კვებითი პროდუქტებისაგან მომზადებული სამკურნალო საშუალებები. ხახვის ანტისეპტიკურ, ანტიანთებით, ანტიბაქტერიულ თვისებებზე არაერთხელ გვისაუბრია. ასევე უნიკალური ანტიანთებითი და იმუნომოდულატორული (იმუნიტეტის მომწესრიგებელი) თვისებები აქვს თაფლს. მათი კომბინაცია უდავოდ კარგ ეფექტს მოგვცემს. მაგრამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ წამალი უნდა იხარშოს არა ცეცხლზე, არამედ წყლის ორთქლზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ისეთი ეფექტიანი აღარ იქნება, რადგან თაფლიცა და ხახვიც თავის თვისებებს დაკარგავს, ხოლო შაქარი ხანგრძლივი ხარშვისას მავნე თვისებასაც იძენს. მიღებული წამალი მიეცით ბავშვს ჭამის შემდეგ, რათა არ გააღიზიანოს კუჭ-ნაწლავი.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა.***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## თითების სიგრძე და მამაკაცის გული

ლივერპულის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მამაკაცის ხელის მტევნის აგებულებაზე დაკვირვება იძლევა საშუალებას, დადგინდეს, რამდენად აქვს მიდრეკილება ამა თუ იმ პიროვნებას კარდიოლოგიური დაავადებებისადმი.

მათ გამოიკვლიეს ორასამდე სხვადასხვა ასაკის მამაკაცის ხელი და მივიდნენ საოცარ შედეგამდე: თურმე, თუ მამაკაცის საჩვენებელი თითის სიგრძე ათი ან მეტი პროცენტით ნაკლებია არათითის სიგრძეზე, მაშინ მას კარდიოლოგი 70 წლამდე არ დასჭირდება. თუ ამ თითების სიგრძე ვინმეს თანაბარი აქვს, მაშინ ისინი 45 წლამდე მიაკითხავენ კარდიოლოგებს.

***ტაინაია ვლასტ №40***

## გზა ჯანმრთელობისკენ...

**კბილის ტკივილის, სურდოს ან მაღალი არტერიული წნევის დროს, სანამ აფთიაქში გავიქცეოდეთ, მანამ შევიდეთ ბაზარში ან ბოსტნეულის მაღაზიაში, სადაც ძალიან ბევრ ნატურალურ სამკურნალო საშუალებას აღმოვაჩენთ. ხილი, ბოსტნეული და ახალი მწვანილი შეიცავს ისეთ ძვირფას ნივთიერებებს, რომლებსაც გააჩნიათ ანთებსაწინააღმდეგო, ანტისეპტიკური და ტკივილგამაყუჩებელი თვისებები.**

**გთავაზობთ რამდენიმე მარტივ და ეფექტურ რეცეპტს:**

**შეშუპების დროს:** — წვრილად დაჭრილ 2 ს/კ ოხრახუშს შეურიეთ 3 კვერცხის ცილა. ნარევი წაუსვით ბამბის ქსოვილს. დაიდეთ შეშუპებულ ადგილზე და შეიხვიეთ ელასტიკური ბინტით. კომპრესი გამოცვალეთ 2 საათში ერთხელ.

**მაღალი სიცხის დროს:** 5 წილი ოთახის ტემპერატურის წყალს დაამატეთ 1 წილი 3%-იანი ვაშლის ძმარი. დაასველეთ ბამბის წინდები, გაწურეთ, ჩაიცვით და ზევიდან შემოიხვიეთ ბამბის პირსახოცი. წინდები გაიხადეთ 1 საათის შემდეგ. პროცედურა ჩაიტარეთ 2-3-ჯერ დღეში.

**ხველების დროს:** წვრილად დაჭრილ ხახვს შეურიეთ თაფლი პროპორციით 1:5 და მიიღეთ 1 ჩ/კ 5-ჯერ დღეში.

**ქოლესტერინის დონე დაიწევს,** თუ ყოველდღე 2 კბილ ნიორს დაამატებთ სალათებსა და ნებისმიერ კერძს, ან ყოველდღე შეჭამთ კანიანად კარგად გარეცხილ 2 ვაშლს.

**დაბალი წნევის დროს:** წიწაკით (ჩილი) შეკაზმეთ წვნიანები და ნებისმიერი კერძი.

**იმუნურ სისტემას** აძლიერებს და ხელს უწყობს ცხიმის წვას თუ ლიმონის ახალგამოწურულ წვენს დაამატებთ ხილის სალათებს, მინერალურ წყალს ან დესერტს.

**კბილის ტკივილის დროს:** მიხაკი დაღეჭეთ და დაიდეთ მტკივან კბილზე.

**დიდი ფიზიკური დატვირთვის** შემდეგ კუნთების გადაღლისა და დაძაბულობის დროს 1 ს/კ გამხმარი რეჰანის (ბაზილიკის) ფოთლები 10 წუთის განმავლობაში მოხარშეთ 250 მლ წყალში, გაწურეთ, დაამატეთ აბაზანას და ჩაწექით.

**ბრწყინვალე ამოსახველებელია** ბეგქონდარა. 1 ჩ/კ ფოთოლს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე და წამოადუღეთ. მიიღეთ 1/3 ჭ 3-ჯერ დღეში.

***ლიზა №42***



## როგორ მოვუაროთ თმას...

თმა რომ ყოველთვის ბრწყინავდეს და ლამაზად გამოიყურებოდეს, რაციონში უნდა შეიტანოთ: მჭლე ხორცი, ქათამი, თევზი, სოკო, ყველი, ვიტამინ C-ს შემცველი ხილი და B ვიტამინი. B-ით მდიდარი შვრია, წიწიბურა და მაკარონი. გარდა ამისა, გთავაზობთ თმის მოვლის ბუნებრივ რეცეპტებს.

ხახვი: — 2-3 ს/კ ახალგამოწურული ხახვის წვენი შეიზილეთ თმის ძირებში 1-2-ჯერ კვირაში, თავი შეიკარით პირსახოცით და 0,5 საათის შემდეგ დაიბანეთ საპნით ან შამპუნით. ხახვის წვენი ხელს უშლის თმის ცვენას, აშორებს ქერტლს.

დაბანის შემდეგ გადაივლეთ თმაზე გვირილის ნაყენი და სველ თმაში შეიზილეთ მცენარეული ზეთი.

*თმას ბზინვარებას შეუნარჩუნებთ,* თუ თავზე გადაივლებთ ძმარგარეულ (1ს/კ:1ლ წყალი), ან ლიმონგარეულ წყალს.

ასევე შეგიძლიათ გადაივლოთ ჩაის ნაყენი (2ჩ/კ 1ლ წყალზე).

თმა ლამაზ ოქროსფერს მიიღებს თუ თავზე გადაივლებთ გვირილის ნაყენს.

*თმის ძირებს ამაგრებს* თუ დაბანის შემდეგ გადაივლებთ ოხრახუშის ნაყენს (50გ ოხრახუში 500მლ წყალი).

*ნიღბები:* **1.** დაბანამდე 1-1,5 საათით ადრე, თმაზე წაისვით ნებისმიერი ზეთი, ზევიდან შემოიხვიეთ პოლიეთილენის თავსაფარი და ნახევარი საათის შემდეგ დაიბანეთ.

**2.** შეურიეთ ერთმანეთს 2ს/კ აბუსალათინის ზეთი 1 ჩ/კ ძმარი და 1 ჩ/კ გლიცერინი. კარგად ათქვიფეთ და შეიზილეთ თმაში, დაიფარეთ პირსახოცი და რამდენიმე წუთით თავი გააჩერეთ წყლის ორთქლზე და შემდეგ დაიბანეთ. ასეთი პროცედურის შემდეგ, თმა ხდება რბილი, ხშირი და მბზინავი.

*მშრალი თმისთვის:* 1ს/კ აბუსალათინის ზეთს შეურიეთ 1ს/კ ჩაის მაგარი ნაყენი და 1 ჩ/კ არაყი. კარგად შეიზილეთ თმის ძირებში და 2 საათის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

*ცხიმიანი თმისთვის:* 3 ს/კ ჭინჭრის გამხმარ ფოთოლს დაასხით 1ლ მდუღარე და გააჩერეთ 1 საათი, გაწურეთ და გადაივლეთ თავზე, ყოველი დაბანის შემდეგ.

***ცელებნიკი***

## მეტალი — დეპრესიის წინააღმდეგ



როცა თითზე ძვირფას ბეჭედს თანამედროვე მეჯღანუაშვილი... გავიკეთებთ და კისერზე ძეწკვს ჩამოვიკიდებთ, ვლამაზდებით და თავსაც ვკურნავთ. მაგალითად, **თეთრი ოქრო** — მხოლოდ ყველაზე ძვირი კი არ არის, არამედ საუკეთესო სამკურნალო ლითონიც. ის ამშვიდებს ორგანიზმს, აფერხებს ანთებითი დაავადებების გამწვავებას, ხელს უწყობს ორგანიზმიდან ტოქსინების გამოდევნას. შეიძინეთ თუნდაც სულ პაწია **პლატინის** ბეჭედი, ვინაიდან პლატინა ძლიერ მოქმედი მეტალია. თუ მხედველობა გღალატობთ, საჩვენებელ თითზე გაიკეთეთ თეთრი ოქროს პაწაწინა ბეჭედი, ხოლო გულ-სისხლძარღვთა სისტემის გასამაგრებლად — უსახელო თითზე. ბეჭედი გაიკეთეთ სავსე მთვარის შემდეგ და ატარეთ ექვს-ექვსი დღე 3-დღიანი შესვენებებით. სხვათა შორის, გაითვალისწინეთ — არასოდეს გაიკეთოთ ბეჭედი ნეკა თითზე ან ცერზე — ეს გამოიწვევს ენერგიის დაკარგვას.

ბევრ მანდილოსანს **ფერადი ოქრო** უფრო მოსწონს. ეს ჯადოსნური მეტალია. დეპრესიული მდგომარეობიდან თავდასაღწევად საკმარისია რამდენიმე წუთით ხელში გეჭიროთ ოქროს ნივთი. ოქრო ათბობს, ამაგრებს გულის კუნთს, ადამიანს უფრო ამტანს ხდის. გარდა ამისა, ოქრო სწევს წნევას. მანდილოსნებს, ვისაც დაბალი წნევა აწუხებს, ვურჩევთ ოქროს ბეჭდების ტარებას მარჯვენა ხელის შუა თითზე, ხოლო მამაკაცებს — მარცხენა ხელზე. თანაც, ოქრო ამაღლებს ტონუსს.

თუ ენერგიის მომატება გსურთ, ბეჭედი გაიკეთეთ საჩვენებელ თითზე. ხოლო თუ ოქროს ბეჭედს მარცხენა ხელის შუა თითზე ატარებთ, იმუნურ სისტემას გაიმაგრებთ. მეტალი დაგეხმარებათ პრობლემების გადაწყვეტაში ინტიმურ სფეროშიც — ბეჭედი უნდა გეკეთოთ მარცხენა ხელის არათითზე. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა თვისება აქვს არა მარტო ოქროს, არამედ მის ნაერთს პლატინასთან ან ვერცხლთან.

მაღალწნევიანებმა უარი უნდა თქვან ოქროზე. უფრო სწორად, დროდადრო. ისე კი, რაც უფრო ასაკოვანია ადამიანი, მით სასარგებლოა მისთვის ოქრო. მეტალს არ უყვარს ბავშვები, ამიტომ შვილებს არ აჩუქოთ ოქროს საყურეები და ბეჭდები. კიდევ კარგი, რომ ბოლო ხანებში ბავშვები ვერცხლს უფრო ეტანებიან. **ვერცხლს** შეუძლია ასახოს ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა. ძველად, თავისი თვისების გამო (გაშავება), ვერცხლი ითვლებოდა „ცოცხალ“ მეტალად, ხოლო თითზე გაშავებული ბეჭედი ყველა ექიმზე უკეთ გეტყვით, რომ კუჭთან ან ღვიძლთან დაკავშირებული პრობლემები გაქვთ. ცნობილია, რომ ვერცხლი დღეგრძელობის მეტალია. ვერცხლის იონებს აქვთ ბაქტერიოციდული, დეზინფექციური თვისებები. ამიტომ, ვერცხლის მუდმივი ტარება ახანგრძლივებს სიცოცხლეს. და კიდევ, ვერცხლი აძლიერებს პატრონის ბიოველს და ხელს უწყობს გაუმკლავდეს რიგ დაავადებებს. მაგალითად, თუ ჰიპერტონია გაწუხებთ, მოუხსნელად გეკეთოთ ვერცხლის ბეჭედი საჩვენებელ თითზე.

***ჯენტე***

# ᲗᲣ ᲙᲣᲭᲘ „ᲜᲔᲠᲕᲘᲣᲚᲝᲑᲡ“...

საჭმლის მომნელებელი მთავარი ორგანოს — კუჭის ნევროზი ხშირად ემართებათ როგორც უფროსებს, ისე ბავშვებს, რომლის ძირითადი მიზეზია არარაციონალური კვება, სტრესები, ფსიქოემოციური დატვირთვა. სიმპტომებია: გაღიზიანება, პრეპარატები, სპაზმები, ჭვალი, კუჭ-ნაწლავის მოქმედების დარღვევა. კუჭის ნევროზის სამკურნალოდ ფიტოთერაპია გთავაზობთ რამდენიმე რჩევას. მაგალითად, კუჭის წვენის მაღალი მჟავიანობის დროს — სასურველია მიიღოთ მზიურას (კულმუხოს) და ტუხტის ფესვების, კრაზანას, სელის თესლის ნაყენი. კარგ შედეგს იძლევა ასეთი ნარევი: შეურიეთ ერთმანეთს 10



წილი ტუხტის ფესვები, 5 წილი პიტნის ფოთოლი, 10 წილი შავბალახა. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე, გააჩერეთ 1 საათი, გაწურეთ და მიიღეთ 3-ჯერზე ჭამის შემდეგ, 4 კვირის განმავლობაში.

დაბალი მჟავიანობის დროს გამოიყენება აბზინდა, ფარსმანდუკი, მრავალძარღვა, კოთხუჯი, ნეგო. ამ მცენარეთაგან მოამზადეთ ნახარში და მიიღეთ 1/4 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 15 წუთით ადრე. გაფრთხილებთ, კუჭის ნევროზის მკურნალობა აუცილებელია, თორემ გასტრიტი გარანტირებულია.

***ოტდოხნი! №35***

**ᲕᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲗ**

**ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚ ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲢᲡ**

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**

**ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ „ᲚᲐᲖᲔᲠᲘ“**

**ᲑᲣᲡᲘᲚᲘᲡ ᲙᲕᲐᲜᲫᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲪᲘᲚᲔᲑᲐ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲘᲗ. ᲡᲬᲝᲠᲘ ᲜᲐᲬᲚᲐᲕᲘᲡ ᲜᲐᲞᲠᲐᲚᲘᲡ, ᲙᲝᲚᲘᲢᲘᲡ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ.**

*ექიმი ვიტალი ბერიშვილი* ☎ 899 70 00 40

**ᲒᲘᲜᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ. ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲐ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲗ.**

*ექიმი მეგი ჩიტიშვილი* ☎ 899 57 68 27

**ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ, ᲣᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲑᲘ**

*ექიმი გიორგი აფაქიძე* ☎ 899 21 36 30

**ᲢᲠᲝᲤᲘᲙᲣᲚᲘ ᲬᲧᲚᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ, ᲙᲣᲭᲘᲡᲐ ᲓᲐ 12-ᲒᲝᲯᲐ ᲜᲐᲬᲚᲐᲕᲘᲡ ᲬᲧᲚᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ**

*ცენტრის ხელმძღვანელი: პროფესორი ლუიზა მარსაგიშვილი*
☎ 899 20 60 73 **ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ — ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲐ**

მის: ქ. თბილისი, ბახტრიონის 18, ☎ 91-18-33

***ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ!***

**ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲗᲐ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲡᲢᲘᲙᲐ ᲣᲚᲢᲠᲐᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲣᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ:**

სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

**ᲖᲣᲡᲢᲘ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲖᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲯᲐᲜᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐᲐ!!!**

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, მე-2 სართული, ტელ: **99 64 99**
მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა
**ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲣᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ!**



**რატომ არის აბორტი საშიში ქალის ჯანმრთელობისათვის? რა მოელის ქალს ამ ოპერაციის შემდეგ, როგორ მოვიქცე?**

***ლ. ქაჯაია, ზუგდიდი***

# ᲐᲑᲝᲠᲢᲘ

ცნობილია, რომ აბორტის შემდეგ მკვეთრად ირღვევა ქალის გამრავლების ფუნქცია. განსაკუთრებით ეს ეხება პირველი ორსულობის დროს გაკეთებულ აბორტს. ამ დროს უნაყოფობის შანსი ძალზე მაღალია.

საშვილოსნოს მექანიკური გზით გამოფხეკა აზიანებს საშვილოსნოს ყელსა და კედლებს. გარდა ამისა, აბორტის დროს გამოყენებული მედიკამენტები ცვლიან საშოს ფლორას. ამას ემატება აბორტის შემდგომი სერიოზული ჰორმონული დარღვევები: ირღვევა მენსტრუალური ციკლი, ფერხდება კვერცხუჯრედის მომწიფების პროცესი.

უნაყოფობის რისკი მატულობს, თუკი აბორტის შემდეგ ვითარდება ანთებითი პროცესები. დაბოლოს, აბორტს ხშირად თან ახლავს საშვილოსნოსა და კვერცხსავალი მილების შეუქცევადი ცვლილებები, რის საფუძველზეც მილები იხშობა, ვითარდება შეხორცებები, რომელიც აფერხებს საშვილოსნოში კვერცხუჯრედის გადაადგილებას.

აბორტის მეორეჯერ და მეტჯერ გაკეთებისას ანთებითი პროცესები ღრმავდება, ვითარდება ენტომეტრიოზი. იმ ქალებში, რომელთაც ბავშვი არ გაუჩენიათ, დაავადების განვითარების რისკი მკვეთრად იმატებს...

აბორტის დროს ხელოვნურად ხდება საშვილოსნოს ყელის გაფართოება. ამიტომაც შემდგომი, სასურველი ორსულობის დროს, საშვილოსნოს ყელი შეიძლება თავისით, ძალდაუტანებლად გაიხსნას და შედეგად თვითნებური აბორტი განვითარდეს, საშვილოსნოს ყელზე 14 კვირის ორსულობისას ადებენ ნაკერებს, რომელთაც მშობიარობამდე ცოტა ხნით ადრე ხსნიან.

მატულობს სასქესო ორგანოების ინფექციების რისკი: ანთებითი პროცესების, ენდოკრინული მოშლილობების, ენდომეტრიოზის, სქესობრივი ცხოვრების ადრე დაწყების, ასევე პარტნიორების ხშირი ცვლის დროს. რისკ-ფაქტორებს ასევე მიეკუთვნება ქრონიკული სტრესი, დეპრესია, ცხოვრების არაჯანსაღი წესი, ალკოჰოლური და ნარკოტიკული ინტოქსიკაცია.

ძალზე სახიფათოა აბორტი, რომელიც არ კეთდება კვალიფიციური ექიმის მიერ, სამედიცინო დაწესებულებაში. ეს დაუშვებელია! სახლის პირობებში შეჰყავთ საშვილოსნოში ქიმიური ნივთიერებები, ახდენენ აბორტის ხელოვნურ პროვოცირებას, შეჰყავთ ვენაში ტოქსიკური ნივთიერებები, რომელიც კლავს ნაყოფს. ასეთი არალეგალური „ოპერაციების“ შემდეგ ქალთა უნაყოფობის რისკი 4-ჯერ მატულობს. სამედიცინო დაწესებულებებში აბორტის შემდეგ გართულებების განვითარების რისკი ბევრად უფრო ნაკლებია.

ორსულობის 12 კვირის შემდეგ საშვილოსნოს დაზიანების ალბათობა მკვეთრად იმატებს. განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩამოყალიბებულია ნაყოფის ძვლოვანი სისტემა, რამაც შეიძლება გახვრიტოს საშვილოსნოს ყელი.

ასევე, ძალზე სახიფათოა აბორტი, თუ ქალს აქვს საშვილოსნოს მიომა და მათთვისაც, ვისაც ადრე ჰქონდა გაკეთებული საკეისრო კვეთა.

ყველაზე ნაკლებტრავმული და უხიფათოა აბორტი, რომელიც კეთდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მიერ, ოფიციალურ დაწესებულებაში, 8-9 კვირის ორსულობის დროს. ადრე პოპულარული აბორტი ვაკუუმით, ახლა ნაკლებად გამოიყენება, რადგან ამ დროს ხშირად არ ხდება საშვილოსნოს ღრუს განთავისუფლება და შემდეგ ისევ საჭირო ხდება საშვილოსნოს გამოფხეკა.

ზოგჯერ აბორტი სამედიცინო ჩვენებით კეთდება, ანუ აბორტის გაკეთება რეკომენდებულია სამედიცინო მოსაზრებებით, მაგალითად, თუ ქალმა ორსულობის დროს, განსაკუთრებით ორსულობის პირველი სამი თვის განმავლობაში, გადაიტანა წითურა. ამ დროს ნაყოფის სიმახინჯისა და პათოლოგიის განვითარების რისკი იმდენად დიდია, რომ აუცილებელიც კი არის აბორტის გაკეთება, მაგრამ აბორტის შემდეგ მეორე დღესვე აუცილებელია ექიმ-გინეკოლოგთან ვიზიტი. მან უნდა გააკონტროლოს საშვილოსნოს მდგომარეობა. ასევე დანიშნოს ჰორმონული დარღვევისა და ანთებითი პროცესის პროფილაქტიკისთვის მკურნალობა. გინეკოლოგმა უნდა შეარჩიოს კონტრაცეპტული საშუალებებიც. შემდგომი ორსულობა შეიძლება უპრობლემოდ განვითარდეს აბორტიდან პირველივე მენსტრუაციის დროსაც.

ერთი კვირის მანძილზე გმართებთ ყურადღება. დააკვირდით საკუთარ ჯანმრთელობას. თავი შეიკავეთ სქესობრივი ცხოვრებისგან. არ მოსწიოთ, არ დალიოთ.

***მაია მუხიგული***

# ᲘᲪᲘᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ...

არ არის ადამიანი, რომელსაც ერთხელ მაინც არ ასტკივებია მუცელი, იმათაც კი, რომლებიც გულდასმით (ლუპითაც კი) სინჯავენ თეფშს და ხშირად იბანენ ხელებს.

როგორ გავარკვიოთ, თუ რა იწვევს მუცლის ტკივილს და რით დავიამოთ?

როდესაც ადამიანს მუცელი სტკივა, პირველ რიგში აბრალებს საჭმელს, სინამდვილეში შეიძლება მუცლის ტკივილი გამოიწვიოს სულ სხვა რამემ. მაგალითად: ძუძუთა ბავშვისთვის დამახასიათებელი მუცლის ბანალური ჭვალების მიზეზი შეიძლება იყოს ძუძუს ან საკვების მილების დროს ზედმეტი ჰაერის ჩაყლაპვა, ან დედის ლობიოთი და სხვა „გაზის დამგროვებელი“ პროდუქტებით გატაცება. უფროსებისთვის კი ამ უსიამოვნების მთავარი მიზეზია დისბაქტერიოზი, ყაბზობა (კუჭში შეკრულობა), დიარეა (აშლილობა), ხშირად — ნერვიულობა, სტრესები. მუცლის ტკივილით რეაგირებს ორგანიზმი საკვებზე, ამასთან — არა მარტო ძმრიან და სხვადასხვა სანელებლიან საჭმელზე, შემწვარსა და მოხარშულზე.

მუცლის ქვემოთ ტკივილი მიუთითებს გინეკოლოგიურ დაავადებებზე;

შიმშილის დროს — თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულზე;

მარჯვენა მხარეს, ნეკნებთან მკვეთრი ტკივილი — ღვიძლის ჭვალზე (გარდა ამისა, ის შეიძლება გამოიწვიოს სწრაფმა სიარულმა, მაძღრისად დანაყრებამ და ა.შ.).

ჭიპის გარშემო ტკივილი — ხშირ შემთხვევაში ფსიქოლოგიური მიზეზებითა გამოწვეული.

თუ ჭიპიდან ტკივილი გადადის ქვემოთ, მუცლისკენ და ძლიერდება, დაწექით მარცხენა მხარეს, ფრთხილად, აპენდიციტი არ იყოს.

ჭამის შემდეგ გულის კოვზთან ყრუ ტკივილი თან სდევს ქრონიკულ გასტრიტსა და წყლულს.

მუცლის ტკივილს დაგიამებთ:

კუჭის აშლილობისას ახალმოდუღებული მაგარი ჩაი (არა პაკეტის) და მასაჟიც გიშველით. თბილი ხელებით მუცელზე გაიკეთეთ მასაჟი საათის ისრების მიმართულებით. იმ შემთხვევაში თუ მუცლის ტკივილი გამოწვეულია მაღალი მჟავიანობით, დალიეთ 1ჩ/ჭ თბილი წყალი. ამავე მიზნით შეგიძლიათ მიიღოთ ანტაციდები: ალმაგელი, ფოსფალიუგელი და ა.შ. ან წყალში გახსნილი სოდის სუსტი ხსნარი. ფესტალი დაგიამებთ მაძღრისად ჭამის შემდეგ გამოწვეულ ტკივილს.

***სობესედნიკი №40***

**ᲒᲐᲘᲖᲝᲛᲔᲗ ᲡᲘᲡᲮᲚᲨᲘ ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲑᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ**

**ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔᲗ!!! 95 ᲚᲐᲠᲐᲓ**



- ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘ
- ᲢᲔᲡᲢ-ᲩᲮᲘᲠᲔᲑᲘ
- ᲔᲠᲗᲯᲔᲠᲐᲓᲘ ᲜᲔᲛᲡᲔᲑᲘ
- ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲩᲮᲕᲚᲔᲢᲘ

ᲒᲚᲣᲙᲝᲛᲔᲢᲠᲔᲑᲘ



**ᲨᲞᲡ „ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲡᲢᲘ“ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ Ქ. 4**
☎35-44-05; 34-74-03
899-19-60-55

**NEW!**

***ᲒᲚᲣᲙᲝᲖᲐᲛᲘᲜᲘ***




გლუკოზამინის ეფექტურობას განაპირობებენ მასში შემავალი ნატურალური კომპონენტები, რომლებიც რეკომენდირებულია სახსრების დაავადების დროს, ხოლო ამ კომპონენტების ერთ ფორმულაში გარკვეული თანაფარდობით თავმოყრამ თავის მხრივ განაპირობა გლუკოზამინის არნახული შედეგები.

სახსრების დაავადებების ყველა სხვა პრეპარატებისაგან განსხვავებით გლუკოზამინში შემავალი მცენარეული ბოჭკოები არ აღიზიანებს კუჭნაწლავს და არ არის საშიში ჰიპერტონიკებისათვის, აქედან გამომდინარე მისი მიღება შეიძლება ხანგრძლივად.

ვინაიდან გლუკოზამინი განეკუთვნება ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატების ჯგუფს, იგი ახდენს ზოგად გამაჯანსაღებელ ზემოქმედებას მთელს ორგანიზმზე.

- *საგრძნობლად ამცირებს ტკივილებს დაავადებულ სახსრებში და აუმჯობესებს მათ მოძრაობას.*
- *ამცირებს სახსრების ანთებას და მის თანმხლებ პროცესუალურ სიმპტომებს.*
- *ხელს უწყობს სახსრების ხრტილოვანი ნაწილის აღდგენას.*

**ᲒᲚᲣᲙᲝᲖᲐᲛᲘᲜᲘ — ᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲘᲝᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ.**

ᲜᲣᲢᲠᲘᲛᲔᲜᲢ ᲰᲐᲣᲡᲘ NUTRIMENT HOUSE

ᲛᲘᲡ: Დ.ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ 150
ᲢᲔᲚ: 95-65-03; 96-06-67
www.shopge.com



# ვინ გადააგდო პრეზიდენტი შევარდნაძე

**იგორ როდიონოვი,** რფ-ის თავდაცვის მინისტრი 1996-1997 წლებში: — ხალხს არ გადაუგდია. ხალხი ჯერ კიდევ 1989 წელს გადათელეს, კუბოში ჩააწვინეს და პანაშვიდი გაუმართეს. საქართველოს კი ახალი ლიბერალ-დემოკრატების მიერ შობილი კრიმინალი მართავდა შევარდნაძის თავკაცობით. ის თავადაც არამზადაა. მე მხოლოდ ერთ წესიერ ადამიანს ვიცნობდი, ვინც სახელმწიფოს მეთაურობას შეძლებდა — ჯუმბერ პატიაშვილს. ის არც თავხედია და არც არამზადული თვისებები ახასიათებს.

**ზურაბ წერეთელი,** მოქანდაკე: — შევარდნაძე ისტორიაში შევა, როგორც სერიოზული პოლიტიკოსი. თუ ვინმე მთხოვს მისი ძეგლის დადგმას, სიამოვნებით გავაკეთებ ამას.

**ზაზა შენგელია,** საქტელერადიოს ყოფილი თავმჯდომარე: — მისმა გარემოცვამ... შევარდნაძეს საქართველოში აფასებდნენ, როგორც ახალი ქართული სახელმწიფოს მესაძირკვლეს. მაგრამ ქართველები ყველაზე მეტად რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრს უნდა უმადლოდნენ, რომ ქვეყანამ თავიდან აიცილა სისხლის ღვრა და სამოქალაქო ომი.

**ანზორ აქსენტიევ-კიკალიშვილი,** კომპანია „ანზორი XXI“-ის თავკაცი: — მან თვითონ გადაიგდო საკუთარი თავი. თავისი მმართველობის 30 წლის მანძილზე გაზარდა ხალხი, რომლებმაც სთხოვეს მას წასვლა. სანწყენია, რომ ამგვარად მოხდა. ალბათ ნაკლებად უნდა დაეგდო ყური მრჩევლებისათვის. კერძოდ, აშშ-ის ელჩისთვის საქართველოში, რიჩარდ მაილსისათვის — იმ ქვეყნებში, სადაც მას უმუშავია, მისი იქ ყოფნისას შეიცვალა ხელისუფლება, ან მომზადდა ვითარება მის შესაცვლელად. რიჩარდ მაილსი შევარდნაძეს სწერდა წერილებს, რომ ჩემთვის სამშობლოში ჩასვლის ნება არ მოეცა — ეს აშშ-ს საფრთხეს შეუქმნისო.

**რობერტ სტურუა,** რეჟისორი: — შევარდნაძემ გარს შემოიკრიბა ბანდიტები, რომელთა მძევალი თავად გახდა. ვერ გეტყვით, მებრალება თუ არა. ის ყველაფერში თავად არის დამნაშავე.

**ვლადიმირ პუტინი:** — საქართველოში მომხდარ მოვლენებში ჩვენთვის არაფერია მოულოდნელი. ხელისუფლების შეცვლა ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ საგარეო, საშინაო და ეკონომიკურ პოლიტიკაში დაშვებული შეცდომების კანონზომიერი შედეგია.

***კომსომოლსკაია პრავდა № 219***

# რა მოიგო რუსეთმა?

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განდევნაში მოსკოვის როლს შესაძლოა შეერთებული შტატებისათვის შორს მიმავალი შედეგები მოჰყვეს.

2003 წლის 25 ნოემბერი. საქართველოში თითქოს აღდგენილია წესრიგი. მაგრამ იმ დროს, როცა ქვეყნის მოსახლეობა მომავალი წლის 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ემზადება, ვაშინგტონი და მოსკოვი გულდასმით განიხილავენ პოლიტიკური მღელვარების შესაძლო შედეგებს.

ამერიკას საქართველო იმიტომ აინტერესებს, რომ აქ გადის ნავთობსადენის მარშრუტი. ეს ნავთობსადენი უნდა ჩაჰბარდეს 2005 წელს.

რას ნიშნავს საქართველოში განვითარებული პროცესები შეერთებული შტატებისათვის? ხომ არ ცდილობს რუსეთი კვლავ ჩაითრიოს საქართველო თავისი გავლენის სფეროში? ყოველკვირეული „THE NEWSWEEK“-ის რეპორტიორი ანა კუჩმენტი ესაუბრა ინდიანის უნივერსიტეტის პროფესორს, ქართველ ანალიტიკოსს **დოდონა კიზირიას**. გთავაზობთ ნაწყვეტს ამ საუბრიდან.

— **რას ფიქრობთ იმ ფაქტის შესახებ, რომ რუსეთმა და არა აშშ-მა იკისრა მშვიდობისმყოფლის როლი საქართველოში?**

— ეს იყო ძალზე გონივრული ნაბიჯი რუსეთის მხრიდან. რასაც უთუოდ სასურველი შედეგი მოჰყვება. რუსები მიხვდნენ, ხალხისათვის საძულველი შევარდნაძის მხარდაჭერა მათ არაფერს მისცემდა. კარგა ხანია, რაც ზოგი ქართველი ფიქრობს, რომ ამერიკასთან თანამშრომლობას ქვეყნისთვის ბევრი არაფერი მოუტანია..

— **რას ფიქრობთ შეერთებული შტატების როლზე?**

— დარწმუნებული ვარ, რომ დახურულ კარს მიღმა ამერიკელები ურჩევდნენ რუსეთის მთავრობას, არ ჩარეულიყვნენ საქართველოს საქმეებში. ისინი შეფარულად უჭერდნენ მხარს ოპოზიციას, რაც იმით გამოიხატა, რომ შევარდნაძის დაცვა არც უცდიათ.

— **რას უნდა ველოდეთ რუსეთისაგან უახლოეს ხანში?**

— ალბათ უფრო მასშტაბურ და გასაიდუმლოებულ მცდელობებს საქართველოს პოლიტიკაზე გავლენის მოსაპოვებლად. ვფიქრობ, რუსეთი საქართველოს რაღაცას დაუთმობს. შესაძლოა განაახლონ მოლაპარაკება აფხაზეთის თაობაზე. მათ უნდათ სრულად აკონტროლონ შავი ზღვის სანაპირო. ის ფაქტი, რომ საქართველოს აქვს გასასვლელი შავ ზღვაზე, უდიდესი გეოპოლიტიკური მნიშვნელობისაა. მეორე მიზეზია რუსეთის ტრადიციული სურვილი, გააფართოოს თავისი ტერიტორია. მას მიაჩნია, რომ საქართველო მისი საკუთრებაა. მთავარი, ცხადია, არის შავი ზღვა და ნავთობის მარშრუტზე კონტროლი.

— **რას ფიქრობთ დროებით ხელმძღვანელ ბურჯანაძეზე?**

— ნინო ბურჯანაძე მოსწონს დასავლეთს და ქართველების განსაზღვრულ ნაწილს, რადგან ძალზე თავშეკავებულად და წინდახედულად იქცევა. ის განათლებული და ჭკვიანი ადამიანია. თუმცა, მისი ოჯახი მჭიდროდაა დაკავშირებული შევარდნაძესთან. მამამისი, — ფქვილისა და მარცვლეულის ერთ-ერთი მთავარი იმპორტიორი საქართველოში, „პურის მეფედ“ ითვლებოდა. მისი ოჯახი გაამდიდრა უკანონო პრივატიზაციამ. ამიტომ ხელფეხშეკრულია და ვერ შეძლებს პატიოსნად ებრძოლოს კორუფციას.



დოდონა კიზირია

— **სააკაშვილი?**

— სააკაშვილი გამოკვეთილი, ქარიზმატული, ენერგიული და ძალზე პატიოსანია. ის იყო პირველი ახალგაზრდა პოლიტიკოსი, ვინც ალაპარაკდა კორუფციასთან ბრძოლის აუცილებლობაზე (90-იანი წლების შუა ხანებიდან). ეს დიდი გამბედაობა იყო. სააკაშვილის ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ ხანდახან ცხარდება. სრულიად შესაძლებელია, რომ დასავლელმა მიმომხილველებმა მისი მხრდაჭერაც არ ისურვონ. ისინი, შესაძლოა, მასში ხედავენ ადამიანს, რომლის ნაბიჯის განჭვრეტა ძნელია. ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანია როგორც ქართველი, ისე მსოფლიო პოლიტიკოსებისათვის, მხარი დაუჭირონ სააკაშვილს და მისცენ კეთილი რჩევა, ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეუშალონ მის მცდელობას, მოუტანოს საქართველოს კანონი და წესრიგი.

— **როგორი უნდა იყოს ახალი რეჟიმის პრიორიტეტები?**

— საქართველოს გადასარჩენად საჭიროა ქართველმა ლიდერებმა, უპირველესად, დაიწყონ ბრძოლა კორუფციასთან. რაც შეეხება კანონს, საქართველოში მას ამრეზით უყურებენ. არავის სჯერა სამართლიანობის, რომ დამნაშავეები შეიძლება დაისაჯონ სასამართლოს გადაწყვეტილებით. მთავარია, დაბრუნდეს კანონის ნდობა და მუშაობის სურვილი, რათა პატიოსანი შრომით შეძლონ ცხოვრება.

— **როგორია შევარდნაძის მემკვიდრეობა?**

— რთული შეკითხვაა. ისინი, ვინც კეთილგანწყობილი არიან მის მიმართ, მათ შორის ამერიკელები და ევროპელები, მიიჩნევენ, რომ მან ბოლო მოუღო სამოქალაქო ომს და სისხლის ღვრას 1992-93 წლებში. თავად ფაქტი, რომ ამერიკა და ევროპა ასე დიდ დახმარებას უწევდნენ საქართველოს, აიხსნება შევარდნაძისადმი პატივისცემით.

მაგრამ ქართველები სხვაგვარად ფიქრობენ. შევარდნაძე 1970-იანი წლებიდან მართავდა ქვეყანას (საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი იყო) რკინის მუშტით. ვფიქრობ, ხალხის უმეტესობა მის მემკვიდრეობას შეაფასებს უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად.

***რუბრიკა მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***

## მსოფლიო მედია გვამცნობს...

**„ფრანკფურტერ რუნდშაუ“:** — ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ საქართველოს სიმშვიდე არ ელის. რაც არ უნდა დიდი სიხარული დაიღვაროს თბილისის ქუჩებში შევარდნაძის დაგვიანებული გადადგომის გამო, რესპუბლიკის დაშლის შიში მაინც ღრმადაა გამჯდარი. ნეტავ თუ გადაარჩენენ ქვეყანას დაშლისგან მისი გამოუცდელი მემკვიდრეები... თბილისის უსისხლო რევოლუციამ აიძულა კავკასიის გეოპოლიტიკურ არენაზე მყოფნი, გადაეხედათ ამ რეგიონში თავისი პოლიტიკისთვის. რუსეთში პუტინის გავლენის დაკარგვამ შეიძლება მისი შიდაპოლიტიკური მოწინააღმდეგეები დარაზმოს. ბუშის ადმინისტრაცია უნდა დაფიქრდეს იმაზე, როგორ შეათანხმოს კასპიის ნავთობსადენისადმი ინტერესი და საქართველოში დემოკრატიული პროგრესი. ევროპულ კავშირს კი სასწრაფოდ მოუხდება მივიწყებული კავკასიის ჩართვა თავდაცვის ახალ სტრატეგიაში.

**იტარ ტასი:** — აშშ მხარს უჭერს ქართულ ოპოზიციას, რომელმაც შეძლო შევარდნაძის გადაყენება. „ჩვენ მივესალმებით იმ ფაქტს, რომ საქართველოს პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერებმა ქართული დემოკრატია ძალის გამოუყენებლად აღადგინეს“, — განაცხადა თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა კლერ ბიუკენმა და ხაზგასმით აღნიშნა, — ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია თანამშრომლობს რესპუბლიკის ახალ, დროებით პრეზიდენტთან და „დახმარებას გაუწევს ქართველ ხალხს“ ახალი არჩევნების მომზადებაში.

**„დეილი ტელეგრაფი“: საიმონ სებარ მონტეფიორე (მწერალი, ავტორი წიგნისა „სტალინი წითელი მეფის კარზე“; ედუარდ შევარდნაძის მეგობარი):** — რეიგანი, კოლი და ტეტჩერი ამაყობენ, რომ შევარდნაძის მეგობრები იყვნენ, ქართველებს კი შევარდნაძე არასოდეს ჰყვარებიათ. სანამ სჭირდებოდათ, პატივს სცემდნენ. „თეთრი მელა“ ცივი, ჭკვიანი მარტოსულია, ქარიზმატული, რომელიც ყოველთვის დისტანციას იჭერდა, ბიზანტიურად ეშმაკი, უმარილო იუმორით — სულ არ ჰგავს ხალისიან, ენამოსწრებულ ქართველებს. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში, როცა ქვეყანაში გამეფებულ კორუფციასა და ხალხის იმედგაცრუებაზე იყო ლაპარაკი, შევარდნაძეს ვკითხე, — რატომ არ გადადგებით თანამდებობიდან-მეთქი. საქართველოს პრეზიდენტმა მიპასუხა: — „მე მოჭადრაკე ვარ. დაელოდეთ ჩემ შემდეგ სვლას“. და აი, შევარდნაძეს „ქიში“ გამოუცხადეს. ხანგრძლივი პარტია დასრულდა.

ერთ ინტერვიუში კი შევარდნაძემ აღნიშნა: „შთამომავლობა იტყვის, როგორ დავრჩები ხალხის მახსოვრობაში — საქართველოს ლიდერად თუ საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრად. მაგრამ ერთი ვიცი: როგორც წესი, ხალხი იმას იღებს, რასაც იმსახურებს“. ასეც მოხდა. „პერესტროიკის“ მოციქულთა ბედი ერთნაირია — ისევე როგორც გორბაჩოვმა, შევარდნაძემაც სამარცხვინოდ დატოვა პოსტი.

**„ფაინენშლ ტაიმსი“:** — მოსკოვმა საქართველოზე გავლენის გაძლიერება არ უნდა სცადოს ამერიკაში განათლებამიღებული სააკაშვილის პოზიციების შელახვის ხარჯზე... უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მოსკოვის პოლიტიკა „გათიშე და იბატონე“ იყო. რუსეთი მხარს უჭერდა სეპარატისტებს და საქართველოდან ჯარები არ გაჰყავდა. შევარდნაძის მემკვიდრეებს უნდა ესმოდეთ, რომ წინდახედულება კარგი პოლიტიკაა დიდი ქვეყნის პატარა მეზობლისთვის, უმიზეზოდ არ უნდა გამოიწვიონ მოსკოვის ანტაგონიზმი. ვაშინგტონიც ფრთხილად უნდა მოიქცეს და არ გააღვივოს მოსკოვის ეჭვები სააკაშვილის მიმართ.

**როსბალტი:** — შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლაილა ფრაივალდსი მიესალმება ედუარდ შევარდნაძის გადადგომას, რამაც, მისი თქმით, ხელი შეუწყო ქვეყანაში მწვავე პოლიტიკური კრიზისის მშვიდობიან გადაწყვეტას. ლაილა ფრაივალდსმა აღნიშნა, რომ ევროპის საბჭო უნდა შეუერთდეს აშშ-ის და რუსეთის ძალისხმევას, რომელიც მიმართულია სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის სტაბილიზაციისაკენ.

**„ინტერნაციონალ ჰერალდ ტრიბუნი“:** — რაც არ უნდა არაეფექტიანად ემართა შევარდნაძეს ქვეყანა, რაც არ უნდა დაგვიანებით დაეტოვებინა პოსტი, მან ეს ისე მოხდენილად გააკეთა, რომ „ცივი ომის საგის“ უკანასკნელ თავში შევა, როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე. ამასთან ერთად, არის რაღაც ტრაგიკული და შემაშფოთებელი იმაში, რომ დიდი იმპერიის (სსრკ) გამოჩენილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა არ ივარგა სსრკ-ზე 50-ჯერ მცირე სახელმწიფოს ლიდერად. სწორედ მან შექმნა ილუზია იმისა, რომ საბჭოეთის ბორკილებისაგან განთავისუფლებული ქვეყნები დამოუკიდებლობას და აყვავებას მიაღწევდნენ. შევარდნაძე ამ ილუზიის სიმბოლო იყო. აუღელვებელი, ელეგანტური, ენამახვილი — საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მართვის დიდოსტატი... მაგრამ საკუთარ სამშობლოში ვერ მოერია კორუფციას, სეპარატიზმს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, ჩეჩენ ბოევიკებს, ვერ წამოსწია ეკონომიკა. შეძლებენ კი მისი შემცვლელები სიტუაციის შეცვლას? ახალ ხელმძღვანელობას მხოლოდ ხალხის თანადგომა დაეხმარება ამ საქმეში. ქართველმა ლიდერებმა უნდა გამოიყენონ ეს, რათა მოიშორონ ორი ძირმაგარა — კორუფცია და ჩეჩენი სეპარატისტები.



# წყალსაც ვყიდით?! ჰაერის ჯერი როდის დადგება, ჰაერის!

## პროექტი, რომელსაც უმალავდნენ საქართველოს მოსახლეობას

(დასაწყისი იხ. გვ. 12)

მე ბევრს ვმოგზაურობ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, დედოფლისწყაროს რაიონის ტერიტორიაზე ჭაბურღილიდან როგორ გაედინება მსხვილი დიამეტრის მილებით წყალი აზერბაიჯანში. აზერბაიჯანელები წყალში ყოველწლიურად სოლიდურ თანხებს იხდიან, მაგრამ არ იფიქროთ, რომ ბიუჯეტს რამე ემატებოდეს... ამ საქმეს ასე არ დავტოვებთ — აუცილებლად მივმართავთ სასამართლოს სარჩელით, რათა არ განხორციელდეს ყოფილი ხელისუფლების ჩანაფიქრი. წარმოგიდგენიათ, სასმელ წყალს სამუდამოდ გვართმევდნენ! სხვათა შორის, პროექტის განხორციელების საშიშროება დღესაც არსებობს. გვერწმუნეთ, ეს პრობლემა კვლავ აქტუალურია, — ახალ მთავრობაში ალბათ მაინც მოახერხებს დარჩენას ამ პროექტის მხარდამჭერი ზოგიერთი კორუმპირებული ჩინოვნიკი, რომლებიც შეეცდებიან, ყველა დაარწმუნონ იმაში, თუ რა მომგებიანი იქნება ქვეყნისთვის მტკნარი წყლის გაყიდვა.

ნინო მირიანაშვილთან საუბრისას თბილისის საკრებულოს ენერგეტიკის დროებითი კომისიის თავმჯდომარე **ზურაბ მინდელი** შემოგვიერთდა, რომელმაც განაცხადა: — დღის წესრიგში მთელი სერიოზულობით მართლაც იდგა საქართველოს წყლის საერთაშორისო კორპორაციის დაარსების საკითხი, მაგრამ ეს კეთდებოდა არა საქართველოს მოსახლეობის საკეთილდღეოდ, წყლის რესურსების უკეთ დაცვის მიზნით, არამედ მტკნარი (როგორც მიწისქვეშა, ასევე ზედაპირული) წყლების საპრივატიზაციოდ, უფრო სწორად, „საპრიხვატიზაციოდ“. ამით საქართველოს ეკოლოგია დაიღუპება. ხელისუფლება ცდილობდა სამუდამოდ ჩაეგდო ხელთ ეკონომიკური ბერკეტები. მართალია, წყლის საერთაშორისო კორპორაცია სახელმწიფოს კუთვნილებად ცხადდება პროექტში, მაგრამ არის რეალური საშიშროება იმისა, რომ მას დღეს თუ ხვალ რამდენიმე პირი დაეპატრონოს. ისინიც, როცა მოისურვებენ, მაშინ მიაწვდიან წყალს ჰიდროელექტროსადგურებს. მტკნარი წყალი ხომ მათი საკუთრება იქნება და კანონიც მათ დაიცავს. ე. ი. გამოდის, რომ სახელმწიფოს ხელთ არც ერთი ეკონომიკური ბერკეტი აღარ დარჩება. წყლის რესურსების მისაკუთრებით ენერგეტიკასაც ისაკუთრებდნენ...

ჩვენ შევეცადეთ იმ მეცნიერებისა და პრაქტიკოს-სპეციალისტების მოძიება, რომლებიც პროექტის დამუშავებაში მონაწილეობდნენ. „თბილწყალკანალის“ პრესმდივანი **გოჩა ჯელია**: — „თბილწყალკანალის“ ხელმძღვანელმა, იუზა ცარციძემ და სხვა თანამშრომლებმა, მათ შორის მეც, საქართველოს წყლის საერთაშორისო კორპორაციის შექმნის შესახებ მხოლოდ ყურმოკვრით ვიცით(?!).

იგივე პასუხი მივიღეთ თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიის კათედრის ხელმძღვანელებისგან — მეტიც, მათ არაფერი იცოდნენ. წყლის რესურსებისა და წყალირების კათედრის გამგემ, პროფესორმა **ლევან კლიმიაშვილმა** (როცა პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტსა და კორპორაციის წესდებას ჩვენი თანდასწრებით გაეცნო) განაცხადა: — თქვენ ხართ პირველი, რომელიც ამის შესახებ კომენტარს მთხოვთ. როგორც პროექტიდან ჩანს, უნდა შეიქმნეს მონსტრი, რომელიც თავის ხელში მოაქცევს საქართველოს მტკნარი წყლის რესურსებს და გახდება ერთპიროვნული მონოპოლისტი(?!). კატეგორიული წინააღმდეგი ვიქნები ასეთი კორპორაციის შექმნისა (თუნდაც იგი სახელმწიფო საკუთრება იყოს) მანამდე, სანამ საქართველოში არ შეიქმნება წყლის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო კომისია. ვიმეორებ, მანამდე ამ პროექტის რეალიზება მიზანშეუწონლად მიმაჩნია...

წყლის რესურსებისა და წყალირების კათედრის უფროსი მასწავლებელი **თამაზ კაკუშაძე**: — მე თბილისის ზღვასთან ვცხოვრობ. ჩვენს ონკანებში ზღვის წყალი მოდის, საგემოვნო თვისებებით მისი ნატახტრის წყალთან შედარებაც კი არ შეიძლება. თბილისელები მიჩვეული ვართ მისაქციელის, ბულაჩაურისა და ნატახტრის მიწისქვეშა წყლებს, რომლებსაც ქლორით გაწმენდა არ სჭირდება. ხედავთ, რა ჰქონიათ განზრახული: ცდილობენ, ზღვის წყალს მიგვაჩვიონ. სამაგიეროდ, ტანკერებით გაყიდიდნენ ნატახტრის წყალს.



ჩვენ დავუკავშირდით ამ პროექტში მონაწილე უწყებების ხელმძღვანელებს. კერძოდ, საქართველოს გეოლოგიის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, **სანდრო თვალჭრელიძეს** შევეხმიანეთ, რომელმაც განაცხადა: — საქართველოს წყლის საერთაშორისო კორპორაციის შექმნის იდეა მე მეკუთვნის. აქედან გამომდინარე, ამ საკითხზე ჩემი აზრი დადებითია(!). მიმაჩნია, რომ კორპორაცია სახელმწიფოს უნდა ეკუთვნოდეს, მონაწილეობა მის მართვაში უნდა მიიღოს ჩვენი დეპარტამენტისა და გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ... ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. მით უმეტეს, როდესაც კორპორაციის აქციების 100% სახელმწიფოს კუთვნილება იქნება.

**— ხომ არ გეჩვენებათ, რომ ამ იდეის განხორციელება ნაადრევია? როდესაც სახელმწიფოში კორუფცია ყვავის, ხომ შეიძლება კორპორაცია გაკოტრდეს და კერძო პირმა ჩაიგდოს ხელთ?**

— არა მგონია... მართალია, ხშირად საქართველოში კანონი არ კანონობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არაფერი ვაკეთოთ. დარწმუნებული ვარ, სწორედ დღეს არის ამ იდეის განხორციელების დრო (ბატონ სანდროსგან ეს ინტერვიუ 23 ნოემბრამდე, ე. წ. „ვარდების რევოლუციამდე“ ავიღეთ — ზ.ჩ.)...

ჩვენ კომენტარი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წყლის რესურსების მთავარი სამმართველოს უფროსს, **თამაზ ჭოლოკავასაც** ვთხოვეთ: — მავანი ცდილობდა, პროექტისთვის მწვანე შუქი აენთო. როგორც სამმართველოს უფროსი, ამ პროექტს მხარს არ ვუჭერ — წესდებაში ბევრი ისეთი მუხლია, რომლებიც სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს.

**— სამინისტრო იზიარებს თუ არა თქვენს აზრს?**

— ვერ გეტყვით. მე ჩემი აზრი მოგახსენეთ. პროექტიც და კორპორაციის წესდებაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. უამრავი საკითხი დაკონკრეტებას მოითხოვს. კარგა ხანია, რაც პროექტის ავტორს ვეძებ, მაგრამ ვერაფრით მივაგენი.

**— სიმართლე გითხრათ, არ მოველოდით თქვენგან ასეთ განცხადებას, თუნდაც იმიტომ, რომ მის დამალვას ცდილობდით არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებისაგან...**

— არაფერი დამიმალავს. როგორც კი მოითხოვეს, ყველა დოკუმენტი გადავეცი...

დასასრულ, დავუკავშირდით საქართველოს მდგრადი განვითარების სააგენტოს გენერალურ დირექტორს, **ავთანდილ ქორიძეს**: — დღეს საქართველოში ნამდვილად სამარცხვინო რაღაცები ხდება. დაუფიქრებლად მესვრიან ტალახს! 20 წელიწადს იუნესკოში ვმუშაობდი, ვარ საერთაშორისო აკადემიის წევრი. რა ესმით არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს წყლის რესურსების საქმეში? ყველამ თავისი საქმე აკეთოს და სიბინძურეების თხზვას შეეშვან. რა არის ცუდი, თუ საქართველო წყალს საზღვარგარეთ გაყიდის და ბიუჯეტს შეავსებს?! ქვეყნისათვის ამ მეტად სახარბიელო საქმესაც გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები, ხალხის სახელით ლაპარაკობენ. ბრალს მდებენ და მიყიჟინებენ, პაატა შევარდნაძის მეგობარი ხარო. ქართველი კაცის ამბავი ხომ იცით, უცხოეთში ჩემ გვერდით ქართველი მუშაობდა და რატომ არ დავუმეგობრდებოდი? „საპოჟნიკის“ შვილი რომ ყოფილიყო და არა შევარდნაძის, დამიჯერეთ, მასაც დავუმეგობრდებოდი უცხოეთში.

მერწმუნეთ, არავინ აპირებს წყლის საერთაშორისო კორპორაციის მითვისებას. ასე ყველაზე ყველაფრის თქმა და დაბრალება შეიძლება. მეტსაც გეტყვით, არც ვიცოდი, ისე შემიყვანეს კორპორაციის დამფუძნებელთა სიაში(?!). იმასაც ამბობენ, რომ თითქოს პაატა შევარდნაძეს ადგილი დავუთმე იუნესკოში. ესეც სიცრუეა. ჩვენ სხვადასხვა დეპარტამენტში ვმუშაობდით. ერთი სიტყვით, სენსაციის გამოცხობა უნდათ არასამთავრობოებს და ეგაა.

P. S. ხომ გსმენიათ, „წყლის ძალა მოგცეს ღმერთმაო“. ეტყობა, მართლაც დიდი ძალა აქვს წყალს და რა სამწუხარო იქნება, თუ იგი ხალხს კი არა, მავანთა გაძლიერებას მოხმარდება... თუმცა იმედს ვიტოვებთ, რომ „რევოლუციის“ ავტორები ყოფილი ხელისუფლების შეცდომებს არ გაიმეორებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მალე ერთ-ერთი სტატიის სათაური ალბათ ასეთი იქნება — ჰაერის ჯერიც დამდგარა, ბატონებო, ჰაერის?!

*ზვიად ჩაკვეტაძე*





შპს „გეოკორი“ აწარმოებს
ბურღვით სამუშაოებს
სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8
(სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

ასლგადამღები აპარატები
1. იჯარა - ლიზინგი
უნივერსიტეტებს, ორგანიზაციებს, ოფისებს
2. იჯარა გამოსყიდვით
3. საერთო ბიზნესი
თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
4. გაყიდვა გარანტიით
ტექნიკური მომსახურება და სერვისი
შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო“
Libco Company LTD
ალმაშენებლის №99/1 ☎ 96-32-89

„ტრანსტრონიკს“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
29 ნოემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1900 |
| ევრო | 2,6085 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,7572 |
| რუსული რუბლი | 0,0736 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,5021 |

# კიდევ ერთი ფილიალი

პროკრედიტ ბანკი საოცარი სისწრაფით ერწყმის ქართულ სინამდვილეს. 24 ნოემბერს კიდევ ერთი განყოფილება შეემატა პროკრედიტ ბანკის (ყოფილი ემ-ბი-ჯი ბანკის) ფილიალთა ქსელს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე 18 ფილიალსა და განყოფილებას ითვლის. 2003 წელს უკვე ოთხი ახალი განყოფილება გაიხსნა. ახალი განყოფილება წერეთლის გამზირზე მდებარეობს და დიდუბის რაიონის მოსახლეობას მოემსახურება. ახალი ფილიალის პრეზენტაციაზე ბანკის წინსვლის გამო კმაყოფილება გამოთქვეს პროკრედიტ ბანკის როგორც ქართველმა, ისე უცხოელმა ხელმძღვანელებმა და ახალი ოფისის თანამშრომლებს წარმატებები უსურვეს. პროკრედიტ ბანკის დიდუბის ფილიალის მმართველი **გიორგი ტაბიძე** კი ჩვენთან საუბარში სიამოვნებით აღნიშნავდა:

— ფართო საზოგადოებრიობისთვის ცნობილია, რომ ჩვენი ბანკი ოთხ წელზე მეტია მომსახურებას უწევს საქართველოს მოსახლეობას. უკვე 20 000-ზე მეტ კლიენტს ვემსახურებით. ქართველი მეწარმეებისათვის ჩვენ ვიქეცით საიმედო საბანკო პარტნიორად. დღეს განსაკუთრებით ვამაყობ ჩვენი ბანკით, რადგან იგი ღირსშესანიშნავ და თამამ ნაბიჯებს დგამს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების ფონზე. დამეთანხმებით, შთამბეჭდავია დღევანდელი მოვლენა: პროკრედიტ ბანკი ახალ ფილიალებს ხსნის და ამით იმედს აძლევს საქართველოს მოსახლეობას, რომ ხვალ, ნამდვილად კარგი მომავალი გვექნება.

***— ბატონო გია, დეპოზიტების მოზიდვის მიზნით სარეკლამო აქციამ რამდენად გაამართლა პროკრედიტ ბანკში?***

— ამ აქციამ ძალიან გაამართლა. მოგეხსენებათ, იგი შემდეგი პრინციპით ხორციელდება: ყოველი 21-ე დეპოზიტორი მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს (ძირითადად, საყოფაცხოვრებო ტექნიკას), ხოლო ყოველი მე-200 მიიღებს გენერატორს. აქცია წარმატებით მიმდინარეობს თბილისსა და საქართველოს ყველა რეგიონში, სადაც პროკრედიტ ბანკის ფილიალები ფუნქციონირებს. აქცია 15 სექტემბერს დაიწყო და 15 დეკემბრამდე გასტანს. ამ აქციის დაწყების შედეგად ბანკში მოზიდული სახსრები უკვე 3 მლნ აშშ დოლარამდე აღწევს.

***— გრანდიოზული პრიზი, გენერატორი უკვე გათამაშდა?***

— დიახ. თანაც უკვე სამჯერ. გასულ პარასკევს ლილოს ფილიალში მე-600 დეპოზიტი გაიხსნა და შესაბამისად ბატონ ზურაბ ყურაშვილს, დეპოზიტორს საჩუქარი საზეიმო ვითარებაში გადავეცით.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს აქცია ბანკის სერიოზული წარმატების განმსაზღვრელია?***

— აქ გადამწყვეტია პროკრედიტ ბანკის საიმედოობა, განვითარების სწრაფი ტემპი და მისი ძლიერი დამფუძნებლები. მოგეხსენებათ, პროკრედიტ ბანკი ეკუთვნის იმ 10 ბანკის ჯგუფს, რომლებიც წარმატებით ეწევიან თავიანთ საქმიანობას სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ისინი ემსახურებიან 250.000 კლიენტს, მათი აქტივების ღირებულება კი 800 მლნ დოლარს უდრის. ეს ბანკები აწარმოებენ საკრედიტო საქმიანობას 113 მილიონი მოსახლეობისგან შემდგარ ბაზარზე.




***— ყველა პროკრედიტ ბანკი ერთი ჯგუფის შემადგენლობაშია?***

— დიახ, მასში შემავალ აქციონერებს წარმოადგენენ ისეთი ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, კომერცბანკი, გერმანიის სახელმწიფო განვითარების კომპანია, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია და საერთაშორისო მიკროინვესტიციების კომპანია.

2003 წლის ოქტომბრის შედეგების მიხედვით ქართულ პროკრედიტ ბანკს საკმაოდ საინტერესო შედეგები აქვს. დაფიქსირებულია ბანკის დინამიკური ზრდა. ამა წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით 2003 წლის მოგებამ შეადგინა 1,64 მლნ აშშ დოლარი. დამეთანხმებით ალბათ, რომ ასეთი შედეგებიდან გამომდინარე, თუ თქვენ დეპოზიტის გახსნის სურვილი გაგიჩნდებათ, აუცილებლად მიმართავთ პროკრედიტ ბანკს, სადაც თქვენი კაპიტალი საიმედოდ იქნება დაცული, თუ ბიზნესგეგმების განხორციელება გსურთ, მაშინ ბანკში ვიზიტი ნამდვილად არ უნდა გადადოთ, რომ მერე სიამოვნებით განაცხადოთ: „ჩემი ბიზნესი ფართოვდება, თქვენი?“

R

# ცხოვრებისეული კურიოზები

## წყალტუბოელი რასპუტინი

მიუხედავად იმისა, რომ წყალტუბოელი ბონდოია გონებასუსტია, კარგი ოჯახიდანაა და ამიტომაც მოახერხა... სამი ცოლის შერთვა.

შვილი კი — მხოლოდ პირველ ცოლთან შეეძინა.

...მესამე ცოლმაც რომ მიატოვა, გადაწყვიტა კიდევ ერთხელ ეცადა ბედი, მაგრამ მისი გონებასუსტობის ამბავი წყალტუბოში კი არა, ახლომახლო სოფლებშიც ყველამ გაიგო. პირიზიდან კიდევ მისთვის ქალის „გამოსაწერად“ თავი არავის შეუწუხებია...

ამიტომ გადაწყვიტა ისევ ყოფილი ცოლებიდან შეერიგებინა რომელიმე და რადგანაც პირველ ცოლთან შვილიც ჰყავდა, დაადგინა, ისევ მისი შემორიგება ჯობიაო.



პირველი ცოლის, მაღლაკელი ნათელას ოჯახი პატივისცემით სარგებლობს. მამამისი და ბიძები სოფელში ანგარიშგასაწევი ხალხია.

ბონდოიამ ცოლოურებთან მარტო მისვლა ვერ გაბედა და თავისი ახლობლებისგან შემდგარი ამალა გააგზავნა. თან დააბარა, — დავჭკვიანდი, ის აღარა ვარ, რაც ვიყავი და ჩემი ცოლშვილი გამომიგზავნონო.

ყოფილმა სიმამრმა კატეგორიული უარი შემოუთვალა, — ერთხელ შევცდი, შენისთანა ცალტვინას ქალიშვილი რომ გავატანე და აწი ჩემს არემარეზე არ გამოჩნდე, თუ არა, ცოდვას დავატრიალებო.

გადაირია ბონდოია მარა რა გადაირია, — სასწრაფოდ მომიყვანეთ ჩემი საყვარელი ცოლ-შვილი თუ არა, თავს მოვიკლავო. მეზობლებს გული აუჩუყდათ და გადაწყვიტეს, ერთხელ კიდევ ესინჯათ წასვლა ბონდოიას ცოლოურებთან, იქნებ, ჯიუტი სიმამრის სიკერპე როგორმე გაეტეხათ. მაგრამ „მედიატორთა“ შემადგენლობა უნდა შეცვლილიყო.

არცთუ ისე ხანმოკლე თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს — „დელეგაცია“ ღირსეული პიროვნებებისგან შეედგინათ. მართლაც ფრიად პატივსაცემი, ამავე დროს ხალისიანი და ენაკვიმატი ოთხი კაცისგან (აბესალომი, რობერტი, ირაკლი და გიორგი) შემდგარ „დესპანთა“ ჯგუფი ბონდოიასთან ერთად დაიძრა მაღლაკისაკენ.

სიძე გახარებული მიფრინავდა.

მაღლაკში რომ მივიდნენ, ოჯახში მხოლოდ ქალები დახვდათ. ნათელას მამა და ძმები სამუშაოდ იყვნენ წასულები.

ბონდოიას ყოფილ სიდედრს, დიდად არ ესიამოვნა სიძეყოფილისა და მისი „მაყრიონის“ დანახვა, მაგრამ იმერელმა ქალმა წესჩვეულებას ვერ უღალატა, უზარმაზარ ეზოში, დიდი კაკლის ჩრდილში დასვა სტუმრები. გამოუტანა ჩურჩხელები, ხილი, ჭაჭის არაყი და უთხრა: — მოვლენ, ბატონო, კაცები და ისინი გადაწყვეტენ ყველაფერსო. ისე, ყოველი შემთხვევისთვის, ბონდოია გააფრთხილა, შენ მაინც წადი, ცოტა თვალს მოეფარე, კაცები შენზე ისედაც გაბრაზებულები არიან და რაიმე ფარცაგი არ მოახდინონო.

მაგრამ ბონდოიას არ შეშინებია. ფიქრობდა, „დესპანებიდან“ დიდად საპატივცემულო პიროვნება — აბესალომი თან მახლავს და ჩემი სიმამრი კი არა, ოსმალეთის ფაშა ვერ დამიკავებს ქალსო. მით უმეტეს, ნათელა, ოდნავ შეღებული ოდასახლის კარიდან ეშმაკურად უჟუჟუნებდა თვალებს. ჰოდა, ბონდოიაც დარწმუნებული იყო, რომ საქმე კარგად დამთავრდებოდა და წყალტუბოში ცოლ-შვილთან და „მაყრიონთან“ ერთად დაბრუნდებოდა.

მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. ამ ფიქრებში რომ იყო გართული ჩვენი სიძეკაცი, ატყდა ერთი გამიშვი-გაგიშვებ. ღობეზე მომდგარმა ოჯახის უფროსმა, რომელსაც ვაჟებიც თან ახლდნენ, ბონდოია რომ დაინახა, ალიაქოთი ატეხა: — ეს ვინ მოთრეულა, მაგ „რასპუტინმა“ კიდევ როგორ გაბედა აქ მოსვლაო. ახლა კიდევ, ეს „პაჟალუსტა“ ხალხიც როგორ აუცუნდრუკებიაო. წადით, გამეცალეთ აქედან, ცოდვა არ ჩამადენინოთო. ამ სიტყვებს მაღლაკური ქვების „ტყვიები“ მოჰყვა...

აბესალომმა იყნოსა, რა გაგრძელებაც ექნებოდა ამ საქმეს და ბონდოიას დაუწყო ხვეწნა: — ე ბიჭო, ბონდოია, ასე სამარცხვინოდ, ქვებით ნუ დაახოციებ დღეს ამ ხალხს ჩვენს თავს, წაგვიყვანე ახლა აქედან და ერთი კვირა მე გათხოვებ ჩემს ცოლს, მეორე კვირას რობერტიე, მესამეს ირაკლი, მეოთხეს გიორგი — შენც არ იქნები უქალოდ და ჩვენც ცოცხლები დავრჩებითო...

არა! აბღავლდა ნოდარია... ოთხი კვირის მერე რა ვქნა მეო...

— ბოშო! წაგვიყვანე ახლა აქედან ცოცხლები და მეორე „კრუგზე“ წამოვალთო... — ყვიროდა სასოწარკვეთილი აბესალომი და თავის ამალასთან ერთად თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ჭიშკრისკენ...

***დოდო შალამბერიძე, წყალტუბო***

## შემთხვევა კლასში

პირელკლასელებთან ღია გაკვეთილზე დასასწრებად შევედით. მასწავლებელმა დაფაზე გარეული ცხოველების სურათები განალაგა და მეტი ემოციისთვის თქვა:

— ბავშვებო! დღეს ჩვენთან გაკვეთილზე გარეული ცხოველები „მობრძანდნენ“.

ბავშვები ხმაურით შემობრუნდნენ ჩვენკენ...

***ნაირა კოკიელი, თბილისი***



## ენაკვიმატი ვეტექიმი



ერთი მეზობელი მყავს, ცოტა ტრაბახი უყვარს. ერთხელაც მივიდა ვეტექიმთან და ეუბნება:

— ძროხა მყავს ძალიან კარგი, ბევრსაც იწველება და ჭკვიანიც არის, მაგრამ, ამ ბოლო დროს რაღაც წველას მოუკლო, ხანდახან რძე გასდის და ხომ არ იცი, რისი ბრალიაო?

ვეტექიმიც ერთი ენაკვიმატი კაცი იყო, არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა:

— „სალნიკები“ ექნება შესაცვლელიო.

***შალვა ლომიაშვილი, კასპის რაიონი, სოფელი მეტეხი***

## იუბილარი

ჩვენი საძმოს წევრს, საქართველოს ტელევიზიის რეჟისორს ვაჟა ფაჩულიას, მეუღლის ბებია გარდაეცვალა. მეგობრები უკლებლივ წავედით დასაფლავებაზე. ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით წარიმართა. არც ქელეხზე შეურცხვენიათ თავი, 200-კაციანი სუფრა იყო, არაფერი რომ არ აკლდა, ისეთი... ამ ცერემონიალის თავკაცად და შესაბამისად, სუფრის თამადად ოჯახის სიძე, ბატონი ვაჟა ფაჩულია იყო.

— ბატონებო! — ასწია პირველი ჭიქა თამადამ და რიხიანად დაიწყო სადღეგრძელოს წარმოთქმა. სუფრაზე მსხდომთა ყურადღება თამადისკენ გადავიდა.

— ბატონებო, — კიდევ ერთხელ გაიმეორა თამადამ, — დღეს ჩვენთან იმყოფება საქართველოს ტელევიზიის წამყვანი განყოფილების გამგე, ჟურნალისტი და რედაქტორი, დიდებული პიროვნება, ბატონი ამირან ჯიმშელეიშვილი, დღეს მისი დაბადების დღეა (უშველებელი პაუზა!)... მივულოცოთ მას ეს ძვირფასი დღე და ხსოვნა იყოს ჩემი



მეუღლის ბებიის, ქალბატონი ეფროსინესი.

ხალხი დაიბნა, აღარ იცოდნენ, ტაში დაეკრათ იუბილარისათვის თუ ბებიის შესანდობარის სათქმელად ფეხზე წამომდგარიყვნენ.

აი, ამას ჰქვია დროისა და მომენტის შერჩევა.

***ც. ც., თბილისი***

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

სვანი ფარდას აუთოებს და ფანჯრიდან გადავარდება.

***თამარ შამათავა, თბილისი***





ორი სვანი მდინარეზე ფონს მიადგა და ეშინიათ გასვლა. არადა, წყალი არც ისე ღრმაა. ახლო მდგომი უცნობი ყურადღებას გამოიჩენს და ჰკითხავს, — რაიმე ხომ არ გიჭირთო?

ერთ-ერთი უპასუხებს, ნაპირზე გასვლა გვინდა და გვეშინია, რამეს ხომ არ გვირჩევდიო.

ისიც ეტყვის, თუ გეშინიათ, აგერ ნავია და ამით გადითო. სვანები მხიარულად გაიდებენ ნავს მხარზე და უშიშრად გავლენ მეორე ნაპირზე.

***ჯანსუღ ბოჭორიშვილი, ქუთაისი***

## არჩევნების ექო

### როგორ ჩავატაროთ არჩევნები მაღალ დონეზე




ჭორებს თუ დავუჯერებთ, გასულ არჩევნებში, ზოგიერთი პარტია თითოეულ ხმას 10 ლარად ყიდულობდა. მე მათ ვთავაზობ გაცილებით უფრო იაფ საშუალებას:

„გამომდინარე ქართველი კაცის ბუნებიდან, 1-ელი, 2 და 3 იანვარი „მიეძღვნება“ ქეიფსა და ახალი მთავრობის (ზოგჯერ ძველისაც) სადღეგრძელოებს. აქედან გამომდინარე, 4 იანვარს საარჩევნო უბნები გაიხსნას ყველა სახაშეში, სადაც ხაში და „სტოგრამი“ უფასოდ დარიგდება. ასეთ შემთხვევაში თითოეული ხმა დაჯდება არა უმეტეს სამი ლარისა და ეკონომიურ ეფექტთან ერთად ამომრჩეველთა დასწრებაც გარანტირებულია“.

შენიშვნა: ხაში და არაყი გაიცეს მხოლოდ სასურველ კანდიდატზე ხმის მიცემის შემდეგ.

***ნაზი, თბილისი***



## ორიგინალური განცხადება!

იყიდება ორლულიანი ვარდის ნერგები (პარაბელუმის ეკლებზე). გამოდგება ეზოებში და სკვერებში დასარგავად, ასევე რევოლუციებისთვის.

იკითხეთ **ელდარი**

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

C M Y K



## მილოცვა

**თამრიკო გაბუნიას!**

დადუ, გილოცავთ დაბადების დღეს. სულ ასეთი ლამაზი, მხიარული და საყვარელი ყოფილიყავი. დიდი გოგო გაიზარდე, ჯანმრთელი და ბედნიერი. გკოცნით!

*ნინო, თეონა, თამრიკო, ნიკუშა*

**მარინა ყოლბაიას!**

გილოცავთ დაბადების დღეს, დაესწარით მრავალს. გისურვებთ მშვიდობიან ზეცას, ჯანმრთელობას, ბედნიერ მომავალს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

*მეზობლები – ქ. ზუგდიდის ბუკიას ქ. №3-დან*

ზუგდიდის ინფორმაციისა და მეთოდური ცენტრის კოლექტივი ულოცავს ამავე კოლექტივის ორ მშვენიერ წყვილს: **ჯილდა ხორავას და დათო გაბედავას, ირმა ყურაშვილს და ვახტანგ გამსახურდიას** გაბედნიერებას. უსურვებს ბედნიერებას, გამრავლებასა და ულევ სიხარულს ცხოვრებაში!

## ბინები

იყიდება დიღმის მასივში, კარგ ადგილას, 2-სართულიანი, 200 კვმ სასარგებლო ფართის, კაპიტალურად ნაგები შენობა, სადაც ფუნქციონირებს საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასადილო და პურის საცხობი. შენობას აქვს ავტოფარეხი, აბანო (2-ნომრიანი), ტელეფონი, გაფართოების (მიშენება-დაშენების) კარგი პერსპექტივა. ტელ: 52-68-51 (საღამოს); 899 55-67-67

## გთავაზობთ სამუშაოს

Предпринимателю требуются люди для управлении его бизнесом, со связами в Баку, Ереване и Тбилиси. Предпочтение отдается людям с характером, желанием и терпением. Тел: 893 91-36-51; 39-68-25

კომპანია აწარმოებს თანამშრომელთა შერჩევას. ანაზღაურება – სტაბილური. აუცილებელია უ/გ, სასურველია რუსული ენის ცოდნა. ასაკი – 25-დან 45 წლამდე. ტელ: 96-72-10. ნანა

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს ბიზნესპარტნიორები. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 37-86-15; 893 33-18-86

ორგანიზაციას ესაჭიროება პედაგოგიური ან ადმინისტრაციული სტაჟის მქონე პირი, ხელმძღვანელის თანამდებობაზე, ოფისში სამუშაოდ, უ/გ, 35-45 წლამდე. ჩაწერა გასაუბრებით. ტელ: 64-63-40; 893 28-25-59

სასწრაფოდ! მეწარმეს რუსეთიდან ესაჭიროება რუსული ენის მცოდნე პირები, საქმის საწარმოებლად კავკასიაში. ტელ: 893 92-30-29

## ვეძებ სამუშაოს

ვარ პროფესიონალი მძღოლი ყველა კატეგორიით, თბილისელი, 35 წლის. ვიმუშავებ პირად მძღოლად ან მიკროავტობუსზე. მაქვს საკმარისი გამოცდილება. ტელ: 70-25-11; 70-49-40. ბესო

## მომსახურება

ადვოკატურა გაგიწევთ ყველა სახის იურიდიულ მომსახურებას სასამართლოში და სხვადასხვა ინსტანციაში სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების წარმოებაში. აწარმოებს ფირმების რეგისტრაციას სწრაფად და ხარისხიანად ადგილობრივ და ოფშორულ ზონებში. გაგიწევთ აუდიტორულ მომსახურებას. მის.: ავლაბარი, ღვინის აღმართი, № 17 (მეტრო „ავლაბართან", სომხური ეკლესიის წინ). ტელ: 95-89-57; 8-77-75-79-13

დაბალ ფასში გთავაზობთ პიანინოსა და როიალის აწყობას, შეკეთებას. ბავშვთა სახლებს, საბავშვო ბაღებსა და ობოლ ბავშვებს ვემსახურებით უფასოდ. ტელ: 79-71-81 (მალხაზი)

ვაწარმოებ რბილი ავეჯის რესტავრაციას, სამეულების შალითების შეცვლა-აღდგენას; სკამების მატრასების გარემონტება-დარბილებას. ვღებავ ტყავის სამეულებს. ტელ: 95-97-12

ვამზადებ ნებისმიერი სახის რბილ ავეჯს, გასაშლელ სამეულებს და სავარძლებს. ვცვლი შალითებს და ვღებავ სკამებს. ასევე ვაკეთებ რესტავრაციას მაღალი ხარისხით და შეღავათიან ფასად. ტელ: 37-70-40; 893 33-10-40. გოჩა, ნელი

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია: 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, IX კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

## მკურნალობა

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი ($t = 37,2^0C$), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი", ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03.

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება; ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი $CO_2$ ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი". ტელ: 91-18-33; 877 41-50-30

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. მკურნალობა გარანტირებულია. ტელ: 34-62-51; 899 20-19-66

პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე მკურნალობს: უნებლიე შარდვას, ყურებში შუილს, პროსტატიტს, ბუასილს, ფრჩხილების სოკოს, თმის ცვენას, ფსორიაზს, ჰეპატოქოლეცისტიტს, ორგანიზმში დაგროვილ სითხეს, აშორებს მეჭეჭებს; სექსუალური დარღვევა; ელექტროკარდიოგრამა; ექოსკოპია; სქესის დადგენა.. მის: აღმაშენებლის გამზ. №93 (მ. „მარჯანიშვილთან"). ტელ: 96-38-27

სმენის აღდგენა აპარატისა და ოპერაციის გარეშე. ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. ვმკურნალობ სხვა დაავადებებსაც. მის: აღმაშენებლის გამზ. № 115 (ეზოს ბოლოში), კაბ. № 77. მიღება წინასწარი ჩაწერით, 9-13 სთ. ტელ: 95-83-54 (სამს); 53-44-39 (ბინა); 899 97-85-46. ლევან სეხნიაშვილი

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი" კომპიუტერი გიწევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

მიმდინარე წლის 1-ელ დეკემბერს თბილისში იხსნება წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილის) სახელობის საშუალო სკოლა. სწავლება წარიმართება ტიპური სასკოლო პროგრამით. დამატებით შეისწავლება სალვთო სჯული, ქრისტიანული ხელოვნება (თეორიული და პრაქტიკული კურსი), უცხო ენები მოთხოვნილების მიხედვით. გათვალისწინებულა მოსწავლეთა სტანდარტს ზევით მომსახურება: ტრანსპორტირება, კვება, სპორტი (ცურვა, ფეხბურთი, ჩოგბურთი), გალობა, ცეკვა და სხვ. მიიღებიან მოსწავლეები I-დან XI კლასების ჩათვლით. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 74. ტელ: 29-91-18; 8-99-74-80-10; 8-99-14-22-16

მაღალკვალიფიციური ლექტორი მოამზადებს ინგლისურში აბიტურიენტებს, ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. ტელ: 51-68-61; 899 53-10-08

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის №115, კაბ. №20. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

## იყიდება

ორგანიზაცია ყიდის დასასვენებელ სახლებს (ყოფილ პიონერულ ბანაკებს): 1) გორის რაიონის სოფ. ბობნევში (ატენის ხეობა) შენობა 100 საწოლ-ადგილზე, დამოუკიდებელი სასადილო ბლოკითა და ადმინისტრაციული კორპუსით. განთავსებულია მდინარე ტანას ნაპირზე და უკავია 1,5 ჰა განაშენიანებული მიწის ნაკვეთი; 2) თიანეთის რაიონული ცენტრიდან 2 კმ დაშორებით (სოფ. ხაწირი) 50 საწოლ-ადგილზე, რომელიც შემოფარგლულია წიწვოვანი ტყე-პარკით და უკავია 2000 კვმ ტერიტორია. შენობა ორსართულიანია, კაპიტალური, აგარაკის ტიპის, მაგრამ გაძარცულია (მოხსნილია კარ-ფანჯრები); 3) თელავის რაიონის სოფ. ფშაველში (თელავიდან 12 კმ) ორსართულიანი შენობა 150 საწოლ-ადგილზე, სასადილო ბლოკით, არტეზიული ჭით და 1,5 ჰა განაშენიანებული ეზოთი. ტელ: 38-95-62; 38-05-77

ა/მ „მერსედეს ბენცი 200" დიზელზე, ავტომატიკა, 1987 წლის, ელექტროლუკით, განუბაჟებელი. ფასი $4.000. ტელ: 27-12-07. დემური

სასწრაფოდ! ნამდვილი „დუბლიონკა", კაპიუშონით, ღია კრემისფერი, თვისი იარლიყით, ტრაპეცია, 46 ზომა, 166 სმ სიმაღლის ქალისთვის. ფასი $180. ტელ: 37-48-14 (საღამოს)

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (15-19სთ); 93-46-74 (20სთ-ის შემდეგ); 899-27-38-99

ხეხილის ნამყენი ნერგები, უწამლო ვაზები, ვარდები, მოცხარი, ჟოლო, იასამანი, იუკა, კვიპაროსი, კედარი, ფიჭვი, ცაცხვი, ტირიფი, ჟასმინი, ტუია, ლუგუსტრუმი. გვყავს პროფესიონალი მებაღე-დეკორატორი. მის: სანერგე მეურნეობა თბილისის ზღვასთან. ტელ: 69-97-05; 899 16-93-15


**რას გადაიხდით საკუთარ წარმატებაში?**

**გრანდიოზული ფასდაკლება!**



**რეკლამა „სიტყვა და საქმეში"**

5 გამოქვეყნება -20%
10 გამოქვეყნება -25%
15 გამოქვეყნება -30%
20 გამოქვეყნება -35%
25 გამოქვეყნება -40%
30 გამოქვეყნება -45%
35 გამოქვეყნება -50% + უფასო დამზადება

☎ 33-78-07

**გაზარდეთ თქვენი შესაძლებლობები!**

**სამედიცინო ცენტრი "ექიმი გილი"**

**ესთეტიკური ქირურგია და კოსმეტოლოგია**

ექიმი ქირურგი: გია გვარამია

ტუჩების კორექცია
ნაოჭების გასწორება
სახის კანის გაახალგაზრდავება
მკერდის კორექცია
ქუთუთოების კორექცია
ლიპოსაქცია
კონტურული მაკიაჟი
მეზოთერაპია
ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით




კოსტავას ქ.63 ტელ: 212-312, 364-464

NEW!

**სუპერ ლიზინ+ – გამოვუცხადოთ დაუმორჩილებლობა ვირუსებს ! ! !**

*ჰერპესი. ჰერპეს ზოსტერი. ჰერპეს სიმპლექსი*

ჰერპესის ინფექციისაგან სრულიად განკურნება მსოფლიოს მედიკოსთა ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. როდესაც ჰერპესი კლინიკურად ვლინდება მას თან ახლავს ზოგადი სისუსტე, მადის დაქვეითება, გამონაყარი, ტემპერატურის მატება, ტანში ტეხვის შეგრძნება, აღგზნებადობა და უძილობა.




ჰერპესის წინააღმდეგ საბრძოლველად კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი" გთავაზობთ საუკეთესო მცენარეულ პრეპარატს "სუპერ ლიზინი+", რომელიც აძლიერებს იმუნურ სისტემას, ხოლო ძლიერი იმუნური სისტემა დაგიცავთ ამ ვირუსისაგან.

სუპერ ლიზინი+ წარმოდგენილია აბების, კრემისა და ტუჩის საცხის სახით, რაც აადვილებს როგორც ვირუსის აქტივობის დაქვეითებას სისხლში, ასევე ადგილობრივ მკურნალობას.

სუპერ ლიზინი+ გაგიძლიერებთ იმუნურ სისტემას, დაგიცავთ ვირუსებისა და შემაწუხებელი ჰერპესისაგან.

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

მის: დ.აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
www.shopge.com

### ჯანიკო ჯიქიას ხსოვნას!



ჩვენო მამიკო, ჩვენო ერასტოვიჩ, ჩვენო შეფ!

დიდია იმ მწუხარებისა და ტკივილის ძალა, რაც შენი ამ ქვეყნიდან წასვლის შედეგად დაატყდა ჩვენს ოჯახს. ყველა მამას თავისებურად უყვარს შვილები და შვილებს მამა, მაგრამ შენ მაინც განსაკუთრებული მამიკო იყავი, შვილების ყველაზე საიმედო მეგობარი და ძმაკაცი.

მამიკო! ორი წლის უკან, 7 ნოემბერს, შენი დაბადების დღეზე შვილები მორიგეობით გადმოვდიოდით შენთან სადღეგრძელოებს. რა ბედნიერები ვიყავით მაშინ, მაგრამ რას ვიფიქრებდით, რომ ეს ჩვენი ბოლო შეხვედრა და შენი უკანასკნელი დღეგრძელობა იქნებოდა.

გული გვწყდება იმაზე, რომ შენი სიცოცხლის ბოლო წუთებში შენი ბიჭები შენ გვერდით არ ვიყავით. არადა, რამდენი რამ გექნებოდა სათქმელი და დასაბარებელი. რაც შეეხება მაკას და კოსტიას, მათ ხომ სამუდამოდ დაწყვიტე გული შენთან გატარებული სიცოცხლის ბოლო წუთით.

მამიკო, შენი ნათესავები, მეგობრები, მეზობლები, მთელი სოფელი დიდ პატივს რომ გცემდა და გაფასებდა, კი ვიცოდით შვილებმა, მაგრამ ამდენი სითბო, სიყვარული და ცრემლი თუ გქონდა დამსახურებული, არ გვეგონა, მაგრამ ეს ალბათ იმიტომ, რომ სპეციალობით მშენებელ კაცს ცხოვრების წესადაც სიკეთის თესვა და მშენებლობა ჰქონდა გადაქცეული.

მამიკო, ყოველთვის სხვისი გულისტკივილი და გაჭირვება გაწუხებდა, თორემ შენ თუ რამე მოგერეოდა, არ გვეგონა. ჯანმრთელობის ამბავს რომ გკითხავდით შვილები, გვეტყოდი, მე არაფერი მიჭირს, დედათქვენს მიხედეთო. დედიკო კი იხსენებს, რომ სიცოცხლის ბოლო დღეებში ვამჩნევდი მამათქვენს, ჩუმად რომ ლოცულობდაო. ვინ იცის, რას ამბობდი და რას შესთხოვდი მაღალ ღმერთს. ჩვენ კი შვილები, გაძლევთ პირობას, არასდროს შევარცხვენთ შენს ოჯახის სახელსა და ტრადიციებს.

*შვილები*

### დემურ კანდელაკის ხსოვნას!



ორი მწარე და ტკივილიანი წელი გავიდა, რაც ჩვენ შორის აღარ ხარ. 1-ელი დეკემბერი მწარედ მოსაგონარი დღეა შენი ოჯახისა და ახლობლებისთვის. შენ ხომ ყველას იმედი იყავი. ვერაფერი ამოავსებს იმ სიცარიელეს, რასაც უშენობა ჰქვია. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, გავუძლოთ უსაშველო მონატრებას და იარას, რომელიც არასოდეს მოშუშდება. გვანუგეშებს მხოლოდ მოგონებები შენ მიერ კაცურად განვლილი ცხოვრებიდან.

დაე, ყველა ჩვენგანის სიყვარულმა, მონატრებამ და შენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში. გვჯერა, შენი ლამაზი სული უკვდავია, შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*სოფო და რომან ცხოვრებაძეები*

### კოტე მჭედლიძეს!



5 დეკემბერს კოტე მჭედლიძე 20 წლის გახდებოდა.

ჩემო სიცოცხლევ! შენმა სიკვდილმა მთლიანად შეცვალა ჩემი პიროვნება და შემაყვარა ის ცხოვრება, რომლითაც შენ ცხოვრობ.

უზომოდ მენატრები, მიყვარხარ და ყოველთვის მეყვარები...

### მურად (იურა) ოთარის ძე თუთაშვილის მარადიულ ხსოვნას!



გაუნელებელი ტკივილითა და ცრემლით გავიდა 3 წელი იმ ავადმოსაგონარი დღიდან, რაც ამ ქვეყნიდან წახვედი და ყველა გაგვაოგნე. ამას ხომ არავინ იფიქრებდა... როგორ შეგვაჩვიე უშენობას, მურად, ჩვენო გამორჩეულო, კეთილო, ყველას მოსიყვარულე ვაჟკაცო!

ძალიან მწარეა დაკარგვა, მურად! უზომოდ ენატრები შენს უბედურ მშობლებს. შენ ვერავის შეგადარებენ, ვერავინ უვსებთ შენგან დატოვებულ სიცარიელეს, ტანჯვაა მათი ცხოვრება უშენოდ, მაგრამ ისევ შენი მოსიყვარულე ცოლ-შვილი, ყოველ ზაფხულს თავისი ჩამოსვლით აძლებინებს ამქვეყნად...

ნეტა დაგანახვა, რამხელები დაიზარდნენ შენი გოგონები, შენმა საფიცარმა ოთიკომ კი წელს პირველად შეაღო სკოლის კარი. გვჯერა, შენი შვილები ღირსეულ ადამიანებად დაიზრდებიან, მაგრამ ვაი, რომ მათი ძვირფასი მამიკო ვეღარ გაიხარებს იმ დიდი სიხარულით.

ჩვენო მურად! უშენობა გვტკივა ძალიან. შენ მიერ დატოვებული სიყვარული არასოდეს განელდება, შენი დების, სიძის და დისშვილების გულებში, მათთვის შენ მუდამ „პატარა საფიცარ ძამიკოდ" დარჩები.

საოცრად გვაკლიხარ და გვენატრები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ზეცით ამაღლებული შენი სული.

*ოჯახი*

### მურაზ კაციაშვილის ხსოვნას!



3 დეკემბერს ორმოცი დღე სრულდება, რაც წახვედი ამ ქვეყნიდან.

ვერ ვივიწყებთ შენი თვალებიდან გადმოღვრილ სითბოს, უძვირფასესო მამავ, ერთგულო მეუღლევ და მოსიყვარულე პაპავ!.. საოცრად კეთილი, სათნო და მოსიყვარულე იყავი ყველას მიმართ. შენ გარშემო მუდამ სითბო და ალერსი ტრიალებდა. შენეული სიმშვიდით შეუერთდი მარადისობას და დაგვიტოვე უსაზღვრო მწუხარება... ავადმყოფობით დაღლილო! ყველას გულში დარჩება შენი კაცური სახელი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი მეუღლე, შვილები და რძლები*

### გრიშა შავერდაშვილის მონატრება



1-ელ დეკემბერს გახდება ერთი წელიწადი, რაც ჩვენ შორის აღარ ხარ. ძალიან ძნელია წარსულ დროში შენზე საუბარი. გიხაროდა სიცოცხლე, გიყვარდა შენი ოჯახი, შვილები, შვილიშვილები.

ენატრები შენს მოხუც დედას, შენს ნათესავებს და მეგობრებს. დიდი გულისტკივილით გიხსენებენ ყველანი. ყოველთვის იქ იყავი, სადაც შენს მოკეთეს უჭირდა.

შენს სახელს დავიწყება არ უწერია. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*შენი საყვარელი ოჯახი; მეუღლე ლალი; შვილები: თამაზი და თეა*

### თათული მაქაცარიას გახსენება



ჩვენო უსაყვარლესო დისშვილო, 1 წელია ჩვენს გულებში უდიდესმა და უმძიმესმა გლოვამ დაიდო ბინა. ქალაქ როსტოვიდან გესიყვარულებით შენი ბიძები და ბიძაშვილები. შენ ხომ განსხვავებული იყავი ყველასგან — და რატომ ასე?!. გვიჭირს... მართლა რჩეულები მიჰყავს ღმერთს... ძაძებში გაეხვია ოჯახი, არ გაგვაჩნია სანუგეშო სიტყვები, რითიც შეიძლება შენი ოჯახის ნუგეში.

უფალს შევთხოვთ შენი ოჯახის გაძლიერებას, რომ შენს საფლავზე მუდამ იხაროს იამ და ვარდმა. შენ კი ყოველთვის ცოცხალი ხარ ჩვენთვის — ჩვენო ლამაზო ანგელოზო თათული.

*შენი ბიძები: ემზარ, დაზმირ, თენგიზ, რამაზ, თამაზ კუპრავები*

### გივი თვარაძის გახსენება



საყვარელო მამა! გაუნელებელი ტკივილით გავიდა 40 დღე, მოულოდნელად წახვედი იმ ქვეყნად, რითიც დიდი ტკივილი მოგვაყენე ყველას: ნათესავებს, მეგობრებს, მეზობლებს. 23 ნოემბერს, გიორგობას, 74 წელი გისრულდებოდა, მაგრამ დედაჩემთან წასვლა არჩიე, მისგან მოყენებული ტკივილი ჯერ არ გაგვნელებია და ახლა შენც მიგვატოვე.

ძალიან გვიჭირს უშენობა, ჩემო კეთილო და ღვთისნიერო ადამიანო. თქვენ ყოველთვის სხვისი ტკივილით ცხოვრობდით, სხვისი გასაჭირი გაღელვებდათ, გულთან მიგქონდათ.

მამა — ჩემო ტკივილო! ტკბილად განისვენე დედაჩემთან ერთად. ჩვენ კი ვილოცებთ, რათა უფალმა ნათელში ამყოფოს თქვენი სპეტაკი სულები.

*შენი ნუნუკა ოჯახით*

### ნოდარ დაუშვილის გახსენება



ჩვენო დაუვიწყარო ნოდარ! ერთი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ტკივილიანი და დარდით სავსე ერთი წელი. ვერაფერი ავსებს შენი დაკარგვით გამოწვეულ სიცარიელეს. თითქოს ისევ ჩვენთან ხარ და ისევ თავს დაგვტრიალებ. ვერ შევეგუეთ უშენობას და ალბათ ვერასდროს შევეგუებით.

მუდამ ოჯახზე, შვილებზე და შვილიშვილებზე ზრუნავდი. გიხაროდა, ექვსი შვილიშვილი რომ გყავდა და ექვსივე ბიჭი.

ძალიან გვაკლიხარ, გვიყვარხარ და გვენატრები. ვილოცებთ შენთვის, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი ოჯახი*

### მალხაზ მაისურაძისა და სანდრო კოროშინაძის მონატრება

ჩემო მახო, რა ხანმოკლე ყოფილა წუთისოფელი შენთვის. ამ მოკლე დროში, რამდენი სიყვარული და კაცობა დათესე ირგვლივ. ვერაფრით ამოვივსებთ იმ სიცარიელეს, რასაც უშენობა ჰქვია. შენ უკვდავი ხარ ჩვენთვის.



სანდრო, მოულოდნელი იყო შენი ამ ქვეყნიდან ასე ნაადრევად წასვლა, ან შენ რას იფიქრებდი, სიცოცხლითა და სიყვარულით სავსეს, არაკაცურად, ლაჩრულად, ტყვიით თუ მოგისწრაფავდნენ სიცოცხლეს.

ბავშვობიდან ერთად გაზრდილები, დღესაც ერთად ხართ მარადიულ სასუფეველში.

გვწამს, რომ უფლის გზაზე, კელაპტრად წაგიძღვებათ თქვენი სიკეთე, სითბო და სიყვარული, რასაც უანგაროდ გასცემდით.

*იზა*

### გივი მუსაშვილის გახსენება

შენი ამ ქვეყნიდან წასვლის უკვე 6 თვე გავიდა, ძმაო. ცხოვრებაში კი ყველაზე დიდი ტკივილი ახლობელი ადამიანის დაკარგვა ყოფილა. ჩემთვის — უცხო ქვეყანაში მარტოდმარტოსთვის, ძმის სიკვდილის გადატანა, ორმაგად ძნელი აღმოჩნდა. ჩემს თავს თვითონვე ვამხნევებ და ვაფხიზლებ, რომ ყოველივე ამის გადატანა შევძლო, მეტი რა გზა მაქვს.

სიზმარმა მამცნო, რომ ჩვენს ოჯახში რაღაც უბედურება მოხდა (რაღაც ამ ბოლოს დროს მისნური სიზმრები დამჩემდა), მაგრამ ამ უბედურების მიზეზად შენ ვერაფრით მოგიაზრე, რადგან სახლში მოხუცი მამა გვყავდა (თუმცა ეს ოხერი სიკვდილი მოხუცს და ახალგაზრდას ხომ არ არჩევს). ოხ, როგორ მჯეროდა, თითქოს გენებით გვქონდა სიბერემდე მიღწევა. ბებიამ და დედამ ხომ 80 წლამდე მიაღწიეს და აგერ მამაც თითქმის 87 წლისაა. სწორედ ამიტომ ვერ ვიფიქრე, ძმაო, შენზე. მთელი დღის განმავლობაში ვცდილობდი, რომ როგორმე საქართველოში დამერეკა და გამეგო რა მოხდა, მაგრამ ამაოდ — თითქოს ყველა ახლობლის ტელეფონი დუმდა. ეს დუმილი კი განსაკუთრებით ავისმომასწავებლად მომეჩვენა. აკი არც შევმცდარვარ!

შენმა უცაბედმა სიკვდილმა თავზარი დამცა და ისე გამაოგნა, თავი სიზმარში მგონია. ჯერ კიდევ კარგად ვერც გამიაზრებია, რომ შენ ცოცხალი აღარ ხარ და ველარასოდეს გნახავ. ასე მგონია, თითქოს მე ვარ აქ, სადღაც შორს გადმოკარგული და ამიტომ ვერ გხედავ, ხოლო, როცა საქართველოში დავბრუნდები, შენ ისევ შინ დამხვდები. თავს ვისულელებ და მე მინდა, რომ ასე იყოს, მაგრამ ვაი, რომ ეს სიზმარი არ არის და ყოველივე ის მწარე სინამდვილეა, რასაც უკვე შენი ამქვეყნად არყოფნა ჰქვია.

სიკეთის მეტი, არასოდეს არაფერი გაგიკეთებია (ამის უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია), ალალი, უბოროტო კაცი იყავი (ჩვენი მშობლების შვილი სხვანაირი ვერც იქნებოდი). მაშ, რა იყო მიზეზი შენი ამ ქვეყნიდან წასვლისა? ნუთუ მხოლოდ 56 წელი იკმარე სიცოცხლისთვის? თუ ასეთმა ყოფა-ცხოვრებამ მიგიყვანა აქამდე, რომელსაც ბოლო წლებში შენი უმუშევრობაც დაერთო, რასაც ძალიან განიცდიდი. შენ სხვანაირი გულის ადამიანი იყავი და იმიტომ ვერ გაუძლო შენმა გულმა ამდენ პრობლემას და ამიტომაც არჩიე დედასთან წასვლა, რომელსაც 5 შვილს შორის ყველაზე მეტად შენ უყვარდი — პირველი შვილი იყავი და თანაც ბიჭი (ერთი ბიჭი და 4 გოგო). აკი ხშირად აღნიშნავდა კიდეც, შვილის პირველი სიყვარული ამან განმაცდევინაო. ამიტომ ვერ გაძელით ურთმანეთოდ დიდხანს. მაგრამ ჩვენ, ჩვენ რას გვეუბნები, ჩვენც ხომ გვინდოდა ჩვენ გვერდით ყოფილიყავი, ასე უცებ რომ გამოგვეცალე ხელიდან და გაოგნებულები რომ დაგვტოვე?! შენ ხომ 25 ნოემბერს 56 წელი შეგისრულდებოდა, ძმაო.

ამ წერილის დაწერაც სწორედ იმიტომ გადავწყვიტე, რომ აქედან მაინც მომელოცა შენთვის დაბადების დღე, რადგან უკანასკნელი გაცილება საუკუნო განსასვენებლამდე და საფლავზე მოსვლის საშუალება არ მაღირსა ღმერთმა.

საქართველოდან გამოგზავნილ შენს საფლავზე გადაღებულ სურათებს ვეფერები და ველაპარაკები, სათქმელიც ხომ ბევრი დამიგროვდა ამ 2 წლის განმავლობაში, რაც ერთმანეთი არ გვინახავს. ყოველ პარასკევს (შენი გარდაცვალების დღეს) სანთლებს ვანთებ შენი სულის მოსახსენიებლად და შეძლებისდაგვარად ეკლესიაშიც დავდივარ. ღმერთს ვევედრები, რომ ჩემმა დანთებულმა სანთლებმა გზა გაგინათონ მარადიულ სასუფეველში შენც და დედასაც. მჯერა, ასეც იქნება თქვენნაირი წმინდა სულის ადამიანებისათვის. რამდენი ცოდვით დამძიმებული ადამიანი დადის ამქვეყნად, ძმაო. ნუთუ მხოლოდ შენ ამძიმებდი ამ ცოდვილ დედამიწას შენი ალალი და კეთილი გულით? ბევრი მინდა გელაპარაკო, მაგრამ...

ჩვენ კი შენს ახლობლებს: დებს, დისშვილებს (რომლებიც ასევე ვერ დაესწრნენ შენს გაცილებას საქართველოში არყოფნის გამო), შვილებს, მოხუც მამას და შვილიშვილს არასოდეს დაგვავიწყდები, სანამ ცოცხლები ვიქნებით, მუდამ გვემახსოვრები და ამ წუთისოფელში ვიარსებებთ შენთან შეხვედრის მოლოდინით...

*მონატრებული და ბელგიიდან და დისშვილები: ირმა, თეა და თამუნა ჯაბანიშვილები საბერძნეთიდან*

### ბექა პაპუაშვილის ტკივილიანი გახსენება



გმადლობ, რომ გაჩნდი, გმადლობ, რომ ასეთი კარგი იყავ!

*ვარდად მოვალ, წვიმად მოვალ,*
*ალბათ ღვინოდ დამლევთ,*
*ჩემს სიყვარულს თქვენს გულებში*
*ვერაფერი დალევს,*
*მზის სხივები, თოვლის ფიფქი,*
*მოგიტანთ ჩემს ამბებს,*
*და ნიავი მთვარის შუქზე*
*როს შეგირხევთ ფარდებს,*
*მე ვიქნები თქვენთან ერთად,*
*სამუდამოდ გწამდეთ!*

იყო და არა იყო რა... იყო ერთი ოცი წლის ცისფერთვალება, ლამაზი ბიჭი, რომელიც თავის გარშემო მხოლოდ სითბოსა და სიყვარულს ასხივებდა, ვაჟკაცობა და სამართლიანობა კი მისი თანდაყოლილი თვისებები იყო. მისი საოცრად ფაქიზი, მართალი გულისათვის უცხო იყო ფარისევლობა და ღალატი, ცხოვრების კრედოდ კი მეგობრობა და კაცთმოყვარეობა ესახებოდა.

მიყვარხარ, ჩემო ბექა! ძალიან მიყვარხარ, ჩემო საამაყო ბიჭო! თურმე რამხელა ადგილი გქონია ჩემს გულსა და გონებაში. მთელ ჩემს სიცოცხლეს მივცემდი სანაცვლოდ შენი ცხოვრების თუნდაც რამდენიმე დღისათვის. თურმე რამდენი ბედნიერი დღე, წუთი და წამი გიჩუქებია ჩემთვის. შენგან ხომ არც ერთი, თუნდაც პატარა წყენა არ მახსოვს. რატომ იყავი ასეთი კარგი, ბიჭო?! უშენოდ სიცოცხლე ვერ ვისწავლეთ, ვერ შევძელით. როდესაც გაუსაძლისად გვენატრები, შენს ლექსებს ვკითხულობთ, პაწაწინა კრებულს, მხოლოდ ცხრა ლექსს, რომელიც არავისთვის „გემეტებოდა", ახლა კი ყველასია, ვისაც უყვარხარ და ენატრები, საიდანაც შენი ლამაზი სულის ყოველი დაფარული კუნჭულიც კი მოჩანს.

რა მოულოდნელი იყო შენი ამ ქვეყნიდან წასვლა. ან შენ თავად რას იფიქრებდი, თუ ასე ლაჩრულად, არაკაცურად, ზურგში ნასროლი ტყვიით მოგისწრაფავდნენ სიცოცხლეს ნაძირალები, რომლებიც არც კი გიცნობდნენ, ვისთვისაც კაცური ღირსება და ვაჟკაცობა უცხო ცნება და ზედმეტი ბარგია.

*„კარგ კაცს კაცობა ეტყობა,*
*ცუდს კაცს კი ცუდი ფერი აქვს".*

— წერ შენს ლექსში.

მართლაც, კაცის მკვლელს ცუდი ფერი აქვს და როგორც არ უნდა ეცადოს, ამ ფერს ვერასოდეს მოიშორებს. შენ კი, ჩემო ლამაზო, ნათელო ვაჟკაცო, მშვიდად იძინე... ღმერთს ვთხოვ, ნათელში ამყოფოს ზეციურ საქართველოში შენი უკვდავი სული.

*შენი მაია (დეიდა და მეგობარი)*

# გურამ ასათიანი: „ვინ მოიცლის ვაჟას ნიბლია ჩიტისთვის?!"

გურამ ასათიანი ნამდვილი ხელოვანი იყო. ლამაზად იცხოვრა. შეეძლო არა მარტო შეეცნო, შეესწავლა, არამედ ქვეშეცნეულადაც ეგრძნო ადამიანი, ლიტერატურა, ხელოვნება... ზოგჯერ, ალბათ ხანგრძლივად ფიქრობდა კიდეც, ოღონდ ეს არ იყო წვალება... ფიქრი მასთან დაუბრკოლებლად მოდიოდა... ნაკადულივით...

გურამ ასათიანი 1928 წლის 12 აგვისტოს დაიბადა თბილისში. ინტელიგენტების ოჯახში იზრდებოდა, ომის წლებში ბევრი გაჭირვება უნახავს. ცემის ბავშვთა სანატორიუმში დასასვენებლად წასული, მშობლებს წერდა: „მამას ჩამოტანილი პური გუშინ ღამით გავათავეთ. ბევრს ვკითხულობ. ამინდი ცუდია, ლექსების წერაში არ მიწყობს ხელს, როცა გცივა, მუზა არ მოდის. მზიან დღეებში ნაძვებში გავხვალ, ვარდის ბუჩქთან უსმენ ნიავის ნაზ შრიალს და აბნევ დილის ცვრებად ქაღალდზე მარგალიტებს (ყალბ თუ ნამდვილ მარგალიტებს, სულერთია). ლადო ასათიანის ამბავი გავიგე. ისე გარდაიცვალა, რომ მამაჩემმა ვერ ნახა... ჩემს „ბასანოშკებს" დინგები ძალიან დიდი აქვს, წინდები მისველდება... დილით, როცა ცვარია, სულ მელუმპება ფეხის ცხვირები. იძულებული ვარ, მამაჩემის „პარახოდები" ჩავიცვა, მაგრამ მაშინ სულ „ნოტებზე" უნდა ვიარო. მალე ჩამომიტანეთ ჩემი დაკრებული ფეხსაცმელები, მამას თეთრ ფეხსაცმელებთან ერთად, თორემ ეგენი მხოლოდ „კულტურული" სეირნობის დროს გამოდგება. მამაჩემის ფეხსაცმელებს უკან გამოგატანთ. კვების საკითხი ასეა: ყველაფერი ნორმაზე რომ ვჭამო, საშა ქუთათელივით გამოვიყვლიპები. მე და გოგი (ყუფარაძე) ვახერხებთ ორი ნორმის ჩაყლაპვას. ბუნება მშვენიერია. აქეთ ტყე, იქით — ტყე, შუაში ვარ მათი ტყვე".

ეს წერილი 13-14 წლის ბიჭის დაწერილია. მაშინვე ჩანდა, რომ მისი ავტორი განათლებულ, სულგრძელ და კეთილშობილ ადამიანად ჩამოყალიბდებოდა. რაც მთავარია, გურამი თვითონ იყო ისეთი სულის, როგორზეც წერდა ხოლმე... წერდა მშვენიერებაზე, ადამიანურ სიმაღლეებსა და სინათლეზე...

მეუღლემ, ქალბატონმა მანანა ქიქოძემ გაიხსენა: „მე რომ გურამს გავყევი, მძიმედ იყო ავად. მაშინ ამბობდნენ, ციროზი აქვსო. ყოველ დილით, რომ გაიღვიძებდა, — ღმერთო, გათენდაო, — შესძახებდა. უხაროდა გათენება, ისე უყვარდა სიცოცხლე. ამიტომაც სწყუროდა ყველაფერი: კარტსაც თამაშობდა, ქეიფობდა კიდეც. რჩეული მეგობრები ჰყავდა. სულ მათთან უნდოდა ყოფნა. წერდა: „მადლად და სასწაულად უნდა მივიღოთ ის, რაც ყოფნაა". სულ სხვაზე ფიქრობდა, სხვის ბედნიერებაზე. სიურპრიზების მოწყობა იცოდა. ქალიშვილი რომ გავათხოვეთ და ქორწინების სახლიდან მოვედით, მთელი სადარბაზო ხვიარა ვარდებით იყო მორთული. წყნეთში წასულა და იქიდან მოუტანია. ნანი ბრეგვაძე დღეობაზე ყოველთვის გვეპატიჟებოდა. ერთ-ერთი დაბადების დღეზე გურამმა დაიქირავა ამწე, მიაყენა ნანის ფანჯარას, ყოფილ პლეხანოვის პროსპექტზე, ფანჯარაზე დაუკაკუნა და ისე გადასცა ვარდები იუბილარს. ნანი აღტაცებული იყო, — არაჩვეულებრივი, დიდი სიყვარული მაჩვენაო."

უჩვეულო მეხსიერება ჰქონდა. არ აკლდებოდა მხიარულ შეკრებებს, არც ლხინის სუფრას აცდენდა, არც მეგობრებთან კარტის თამაშს, პარალელურად ათასი კეთილი საქმე გააკეთა, მნიშვნელოვანი შრომები დატოვა.

1978 წელს გამოიძახეს და ჟურნალი „ლიტერატურნაია გრუზია" ჩააბარეს. მის ხელში ეს ჟურნალი ავანგარდისტული გახდა. იქ იბეჭდებოდნენ ავტორები, რომელთაც რუსეთში არაფრის დიდებით არ დაბეჭდავდნენ: გოლსმანი, კუდიმოვა, ლეონოვიჩი, რასადინი... რუსი მწერლებისათვის საქართველო შემოქმედებით მუზად იქცა. „ლიტერატურნაია გრუზიას" ერთ-ერთი წამყვანი რუბრიკა საქართველოს კულტურისადმი იყო მიძღვნილი. თავისი ავანგარდისტული ხასიათითა და პოზიციით, ჟურნალი პოპულარული გახდა რუსეთის მოწინავე საზოგადოებაში და მრავალი მკითხველი და დამფასებელი გაუჩნდა.

გურამ ასათიანის ნაწარმოებები ესეებს ჰგავს. მას შეეძლო, ანალიზი ისე შეეტანა ტექსტში, მაღალმხატვრული დონე არ დაერღვია. უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობდა: მისთვის წერა წვალების, ტანჯვის ტოლფასი იყო. მიაჩნდა, რომ წერის უფლებას მოპოვება სჭირდებოდა: „რომ დავწერო, სამჯერ უფსკრულში უნდა ჩავეკიდო დაღუპვამდე. სამჯერვე თუ გადავურჩი სიკვდილს, მერე მაქვს დაწერის უფლება", — ამბობდა ხშირად.

უდიდესი განათლება, დახვეწილი იუმორი და სილაღე კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა მის პიროვნებას. შვილს, ლევან ასათიანს დაამახსოვრდა, როგორ მოვიდა ერთხელ მამამისი ოდნავ ნასვამი, საოცრად გალაღებული. ლევანი ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობას" კითხულობდა. „გამაოცა, იმდენად მკაფიოდ ახსოვდა ნაწარმოების საუკეთესო ეპიზოდები. მელაპარაკა ნატაშა როსტოვას და ანდრეი ბოლკონსკის სულიერებაზე, ადამიანურობაზე. მეხსიერება ხომ ნიჭიერების ერთ-ერთი არსებითი თვისებაა"...

დღე მეგობრებთან იყო. ზოგჯერ ღამითაც არ მიდიოდა შინ, გამოვიდოდა ქუჩაში და ესაუბრებოდა ხალხს, ნაცნობებს, უცნობებს. არაჩვეულებრივად კითხულობდა ქართულ, რუსულ, ფრანგულ, იტალიურ ლექსებსაც კი. როცა შინ ბრუნდებოდა, აუცილებლად უნდა გაევლო თავის განუყრელ მეგობართან — გოგი ოჩიაურთან. ვაჟა-ფშაველას ძეგლთან მანქანას გააჩერებდა, გადმოვიდოდა და ძეგლს შეეკითხებოდა თურმე: — ბატონო ვაჟა, გოგი ოჩიაური საით ცხოვრობსო? მერე თვითონვე უპასუხებდა: — ა, აქეთო?! ძეგლის იმ მხარეს ცხოვრობდა ბატონი გოგი, საითაც ვაჟას ხელი აქვს გაშვერილი...



ყველაფერი ხალისიანად გამოსდიოდა. ავადმყოფობისასაც კი, საინტერესო ამბებს ჰყვებოდა, მუშაობდა, გატაცებით უყურებდა მსოფლიო ჩემპიონატის ფეხბურთის მატჩებს...

„ცრემლები ყარა, ისე იხარხარა ჩაპლინის „დიდი ქალაქის ჩირაღდნების" ყურების დროს, — გაიხსენა ლევან ასათიანმა, — ასეთი კინოსურათი არ გადაღებულა და მგონი, ვერც ვერასოდეს გადაიღებენო. საოცარი სიმხნევე, სილაღე გამოამჟღავნა სარეცელს მიჯაჭვულმა. ბატონი ჯუნა მიქატაძე მოვიდა საავადმყოფოში გურამის სანახავად. ნასვამი იყო. პალატაში დიდხანს არ გაჩერებულა, აივანზე გავიდა, მეც გავყევი. ოდნავ ბარბაცებდა. ლევან! ლევან! — მეძახის მამა, — მაგრად მოჰკიდე ხელი, თორემ გადავარდება და ხალხი იფიქრებს, გალაკტიონს გადაჰყვაო..." საწოლს მიჯაჭვულმა იცოდა, რომ ამაო იყო ყველაფერი. 8 თვე იწვა საავადმყოფოში. მეუღლემ აღნიშნა, სანახავად მოსული ახლობლები პალატაში შეშფოთებულნი შედიოდნენ და თითქოს გახარებულები გამოდიოდნენო. ისეთი ხალისიანი იყო გურამი. თავის მდგომარეობას შეგუებული წერდა: „ამ მკაცრ დროში, როცა ყველაფერი დაპყრობილია პრაქტიციზმით, ვინღა იფიქრებს, ვინღა ატირდება, ვინღა მოიცლის ვაჟა-ფშაველას ნიბლია ჩიტისთვის?" ხშირად იმეორებდა ლუკრეციუსის სიტყვებს: „სიკვდილი, როცა ჩვენ ვარსებობთ, სიკვდილი არ არის, როცა ის დგება, ჩვენ აღარა ვართ". ის ფიქრობდა, რომ სიკვდილი სიცოცხლის თანამგზავრია და სიცოცხლე დღითი დღე გვაჩვევს, გვარიგებს ამ აზრთანო. ამბობდა, ჩვენ გვინდა, თვით სიკვდილი სიცოცხლისათვის გამოვიცნოთო.

54 წლისა გარდაიცვალა...

მისივე სიტყვებს გავახსენებთ: „ნიადაგი, მიწა, მიწისქვეშეთი — ყველაფერი საბედისწერო, მღვრიე ვნებებითაა გაჟღენთილი. არაფერი ამ სიღრმეში არ შეცვლილა რადამისტისა და მედეას შემდეგ.

ამ ქერქის ქვეშ ისევ ბალღამი დუღს, ალბათ, მთელი დედამიწის ბალღამიც ასეთი გენიის სამყოფელია.

— მაგრამ რა მშვენიერი, ჰაეროვანი, მომხიბვლელი მცენარეები იზრდებიან ამ საშინელებიდან!

განა ეს სასწაული არ არის?!

განა ეს ხილვა სიცოცხლედ არ ღირდა?"

ასე ამთავრებს გურამ ასათიანი თავის შესანიშნავ ქმნილებას, რომელსაც „სათავეებთან" ჰქვია. და თავად მისი ცხოვრება და შემოქმედება იყო პასუხი მის მიერვე ბოლოს დასმულ კითხვაზე:

ეს პასუხია — ღირდა!

## ჩვენ გვწერენ

# მხსნელს წმინდანის სახელი ერქმევა

— ამ ძნელბედობის ჟამს უცნაური სიზმრები დამჩემდა, თუმცა ცხადშიც მეცხადებიან ადამიანის მსგავსი უცნაური არსებები. ეს ყველაფერი კი საქართველოს მომავალს უკავშირდება. გული სულ ეკლესიისკენ მიმიწევს და ცრემლი მდის...

პირველი სიზმარი 29 ოქტომბერს ვნახე. დასავლეთის მხრიდან ცაზე რაღაც ღრუბლის სვეტივით შემოვარდა და ერთიანად დაფარა ქვეყანა. საშინელი გუგუნი ისმოდა. გამომეღვიძა. გარეთ ბნელოდა. ჩემს ოთახში კი უცნაური, მკრთალი სინათლე იდგა და საწოლის კუთხეში ადამიანის მსგავსი არსება იჯდა. შიში არ მიგრძნია, თითქოს სითბოც კი მოდიოდა მისგან. ბაგეშეურხევლად ალაპარაკდა. გონებით უფრო ვგრძნობდი მის ნათქვამს: — ერთი თვე გასტანს მშრალი ომი. მერე იქნება დროებითი ნათელი, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება მცირე შეხლა-შემოხლა. ადამიანები ყველა მატყუარას ზურგს შეაქცევენ, ძველთაგან არავის შერჩება ძალა. სრულიად ახალი სახეები შექმნიან ახალ პოლიტიკურ ძალებს. მათში ხალხი ხსნას დაინახავს და ხელისუფლებაში მოსასვლელად მხარს დაუჭერს. ახალი ხელისუფალნი ხალხზე იზრუნებენ, მათ ახლებურად ცხოვრებას ასწავლიანო...

მინდოდა მეკითხა, ვისზე მელაპარაკები-მეთქი, მაგრამ თავზე ხელი მომიჭირა და მაგრძნობინა, ჩუმად ვყოფილიყავი. ადგა და დაკეტილი ფანჯრიდან გავიდა. მე-7 სართულზე ვცხოვრობ და გამიკვირდა — ნეტავ, როგორ მოახერხა-მეთქი. იმ ადგილზე კი, სადაც ის უცნაური არსება იჯდა, სანთლის კონა იდო, ჩვეულებრივი თაფლის სანთლები იყო, 33 ცალი. დილაუთენია წავედი ეკლესიაში. ყველა ავანთე.

31 ოქტომბერს ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს შინაგანი ორგანოები გამიქრა. ისე შემაწუხა ამან, ექოსკოპიაზეც კი წავედი. ექიმმა მითხრა, ყველა ორგანო ჯანსაღი გაქვთო. არადა, ნაღვლის ბუშტში უკვე მეთორმეტე წელია, კარგა მოზრდილი კენჭები მქონდა, ერთ-ერთი თირკმელი კი — ნაოპერაციები. ვიფიქრე, ეს ექიმი მატყუებს-მეთქი და სხვასთან მივედი. მანაც იგივე რომ მითხრა, გავიფიქრე, უთუოდ რაღაც პარანორმალური ხდება ჩემს თავს და ის უცნაური არსებაც ალბათ უცხოპლანეტელია-მეთქი.

ბოლოს, 11 ნოემბერს გამომეცხადა. უამრავი რამ მითხრა და მაჩვენა — მეგონა ძილში სადღაც ვმოგზაურობდი. მას თუ დავუჯერებთ, საქართველოში არეულობა დიდხანს არ გასტანს, ერთი ცნობილი პოლიტიკური ფიგურა მოულოდნელად დატოვებს საქართველოს, გაუჩინარდება და მოგვიანებით, როცა უსიამოვნებები დასრულდება, კვლავ გამოჩნდება, ოღონდ პოლიტიკაზე საბოლოოდ უარს იტყვის. მისი გაქრობა ხალხს სიმშვიდეს დაუკარგავს, რადგან იფიქრებენ, მოკლესო, მაგრამ ის ცოცხალია. მის მიერ ერთ-ერთ ხელისუფალთან დატოვებული წერილი დიდ საიდუმლოს გახსნის, რითაც ქვეყანა საშინელ საფრთხეს აიცილებს — ის რომ აღსრულებულიყო, საშვილიშვილოდ დავიქცეოდით. ამის მერე ქვეყნის სათავეში, სხვა ქვეყნის დახმარებით, სრულიად უცხო ადამიანები მოვლენ. ეს ქვეყანა ჩვენს მფარველად ითვლება, მაგრამ ნამდვილ სახეს ფარავს. მისი გეგმა ვერაგულია, თავისი მიზნების აღსასრულებლად გამოგზავნის ჩვენში 15 თუ 20 კაცს. ისინი ის ქართველები არიან, რომელთაც სამშობლო კარგა ხნის წინ დატოვეს აქ არსებული განუკითხაობისა და ქაოსის გამო. მათ დიდი ცოდნა და გამოცდილება შეიძინეს უცხოეთში. ისინი თავიდანვე შეგნებულად ემზადებოდნენ საქართველოს მმართველობაში მოსასვლელად, დიდი დიპლომატები არიან. ერთი სიტყვით ჭკვიანი ქართველებით შემდგარ გუნდს, სანდო ადამიანის მეთაურობით, საკუთარი მიზნების აღსასრულებლად აგზავნის ჩვენი ვითომ მეგობარი ქვეყანა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდება — საქართველოს, ამ ხალხის სახით, ნამდვილი ხსნა მოევლინება, ხოლო იმ ჯგუფის ლიდერი საქართველოს პრეზიდენტი გახდება. მისი ძალის, გონებისა და მიზნების წინაშე მისი ქართველი ოპონენტები ქედს მოიხრიან და ასპარეზსაც დაუთმობენ. სხვანაირად მოქცევის საშუალებაც არ ექნებათ ქვეყნის მდგომარეობის გამო. უცხო ქვეყანა ღალატს არ აპატიებს თავის „სანდო“ კაცს და მის თავიდან მოშორებას შეეცდება, რასაც საქართველოს მომავალი პრეზიდენტის მკვლელობის ორი უშედეგო მცდელობა მოჰყვება: ერთხელ მძიმედ დაიჭრება, მეორედ კი მისთვის ნასროლი ტყვია მის გამყიდველს მოხვდება. საქართველოს მხსნელს ჩვენი ქვეყნის მფარველი ერთ-ერთი წმინდანის სახელი ერქმევა. საქართველო გადარჩება, მაგრამ წინ ბოლო განსაცდელი ელის, თუმცა არა სისხლის ღვრა. უცხოპლანეტელის თქმით, ჩვენ უკანასკნელი სისხლი უკვე გამოვუშვით. სიზმარში უცნაური დროშებით მოსიარულე გოგო-ბიჭებიც ვნახე, რომლებიც გაუგებრად ყვიროდნენ. მათ თითქოს უბედურება ელოდათ, მაგრამ გადარჩებიან. ეკლესიების დამრბევთა მოდგმას კვლავაც არ ასვენებს ეშმაკი და ამ ახალგაზრდებს უფსკრულისკენ მიერეკება, მაგრამ მათ ვიღაც ახალგაზრდა ბერი იხსნის...

დავდიოდი პარლამენტის შენობის წინ, საპროტესტო აქციებზე. რამდენჯერმე ვიფიქრე, ავალ ტრიბუნაზე და ხალხს ყველაფერს ვეტყვი-მეთქი, მაგრამ ვერ გავბედე. ამიტომაც შეგაწუხეთ თქვენ.

***ლილი შ.***
***თბილისი***

# იდუმალი მფარველი

— სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა, როცა დედა გარდამეცვალა. სრულიად მარტო დავრჩი. მამა არც მახსოვდა, 3-4 წლის ვიქნებოდი, როცა რუსეთში წავიდა „სამუშაოდ“, თუმცა როგორც შემდეგ გავიგეთ, ახალი ოჯახის შესაქმნელად. თავად მიხვდებით, რა დღეშიც აღმოვჩნდებოდი უსახსროდ, უპატრონოდ, მით უმეტეს, რომ 10 წლის წინ გაცილებით მძიმე ცხოვრების პირობები იყო ჩვენში.



ნამცხვრის ცხობით ვირჩენდი თავს, თუკი შეიძლება კაცმა თავის რჩენა დაარქვას სულის გატანას... კვირიდან კვირამდე. პირველად სწორედ იმ მაღაზიაში, სადაც ნამცხვარს ვაბარებდი, ვიგრძენი უცნაური სიცივე ზურგის მხრიდან. სექტემბერი იდგა. ცხელოდა. მე კი უჩვეულოდ მციოდა. მოვიხედე... ვერაფერი დავინახე. უსიამოვნო წინათგრძნობის შეგრძნებით გამოვედი გარეთ და ვიდრე ცოტა დაბნეული გასასვლელთან მივიდოდი, სიცივე წინ შემეფეთა და ადგილზე გამაქვავა. ეს იმდენად აუხსნელი რამ იყო, რომ შეუძლებელი იქნებოდა, ჩვეულებრივ განმეგრძო გზა. ამ მდგომარეობაში ვიყავი, როცა სწორედ ჩემ წინ მკვეთრად მობრუნდა მანქანა და შუქნიშნის სვეტს შეეჯახა, როგორც შემდეგ გაირკვა, მძღოლს ინფარქტი მოუვიდა და საჭე უმართავი დარჩა. მე კი მხოლოდ იმიტომ გადავრჩი, რომ აუხსნელმა სიცივემ დამაბრკოლა.

იმ დღის შემდეგ მე და „ის“ (რაღაც!) განუყოფელი გავხდით. დღე არ გავიდოდა, არ მეგრძნო, თანაც არ დავრწმუნებულიყავი მის კეთილ დამოკიდებულებაში. მოკლედ გეტყვით, როცა სიცივე ჩემსა და რომელიმე ადამიანს შორის ჩადგებოდა, ვიცოდი, იმ კაცისგან თავი შორს უნდა დამეჭირა, როცა პირიქით, ზურგიდან ვგრძნობდი, ვიცოდი, უბრალოდ, ყურადღების ცენტრში ვყავდი. ასე „მიკარნახა“ „მან“, ვინ უნდა შემეყვარებინა, ვის გავყოლოდი ცოლად... ჩემი შვილის დაბადებამდე კი მისი სტუმრობა უფრო გახშირდა. თითქოს სულ გვერდით მყავდა. მეუღლისათვის არაფერი მომიყოლია, ყოველთვის რაღაც მაკავებდა. რა უნდა მეთქვა, ან დამიჯერებდა კი? როცა მე სიცივეს ვგრძნობდი, ის, ჩემ გვერდით მდგომი, ვერაფერს ამჩნევდა.

შვილის დაბადებამდე რამდენიმე საათით ადრე „მან“ არაფრით არ მომცა ძილის საშუალება. ავდექი. დავინახე საწოლთან შუახნის, ჭაღარა კაცი იდგა და მიყურებდა... მამაჩემი ვიცანი — სურათში მყავდა ნანახი. ის იყო, ოღონდ, რა თქმა უნდა, ასაკოვანი. როცა დაძახება დავაპირე, გაქრა. იმ ღამით დაიბადა ჩემი ვაჟი, რომელსაც ყველას გასაკვირად, მამაჩემის სახელი დავარქვი...

როცა საავადმყოფოდან გამომწერეს, დავრეკე მამაჩემის ახლო ნათესავის ოჯახში, რომელსაც მე და დედა არასოდეს ვაწუხებდით და ამდენი წლის შემდეგ პირველად ვიკითხე მამაჩემის მისამართი. მითხრეს, მამა რამდენიმე წლის წინ გარდაგვეცვალაო. დრო დაემთხვა, ზუსტად ის წელი, ის თვე იყო, მე რომ პირველად ვიგრძენი „მისი“ თანხლება.

მამა უცნაური კაცი იყო, კრიმინალურ სამყაროსთანაც შინაურულად გრძნობდა თავს, მაგრამ, როგორც ჩანს, სულ აწუხებდა სინდისი, რომ ისე გავიზარდე, ჩემთვის არასოდეს თბილი სიტყვა არ უთქვამს, არაფერი უყიდია. მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გადაწყვიტა სიცოცხლეში დაშვებული შეცდომის გამოსწორება.

არ ვიცი, მისი დამსახურებაა თუ არა, მაგრამ ყველაფერი კარგად მიდის ჩემს ცხოვრებაში. ბედნიერი ვარ, რომ მფარველი და მრჩეველი მყავს და გვიან, მაგრამ მაინც დამიბრუნდა მამა.

***სოფიკო დვალიძე***
***თბილისი***

### „საზალოო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი:**

1) — ა); 2) — გ); 3) — ბ); 4) — ბ); 5) — ბ); 6) — ბ); 7) — გ).

**II.** საათი.



# ესპანელი უფლისწული ზაფხულის დამდეგს იწერს ჯვარს



35 წლის ესპანეთის ტახტის მემკვიდრემ, ფილიპემ გადაწყვიტა, ცოლად შეირთოს 31 წლის ჟურნალისტი ლეტისია ორტის როკასოლანო. მან ოფიციალურად სთხოვა მშობლებს ქორწინების ნებართვა და მიიღო კიდეც. მეფე-დედოფლის ხელდასხმით, ჯვრისწერა შედგება მადრიდის მთავარ ტაძარში (იგი მეფის სასახლის ახლოს მდებარეობს).

ფილიპე ხუან-კარლოსისა და დედოფალ სოფიას ერთადერთი ვაჟია. პრინცი ძალიან უყვართ თანამემამულეებს. იგი იყო სამხედრო მფრინავი, სწავლობდა ამერიკასა და კანადაში, არის იურისტი, იცის ფრანგული და ინგლისური ენები.

ლეტისია არ არის ცისფერსისხლიანი არისტოკრატი, გათხოვილიც იყო. იგი ქმარს — მწერალსა და მასწავლებელს, ალფონსო გუერეროს, მალე გასცილდა. მშვენიერ ლეტისიას მიჰყავს საღამოს გადაცემები ტელევიზიაში, პარალელურად, გაზეთშიც მუშაობს.

ფილიპე და ლეტისია კარგა ხანს არ ამხელდნენ თავიანთი სიყვარულის ამბავს. ცნობამ მათი ქორწინების შესახებ აღაფრთოვანა ესპანელები.

***ელ მუნდო***

# საიდან ჩნდება ამხელა ტალღები?



საფრანგეთ-ესპანეთის საზღვართან, ბისკაის ყურეში, აზვირთდა სამი გიგანტური ტალღა. ტალღების სიმაღლე 100 ფუტი იყო. მათი ენერგია თავისუფლად ეყოფოდა საშუალო სიდიდის ქალაქს.

ასეთი ტალღის ქვეშ მოხვედრა ნიშნავს 120 ტონის ზეწოლას.

მეცნიერებს ვერაფრით დაუდგენიათ, რამ გამოიწვია ამხელა ტალღები, ვინაიდან არ ყოფილა რეგისტრირებული არანაირი წყალქვეშა მიწისძვრები ან ვულკანური ამოფრქვევები.

***პოსლედნიე ნოვოსტი №45***

# ორენიანი ბიჭუნა ალაპარაკდა

ჩინელი ბიჭუნა ქსიან ში-სუა სხვა ახალშობილებისგან არაფრით გამოირჩეოდა, მაგრამ ბიჭუნა იზრდებოდა და ყლაპვა და ლაპარაკი უჭირდა. ლუღლუღებდა და მხოლოდ ფაფების ჭამა შეეძლო. შეწუხებულმა მშობლებმა ექიმებს მიმართეს. გამოკვლევის შედეგებმა მედიკოსები გააოცა: ბიჭუნას ორი ენა აღმოაჩნდა, ერთი ენა საყლაპავ მილში გაზრდოდა და 32 სმ სიგრძისა იყო! ექიმებმა ეს ენა ამოკვეთეს, ოპერაციის შემდეგ ქსიან ში-სუა თავს შესანიშნავად გრძნობს და როგორც მშობლები ამბობენ, განუწყვეტლივ ლაპარაკობს.

***მეგაპოლის-ექსპრესი***

# ექვით ავადმყოფი ჯანსაღი ვარსკვლავი



ცნობილმა მსახიობმა რობერტ დე ნირომ ამას წინათ განაცხადა, მძიმე ავადმყოფი ვარო, თუმცა ექიმები ახალგამომცხვარ დიაგნოსტიკოსს არ ეთანხმებიან.

60 წლის მსახიობმა კინოსამყაროში მოღვაწეობის 40 წლის განმავლობაში 60-ზე მეტ ფილმში ითამაშა და ორჯერ „ოსკარიც" დაიმსახურა. ამას წინათ მან განაცხადა, — მძიმე სენი აღმომიჩინეს და სიკვდილამდე ბევრი არაფერი დამრჩენიაო. მსახიობის ყოფილი ექიმი (რომელიც ცოტა ხნის წინ დაითხოვა დე ნირომ) კი ირწმუნება, ოთხი შვილის მამა და შავკანიანი ქალების მოყვარული სრულიად ჯანმრთელიაო. ერთადერთი, რაც მას აწუხებს, გადამეტებული ეჭვიანობაა, ყოველდღე ახალ-ახალ დაავადებას აღმოაჩენს. სხვათა შორის, ექიმიც იმიტომ გააგდო, რომ მის დიაგნოზებს არ ეთანხმებოდა — განრისხებულმა ვარსკვლავმა პატიოსანი ესკულაპი არ დაინდო.

***ტვ პარკი***

# მდიდართა „მდიდრული" საჩუქრები



მდიდრები ახირებული ხალხიაო, ამბობენ. ეს შეხედულება საკამათო შეიძლება იყოს, მაგრამ არც ჭეშმარიტებასაა მოკლებული. მაგალითად, ბერძენი მილიარდერის, არისტოტელე ონასისის შვილიშვილმა და მემკვიდრემ, ათინა რუსელმა, საქმროს ძროხა აჩუქა. ეს მართლაც რომ „ოქროს" ძროხაა, სახელად „ესპერანსა", რომელშიც აუქციონზე 320.000 დოლარი გადაიხადეს. სასიძო — ცნობილი ბრაზილიელი ცხენოსანი და მესაქონლეობის ფერმის მეპატრონეა. მისი ქონება თითქმის 3 მლრდ დოლარადაა შეფასებული.

ამბობენ, რომ ბრუნეის სულთანმა (პლანეტის უმდიდრესმა ადამიანმა) თავის მეუღლეს 22-მილიონიანი წყალქვეშა ნავი აჩუქა. ნავი ტექნიკის უახლესი აღჭურვილობითა და აღმოსავლური ფუფუნებითაა გაწყობილი. საკვები მარაგის განუახლებლად სუბმარინი ზღვის ფსკერზე დაახლოებით 10 თვეს შეიძლება იყოს.

***ნიუზუიქი***

# ცხოველები მოჩვენებებს გრძნობენ

ინგლისელმა ტომ სიმპლმა დაამტკიცა, რომ ცხოველები განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან მოჩვენებების მიმართ.

სიმპლი მიიწვია ხანში შესულმა ცოლ-ქმარმა, რომლებმაც ესექსის საგრაფოში ძველებური სოფლის სახლი შეიძინეს. მათი თქმით, როგორც კი მოსაღამოვდებოდა, მისაღებ ოთახში ჩნდებოდა უჩინმაჩინი, რომელიც ახველებდა და კვნესოდა მანამ, სანამ 12 საათი არ შესრულდებოდა.

სიმპლმა თან წაიყვანა კატა, ძაღლი, მგელი და ვირთხა. საღამოს მან ოთახში აანთო სინათლე და თავისი „ასისტენტები" გაუშვა, რათა მათი რეაქციის მიხედვით დაეფიქსირებინა იმქვეყნიური არსების გამოჩენა. ყველას გასაოცრად, მგელმა მაშინვე მიიტანა იერიში შუა ოთახში მდგარ სკამზე, კატაც სკამს მიუახლოვდა და კნავილი დაიწყო, ძაღლი ოთახიდან გავარდა და სიმპლმა ვერაფრით ველარ მოახერხა მისი უკან დაბრუნება.

ვირთხა კი მათთან შედარებით გულგრილად იქცეოდა.

***ტაინაია ვლასტ №19***

# სიახლე დონორობის საქმეში

ამერიკის შტატ კოლორადოს სისხლის გადასხმის სადგურის თანამშრომლებმა დონორების მისაზიდად ეშმაკურ ხერხს მიმართეს — დღესასწაულის, ჰელო უინის, წინ პატარა მასკარადი მოაწყვეს. მას შემდეგ იგი ტრადიციად იქცა — ამიერიდან სისხლისამღები პერსონალი სამედიცინო უნიფორმაში კი არა, ვამპირების კოსტიუმებში იქნება შემოსილი. გარდა ამისა, ყოველ 470 გრამ სისხლზე დონორს ამავე რაოდენობის ლუდით გაუმასპინძლდებიან. მას კი, რომელიც ყველაზე მეტ სისხლს გაიღებს, პრიზი ელოდება — მოდურ სილამაზის სალონში უფასო მომსახურება და თმის წითლად გადაღებვა.

***ოკნა №42***

# მაუგლი ყველგან მაუგლია



ლეგენდები ცხოველებთან ტყეში გაზრდილ ბავშვებზე, ქვეყნის ყველა მხარეში შეიძლება მოისმინოთ... და ეს რომ ლეგენდები კი არა სინამდვილეა, მრავალჯერ არის დადასტურებული. დაკარგული ბავშვების დედობილ-მამობილები შეიძლება იყვნენ მგლები, დათვები, მაიმუნები და სხვა ცხოველები. 1344 წელს გერმანიის საგრაფო ჰესენში მონადირეებმა იპოვეს ბავშვი მგლის ბუნაგში. როგორც შემდგომში გამოირკვა, ის სამი წლისა მოხვედრილა მათთან. მგლები ღვიძლი შვილივით უვლიდნენ მას — ბუნაგში ფოთლები დაუფინეს, ასწავლეს ოთხზე სიარული და ნადირობა. მგლების შვილობილმა კარგა ხანს ვერ შეძლო ტყეში შეძენილი ჩვეულების დავიწყება.

1669 წელს მონადირეებმა ლიტვის ტყეში შეამჩნიეს ორი ბიჭი. ისინი დათვების ოჯახთან ერთად დადიოდნენ. ერთი მათგანი დაიჭირეს და ვარშავაში ჩაიყვანეს, მაგრამ იგი რამდენჯერმე გაიქცა თავის ძმასთან და მამობილთან. ბიჭი ხის ქერქით, წვენით და ველური თაფლით იკვებებოდა.

ხშირად ბავშვებს მაიმუნები იტაცებდნენ. ერთი ასეთი ბავშვი იპოვეს უგანდის ტყეში 1991 წელს და ცხელი საჭმელი აჭამეს. ბავშვმა ვერ აიტანა ადამიანური საკვები და სამი დღე იავადმყოფა. ბიჭი ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იცნეს. მამამისმა სამი წლის წინ ცოლი მოკლა და გაიქცა. ბავშვმა ტყეში მაიმუნებს შეაფარა თავი.

ცხოველებში გაზრდილ ყველა ბავშვს ძალზე მახვილი მხედველობა, სმენა და ყნოსვა აქვს, კარგად იტანენ ტემპერატურის ცვალებადობას, შეუძლიათ ხელით აიღონ ნაკვერჩხლები, ღადარში შემწვარი კარტოფილი, დაოთხილები გაექცნენ მტაცებლებს და თვალის დახამხამებაში კენწეროზე მოევლონ ცადაწვდილ ხესა და ციცაბო კლდეს.

***მირ ნოვოსტეი №44***

# იყიდეთ... ბებია!



პლოვდიველმა (ბულგარეთი) ცხრა წლის ბიჭუნამ, სლობომირ დონევმა, გადაწყვიტა, სარფიანი ბიზნესისთვის მოეკიდა ხელი. მან ქალაქის ქუჩებში გამოაკრა განცხადებები და მსურველებს იაფად სთავაზობდა ბებოს. თანაც განცხადებაში მითითებული იყო, რომ შესაძლებელია ბარტერიც — ბებოს ნაცვლად ველოსიპედი ან გერმანული ნაგაზის ლეკვი.

ქალაქელმა ხუმარებმა სათანადოდ შეაფასეს ბიჭუნას კომერციული იდეა და სლობომირის ბინაში განუწყვეტლივ ისმოდა ტელეფონის ზარი — კითხულობდნენ, რა ასაკისაა ბებია, როგორი ხასიათი აქვს და რისი გაკეთება შეუძლიაო.

როგორც აღმოჩნდა, ბებია საკმაოდ ახალგაზრდა, საქმიანი და ყოჩაღი ქალი იყო. ყველაფერი იოლად და სწრაფად გამოსდიოდა, ერთის გარდა — ვერაფერი მოუხერხა თავის ანც შვილიშვილს. ჰოდა, ბებიის შენიშვნებით თავმობეზრებულმა სლობომირმაც მისი თავიდან მოცილება განიზრახა...

***კრიმინალნაია ხრონიკა №22***

# ამინდს თურმე აწესრიგებს... თვითმფრინავი

მეცნიერებმა გამოიკვლიეს თვითმფრინავების მიერ თეთრად დატოვებული ნაკვალევი და დაადგინეს, რომ ეს კვალი საგრძნობლად მოქმედებს ამინდზე. მეცნიერები დიდი ხანია ეჭვობდნენ თვითმფრინავებზე, მაგრამ „დანაშაულში" გამოჭერა მხოლოდ ნიუ-იორკის ტერაქტის შემდეგ გახდა შესაძლებელი: იმ ტერაქტის გამო ნიუ-იორკის თავზე სამი დღით აიკრძალა თვითმფრინავების გადაფრენა. ამ დროს მეცნიერებმა აშშ-ის 400 მეტეოსადგურზე გაზომეს ჰაერის ტემპერატურა, მონაცემები შეადარეს წელიწადის იმ მონაკვეთის 30 წლის მონაცემებს და დაადგინეს, რომ თვითმფრინავის გარეშე ამინდი ერთი ერთეულით უფრო თბილია. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ აცივების მიზეზია თვითმფრინავის კვალი, რომელიც ინტენსიურად აირეკლავს მზის სხივს და შთანთქავს სითბოს.

***ორაკული №12***

# ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ოსკარ უაილდის სიტყვებს ამოიკითხავთ.

დ ა ი ს ვ ე ნ ე დ ა გ ა ე რ თ ე ჩ ვ ე ნ თ ა ნ ე რ თ ა დ

ე ო ი ე ი ი ე ი ა ფ ნ ი ნ ე მ ძ ი ლ ო დ ი ი ს ი დ ა ო

**დ.** გერმანელი ფერმწერი; **ა.** თეორემა, რომელსაც დამტკიცება არ სჭირდება; **ი.** ფაშიზმის სამშობლო; **ს.** ძალა, ღონე, ილაჯი; **ვ.** ბოლოში ორად გაყოფილი წვრილი ალამი, რომელსაც სამხედრო გემზე აღმართავენ; **ე.** განსწავლული ადამიანი; **ნ.** თავის თავზე უზომოდ შეყვარებული ყმაწვილი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელიც უიმედოდ უყვარდა ნიმფა ექოს; **ე.** ძველი ბერძენი მეიგავე; **დ.** ქალაქი არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, რომელსაც ყველაზე ხშირად სტუმრობენ ქართველები; **ა.** მთა სომხეთში; **გ.** მათემატიკური მოქმედება; **ა.** ბავშვის სარწეველა საწოლი; **ე.** სევდიანი შინაარსის ლირიკული ლექსი; **რ.** რისამე გრაგნილი; **თ.** დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ე.** კანის ინფექციური დაავადება; **ჩ.** მხატვრული ფილმის „ჯარისკაცის მამის" რეჟისორი; **ვ.** მიცვალებული, რომელიც შუა საუკუნეების ევროპელთა ცრურწმენით საფლავიდან ამოდის და მძინარე ადამიანებს სისხლს სწოვს; **ე.** გაზაფხულის პირველი ყვავილი; **ნ.** ხელოვნური ბოჭკო; **თ.** მართლმსაჯულების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; **ა.** კარტოფილის სამშობლო; **ნ.** გვამი, ცხედარი, განსვენებული; **ე.** უძველესი ქართული სახელმწიფო; **რ.** ამ მდინარეს ბერძნები ფაზისს ეძახდნენ; **თ.** ქართული სუფრის ხელმძღვანელი; **ა.** ტროპიკული ხილი; **დ.** ზღაპრული ურჩხული.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დრაქმა; **ა.** აუდი; **ი.** ითაკა; **ს.** სუმატრა; **ვ.** ვაიმარი; **ე.** ელარჯი; **ნ.** ნინიძე; **ე.** ელენე; **პ.** პაბლო; **ა.** ამონი; **ლ.** ლაფი; **ი.** იშხანი; **ტ.** ტეილორი; **რ.** რაზდანი; **ი.** იგლუ; **ს.** სვანეთი; **ფ.** ფიდე; **ე.** ეტიკეტი; **რ.** რიყე; **ე.** ეკალი; **ბ.** ბავარია; **შ.** შაილოკი; **ი.** ისთვუდი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ადამიანებო, ფხიზლად იყავით.**

# ალექსეი ბატალოვი იუბილარია

**ის შემოქმედებითი მიღწევები, რაც წილად ხვდა თეატრისა და კინოს ცნობილ მსახიობს ალექსეი ბატალოვს, ალბათ რამდენიმე ხელოვანის ცხოვრებასაც ეყოფოდა. საკმარისია გავიხსენოთ მსოფლიოს უმაღლესი კინოპრემიებით დაჯილდოებული ფილმები: „მიფრინავენ წეროები“ (კანის ფესტივალის ლაურეატი) და ოსკაროსანი „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“.**



ის, რომ ქვეყნად მსახიობობის გარდა სხვა პროფესიაც არსებობდა, ალექსეი ბატალოვმა მშვენივრად იცოდა, მაგრამ საკუთარი თავი სცენის გარდა ვერსად წარმოედგინა. 15 წლის იყო, პირველად რომ ფილმში გადაიღეს. პაწაწინა როლი ჰქონდა, მაგრამ ევაკუაციაში მყოფი ოჯახისთვის იქ აღებული ჰონორარი რაღაცას ნიშნავდა. მისი სწრაფვა სცენისაკენ გასაკვირიც არ იყო.

მშობლებთან ერთად „მხატში“ ვცხოვრობდიო, — იგონებს მსახიობი. მისი მეზობლები იყვნენ დიდებული ვასილი კაჩალოვი და ოსიპ მანდელშტამი, დიდი პოეტი ანა ახმატოვა კი, რომელსაც „დეიდა ანიას“ ეძახდა ალიოშა, იმის უფლებასაც აძლევდა, რომ მის ლექსებზე პაროდიები გაეკეთებინა და საჯაროდ წაეკითხა. როცა ბატალოვი ჯარიდან დაბრუნდა, ანა ანდრეევნამ მას დიდი თანხა აჩუქა — წესიერი ტანსაცმელი იყიდეო, მაგრამ ალიოშამ იმ ფულით „მოსკვიჩი“ იყიდა.

სტუდენტი იყო, როცა ცნობილი მხატვრის, კონსტანტინ როტოვის ქალიშვილი შეირთო ცოლად, შვილიც ეყოლათ, ნადეჟდა. ძალიან მალე ფილმ „რუმიანცევის საქმის“ გადაღებებზე ცირკის ულამაზესი მსახიობი, ბოშა გიტანა ლეონტიენკო გაიცნო და...

შეყვარებულები ცხრა წელიწადი ჩუმად ხვდებოდნენ ერთმანეთს, რადგან გიტანას ნათესავები დაჟინებით მოითხოვდნენ — ბოშას ქმარი მხოლოდ ბოშა უნდა იყოსო. „გიტანას ნათესავები მოკვლით მემუქრებოდნენ, მაგრამ 1963 წელს ჩვენ მაინც დავქორწინდით“, — ამბობს ბატალოვი. მათი ქალიშვილი, მარია, სამწუხაროდ, მძიმე სენით დაავადებული დაიბადა — მოძრაობა აქვს შეზღუდული. „ძალიან ნიჭიერი და ბრძოლისუნარიანია ჩემი მაშა, ყოველდღე ვარჯიშობს, ჩემზე მეტი წიგნი აქვს წაკითხული, ფრანგულიც ისწავლა, ბიბლიასაც მუდამ კითხულობს. ამქვეყნად მხოლოდ ის მაძლებინებს, მე მას ვჭირდები და ეტყობა, ეს ღმერთმაც იცის, რადგან ბევრ ფათერაკს დავაღწიე თავი — ხან ავარიას გადავურჩი, ხან მძიმე ავადმყოფობას“...

...ბატალოვმა კინოში ბოლოს 20 წლის წინ ითამაშა — რეჟისორ დმიტრი სვეტოზაროვის სურათში „სიჩქარე“. ფილმის, „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“, ტრიუმფის შემდეგ მსახიობს კინემატოგრაფი აღარ აინტერესებდა. მთელ დროს ვგიკის სტუდენტებს უთმობს. „მდიდარი არასოდეს ვყოფილვარ, არც თანამდებობა მქონია, მაგრამ არასოდეს არავისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია, არაფერი შემშლია. ბევრი კეთილად მომიხსენიებს და ეს არც ისე ცოტას ნიშნავს“, — ამბობს 75 წლის მსახიობი.

***7 დღე***

# ბარბარა ბრილსკა: „დავიღალე, ძალიან დავიღალე...“



სცენა სპექტაკლიდან „კვარტეტი“. მარცხნიდან მსახიობები: ბარბარა ბრილსკა, სვეტლანა კრიუჩკოვა, კახი კავსაძე

**მოსკოვის კულტურულ ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა — მოსკოვის სამხატვრო თეატრში შედგა რომან მარხოლის სპექტაკლის „კვარტეტის“, პრემიერა, რომელშიც მომხიბლავ პოლონელ მსახიობს ბარბარა ბრილსკას პარტნიორობას უწევს ცნობილი ქართველი მსახიობი კახი კავსაძე.**

**— „ბედის ირონიის...“ წყალობით მსოფლიოს ერთი მეექვსედი შეყვარებულია თქვენზე. ყოველთვის, როცა ფილმს უშვებენ, კაცები მუნჯდებიან, ხალხს უკვირს...**

— ალბათ ის, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ. მე ხომ ფილმში არაფერს განსაკუთრებულს არ ვაკეთებ. მხოლოდ ჩემი ფეხები ჩანს, ხმა — ტალიზინასია, სიმღერები — პუგაჩოვასი.

**— პოლონეთში ხშირად უჩვენებენ ამ ფილმს?**

— 2-3-ჯერ აჩვენეს. ერთხელ კომუნისტების დროს, მეორედ — ამ ორიოდე წლის წინ. დედაჩემმა რომ უყურა, მხოლოდ ეს მითხრა, — ღმერთო ჩემო, რა ახალგაზრდა იყავიო.

**— რომელმა რეჟისორმა მოგცათ ყველაზე მეტი?**

— რომან ზალუსკიმ — ფილმში „სიყვარულის ანატომია“. მან მასწავლა ზომიერება კადრში. როცა ზედმეტ ემოციას ვამჟღავნებდი, მაჩერებდა — „სდექ, კიდევ ერთხელ... ნაკლები ემოცია სახეზე... ნუ ყვირი“. ძალიან მიჭირდა სასიყვარულო სცენების თამაში. შიშვლები ვიყავით. წარმოიდგინეთ, მხოლოდ სილუეტები ჩანდა, მაგრამ შიშვლებს უნდა გვეთამაშა. რეჟისორს ვუთხარი — რომ შემეხოს, გავგიჟდები. რამე იღონეთ-მეთქი. არაფერი შეცვალა. მაშინ თავად მოვძებნე გამოსავალი. მოვითხოვე, პარტნიორს კოლგოტები ჩაეცვა. ასეც მოიქცა, მაგრამ ფილმში ეს არ ჩანს.

**— ახლა კინო რეალურობას მოითხოვს.**

— ვერ ვიტან ამას. კინო უნდა დარჩეს ხელოვნებად, რათა არ იქცეს პორნოგრაფიად. როცა მსახიობ ქალს ეხება უცხო მამაკაცი — ეს საშინელებაა.

**— მე კი ეს ნორმალური მეგონა.**

— შემიძლია გავიხადო, გამოვაჩინო სხეული, მაგრამ მამაკაცთან ერთად იმის კეთება, რასაც ახლა უჩვენებენ ეკრანზე, წარმოუდგენელია, ეს სხეულის გაყიდვაა. თვით კოცნაც კი შეუძლებელია ზოგჯერ. ესეც საშინელებაა. — როცა „ბედის ირონიაში“ მიღებდნენ, უარი ვთქვი, მეკოცნა იაკოვლევისთვის. ძალიან ეწყინა.

**— რას კითხულობთ ამჟამად?**

— საერთოდ, იშვიათად ვკითხულობ. მხოლოდ მაშინ ვკითხულობდი, როცა საჭირო იყო. ან რაიმე პრაქტიკულს — ბუნებაზე, სოკოებზე, თევზებზე. არ მიყვარს სხვისი ამბების კითხვა. ვფიქრობ, თავად ვარ დიდი წიგნი, თითქმის ბოლომდე წაკითხული. უკვე იყო ყველაფერი. არაფერი აღარ გამაკვირვებს. ცოტა არ იყოს, მოსაწყენია ცხოვრება. დავიღალე, უბრალოდ, დავიღალე ყველაფრისაგან. სიკვდილის რომ არ მეშინოდეს, ალბათ არ ვიცოცხლებდი... წლები გავიდა. არ შეიძლება სულ იმაზე იოცნებო, რაც შეუძლებელია.

**— მოგონებები სიყვარულზე?**

— ეს სასაცილოა. მიყვარდა, მაგრამ რა საჭიროა ეს დღეს? როგორც ჩემი გმირი ამბობს სპექტაკლში, წლების შემდეგ მივხვდი, რომ სექსის მნიშვნელობა ცხოვრებაში გადაჭარბებულია.

**— როგორ ისვენებთ?**

— ვარშავიდან 70 კმ-ზე პატარა სახლი მაქვს. აი, იქ ვისვენებ. ეზოში შიშველი დავდივარ, ვერავინ მხედავს, აი, რა მიყვარს. კიდევ მიყვარს მიწის ჩიჩქნა, ყვავილების დარგვა.

**— როგორ აღიქვამს თავის ასაკს ჭკვიანი, ლამაზი ქალი?**

— ხსოვნა სილამაზის შესახებ არ ბერდება, თავად სილამაზე კი... იცით, ჩვეულებრივი ქალებისთვის ეს ადვილი გადასატანია. მათ არ იციან, რას ნიშნავს, როცა მიდიხარ ქუჩაში და ყველა თვალს გაყოლებს. ამიტომ შეუძლებელია, ჩვეულებრივმა ქალმა იცოდეს, რას ნიშნავს, როცა ეს აღარ არსებობს.

**— გულისთქმას თუ აჰყოლიხართ?**

— კაცებს ბრმასავით მივყვებოდი, არა, — ყრუსავით. არ მესმოდა, რას მეუბნებოდნენ. მხოლოდ შემდეგ დგებოდა იმედის გაცრუების ან რაღაცის სწავლის ჟამი. შეცდომებს ვერ ავცდი...

**— გჯერათ მკითხაობის?**

— ერთხელ ვიყავი მკითხავთან. მითხრა, მაპატიეთ, დავიღალე, ვერ მიგიღებთო. ქალიშვილის გარდაცვალების შემდეგ მიმიწვია და მითხრა, — ცუდ ამბავს არასოდეს ვეუბნები ადამიანებს, რადგან სიცოცხლე გაუჭირდებათო. მე მხოლოდ ერთხელ მქონდა ნამდვილი, საშინელი დეპრესია, როცა შვილი დავკარგე. საშინლად ვიყავი, მაინც ექიმის გარეშე დავაღწიე თავი. ვსვამდი წამლებს, არ მეძინა. ჩემი ექიმი — ჩემი ბიჭუნა აღმოჩნდა. მან მითხრა: — დედა, შენ უნდა იცოცხლო, არ მოკვდე, რადგან მე გყავარო. მაშინ ათი წლის იყო... და იცით, კიდევ რამ მიშველა? არასოდეს მყვარებია პოეზია. პროზა — სხვა საქმეა. და უცებ, წარმოიდგინეთ, ქალიშვილის გარდაცვალების შემდეგ, მას შემდეგ, რაც 6 თვე არ მეძინა, განთიადისას ლექსების თხზვა დავიწყე. ისინი თავისთავად იბადებოდნენ. დავდიოდი, ბოლთას ვცემდი — სიტყვები თავისით ჩნდებოდნენ გონებაში. კონცენტრირებული ტკივილი ლექსების სახით გამოვიდა ჩემგან.

**— გვიამბეთ ვაჟიშვილზე.**

— უმაღლეს ტურისტულ სკოლაში სწავლობს. ერთად ვცხოვრობთ. დილის 7 სთ-ზე ვდგები, რომ საუზმე მოვუმზადო, ვაკოცო და სკოლაში გავისტუმრო.

**— მის მამასთან მეგობრობთ?**

— არა, თუმცა თავად ძალიან ცდილობს. მე არ მინდა. იმისთვის არ გავცილებივარ, რომ კარგად ვიყავი. ჩვენ შორის მაშინაც არ იყო მეგობრობა. ვისთანაც ნამდვილად ვმეგობრობ, ეს ჩემი პირველი ქმარია. თუმცა ისიც მივატოვე. ის განსხვავებული ადამიანი იყო, მაგრამ რა მექნა, სხვა შემიყვარდა და მივატოვე. ჩემი ბრალი არ იყო. მეორე ქმარი წარმოუდგენელი მექალთანე იყო, ულამაზესი კაცი. მომხიბლავი თვალებისთვის შემიყვარდა, მაგრამ არასერიოზული ადამიანი აღმოჩნდა, წარმოუდგენელი ეგოისტი. ჩანს, არასწორად შევარჩიე ჩემი შვილების მამა.

**— რატომ თქვენი წრიდან — მსახიობებიდან, რეჟისორებიდან არ აირჩიეთ გულის სწორი?**

— შევხვდი და სწორედ ამიტომ მივატოვე პირველი ქმარი. ცხოვრებაში 5 ნამდვილი სიყვარული მქონდა და შემდეგ ვტოვებდი. არ მინდა ამაზე ლაპარაკი. ყველაფერმა გაიარა...

***ოგონიოკი №40***

# კინომოზაიკა.კინომოზაიკა

## ვიყიდი ქმარს, ფასს მნიშვნელობა არ აქვს...



პოპულარული ტოპმოდელისა და მსახიობის, ლიზ ჰერლის და მისი საქმროს, ინდოელი ფლეიბოის, არუნ ნაიარას ქორწინება საცაა ჩაიშლება.

ეს „სამწუხარო“ ამბავი ახლახან გახმაურდა. როგორც ამბობენ, ამაყ ინდუსს არ მოსწონს, საცოლე რომ არჩენს. სანამ ლიზ ჰერლი მუშაობს, ნაიარა შინ ზის და მის პატარა ბიჭს ელოლიავება. ნაიარა ინდოეთში ერთ-ერთი უდიდესი საფეიქრო ინდუსტრიის მაგნატის მემკვიდრეა.

მამის სიკვდილის შემდეგ იგი მილიარდერი გახდება. მანამდე კი ერთი პატარა ინტერნეტკომპანია აქვს და საქმეებიც ვერ მიუდის კარგად, ლიზ ჰერლი კი ყოველწლიურად მხოლოდ კომპანია „ესტე ლაუდერისგან“ (ამ კომპანიის სახეა) 3 მილიონ დოლარს იღებს, კიდევ 15-ს კი კინოსა და პოდიუმზე მუშაობაში. ლიზს, მტკიცე ნებისყოფიან და თავნება ქალს, ასეთი სიტუაცია ხელს აძლევს. საქმრომ კი სწორედ ახლა, როცა ქორწილამდე დიდი დრო აღარ დარჩენილა, ქალის ხარჯზე ცხოვრება დაირცხვინა.

თუმცა თუ ჭორებს დავუჯერებთ, ქორწილი მაინც გაიმართება — ლიზი არ დაკარგავს ცეცხლოვან საყვარელსა და ძიძას. გადაწყვეტილი აქვს ისეთი პირობები შესთავაზოს, რომ შელახული თავმოყვარეობა აღუდგინოს — წინადადების არსი ასეთია: არუნი კაპიკ-კაპიკ ჩაიწერს ყველა იმ თანხას, რასაც ლიზი დაახარჯავს, მამის სიკვდილის შემდეგ კი ვალს ხუთმაგად დაუბრუნებს.

## კულინარიული ფსიქოთერაპია



პოპულარული მსახიობი ბრედ პიტი, როგორც ამბობენ, პროფესიის შეცვლას აპირებს.

39 წლის ვარსკვლავის თქმით, იგი დიდი ხანია, რაც ფსიქოანალიტიკოსთან დადის „ვარსკვლავური ავადმყოფობის“ დასაძლევად.

ბრედს პოპულარობა ისე მოულოდნელად დაატყდა თავს, რომ მასთან გამკლავება გაუჭირდა. ამიტომ სასმელსა და ნარკოტიკებს მიეძალა. მოგვიანებით, ამ მავნე ჩვევას სწორედ ფსიქოანალიტიკოსისა და იმ ტელეგადაცემების მეშვეობით დააღწია თავი, რომლებიც კულინარიას ეძღვნებოდა. იგი სიამოვნებით ტრიალებს სამზარეულოში და ტელევიზიით ნანახ გასტრონომიულ შედევრებს ამზადებს.

თუ მის მეგობრებს დავუჯერებთ, პიტი მზად არის მზარეულობა დაიწყოს.

საქმე ის არის, რომ საამისო საფუძველიც აქვს — ამ ბოლო დროს არც ერთ ხეირიან ფილმში არ უთამაშია და ძველებურად აღარც პოპულარულია. ამიტომაც აირჩია ქურასთან დგომა. შეიძლება რამდენიმე რესტორანიც იყიდოს და ახალ საქმეს მიჰყოს ხელი.

***კინოპარკი***



# ინტერი — მეთოფეთა სამიზნე

***ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეხუთე ტურს ბევრი კითხვისთვის უნდა გაეცა პასუხი. ბოლოსწინა ტური გამოავლენდა ზოგიერთ იმ გუნდს, რომელიც მერვედფინალში გააგრძელებდა ბრძოლას.***

„მანჩესტერ იუნაიტედს“, „ჩელსის“, „შტუტგარტს“, „პორტუს“ და „მილანს“ მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ფრეც ჰყოფნიდათ. ეს ამოცანა წარმატებით გადაჭრა ყველა მათგანმა და კვინტეტი შეუერთდა „მონაკოს“, „რეალს“ და „იუვენტუსს“, რომელთაც ჯერ კიდევ მეოთხე ტურის შემდეგ მოიპოვეს მერვედფინალის საგზური.



ასე რომ, უკვე ცნობილია ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშების მერვედფინალში მონაწილე რვა გუნდი, დანარჩენი რვა ბოლო ტურში გაირკვევა.

მეხუთე ტურის მატჩებიდან განსაკუთრებული მოულოდნელობა იყო „არსენალის“ დიდი ანგარიშით გამარჯვება სტუმრად მილანის „ინტერთან“. პირველ ტურში ამ მეტოქეთა მატჩისას ასევე მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. მაშინ „ინტერმა“ გასვლაზე მოიგო ლონდონში ასევე დიდი ანგარიშით 3:0. ამ ფაქტის შემდეგ, ბუნებრივია, ბევრისთვის მოსალოდნელი იყო, რომ რევანში შედგებოდა, თუმცა, რევანშიც არის და რევანშიც. არსენ ვენგერის „მეთოფეებმა“ შანსი არ დაუტოვეს დაცვითი ტაქტიკით სახელგანთქმულ იტალიელებს და „სან სიროზე“ ხუთი ბურთი გაუტანეს, თავად კი მხოლოდ ერთი მიიღეს.

ამ შედეგმა საკმაოდ დაძაბა სიტუაცია ჯგუფში. ყველასთვის მოულოდნელად სატურნირო ცხრილის სათავეში მოსკოვის „ლოკომოტივი“ მოექცა.

სიომინის ბიჭებმა პოსტსაბჭოთა დერბიში გამოიჩინეს თავი. კიევის „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ პაექრობა უხვგოლიანი აღმოჩნდა.

ორივე ტაიმის დასკვნითი მონაკვეთი „ლოკომოტივმა“ გოლით აღნიშნა. განსაკუთრებით საჭირო იყო მათთვის პირველი ტაიმის დამატებულ წუთზე იგნაშევიჩის მიერ ზუსტად გამოყენებული თერთმეტმეტრიანი, რის შემდეგაც ანგარიში გახდა 2:1. ამ გოლის წყალობით სიომინის შეგირდებმა ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვეს და საკმაოდ კარგად მოთამაშე კიევის „დინამოელებს“, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელთ გაათანაბრეს ანგარიში, შეხვედრის მიწურულს პარქსის მიერ გატანილი გოლით მოუგეს. 3:2 — ასეთია მატჩის საბოლოო შედეგი.

ჩვენებური მიხეილ აშვეთია მხოლოდ თამაშის დამატებით დროში შეცვალეს, მალხაზ ასათიანი კი როგორც ყოველთვის, სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

**მიხეილ აშვეთია:** „ეს იყო „ლოკომოტივისთვის“ საუკეთესო მატჩი. ორივე გუნდს მოგება გვჭირდებოდა და ბუნებრივია, ამის გამო დიდხანს არ ჩერდებოდა ბურთი მოედნის ცენტრში. განსაკუთრებულად იმოქმედა იმან, რომ ტაიმის ბოლოს გავიტანეთ გოლი და შესვენებაზე ამაღლებული განწყობით წავედით. სატურნირო ცხრილში ისეთი სიტუაციაა, რომ ძნელად თუ ვინმე ივარაუდებდა ამას. შეიძლება ითქვას, რომ ჯერ არაფერია გარკვეული, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ პირველ ადგილზე ვართ. წინ საკმაოდ რთული მატჩი გველის. ვფიქრობ, რომ ჩვენ შევძლებთ ლონდონში ფრე გავახერხოთ. ეს ის შედეგია, რომელიც მომდევნო ეტაპზე გაგვიყვანს. ამ მხრივ ვფიქრობ, რომ მეტოქეზე მომგებიან სიტუაციაში ვართ, რადგანაც ლონდონში მატჩის წაგებისათვის არავინ გვისაყვედურებს, დანარჩენი ნებისმიერი შედეგი კი ჩვენთვის გმირობის ტოლფასი იქნება. ერთი სიტყვით, მომავალი მატჩის იმედად ვართ. ამ შეხვედრისთვის ესპანეთში მოვემზადებით, ვითამაშებთ ერთ სპარინგსაც და იმედი მაქვს, რომ ყველაფერი ისე დასრულდება, როგორც ჩვენ გვინდა. ფეხბურთში უპირობო ფავორიტი არ არსებობს და ბუნებრივია, ესეც ჩვენი კოზირია...“

ქართველი გულშემატკივარი კიდევ ერთ მატჩს ელოდა დიდი ინტერესით — შტუტგარტში გამართულ შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა „რეინჯერსის“ ბედი. ჩვენებურების გუნდს მხოლოდ მოგება სჭირდებოდა მომდევნო ეტაპზე გასვლისათვის, არადა ამის მიღწევა არცთუ ისე იოლი გახლდათ, რადგანაც „შტუტგარტი“ ამ სეზონში შესანიშნავად ასპარეზობს. გერმანელებს ამ სეზონში ერთადერთი მარცხი აქვთ განცდილი და ისიც „რეინჯერსთან“ გასვლითი მატჩისას.

**შოთა არველაძე:** „მაკლიშმა ამ მატჩის მოგებისთვის განსაზღვრული სქემა შეიმუშავა. ჩვენ თამაში კონტრშეტევებზე ავაგეთ, ოთხი მცველით, ხუთი ნახევარმცველით და ერთი თავდამსხმელით ვთამაშობდით. მაგრამ როგორც კი შეტევის განხორციელების საშუალება მოგვეცემოდა, ნახევარდაცვიდან ორი ფეხბურთელი თავდასხმაში გადადიოდა. მეტად ძლიერი გუნდია „შტუტგარტი“, განსაკუთრებით დაცვის რგოლი გამოირჩევა. ბუნდესლიგაში გათამაშების 13 მატჩიდან მას საკუთარ კარში მხოლოდ სამი ბურთი აქვს გაშვებული, ასეთ გუნდებთან კი ყველაფერს ერთი შეცდომა წყვეტს. თუკი ღმერთმა დაგასაჩუქრა და მეტოქემ დაუშვა თუნდაც ის ერთი შეცდომა, აუცილებლად უნდა გამოიყენო. ჯერ კიდევ თამაშის პირველი ნახევრის შუა პერიოდში გვქონდა კარგი შანსი, რომ ანგარიში გაგვეხსნა, „შტუტგარტის“ კართან არეულობა იყო, მე ზუსტად მივაწოდე ბურთი რიქსენს, რომელსაც მეკარე ჰილდებრანდმა სასწაული ბურთი აუღო. თამაშის პირველი ნახევრის დამატებით წუთზე გატანილი გოლი დამთრგუნველი აღმოჩნდა გუნდისთვის. მეორე ტაიმში უფრო ძლიერად შევუტიეთ. განსაკუთრებით კი შეხვედრის ბოლო ათწუთიანი მონაკვეთი იყო გამორჩეული. ერთხელ ლოვენკრანდსი გავიყვანე კარგ პოზიციაზე, მაგრამ იმ დღეს ბედი არ გვწყალობდა. ასეთი შანსების გამოუყენებლობა არ შეიძლებოდა, მით უმეტეს, ასეთ მეტოქესთან.“

| A ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი — ლიონი 1:0 | | | | | | |
| სელტიკი — ბაიერნი 0:0 | | | | | | |
| სელტიკი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-4 | 7 |
| ანდერლეხტი | 5 | 2 | 1 | 2 | 4-5 | 7 |
| ლიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 4-5 | 7 |
| ბაიერნი | 5 | 1 | 3 | 1 | 5-5 | 6 |

| B ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი — არსენალი 1:5 | | | | | | |
| ლოკომოტივი — დინამო 3:2 | | | | | | |
| ლოკომოტივი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| არსენალი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| ინტერი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-10 | 7 |
| დინამო | 5 | 2 | 0 | 3 | 7-7 | 6 |

| C ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო — ეინდჰოვენი 1:1 | | | | | | |
| დეპორტივო — აეკი 3:0 | | | | | | |
| მონაკო | 5 | 3 | 1 | 1 | 15-6 | 10 |
| დეპორტივო | 5 | 3 | 1 | 1 | 10-9 | 10 |
| ეინდჰოვენი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 7 |
| აეკი | 5 | 0 | 1 | 4 | 1-11 | 1 |

| D ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი — იუვენტუსი (გადაიდო, მატჩი გაიმართება 2 დეკემბერს დორტმუნდში) | | | | | | |
| ოლიმპიაკოსი — სოსიედადი 2:2 | | | | | | |
| იუვენტუსი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-4 | 10 |
| სოსიედადი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-7 | 8 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-6 | 4 |
| გალათასარაი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |

| E ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი - მანჩესტერი 0:1 | | | | | | |
| შტუტგარტი — რეინჯერსი 1:0 | | | | | | |
| მანჩესტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 11-2 | 12 |
| შტუტგარტი | 5 | 4 | 0 | 1 | 9-4 | 12 |
| რეინჯერსი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-7 | 4 |
| პანათინაიკოსი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-12 | 1 |

| F ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი — რეალი 1:2 | | | | | | |
| პორტუ — პარტიზანი 2:1 | | | | | | |
| რეალი | 5 | 4 | 1 | 0 | 10-4 | 13 |
| პორტუ | 5 | 3 | 1 | 1 | 8-7 | 10 |
| მარსელი | 5 | 1 | 0 | 4 | 8-10 | 3 |
| პარტიზანი | 5 | 0 | 2 | 3 | 2-7 | 2 |

| G ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაციო — ბეშიქთაში 1:1 | | | | | | |
| ჩელსი — სპარტა 0:0 | | | | | | |
| ჩელსი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-3 | 10 |
| ბეშიქთაში | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 7 |
| სპარტა | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 5 |
| ლაციო | 5 | 1 | 2 | 2 | 6-9 | 5 |

| H ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი — მილანი 0:1 | | | | | | |
| სელტა — ბრიუგე 1:1 | | | | | | |
| მილანი | 5 | 3 | 1 | 1 | 3-1 | 10 |
| აიაქსი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-5 | 6 |
| სელტა | 5 | 1 | 3 | 1 | 5-5 | 6 |
| ბრიუგე | 5 | 1 | 2 | 2 | 3-5 | 5 |

*გვერდი მოამზადა გიგა ხირსელმა*

# „დანდი“ იძირება, ნემსაძე კი არჩევანის წინაშეა

უსიამოვნო ამბებია შოტლანდიის „დანდიში“. საგადასახადო სამსახურებმა ამ გუნდს დიდი ფინანსური დარღვევები აღმოუჩინეს. მას ერთ-ერთი ბანკის სასარგებლოდ 13 მილიონი გირვანქა სტერლინგი მართებს, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ „დანდი“ გადახდისუუნაროა — მისი სალარო ცარიელია.

მოვლენები ისე განვითარდა, რომ „დანდის“ აღარავინ არაფერს ეკითხება. იმისათვის, რომ ეს დავალიანება აღმოიფხვრას, საგადასახადო სამსახურს ვერავინ შეუშლის ხელს. სწორედ მისი ინიციატივით შექმნილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ ფინანსური კრიზისის დაძლევის მიზნით, ხარჯების შემცირების პროექტი შეიმუშავა და მისი დაუყოვნებლივ განხორციელება დაიწყო. ამ ორგანოს ინიციატივით მოხდა ის, რომ გუნდიდან ერთბაშად თხუთმეტი ფეხბურთელი წავიდა, აქედან ექვსი, გუნდის ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე გახლდათ. ასევე გაუშვეს გუნდის ათი თანამშრომელი. „სეკვესტრირებულთა“ შორისაა საქართველოს ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე, რომელიც გუნდში საკმაოდ დიდ სამუშაოს ასრულებდა. ამ ათეულში შედის იტალიური ფეხბურთის ექსვარსკვლავი ფაბრიციო რავანელი, აგრეთვე ბეტო კარანსა, ხუან სარა, ფაბიან კაბალიერო, კრეიგ ბარლი... ასეთი პროექტით უნდა შემცირდეს „დანდის“ გასავალი 45 პროცენტით.

**გიორგი ნემსაძე:** „გუნდში ოთხი წელია ვირიცხები და ასეთი მძიმე სიტუაციის წინაშე არასდროს ვმდგარვარ. კონტრაქტით წელიწად-ნახევარი კიდევ უნდა ვყოფილიყავი „დანდიში“, მაგრამ... ბუნებრივია გამოჩნდება გუნდი, სადაც ვითამაშებ, თუმცა ის რაც მოხდა, ჩემთვის საკმაოდ მოულოდნელი იყო. „დანდის“ ჩემი ორი თვის დავალიანება აქვს და ჯერ გაურკვეველია, თუ ვინ გადაიხდის ამ თანხას. ასეთივე დღეში არიან დანარჩენი ფეხბურთელები. ეს ამბავი გაზეთიდან შევიტყვე, ჩემთვის ამ საკითხზე არავის არაფერი უთქვამს. გულშემატკივრების რეაქცია საკმაოდ მწვავეა, მაგრამ ეს ისეთი მომენტია, რომლის წინაშეც მხოლოდ მშრალი გონებით და მხოლოდ მშრალად დაწერილი კანონმდებლობით უნდა იხელმძღვანელო. ასე რომ, მეც იძულებული ვარ, შევეგუო ბედს. რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს, ხუთი კვირის განმავლობაში ვერ გამოვედი მოედანზე. მენისკი მქონდა გამიზეზებული და საბედნიეროდ, გადავურჩი ოპერაციას. ამჯერად საუკეთესო ვარიანტად მიმაჩნია სათამაშო პრაქტიკა სწორედ „დანდიში“ გავიარო, მიუხედავად იმისა, გადამიხდიან თუ არა ხელფასს. ვფიქრობ, რომ მხოლოდ ამ გზით შევძლებ დავიბრუნო სასურველი ფორმა, რაც სასურველი გუნდის მოძებნაში დამეხმარება.“

შოტლანდიურ პრესაში ის ინფორმაციაც გავრცელდა, რომ გუნდის ამჟამინდელი პრეზიდენტი ჯოვანი დი სტეფანო საკუთარი ჯიბიდან აპირებს ფეხბურთელთათვის დავალიანების გადახდას.

„დანდიში“ მიმდინარე მოვლენებმა რეზონანსი პოვა ბრიტანეთში. უკვე გამოჩნდნენ გუნდები, რომელთაც სურთ „დანდის“ მიერ დათხოვნილი ფეხბურთელების გადაბირება. ლაპარაკია იმაზე, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტნით ინგლისის პრემიერლიგის გუნდი „პორტსმუთია“ დაინტერესებული, რომელსაც ამჟამად საკმაოდ „მოკლე სკამი“ აქვს და მდგომარეობის გამოსწორებას ახალი ფეხბურთელების შეძენით ცდილობს.

აი, რა განაცხადა „პორტსმუთის“ პრეზიდენტმა **ბრაიან მანდარიჩმა**: „ამჟამად პრობლემები შეგვექმნა, გუნდში ტრავმები მომრავლდა და ბუნებრივია, ასეთი რეალობით ძალიან გაგვიჭირდება პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება. ამდენად, არ შეიძლებოდა ყურადღების მიღმა აღმოჩენილიყო ის ფაქტი, რომ გიორგი ნემსაძე უგუნდოდ დარჩა. დიდი სურვილი მაქვს, რომ ის ჩვენს გუნდში ვიხილო. მაგრამ საბოლოო სიტყვა გუნდის მთავარ მწვრთნელს, **ჰარი რედნაპს** ეკუთვნის, მან უნდა თქვას კონკრეტული პასუხი. თუკი რედნაპი დამეთანხმება, არანაირი ფინანსური პრობლემა არ იქნება იმასთან დაკავშირებით, რომ ნემსაძე ჩვენს გუნდში გადმოვიდეს“.

აღსანიშნავია ისიც, რომ „პორტსმუთი“ ერთადერთი გუნდი არაა, ვინც გიორგი ნემსაძით დაინტერესდა. საგულისხმო გახლდათ შოტლანდიის „აბერდინის“ აღმასრულებელი დირექტორის **კიტ ვაილდერის** განცხადება: „ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს, რომ გიორგი ნემსაძე „აბერდინში“ გადმოვიდეს. ვიცით მისი შესაძლებლობები და ვფიქრობთ, რომ მას შეუძლია მნიშვნელოვნად გააძლიეროს გუნდი. მაგრამ არის ერთი დაბრკოლება — ჩვენი გუნდი არცთუ ისე უზრუნველყოფილია ფინანსურად, ამიტომ ის მაქსიმუმი, რომელიც გიორგი ნემსაძეს შეგვიძლია შევთავაზოთ, კვირაში 1.500 გირვანქა სტერლინგია. მან თავად უნდა გადაწყვიტოს, რამდენად მისაღები იქნება მისთვის ასეთი გასამრჯელო.“

ასე რომ, ნემსაძის ბედი ჯერ გაურკვეველია, რა თქმა უნდა, სასურველია ჩვენი ნაკრების კაპიტანი ინგლისის პრემიერლიგაში გადავიდეს, ისე, არც „აბერდინი“ უნდა იყოს ურიგო ვარიანტი.

# სამეული განაჩენს ელის

წლის ბოლოს ფიფა ტრადიციულად ასახელებს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს.

15 დეკემბერს ბაზელში 142 ქვეყნის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი შეიკრიბება და არჩევანს გააკეთებს რონალდოს, ზინედინ ზიდანსა და ტიერი ანრის შორის. მათგან ერთ-ერთი დასახელდება 2003 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად.

აღსანიშნავია, რომ რონალდო სამჯერ — 1996, 1997 და 2002 წლებში იყო ამ ნომინაციაში გამარჯვებული, მწვრთნელთა რჩეული ორჯერ გახლდათ ზინედინ ზიდანი — 1998 და 2000 წლებში, ტიერი ანრის კი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული ჯერ არ მოუპოვებია..










C M Y K

## №47 (373) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

47-ე რეიტინგს 523 მკითხველი გამოეხმაურა.

**„ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე რა განცდა გაქვთ ყველაზე მეტად?“** — ასეთი იყო კითხვა, რომელსაც 211-მა ქალმა და 304-მა მამაკაცმა კონკურსის წესების ზუსტი დაცვით უპასუხა. 8 ბარათი არასწორად იყო შევსებული.

რეიტინგის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რესპონდენტთა უმრავლესობას საზეიმო განწყობა უნდა ჰქონდეს — ყოველ შემთხვევაში პირველადი რეაქცია ასეთია.

მკითხველთა 27,3 აცხადებს, რომ ყველა განცდას მასში „სიხარული“ სჭარბობს, ოდნავ მეტი — 27,5 კი გამარჯვებულად გრძნობს თავს.

„სიხარული“ **7,40** საშუალო ქულით პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე „გამარჯვებაა“, რომელიც თავისი არსით ვიღაცის დამარცხებას ნიშნავს. საშუალო ქულით 7,08, „იმედი“ მესამე ადგილზეა. უნდა აღინიშნოს, რომ „იმედი“ მხოლოდ ორმა მკითხველმა შეაფასა მინიმალური — 1 ქულით. მაქსიმალური — 9 ქულა კი 20,7-მა მიაკუთვნა.

როგორც ჩანს, ბოლოდროინდელ მოვლენებს მკითხველთა დაახლოებით 16 სიამაყით აღუვსია.

საინტერესოა, ყველა ის განცდა, რომელიც დადებით ემოციებს გამოხატავს, რეიტინგის სათავეშია მოქცეული — სიხარული, გამარჯვება, იმედი, სიამაყე.

უარყოფითი ემოციები, შესაბამისად, ბოლო ადგილებს ინაწილებენ. რაც იმას ნიშნავს, რომ მკითხველთა განწყობა აშკარად დადებითია, მოლოდინი — იმედიანი.

ღმერთმა ქნას, ხვალინდელი დღე ხალხის მოლოდინის ადეკვატური იყოს.




საპრიზოს ზუსტად მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. გამარჯვებული 51 წლის თბილისელი **ონისე დავითაშვილია.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 3 დეკემბერს, 17 საათზე.

## №48 (374) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ **მკითხველის რეიტინგსა** და **მკითხველის პრემიაში.**

**№48 (374) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 3 დეკემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 4 დეკემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

თემა №48 (374) — მოლოდინი

**რას ელოდებით ახალი ხელისუფლებისაგან ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№48(374) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | დასაქმება | |
| 2 | გადასახადების შემცირება | |
| 3 | ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა | |
| 4 | ხელფასებისა და პენსიების გაზრდა | |
| 5 | ენერგოკრიზისის დაძლევა | |
| 6 | სამართლიანი არჩევნების ჩატარება | |
| 7 | კორუფციის აღმოფხვრა | |
| 8 | ადამიანის უფლებების დაცვა | |

**დამატებითი კითხვა**

როგორ აფასებთ დროებითი ხელისუფლების საკადრო პოლიტიკას?

| დადებითად | უარყოფითად | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|
| | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

### რა არის ედუარდ შევარდნაძის

**ყველაზე დიდი ნაკლი?**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ამბიციურობა, ძალაუფლების სიყვარული | 12,8% |
| 2–3. | ასაკი | 8,5% |
| 2–3. | არაგულწრფელობა, სიყალბე, ორპირობა | 8,5% |
| 4–5. | უყურადღებობა თავისი ხალხის მიმართ | 7.4% |
| 4–5. | არაეროვნულობა | 7.4% |
| 6. | კორუმპირებულობა | 7.1% |
| 7. | არასწორი საკადრო პოლიტიკა | 6.8% |
| 8. | გარემოცვის ზეგავლენა | 5.7% |
| 9. | ლმობიერება, არაპრინციპულობა | 4.8% |
| 10. | კომუნისტური მენტალიტეტი | 3.4% |

რესპონდენტთა 4.3%-ს გაუჭირდა მისი ნაკლის დასახელება.

**ღირსება?**

| | | |
|---|---|---|
| 1. | გამბედაობა, უშიშრობა, სიმამაცე | 14.2% |
| 2. | ნაბიჯი — პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომა | 12.7% |
| 3. | არაფერი | 11.2% |
| 4. | იუმორის გრძნობა | 9.1% |
| 5. | გაწონასწორებულობა, სიმშვიდე | 6.9% |
| 6. | მოთმინება, თავშეკავებულობა | 5.7% |
| 7–8. | ჭკუა, ნიჭი, ინტელექტი | 5.4% |
| 7–8. | დიპლომატიურობა, დაბალანსების უნარი | 5.4% |
| 9. | საერთაშორისო ავტორიტეტი | 4.5% |
| 10. | გამოცდილება | 3.6% |

რესპონდენტთა 5.4%-ს გაუჭირდა ედუარდ შევარდნაძის ღირსების დასახელება.

*მკითხველის რეიტინგში 483 რესპონდენტი მონაწილეობდა*

## • ფოტოპალიტრა • ფოტოკონკურსი ©

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

**რას დაარქმევდით?**

____________________

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________

ქალაქი (რაიონი) ____________



დავით თევზაძე, გიორგი ბარამიძე

ბოლოდროინდელმა მოვლენებმა საზოგადოებისათვის ბევრი ცნობილი სახე უმუშევარი დატოვა. ზოგი — თავისი ნებით, ზოგიც გარემოებათა გამო... ამიტომ იყო, მინიშნებამ — „დროებით უმუშევარი ვარ...“ — ჩვენს მკითხველებს ისეთი ადამიანები გაახსენა, როგორებიც არიან — ედუარდ შევარდნაძე, ავთანდილ ჯორბენაძე, მიხეილ სააკაშვილი, სესილი გოგიბერიძე...

ასევე დასახელდნენ — ჯემალ გოგიტიძე, ბადრი პატარკაციშვილი, დავით ბერძენიშვილი, კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური. მკითხველთა 26-მა ამ პატარა ბიჭუნასა და ლევან ბერძენიშვილში რაღაც საერთო აღმოაჩინა... მხოლოდ სამმა მკითხველმა ამოიცნო სწორად ტელერადიოდეპარტამენტის ყოფილი შეფი **ზაზა შენგელია**.





ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი



ზაზა შენგელია, ორი წლის

## ფოტო განწყობისთვის



— მიცინგებმა გადეიარა?...



# მიკი მაუსი იუბილარია



კიდევ ერთი ახალი სენსაცია — ლეგენდარული მიკი მაუსი, რომელსაც 75 წელი შეუსრულდა, თურმე უოლტ დისნეის კი არა, რუს ბიჭუნას — საშა პერევალოვს დაუხატავს. ოფიციალური მონაცემებით, მიკი 1928 წლის 18 ნოემბერს „დაიბადა“ მულტფილმში „ვილის ორთქლმავალი“. თავდაპირველად დისნეიმ მას მორტიმერი დაარქვა, მაგრამ ცოლის დაჟინებული თხოვნით, მოგვიანებით მიკი უწოდა. როგორც აწ გარდაცვლილი მოსკოველი ალექსანდრ პერევალოვის შვილიშვილი ანა დრობიში ირწმუნება, სახელგანთქმული თაგუნა ბაბუამისმა შექმნა. 1926 წელს მათ ოჯახს ამერიკელი მრეწველი მაიკლ რიდი ესტუმრა. ბიჭმა საჩუქრად თაგუნა დაუხატა. ეს ნახატი ამერიკაში რიდის მეგობარმა უოლტ დისნეიმ ნახა... ანა დრობიშს შენახული აქვს ბაბუის ნახატები, მათ შორის არის ისეთი ესკიზებიც, მიკი მაუსს რომ მოგაგონებთ.

* * *



სატუმროს ადმინისტრატორი ეუბნება კლიენტს: — თუ არ დაამტკიცებთ, რომ ეს თქვენი ცოლია, ერთ ნომერში არ შეგიშვებთ.

— და, თუ თქვენ დაამტკიცებთ, რომ ეს ჩემი ცოლი არ არის, სიკვდილამდე მადლობელი დაგრჩები.

**8/XII**
**ახალი მთვარე**
**მაგნიტური დღეებია:**
**1/XII 15-დან 17 საათამდე**
**5/XII 23-დან 24 საათამდე**

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები



**თარაზულად:** 1. საჰაერო ბურთის მგზავრთა განყოფილება; 4. უცნაური, სასაცილო, სასეირო ამბავი, შემთხვევა. 6. კონცერნი, რომელიც ქმნის არა მარტო მაღალი მოდის ნიმუშებს, არამედ დახვეწილ პარფიუმერიულ და მაღალხარისხოვან კოსმეტიკურ საქონელს. 7. ჯეკ ლონდონის ავტობიოგრაფიული რომანის გმირი; 8. აფხაზთა ქვეყანა თავიანთ ენაზე; 9. მომავალი მეზღვაური; 10. უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; 13. ძლიერი განცდის გამოვლენა; 16. იაპონური ფირმა; 18. დაწესებულება; 19. კლდის თხა, ქურციკი; 20. შექსპირის ტრაგედია; 22. ქაღალდის ფულის გამოშვება; 23. მოსასვენებელი; 25. პროფესიონალი მოჯირითე; 27. მბრუნავი ღერო მექანიზმებში; 28. უბირი, გაგრია; 29. სამაგიდო თამაში ოინითა და მარსით; 30. მჭევრმეტყველი; 31. ნათურის საჩრდილობელი.

**შვეულად:** 1. ერთი დანიშნულების საგანთა სრული კომპლექტი; 2. უმაღლესი სამხედრო-საზღვაო წოდება; 3. ვაჭარი (ფრანგულად); 4. რუსული ანბანი; 5. დედამიწის ერთ-ერთი უდიდესი ნახევარკუნძული; 11. ქმრის ძმა; 12. მადრიდის „რეალის“ კაპიტანი; 14. თიხის სასმისი; 15. ხელსაქმე; 16. სუსტი ქარი; 17. ლენონის იაპონელი მეუღლე; 21. მოძრავი კიბე; 22. პერსონაჟი ვერდის ოპერიდან „კარმენი“; 24. უსიამოვნო შემთხვევა, გაუგებრობა; 25. ცხოველური წარმოშობის ცილოვანი ნივთიერება, რომლის ხსნარი გაცივებისას იქცევა ლაბად და რომელსაც გამოიყენებენ კულინარიასა და მედიცინაში; 26. წყლით ან სამკურნალო ხსნარით ჭრილობათა მორწყვა-მობანა.

**შეადგინა რამაზ ალანიამ**



# მოზაიკა



ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი (ფილმში 20 მლნ დოლარი) მსახიობი კამერონ დიასი გიჟდება სერფინგზე და პაწია შესაძლებლობასაც კი იყენებს წყალზე დაფით სასრიალოდ. მსახიობმა ამ 2 თვის წინ, ჰავაის კუნძულებზე ყოფნისას, ოკეანეში სრიალის დროს ცოტა წაიცელქა და ცხვირიც გაიტეხა, მაგრამ სერფინგით გართობაზე ხელი მაინც არ აუღია. 31 წლის დიასი და მისი სატრფო, 22 წლის მუსიკოსი ჯასტინ ტიმბერლეიკი ახლახან დაბრუნდნენ საკურორტო ქალაქ პუერტო ესკონდიდოდან, სადაც 3 დღე შეუსვენებლად დაქროდნენ ტალღებზე.

ჰოლივუდის ვარსკვლავმა კრისტიან სლეიტერმა და მისმა ტელეჟურნალისტმა ცოლმა რაიენ ჰედსონმა ლას-ვეგასის ერთ-ერთ ბარში გვარიანად იჩხუბეს. თურმე განრისხებულმა მისის ჰედსონმა ნუნუას მოყვარულ ჭირვეულ ქმარს თავზე ლუდის კათხა დაალეწა. თავგატეხილი მსახიობი საავადმყოფოში გააქანეს და 20 ნაკერი დაადეს. ჰედსონს ტვინის შერყევაც აღმოაჩნდა.



ახლა მსახიობის ადვოკატი რაიენის წინააღმდეგ ამზადებს სარჩელს და განქორწინების განცხადებასაც.

ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## (48) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ____________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)
გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№48 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 4 დეკემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**
**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**
**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**
**სარედაქციო კოლეგია**
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი © 1518
„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.